

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქ. ქოქრაშვილი

სამეწარმეო სამართალი



დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ  
სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო  
საბჭოს მიერ. 19.05.2010, ოქმი №3

თბილისი  
2010

*“ქონების მოცულობა განისაზღვრება  
არა შემოსავლების სიდიდით,  
არამედ ცხოვრების წესით”*

*ციცერონი*

## წინათქმა

სამენარმეო საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირების დახვეწისა და უნიფიცირების საკითხი დღეს კიდევ უფრო აქტუალური და საინტერესოა. ბოლო წლებში საქართველოში კერძო-სამართლებრივ საკითხებს მიეძღვნა არა ერთი საკანონმდებლო ცვლილება. სამეცნიერო ნაშრომი, საერთაშორისო სიმპოზიუმი, პრაქტიკოს იურისტთა სამუშაო შეხვედრა და კონფერენცია. დაგროვდა პრაქტიკული გამოცდილება, რამაც, თავის მხრივ, კერძო სამართალი განვითარების ახალ ეტაპზე გაიყვანა.

წარმოდგენილ ნაშრომში ქართული და უცხოური იურიდიული ლიტერატურის, სამართლებრივი დოქტრინისა და არსებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე განხილულია სამენარმეო საქმიანობის სპეციფიკური შინაარსი, ეკონომიკისა და სამართლის მჭიდრო კავშირი. გაშუქებულია ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ასპექტები და პრობლემატური საკითხები.

ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებულმა ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის რეფორმებმა ხელი შეუწყო მენარმეობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფასა და სამენარმეო სფეროს გაჯანსაღებას. ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის რეფორმა, ენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის, ტრანსპორტის სექტორების რეფორმა, შრომის ბაზრის რეფორმა, ფინანსური სფეროს რეფორმა, რეფორმა გადახდისუუნარო სუბიექტთა მართვის სფეროში, ჯანდაცვის რეფორმა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოღება, მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საგადასახადო კოდექსში,

"მენარმეთა შესახებ" კანონში და ა.შ. ეს არის საქართველოში 2003 წლიდან დღემდე გატარებულ მნიშვნელოვან რეფორმათა არასრული სია.

ნარმოდგენილ ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს განსახილველ საკითხთა შედარებით სამართლებრივ ანალიზს. ნაშრომს დართული აქვს პრაქტიკული ამოცანები და ტესტები, რაც თეორიულ ნაწილთან ერთად, კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტთა ინტერესს და გააადვილებს მასალის აღქმას, შემეცნებას და შემდგომში მის პრაქტიკულ გამოყენებას.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი კოლეგებისა და მეგობრების მიმართ, წიგნზე მუშაობის დროს განეული თანადგომისა და საინტერესო რჩევებისათვის.

*The amount of property is not defined  
with the income scale but with the way of life.*

*Cicero*

## **Foreword**

The problems of refining and unifying legislative regulations concerning entrepreneurial relations and legal relationship connected with them have become of vital importance at present. During the last years a great number of legislative changes, PhD theses, scientific researches, various conferences, international symposia and practicing lawyers' workshops have been dedicated to private law issues.

Considerable amount of material and practical experience have been amassed which laid the new stage for elaborating new concepts of law. For the last few years the requirements of the society have alerted. This fact is permanently reflected in the legislation in force as well as in practice.

In the present work Georgian and foreign scientific literature on economic issues, the specific content of entrepreneurship and the close link between economics and law are discussed on the basis of practical experience. Some important aspects of entrepreneurial regulatory legislation and its problematic issues are highlighted.

The reforms carried out in the past few years have contributed to the advancement and refinement of legal regulation of entrepreneurship.

Here is the incomplete list of reforms implemented in Georgia since 2003:

- the reform of the licensing and authorization system;
- the reform in the sectors of power engineering, oil, gas and transport spheres;
- the reform of labor market;
- the financial sphere reform;
- the reform in the sphere of administration of insolvent entities;
- health care reform;
- the introduction of free industrial zones;
- vital changes in Georgian civil code, taxation code, the law on entrepreneurship, etc.

The work in question is mainly concerned with the comparative analysis of legal issues. The work is appended with practical tasks and tests which will further the students' interest and facilitate the uptake of the material given.

I would like to express my deep gratitude to my colleagues and friends for their support and assistance.

## სამეწარმეო სამართლის განვითარების ისტორია

"ზოგიერთი დაუნერვლი  
კანონი დანერვილ კანონზე  
ძლიერია".

სენეკა

სამეწარმეო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება შუა საუკუნეების ეპოქის ევროპაში იღებს სათავეს. ვაჭრობის განვითარებამ გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში სავაჭრო ურთიერთობათა მარეგულირებელ სპეციალურ სამართლებრივ ნორმათა შემუშავების აუცილებლობა განაპირობა. აღნიშნულ ნორმათა ერთობლიობას "სავაჭრო სამართალი" ეწოდა.

საქართველოს ისტორია ცხადყოფს, რომ IX-X საუკუნეებში ჩვენ ქვეყანაშიც გაჩნდა ვაჭართა ფენა. ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოში სავაჭრო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პირველი მცდელობა აღბუღას სამართალში განხორციელდა. აღნიშნული სამართლის წიგნის 96-ე მუხლის მიხედვით, ვაჭართა კატეგორია ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ვაჭრები, რომლებიც "პატრონთა კარგად და საპატიოდ ჰქვეს და საქმის მქმნელად". საპატიო ვაჭარი დიდი ვაჭარია, რომელიც ათაბაგის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებითაა აღჭურვილი და მისი პატივისცემით სარგებლობს. ასეთი ვაჭრის სისხლი 12000 თეთრით განისაზღვრება. მეორე კატეგორიის ვაჭრები დიდ ვაჭართა "ქვეშეთია", ისინი პატრონის სამსახურში არ იმყოფებიან, თუმცა "პატრონთა ნახვისა და ძღვენისა მიღებისა ღირსი" არიან. აღნიშნული კატეგორიის ვაჭრებს ათაბაგთან "საჩინო ხელი" არა აქვთ, მისი "საქმის მქმნელად" არ ითვლებიან; მათი უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მეორე კატეგორიის ვაჭართა სისხლი 6000 თეთრით განისაზღვრება.

წარმოდგენილი პერიოდის საქართველოში ვაჭრობა საპატიო, საჩინო სამსახურად ითვლებოდა. აღბუღას სამართალი იცავს ვაჭართა ინტერესებს, მფარველობს ალებ-მიცემობას (ყიდვა-გაყიდვას) და მკაცრად სჯის იმ ბოროტმოქმედს, რომელიც "ვაჭარსა, გზასა მავალსა ან მომავალსა, საქონლის ნდომისათვის" გაძარცვავს ან მოკლავს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს დაზარალებულისთვის სისხლი და მიყენებული ზიანი ორმაგად უნდა აენაზღაურებინა.

ვაჭართა სოციალური მდგომარეობა და სტატუსი განსაზღვრულია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნშიც. აღნიშნულის მე-100 მუხლის შესაბამისად, "კარგი დიდ-ვაჭარი" შეიძლება მოსამართლევ იყოს, რომელსაც "ბჭობა" ანუ მართლმსაჯულების განხორციელება აქვს მინდობილი. "კარგი დიდ-ვაჭარი დასვ ბჭედ, ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის". წარმოდგენილი ციტატა ნათლად ასახავს ვაჭართა საპატიო და პრივილეგირებულ უფლებას, რითაც ისინი XI საუკუნის საქართველოში სარგებლობდნენ.

ზოგადად, სავაჭრო სამართალი ფეოდალური სახელმწიფოს პირობებში წარმოიშვა, რასაც ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, საზოგადოების წოდებრივმა ხასიათმა, მეორე მხრივ, სავაჭრო საქმიანობის განვითარება-გართულებამ. სავაჭრო სამართლის ჩამოყალიბებისათვის ყველაზე კარგი პირობები შუასაუკუნეების იტალიაში შეიქმნა, რომელიც ხმელთაშუა საზღვაო ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა. სამოქალაქო სამართალთან ერთად, რაც ერთგვარად კლასიკური *jus civile*-ის მემკვიდრეა, ყალიბდება სავაჭრო სამართალი. აღნიშნული იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ განვითარების მოცემულ ეტაპზე სამოქალაქო სამართალი ვერ აკმაყოფილებდა მუდმივად პროგრესირებადი სავაჭრო საქმიანობის მოთხოვნებს. ზედმეტი ფორმალიზმისა და კონსერვატიზმის გამო, იგი ვერ ასახავდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მუდმივად მზარდ მოთხოვნებს. ასე ყალიბდებოდა "სავაჭრო ბრუნვის სამართალი", რომელიც თავიდან მხოლოდ ვაჭართა ფენაზე ვრცელდებოდა და ასეც ეწოდებოდა - ვაჭართა სამართალი (*jus mercaturae*).

ცალკეულ ქალაქებში, ჯერ იტალიაში, შემდეგ კი ჩრდილოეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ვხვდებით სავაჭრო ჩვეულებათა და სავაჭრო საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა ჩანერის მცდელობას. ამ პერიოდისათვის ვაჭართა ჩვეულებები გამოიყენებოდა არა მხოლოდ ამ წოდების მქონე პირთა ურთიერთობებში, არამედ ვრცელდებოდა სხვა პირებზეც, რომლებიც მართალია არ იყვნენ ვაჭრები, მაგრამ ეწეოდნენ სავაჭრო ხასიათის საქმიანობას ანუ "ვაჭართა სამართალი" ეტაპობრივად ტრანსფორმირდა "სავაჭრო სამართალში".

საინტერესოა ლუდვიგ XIV დროინდელი საფრანგეთის მაგალითი, სადაც ფინანსთა მინისტრმა კოლბერმა მთელ სამეფოში სამოქმედოდ შემოიღო ორდონანსები ვაჭრობისა (1673 წ.) და ზღვაოსნობის შესახებ (1681 წ.). ამ ფაქტმა ხელი შეუწყო საფრანგეთის ტერიტორიაზე სავაჭრო ოპერაციათა სამართლებრივი რეგულირების უნიფიცირებას. სწორედ ეს ორდონანსები დაედო საფუძვლად საფრანგეთის 1807 წლის სავაჭრო კოდექსს.

მაშ ასე, სავაჭრო სამართლის პირველი სრულყოფილი კოდიფიკაცია განხორციელდა საფრანგეთში 1807 წელს, იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის უშუალო მონაწილეობით, მას მოჰყვა ესპანეთის (1829 წ.), პორტუგალიის (1833 წ.) და გერმანიის (1897 წ.) სავაჭრო კოდექსები, რამაც განაპირობა სამეწარმეო ურთიერთობათა პარტიკულარიზმისაგან გათავისუფლება და მისი მოწესრიგება საზოგადოების ახალ მოთხოვნათა შესაბამისად.

1968 წელს აშშ-ში სამოქმედოდ შემოიღეს ერთიანი სავაჭრო კოდექსი (Union Commercial Code). მის შემუშავებას 25 წელი დასჭირდა, ხოლო ამერიკის მთელ ტერიტორიაზე ამოქმედებას კიდევ 20 წელი.

საერთო სამართლის ქვეყნების კოდიფიკაციები მნიშვნელოვნად განსხვავდება რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნების კოდიფიკაციებისაგან. პირველი მიმართულია კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში უკვე არსებული მასალის კონსოლიდაციისა და გაერთიანებისაკენ და არა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების რეფორმისაკენ. ამასთან, ახასიათებს ერთგვარი "ღია" ხასიათი; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არა აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისი რეგლამენტაციის სისრულის პრეტენზია და მოსამართლეთა მიერ მათი დებულებების თავისუფალ ინტერპრეტაციას უშვებს.

განსხვავებულად ვითარდებოდა სავაჭრო სამართალი ინგლისში. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სავაჭრო ურთიერთობები პრეცედენტულმა სამართალმა შთანთქა. თავისი ისტორიული განვითარების გზაზე ინგლისმა რომის სამართლის ზეგავლენა განიცადა, XVII ს-ში კი სავაჭრო სამართლის საერთო სამოქალაქო სამართალში ინტეგრაციის პროცესი დაიწყო, რომელიც XVIII ს-ში დასრულდა.

ინგლისელი იურისტებისათვის დამახასიათებელია აზროვნების პრეიუდიციული სტილი, პრეცედენტთა სისტემატიზაციისაკენ მისწრაფება. ისინი მიჩვეულნი არიან ცხოვრებისეული პრობლემების დეტალურ გაშუქებას და საკუთარი დასკვნების არგუმენტირებას უფრო კონკრეტულ და ისტორიულ ფაქტებზე, ვიდრე აბსტრაქტულ ცნებებზე დაყრდნობით<sup>1</sup>.

<sup>1</sup> კ. ცვაიგერი, 3 კოტცი. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I. 2000. გვ. 200.

ინგლისის სავაჭრო სამართალმა გაამდიდრა პრეცედენტული სამართალი. სწორედ მან დაუდო დასაბამი "თამასუქისა" და "ჩეკის" რეგულირებას, ასევე ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტების დამკვიდრებას, როგორიცაა წარმომადგენლობა (agansse), დაზღვევა (insurance), ამხანაგობა (friendship) და ა.შ.

რუსეთში სამეწარმეო სამართალი ტრადიციულად ევროპული სამართლის ქრილში ვითარდებოდა. მისთვის ამ დროისათვის დამახასიათებელია იგივე ტენდენციები, რაც რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში გამოვლინდა. რევოლუციამდელ რუსეთში იღებდნენ სავაჭრო ხასიათის კანონებს, იქმნებოდა ე.წ. სავაჭრო სასამართლოები, ვითარდებოდა სავაჭრო სამართლის თეორია. 1884 წ. საიმპერიო ბრძანებით, რუსეთის ყველა უნივერსიტეტში გაიხსნა "სავაჭრო სამართლის" კათედრები.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სახალხო მეურნეობის რეგულირება მნიშვნელოვნად შეიცვალა. "სამხედრო კომუნისმის" პერიოდში აიკრძალა სამეწარმეო საქმიანობა. XX საუკუნის 20-იან წლებში იგი ნაწილობრივ დაუშვეს, რაც აისახა 1922 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსში, თუმცა მოგვიანებით კერძო სექტორმა ფაქტობრივად ლიკვიდაცია განიცადა და განვითარება იწყო გეგმურმა ეკონომიკურმა სისტემამ.

აღნიშნული პერიოდის რუსი იურისტები აქტიურად იკვლევდნენ თანამედროვე ეპოქის მეურნეობის ორგანიზაციულ ფორმებს, კერძოდ, სააქციო საზოგადოებებს, კოოპერატივებს და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ "ნეპის" შემდგომ პერიოდში უკვე არსებობდა საბაზრო ეკონომიკის ზოგიერთი ნიშანი.

XX საუკუნის რუსეთში ერთმანეთს ენაცვლებოდა ოთხ სხვადასხვა კონცეფციაზე დამყარებული იურიდიული სკოლა, რომლებიც მეცნიერულად იკვლევდნენ სამეწარმეო სამართლის რეგულირების საგანსა და მოქმედების სფეროს. პირველი სკოლის კონცეფცია, რომელმაც "ორსექტორიანი თეორიის" სახელწოდება მიიღო, განავითარა პროფესორმა სტუჩკომ გასული საუკუნის 20-იან წლებში. იგი ეფუძნებოდა ეკონომიკაში ორი სექტორის არსებობას: კერძოს და სოციალისტურს. კერძო სექტორი უნდა მონესრიგებულყო სამოქალაქო სამართლის ნორმებით, სოციალისტური კი – სამეურნეო სამართლის ნორმებით.

მეორე სკოლის კონცეფცია შემუშავდა გასული საუკუნის 30-იან წლებში პროფესორების - პაშუკანისა და გინცბურგის მიერ და "ერთიანი სამეურნეო სამართლის სკოლის" სახელწოდება მიიღო. ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ეკონომიკური ხასიათის ნებისმიერი ურთიერთობა, განურჩევლად სუბიექტური შემადგენლობისა, უნდა მოწესრიგებულიყო სამეურნეო სამართლებრივი ნორმებით.

მესამე სკოლის კონცეფცია შემუშავდა მეცნიერების - ლაპტევისა და მამუტოვის მიერ, გასული საუკუნის 50-იან წლებში. ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ სამეურნეო სამართლის რეგულირების სფეროში შედიოდა როგორც უშუალოდ სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ურთიერთობები, ისე სახელმწიფოს მიერ რეგულირების პროცესში წარმოქმნილი ურთიერთობები.

დაბოლოს, პროფესორ მარტემიანოვის სკოლა ჩაისახა XX საუკუნის 80-იან წლებში და თავისი პრინციპით თანამედროვე რუსული სამეურნეო სამართლის საფუძველს წარმოადგენს.

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში გარდაქმნის პროცესის დაწყებასთან ერთად აშკარად იკვეთება კერძო ინიციატივის გაძლიერებისა და გაფართოების ტენდენცია. ოფიციალური ხელისუფლება ამის უპირველეს გამოხატულებად ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა და კოოპერაციის განვითარებას მიიჩნევს. ამ პერიოდის საბჭოთა სინამდვილისათვის უცხოა ისეთი წმინდა კაპიტალური საწარმოები, როგორიცაა "სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება"<sup>1</sup> (1986 წ. 19 ნოემბრის სსრკ კანონი "ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ", 1988 წ. 26 მაისის სსრკ კანონი "კოოპერაციის შესახებ").

გასული საუკუნის 90-იანი წლების მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა, ამასთან პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა კერძო სამართლის ინსტიტუტების წარმოქმნა და განვითარება განაპირობა. ჩვენ პრაქტიკაში დაინერგა მეწარმეობის განმახორციელებელი სამართლებრივ ფორმათა ისეთი სისტემა, რომელიც აპრობირებულია განვითარ-

<sup>1</sup> ლ. ჭანტურია. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. ს. ჯორბენაძე. "საიუბილეო კრებული". 1996. გვ. 23.

რებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. აღნიშნულის საფუძველი არის ის ნორმატიული მასალა, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ესენია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კანონი "მენარმეთა შესახებ", ასევე სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც პირდაპირ მოქმედებენ ქვეყანაში ბიზნესგარემოს შექმნაზე.

კერძო სამართლის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი მენარმე სუბიექტთა სამართლებრივი ფორმების საკანონმდებლო რეგულირებამ შეასრულა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. ამ პერიოდში კონტინენტური ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა და ნორმატიულად განმტკიცდა მენარმე სუბიექტთა ახალი სამართლებრივი ფორმები: სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ა.შ.

აღსანიშნავია ქართველ სამართალშემოქმედთა მიერ სამენარმეო საქმიანობის რეგულირების პირველი მცდელობა. 1991 წელს სამოქმედოდ შემოვიდა საქართველოს კანონი "სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ", რომელსაც მართალია უამრავი ხარვეზი ჰქონდა, მაგრამ იყო პირველი ნორმატიული აქტი, რომელმაც ერთიან სისტემაში მოაქცია სამენარმეო საქმიანობაში ჩაბმული ყველა სამართლებრივი ფორმა, შეუქმნა ზოგადი ნაწილი, რომელიც ფაქტობრივად საერთოა ყველა სამენარმეო სუბიექტისათვის.<sup>1</sup>

მოგვიანებით, 1994 წ. საქართველოში ამოქმედდა შედარებით სრულყოფილი კანონი "მენარმეთა შესახებ", რომელმაც საქართველოს მენარმეობის განვითარებაში მეტ-ნაკლებად მტკიცე საკანონმდებლო ბაზა შექმნა.

---

<sup>1</sup> ლ. ჭანტურია. კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. ს. ჯორბენაძე. საიუბილეო კრებული. 1996. გვ. 36.

წლების განმავლობაში კონტინენტური ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (იტალია, გერმანია, საფრანგეთი) ერთდროულად მოქმედებდა სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსები. ასეთ მდგომარეობას სამართლებრივი დუალიზმი ეწოდება. მისი გენეზისი კონტინენტურ-სამართლებრივ სისტემაში შუა საუკუნეებს ეკუთვნის. აღნიშნული ინგლისურ-ამერიკულ სამართალში არ წარმოადგენდა პრობლემას, რადგან, საერთო სამართლის განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით, იგი არ იცნობს დარგობრივ დაყოფას. სამართლებრივ დუალიზმში იგულისხმება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების დუბლირებული რეგულირება სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების მეშვეობით. ამგვარი დაყოფა თავიდანვე მოკლებული იყო პრაქტიკულ მნიშვნელობას, თუმცა აღნიშნულის საფუძველზე დამკვიდრდა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მიუღებელი კონცეფცია კანონთა იერარქიის შესახებ, რომლის თანახმად კანონთა სისტემაში კოდექსს უპირატესობა ენიჭებოდა სხვა კანონებთან შედარებით.

საგულისხმოა, რომ დუალიზმის პრობლემა იმდენად სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების ერთდროულად არსებობაში კი არაა (აღნიშნული თეორიულად შესაძლებელია სამართლის მონისტური სისტემის ფარგლებში, ეს ნათლად ჩანს ჰოლანდიის 1838 წლის კოდექსების მაგალითზეც), რამდენადაც ერთგვაროვანი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ურთიერთქვემდებარეობასა და სხვადასხვა სისტემის მიკუთვნებაში.

ევროპული სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის დუალიზმში ტრადიციულად სამოქალაქო სამართლიდან იმ ნორმათა განკერძოება იგულისხმება, რომლებიც სამენარმეო საქმიანობას არეგულირებს, რაც თავისთავად მონიშნავს ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, დუალიზმის ფენომენი გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე სამოქალაქო და სავაჭრო

კოდექსების შეთანხმების საკითხი. თეორიულად ორივე კოდექსის არსებობა სამართლის მონისტური სისტემის შემთხვევაშიც შეიძლება. ჰოლანდიის 1838 წლის სავაჭრო კოდექსის პირველი მუხლის მიხედვით, ნებისმიერი სახის სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგებისათვის გამოიყენება სამოქალაქო კოდექსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვა რამ პირდაპირაა გათვალისწინებული სავაჭრო კოდექსის ნორმებით.

სამართლის ისტორია ცხადყოფს, რომ დუალიზმი პირველი ევროპული კოდიფიკაციების შექმნამდეც არსებობდა.

დუალიზმის ფენომენის კვლევისას გასათვალისწინებელია სხვა მომენტიც. სავაჭრო სამართალი კერძო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობებს არეგულირებს, რაც მისი მონაწილეების თანასწორობის პრინციპს ეფუძნება. სავაჭრო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები კლასიკურ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტებს შეესაბამება, მაგალითად, სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობა, გარიგებები, წარმომადგენლობა, ვალდებულებათა უზრუნველყოფა, ცალკეული ხელშეკრულებები და სხვა.

კერძო სამართლის თითქმის ყველა მკვლევარი დუალიზმის წარმომქმნელ ორ ძირითად მიზეზს ადგენს. ესენია: ფეოდალური საზოგადოების წოდებრივი კარჩაკეტილობა და ვაჭართა ფენის პროფესიული საქმიანობის სპეციფიკა.<sup>1</sup> გარდა აღნიშნულისა, არსებობდა სხვა თანამდევი გარემოებებიც, რაც სავაჭრო სამართლის განკერძოებაზე ახდენდა ზეგავლენას, მაგალითად, სასყიდლიანი სესხის გაცემაზე საკანონმდებლო აკრძალვა, რის გამოც საბანკო საქმიანობის განხორციელება შეეძლოთ მხოლოდ ებრაელებსა და ლომბარდების მფლობელებს.<sup>2</sup>

საზოგადოებაში წოდებრივი ზღვარი ეტაპობრივად წაიშალა და სავაჭრო სამართალი გასცდა ვინრო ჩარჩოებს. სავაჭრო სამართლით შემუშავებული მრავალი ნორმა თუ პრინციპი სამოქალაქო სამართალმაც შეითვისა, რამაც ამ უკანასკნელის განვითარება და გამდიდრება განაპირობა. სამოქალაქო სამართალი უფრო ადეკვატურად რეაგირებდა კომერციული ბრუნვის მოთხოვნებზე. სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის მრავალ ნორმათა შერწყმამ ფაქტობრივად ზოგიერთი ევროპული სახელ-

<sup>1</sup> იხ. Гражданское и торговое право капиталистических государств. Изд. 3-е. М. 1933. с. 17-18.

<sup>2</sup> Jean-Pierr Le Call. Op. cit. p. 4

მნიფოს მიერ კერძო-სამართლებრივი დუალიზმის უარყოფა გამოიწვია. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთი პირველნი ნიდერლანდები და იტალია იყვნენ, რომლებიც ისტორიულად დუალიზმის სამშობლოდაა ცნობილი. იმ ქვეყნებში კი, სადაც დუალიზმი ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, მას ფარდობითი ხასიათი აქვს. სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის ნორმები "ყრუ კედლით" აღარ არის გამიჯნული, მათ შორის დღემდე არსებული ზღვარი პირობითი და ელასტიკურია.

საქართველომ სამართლებრივი რეფორმების პროცესში სამართლიანად თქვა უარი ე.წ. სამართლებრივ დუალიზმზე, თუმცა იყო მცდელობა დაესაბუთებინათ სავაჭრო კოდექსის მიღების აუცილებლობა.

საქართველოში გასული საუკუნის მიწურულს კანონმემოქმედთათვის სამენარმეო (და არა მხოლოდ სამენარმეო) სამართალთან მიმართებაში ფაქტობრივად თავისუფალი მოედანი მომზადდა. მაქსიმალურად იქნა გამოყენებული განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების საკანონმდებლო თუ პრაქტიკული გამოცდილება. გასათვალისწინებელია, რომ უცხოეთის განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში კი საბაზრო ეკონომიკის უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესი, მიუხედავად ეფექტური ნაბიჯებისა, ჯერ არ დასრულებულა. ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებათა უმრავლესობა ქართულ სინამდვილეს ასახავს, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას ესადაგება. განსაკუთრებით ეს ეხება ბიზნესის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემის მაქსიმალური და გონივრული ლიბერალიზაცია, რაც სერიოზულ ბიძგს მისცემს ბიზნესის განვითარებას, ბაზარზე რეალურად კონკურენტუნარიანი სუბიექტების გაჩენას და საზოგადოების მოთხოვნებისა და საბაზრო ურთიერთობათა დაბალანსებას.

## სამენარმეო სამართლის ცნება. რეგულირების საგანი

სამენარმეო სამართალი, თავისი შინაარსით, სამენარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის სამართლებრივ მოწესრიგებასთან ერთად ურთიერთობათა გაცილებით ფართო სპექტრს მოიცავს.

მენარმეობა – არის რაციონალიზაციისა და რესურსების მომგებიანად დაბანდების ახალი სფეროების ძიება, წარმოებაში ახალი კომბინაციების განხორციელება, ახალ ბაზარზე დამკვიდრება, ახალი პროდუქციების შექმნა. გარდა ამისა, მენარმეობა ეკონომიკური ხასიათის აქტივობაა, რაც ეფუძნება დამოუკიდებელ ინიციატივას, პასუხისმგებლობასა და ინოვაციურ სამენარმეო იდეას.

თავის მხრივ, ეკონომიკური საქმიანობა მატერიალური სიმდიდრის კვლავწარმოების პროცესია, რომელიც მოიცავს წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საგრძნობლად იზრდება გაცვლის სტადიის როლი. გაცვლის დანიშნულებაა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის არსებული კავშირების გააქტიურება.

ეკონომიკური საქმიანობის მიზანია – საზოგადოების მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ფართო გაგებით, იგი უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ ეფექტურობას, ეკონომიკური განვითარების დონის ზრდას, ეკონომიკურ თავისუფლებასა და მატერიალურ უზრუნველყოფას.

თანამედროვე გაგებით ეკონომიკური საქმიანობა:

- გამომდინარეობს საქონლის წარმოებიდან, ეკონომიკის საბაზრო ორგანიზებიდან;
- დაკავშირებულია მატერიალური სიკეთის კვლავწარმოების პროცესთან ანუ ატარებს სასაქონლო ხასიათს;

- ხორციელდება პროდუქციის (საქონლის) შექმნით (წარმოებით), სამუშაოს შესრულებით, მატერიალური ხასიათის მომსახურების განწევით, მათი განაწილებით ან მათი გამოყენებით (გაცვლით, მოხმარებით).

სამეწარმეო საქმიანობა ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი სახეა, რომლის მიზანია მოგების მიღება, თუმცა სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი უამრავი სუბიექტი იქმნება და ფუნქციონირებს არა მოგების მიღების, არამედ სოციალური ამოცანების გადაწყვეტის ან ქველმოქმედების მიზნით.

მეწარმეობა მეურნეობის ისეთი სისტემაა, სადაც მთავარი სუბიექტია საწარმო/მეწარმე, როგორც მამოძრავებელი ძალა. იგი რაციონალურად აერთიანებს მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, ორგანიზებას უწევს კვლავწარმოების პროცესს და მართავს მას სამეწარმეო რისკის, ეკონომიკური პასუხისმგებლობისა და საბოლოო შედეგის – მოგების მიღების საფუძველზე.

ახალი შესაძლებლობების მუდმივი ძიება, დასმული ამოცანების გადასაწყვეტად სხვადასხვა რესურსისა და წყაროების მოზიდვისა და გამოყენების ცოდნა – თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ობიექტური ტენდენციაა.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 1.1 მუხლის თანახმად, "სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად". განმარტებიდან გამომდინარე, განვიხილოთ სამეწარმეო საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები:

**მართლზომიერება** – იგულისხმება, რომ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლის მოქმედ ნორმებს, ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და საჯარო წესრიგს.

**სამეწარმეო საქმიანობა** უნდა ატარებდეს არაერთჯერად ხასიათს, ე.ი. უნდა ხორციელდებოდეს სისტემატურად და პროფესიულად. მრავალჯერადობას განსაზღვრავს არა მხოლოდ მოქმე-

დებათა რაოდენობა, არამედ მათ განმახორციელებელთა უმთავრესი მიზანი - ამ მოქმედებათა შედეგად მიიღოს მოგება.

სამენარმეო საქმიანობას ახასიათებს **ორგანიზებულობა**, რაც ნიშნავს, რომ მენარმე უნდა "მოერგოს" "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სამართლებრივ ფორმას, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი მართვის ორგანოები და, რაც მთავარია, რეგისტრირებული იყოს შესაბამის რეესტრში.

მენარმე სუბიექტთა რეგისტრაცია ერთ-ერთი აუცილებელი საკანონმდებლო მოთხოვნაა. რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს და მას სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფის ფუნქცია აკისრია. მენარმე სუბიექტი, როგორც ასეთი, მხოლოდ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მომენტიდან მოქმედებს. ეს ნიშანი ხაზს უსვამს სამენარმეო საქმიანობის რეგულარულ და პროფესიულ ხასიათს ანუ სამენარმეო საქმიანობას არ ეკუთვნის პირის მიერ ეპიზოდურად შესრულებული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, თუ იგი არ არის რეგისტრირებული, როგორც სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი.

**დამოუკიდებლობა** (რაც, თავის მხრივ, ინიციატივასაც მოიცავს) არის პირის უფლება, შეასრულოს იურიდიული მნიშვნელობის აქტიური მოქმედება, რომელიც დაფუძნებულია საკუთარ ნებაზე. მენარმე სუბიექტს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი სახის საქმიანობა, რაც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. სამენარმეო საქმიანობა, როგორც დამოუკიდებელი საქმიანობა, სხვა არაფერია თუ არა მართლზომიერი, მენარმეთა ნებაზე დამოკიდებული მოქმედებათა ერთობლიობა. იგი ყოველთვის მიმართულია განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების მიღწევისაკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამენარმეო საქმიანობის დამოუკიდებლობაში იგულისხმება მხოლოდ სამართლებრივი დამოუკიდებლობა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოიცავს ქონებრივ დამოუკიდებლობას, რაც განცალკევებულ ქონებასა და ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას ნიშნავს. დამოუკიდებლობა ასევე გულისხმობს სუბიექტის დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას მისი საქმიანობის შედეგებზე. მენარმის საქმიანობა მიმართულია იმ სიკეთის მიღებისა და გამოყენებისაკენ, რომელიც საზოგადოებრივ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ზოგჯერ შედეგის მიღწევა

შეუძლებელი ხდება, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მენარმის კომერციულ რისკს ან ქონებრივ პასუხისმგებლობას, რაც საწარმოს დამოუკიდებლობის ლოგიკური გაგრძელებაა.

სამენარმეო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პასუხისმგებლობა სამენარმეო საქმიანობის შედეგებზე და პასუხისმგებლობა ნაკისრ ვალდებულებებზე.

პირველი ცხადყოფს მენარმის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებას მისი საქმიანობის არარენტაბელობის შედეგად. სამენარმეო ვალდებულებათა დარღვევით წარმოქმნილი პასუხისმგებლობა კი ქონებრივ პასუხისმგებლობად იწოდება. ეს უკანასკნელი სამოქალაქო კანონმდებლობით განისაზღვრება, თუმცა სამოქალაქო პასუხისმგებლობა ზოგჯერ განსხვავდება სამენარმეო პასუხისმგებლობისგან. სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთ პირობად წარმოდგენილია ბრალის არსებობა. სწორედ ამაზე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი – ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. სამენარმეო პასუხისმგებლობა კი, რიგ შემთხვევაში, შეიძლება დადგეს ბრალის მიუხედავად. სამენარმეო სამართალი იცნობს როგორც ინდივიდუალურ, ისე სოლიდარულ და სუბსიდიურ პასუხისმგებლობას.

სამენარმეო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია მოგების მიღების მიზანი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მენარმეობის მიზანი არის არა იმდენად საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალური წარმოება, რამდენადაც ამ საქმიანობით მოგების მიღება. მენარმისათვის მნიშვნელოვანია არა მისი საქმიანობის სფერო, არამედ შედეგი – სისტემატური მოგების მიღება. ათწლეულების მანძილზე საბჭოთა კანონმდებლობაში ვალდებულებათა აუცილებელი შესრულების პრინციპი მოქმედებდა, ვალდებულების რეალური შესრულების შეცვლა ფულადი ანაზღაურებით არც კრედიტორთა სურვილისამებრ, არც მხარეთა შეთანხმებითა და არც საერთო წესის მიხედვით დაიშვებოდა.<sup>1</sup> ეს განისაზღვრებოდა სოციალისტური გეგმური ხასიათითა და

<sup>1</sup> R. Kandelhard. Realeffullung oder Schadensersatz: ein internationaler Konsens?. ს. ჯორბენაძე. საიუბილეო კრებული. 1996. გვ. 75-103.

მიმართულებით – მუდმივად დაეგროვებინა საზოგადოების მატერიალური ფასეულობანი. ამ უკანასკნელის მიზანია ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო მეტად დაკმაყოფილება.<sup>1</sup>

საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა პირადი ინტერესი. ყოველი ეკონომიკური ერთეული ცდილობს აკეთოს ის, რაც მისთვისაა ხელსაყრელი. მენარმეები მიზნად ისახავენ საწარმოთა მოგების მაქსიმიზაციას. პირადი ინტერესის მოტივი ეკონომიკის ფუნქციონირებას მიმართულებას აძლევს და მის მონესრიგებას უზრუნველყოფს.<sup>2</sup>

მენარმე მუდმივად ცდილობს მისი საწარმოს მოგების პოტენციალის რეალიზებასა და ზრდას. მოგების მიღება მენარმის ერთადერთი მიზანი არ არის. მისი ძირითადი საქმიანობაა ამა თუ იმ გეოგრაფიული საზღვრების მქონე ბაზარზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. შეიძლება ითქვას, რომ სამენარმეო საქმიანობის წარმატება იგივეა, რაც ბაზარზე კონკურენციაში წარმატება. როგორც მოთხოვნათა გარეშე არ არსებობს წარმოება, ისე მოთხოვნათა დაკმაყოფილების გარეშე არ არსებობს მოგება.

"ხელშეკრულება უნდა შესრულდეს" ("Pasta sunt servanda") - ეს არის ვალდებულებითი სამართლის კარდინალური პრინციპი. ერთიანი აზრი არსებობს მხოლოდ იმის შესახებ, სავალდებულოა თუ არა ხელშეკრულების შესრულება. ასევე არსებობს განსხვავებული მოდელები – როგორ უნდა ვენდოთ ხელშეკრულების პარტნიორის მოცემულ სიტყვას. თუ, ერთი მხრივ, პირველ ადგილზე დგას კრედიტორის უფლება – მოითხოვოს რეალური შესრულება, მეორე მხრივ, ეს არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საშუალება.

კონტინენტური ევროპის სამოქალაქო სამართალი ინგლისურ – ამერიკული Common Law-საგან განსხვავებით მიიჩნევს, რომ კრედიტორს მოვალის მიერ ანაზღაურების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავისუფალი არჩევანი აქვს ზიანის ანაზღაურებასა და რეალურ შესრულებას შორის.

<sup>1</sup> Попандопуло В.Ф. Понятие коммерческого законодательства Ж. Правоведение. 1993. №1. ст. 16.

<sup>2</sup> კემპბელი რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიქსი ტ. I. თბ., 2001. გვ. 172.

მოქმედი კანონმდებლობით, ლეგალიზებულია სამენარმეო საქმიანობის სულ სხვა მიზანი – საზოგადოებრივ მოთხოვნათა დაკმაყოფილება და მის საფუძველზე მოგების მიღება. ასეთ საქმიანობაში თითოეული გარიგება მხოლოდ ერთ-ერთი მარცვალა იმ მთლიანი გეგმისა, რომელსაც ადგენს მენარმე საბოლოო შედეგის – მოგების მისაღებად. ამ შემთხვევაში ვალდებულებათა რეალური შესრულების პრინციპი დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია და შენარჩუნებულია იმდენად, რამდენადაც იგი შესაბამება მენარმის ზემოხსენებულ მთავარ მიზანს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში განხორციელებული მართლზომიერი არაერთჯერადი და დამოუკიდებელი საქმიანობა, მიმართული მოგების მიღებისაკენ, არის სამენარმეო საქმიანობა.

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 1.3 მუხლის მიხედვით, “სამენარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით, თუ მოხდება მათი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაცია. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არანეკრი ხუთი პირი მაინც”.

სამენარმეო საქმიანობის ერთიანი ცნების ფარგლებში, სამართლებრივ დოქტრინაზე დაყრდნობით, შეიძლება გამოიყოს სამენარმეო-სამართლებრივ ურთიერთობათა სამი სახე:

- ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება უშუალოდ სამენარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში;

- ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება სამენარმეო საქმიანობის რეგულირების პროცესში;

- შიგა კორპორაციული ურთიერთობები.

სამენარმეო საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებში იგულისხმება ე.წ. ჰორიზონტალური ურთიერთობები, რაც მიუთითებს სამენარმეო საქმიანობის მონაწილეთა ავტონომიურობასა და მის კერძო-სამართლებრივ ხასიათზე.

სამენარმეო საქმიანობის რეგულირების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობა არის ურთიერთობა საწარმოსა და სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს შორის. პირობითად მათ შეიძლება ვერტიკალური ურთიერთობები ვუნოდოთ; მაგ., ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა, მენარმეთა საქმიანობაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის განხორციელება, სხვადასხვა ხასიათის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების დანესება. ზოგიერთ ავტორთა აზრით (ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, ფ. რიტინერი, უ. ფარუა, რ. დავიდი, ი. დოინიკოვი, ვ. ლაპტევი, ბ. პუგინსკი), სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებაში ერთგვარად ინტეგრირებულია კერძო და საჯარო-სამართლებრივი ელემენტები.

მესამე ტიპის ურთიერთობანი ყალიბდება საწარმოს ფარგლებში მისივე ქვედანაყოფებს შორის ან მთლიანად საწარმოსა და ქვედანაყოფს შორის. ამ შემთხვევაში იგულისხმება დამოუკიდებელი ქვედანაყოფები (ფილიალი, წარმომადგენლობა).

შიგა კორპორაციული ურთიერთობები რეგულირდება კანონით, საწარმოს წესდებით, პარტნიორთა შორის დადებული ხელშეკრულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა სახის ლოკალური აქტებით.


სამენარმეო სამართლის ნორმები ადგენს სუბიექტთა მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ზოგად წესებს. ეს ნორმები, ჩვეულებრივ, მოცემულია კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში და ერთად სამენარმეო კანონმდებლობას ქმნის.

საინტერესოა პრაქტიკაში აპრობირებული ცნებების - სამოქალაქო და სამეურნეო ბრუნვების გამიჯვნის საკითხი. ეკონომიკური თვალსაზრისით, სამენარმეო სამართლის სფერო წარმოებით (კვლავწარმოებით) ურთიერთობებს უკავშირდება, ამასთან, ყველა ეს ურთიერთობა მხოლოდ სამენარმეო სამართლის ნორმებით არ

რეგულირდება. აღსანიშნავია, რომ წარმოების პროდუქტის საზოგადოების მიერ მოხმარების სამართლებრივი რეგულირება სამოქალაქო სამართლის ჩარჩოებში ჯდება. რეალურ ცხოვრებაში საზოგადოების ინტერესთა დაკმაყოფილების მოწესრიგება მოხმარების სფეროში იმიჯნება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) უშულო წარმოების პროცესისაგან, რაც ფაქტობრივად დამოუკიდებელი სფეროა. თავისთავად, საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესი შინაარსობრივად განსხვავებულია და რეგულირების სპეციფიკურობით ხასიათდება. ამ თვალსაზრისით, სამეურნეო ბრუნვა – წარმოების, განაწილებისა და გაცვლის სფეროში განხორციელებულ საქმიანობათა ერთობლიობაა და მენარმეთა ურთიერთობის დამოუკიდებელ არეალს ქმნის. სამოქალაქო ბრუნვა კი ინდივიდთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის გამიზნულ გარიგებათა ერთობლიობის სახით წარმოდგება. ამ შემთხვევაში ფაქტობრივი ურთიერთობა ყალიბდება არა მხოლოდ მენარმეებს შორის, არამედ სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიულ პირებსა და ფიზიკურ პირებს (არამენარმე) შორის ან მხოლოდ ფიზიკურ პირებს შორის და ა.შ.

სამენარმეო სამართალი სამართლის ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს სამენარმეო ურთიერთობებს, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა, მათ შორის, არასამენარმეო ურთიერთობებს, ასევე სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების პროცესში წარმოემნილ ურთიერთობებს.

მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამენარმეო სამართალს აქვს საკუთარი რეგულირების საგანი და მთლიანობაში იგი უშუალოდ საზოგადოების აქტუალურ და სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან საკითხებს უკავშირდება.



## სამენარმეო სამართლის მეთოდები და პრინციპები

"ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად წესების წინაარსი, არამედ ის, თუ როგორ ასრულებენ ამ წესებს მოთამაშენი".

შოლდერი

სამენარმეო სამართლის შინაარსის დადგენისათვის მნიშვნელოვანია მისი რეგულირების მეთოდის დახასიათება, რადგან რეგულირების საგნის განსაზღვრა შესაბამის მეთოდს მოითხოვს. რეგულირების მეთოდში იგულისხმება სამართალურთიერთობის სუბიექტთა სამართლებრივი ურთიერთზემოქმედების საშუალებები. სამართლის თითოეულ დარგს აქვს სამართლებრივი რეგულირების საკუთარი მეთოდი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის თავისებურებებით განისაზღვრება და შემდეგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება:

- სამართალურთიერთობის მონაწილეთა მდგომარეობა;
- სამართალურთიერთობის შინაარსის თავისებურებები;
- იურიდიული ფაქტების შედგენილობის თავისებურებები;
- პასუხისმგებლობის სპეციფიკა.

სამენარმეო-სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებისას გამოიყენება როგორც დისპოზიციური, ისე იმპერატიული მეთოდები. ეს ერთდროულად პორიზონტალური და ვერტიკალური ურთიერთობების არსებობამ განაპირობა.

სამენარმეო სამართლის მნიშვნელოვანი მეთოდია საკითხთა ავტონომიური გადაწყვეტის ანუ შეთანხმების მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას სუბიექტი უფლებამოსილია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ესა თუ ის საკითხი/პრობლემა.

იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება მეორე მხარესთან შეთანხმებით მიიღება, ავტონომიური გადაწყვეტის მეთოდი გა-

მოდის, როგორც შეთანხმების მეთოდი (მაგ., ხელშეკრულების დადების დროს).

სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფოსმიერი რეგულირებისას გამოიყენება აუცილებელი მონესრიგების მეთოდი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღნიშნული მეთოდი შედარებით იშვიათად გამოიყენება, თუმცა მისი მნიშვნელობის სრულად იგნორირება დაუშვებელია.

მენარმეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხი გლობალური პრობლემაა. ჩამოყალიბდა განსხვავებული შეხედულებები, ეკონომიკისა და მენარმეობის რეგულირების როლის შეფასების ურთიერთსაპირისპირო კრიტერიუმები. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, იგი XXI საუკუნის დასაწყისში ისევ საზოგადოების ყურადღების, მეცნიერებასა და პრაქტიკაში კი მწვავე კამათის საგანია. კამათი გრძელდება არა იმის შესახებ, აუცილებელია თუ არა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ზოგადად, არამედ მის მასშტაბებზე, ფორმებზე, მეთოდებსა და ეფექტიანობაზე.

ეკონომიკისა და მენარმეობის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის შესახებ მსჯელობა ჯერ კიდევ კლასიკური ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბების პერიოდიდან დაიწყო. მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის ადამ სმიტის (1776 წ.) აზრით, "საბაზრო ძალების თავისუფალი თამაში" ქმნის ჰარმონიულ წყობას, საზოგადოებამ მხოლოდ უნდა შექმნას სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც დაიცავს ადამიანის კერძო საკუთრებას, შექმნას შესაბამისი სახელმწიფოებრივი გარემო ადამიანთა ეგოისტური მიზნების მისაღწევად. ყველა დანარჩენს "უხილავი" ხელი გააკეთებს. "უხილავ ხელში" ავტორი კონკურენციას გულისხმობს, რომელიც ერთგვარად მენარმის მართლზომიერი ქცევის მაკონტროლებელია. ცალკეულ სანარმეთა საქმიანი რეპუტაციის ზრდა, კონკურენციის შიში მენარმეს აიძულებს ანარმოს ხარისხიანი პროდუქტი და იზრუნოს ნარმოების ტექნოლოგიის სისტემატურ სრულყოფაზე.

კონკურენტული საბაზრო სისტემის მოქმედება და ცვლილები-სადმი მისი ადაპტაციის უნარი ქმნის საოცარ და მნიშვნელოვან ერთიანობას – კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების სიმბიოზს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლის ალფრედ მიულერის თეორიულ შეხედულებათა პრაქტიკულად განმახორციელებელმა ლუდვიგ ერჰარდმა წარმოადგინა თეზისი: სახელმწიფომ მენარმეს უნდა შეუქმნას აუცილებელი პირობები წარმოების განვითარებისათვის, სხვა მხრივ ის არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკურ განვითარებაში. ამასთან, საკუთრება ავალდებულებს მენარმეს მის გამოყენებას, ის უნდა ემსახუროდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ლიბერალურ კაპიტალიზმს ორი კონცეფცია დაუპირისპირდა: ინტერვენციონიზმი და სოციალიზმი. ამ უკანასკნელის წარმომადგენლები ასაბუთებდნენ, რომ კაპიტალისტური წარმოებისა და განაწილების წესი მართებული არ არის. თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს უშუალო ჩარევით უნდა შეეზღუდა კერძო ინტერესები მაშინ, როცა ისინი საზოგადოების ინტერესებთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდნენ. შემდგომში ასეთი მიდგომა განავითარეს პირველმა სოციალისტებმა - ოუენმა და ფურიემ. სოციალისტურმა იდეებმა ახალი იმპულსი მიიღო მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებში. მათ რადიკალურად დააყენეს საკითხი მთელი ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის შესახებ, რაც რეალურად განხორციელდა საბჭოთა კავშირში.

ამ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელობა თანდათან იკრებს ძალას და პრაქტიკულად ამტკიცებს სიცოცხლისუნარიანობას, რაც უშუალოდ 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთანაა დაკავშირებული. მისი დამანგრეველი შედეგების გამო, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ თეორიად კეინზიანური თეორია ჩამოყალიბდა, რომლის კრედო სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირებაა.

თავის ნაშრომში "დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია" კეინზმა უარყო კაპიტალისტური მეურნეობის თვითრეგულირების შესაძლებლობა. ამის საფუძველზე პრეზი-

დენტმა რუზველტმა ამერიკას "ახალი კურსი" შესთავაზა, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს "ჩარევას" ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში.

გერმანიაში კარტელები იძულებით შექმნეს. ინგლისში პრო-რიტეტი მიეცა სოფლის მეურნეობის განვითარებას. მთავრობამ დაანუსა კონტროლი ხელფასსა და მოსახლეობის სხვა შემოსავლებზე. საფრანგეთის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია საკუთარი კაპიტალი "ჩამორჩენილ" სანარმოებში ჩაედო. შეიქმნა შერეული ტიპის სააქციო საზოგადოებები. სახელმწიფო სექტორი განსაკუთრებით გაფართოვდა ომის შემდგომ პერიოდში. საფრანგეთის მთავრობამ ქვანახშირის, ენერგეტიკული მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტის ნაციონალიზაცია განახორციელა. ამავე პერიოდში ავსტრიაში სახელმწიფოს ხელში გადავიდა მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგები, იტალიაში ჩამოყალიბდა ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის მობილური სისტემა.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას ხელი შეუწყო მსოფლიო ომებმა, ეკონომიკის მილიტარიზაციამ. მაგ., მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გაიზარდა სახელმწიფოს კონტროლი სამხედრო სანარმოების მიმართ.

ომის შემდგომ პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირების მასშტაბები მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. XX საუკუნის 70-იანი წლების II ნახევრიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს ქარბად ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა.

"სახელმწიფო ინტერვენცია" გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, სახელმწიფო აპარატის "გაბერვაში", ბიუჯეტის დეფიციტში, სახელმწიფო ვალებისა და გადასახადების რეკორდულ ზრდაში.

დაიწყო კეინზიანური მოდელის მონინალმდგეეთა თავისებური "რენესანსი" და ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციის ტენდენცია, რასაც იმით ასაბუთებდნენ, რომ სახელმწიფოებრივი რეგულირების მასშტაბების ზრდა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ეფექტურობის ამალღებასთან. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კეინზიანურ პოლიტიკაში შეტანილ იქნა პრინციპული კორექტივები.

ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა მსოფლიო სამეურნეო პრაქ-

ტიკამ განსაზღვრა და მენარმეობაში სახელმწიფოს ჩარევის დასაშვები ფარგლები დაადგინა. მოხდა წმინდა საბაზრო მექანიზმის სრულყოფა ეკონომიკური პოლიტიკით, საბაზრო თვითღირებულებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თანწყობა, რაც საფუძვლად დაედო სოციალური მიმართულების ეკონომიკის ჩამოყალიბებას, რომლის მთავარი პოსტულატი ეკონომიკის ადეკვატურობაა საზოგადოების მოთხოვნებთან.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, თუმცა მათ საერთოც ბევრი აქვთ.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მიმართულებიდან მისაღები და საინტერესოა სამართლებრივი რეგულირება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს იურიდიული საფუძვლების შექმნას და მათ შესრულებაზე კონტროლს. მასში იგულისხმება ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივი პრინციპების ანუ "თამაშის წესების" დადგენა, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ეკონომიკურმა აგენტებმა.

საბაზრო ეკონომიკის რეგულირების იურიდიულ კანონებზე მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ შემუშავებული და მიღებული ნორმატიული აქტები, რომლებიც იცავენ საკუთრების უფლებას, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, საბაზრო სუბიექტების თანასწორობას, განსაზღვრავენ სამენარმეო საქმიანობას, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას და ა.შ.

სამენარმეო სამართალი ასევე იყენებს ე.წ. რეკომენდაციის მეთოდს. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ სამართალურთიერთობის ერთი მხარე მეორე მხარეს რჩევას აძლევს სამენარმეო საქმიანობის რაციონალურად ორგანიზების სფეროში.

რეკომენდაციის მეთოდი მეტად მოქნილია. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა მენარმეთა საქმიანობის მსუბუქი ფორმით რეგულირებისათვის, ამასთან არ იზღუდება მათი სამეურნეო დამოუკიდებლობა.

## სამენარმეო სამართლის მეთოდები

იმპერატიული რეგულირება. მაგ., რეგისტრაციის, ლიცენზირების, ნებართვის (მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში) მოთხოვნა

იმპერატიული და დისპოზიციური რეგულირების შერწყმა

დისპოზიციური რეგულირება. მაგ., მენარმე სუბიექტის სამართლებრივი ფორმის არჩევა, კონტრაგენტის არჩევა და ა.შ.

სამენარმეო სამართლის პრინციპებში იგულისხმება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამენარმეო-სამართლებრივი რეგულირების ძირითადი საწყისები, რომლებიც ასახულია მოკმედ კანონმდებლობაში. სამენარმეო-სამართლებრივი ურთიერთობები, როგორც ქონებრივ ურთიერთობათა ნაწილი, სამოქალაქო სამართლის პრინციპების საფუძველზე რეგულირდება, ასევე მნიშვნელოვანია იმ პრინციპთა განხილვა, რომელიც უშუალოდ სამენარმეო-სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების დასაბამია.

სამენარმეო სამართლის უმთავრესი (კონსტიტუციური) პრინციპია – სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება, რაც გულისხმობს მენარმე სუბიექტის მიერ სამენარმეო საქმიანობის წარმართვის თავისუფლებას ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში.

მენარმეობის თავისუფლება თავის თავში არჩევანის თავისუფლებასაც გულისხმობს. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ მატერიალური და ფინანსური რესურსების მფლობელებს შეუძლიათ მათი გამოყენება და რეალიზაცია საკუთარი შეხედულებისამებრ.

ასევე, პირს უფლება აქვს დასაქმდეს შრომის ნებისმიერი სახეობით, რისი უნარიც აქვს და ბოლოს, მომხმარებლები თავისუფალი არიან საკუთარი შემოსავლების ფარგლებში შეიძინონ ის საქონელი და მომსახურება, რაც საჭიროა მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.<sup>1</sup>

სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება არ გულისხმობს მის აბსოლუტურობას. იგი საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით შემოსაზღვრულია კანონმდებლობით. ამის მაგალითია ზოგიერთ საქმიანობაზე ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის გავრცელება და ა.შ. აქედან გამომდინარე, სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება მის სახელმწიფოებრივ რეგულირებას ეთავსება.

საქართველოს მთავრობის მიერ სამენარმეო გარემოს მაქსიმალური ლიბერალიზაციის მიმართულებით აღებული კურსი ზოგიერთ სფეროში წარმატებული აღმოჩნდა. 2004-2010 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ლიცენზიებისა და ნებართვების სფეროს, ასევე სამენარმეო საქმიანობისა და მისი სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის მაქსიმალურ ლიბერალიზაციას ისახავდა მიზნად. მანამდე არსებული ლიცენზიებისა და ნებართვების დაახლოებით 60% გაუქმდა და მინიმუმამდე შემცირდა სამენარმეო საქმიანობის კონტროლის ფორმები. პრაქტიკულად ეს ყველაფერი იყო უფუნქციო "ფურცლის" გაცემაზე აგებული მახინჯი ბიუროკრატიული პროცედურები.

ლიცენზიები და ნებართვები ეს მხოლოდ ერთი მიმართულებაა, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებასა და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებზე. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საბანკო და საფინანსო სფეროშიც. შეიქმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ უცხოური საბანკო ორგანიზაციები ხელოვნური ბიუროკრატიული დაბრკოლებების გარეშე შემოვიდნენ ქართულ ბაზარზე, მოიხსნა საბანკო ორგანიზაციაში წილის რაოდენობასთან დაკავშირებული შეზღუდვები. შეიქმნა ზოგიერთი პირობა ამ სფეროში რეალური კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისათვის.

<sup>1</sup> კემპბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიქსი, ტ. I. თბ., 2001. გვ. 171-172.

განვითარებული ეკონომიკისათვის ასევე მნიშვნელოვანია შრომის ლიბერალური კანონმდებლობა, რაც უკვე განხორციელებული რეფორმის სერიოზული ნაწილია. არც ერთი მსხვილი ინვესტორი არ შეევა ქვეყანაში, სადაც შრომითი ურთიერთობების ყველა დეტალი მხოლოდ კანონით რეგულირდება და საშუალება არ აქვს თავად განსაზღვროს, რა პირობებზე შეუთანხმდეს დასაქმებულს. ახალი შრომის კოდექსის მიზანია შრომითი ურთიერთობის მხარეთა (დასაქმებულისა და დამსაქმებლის) ნების მაქსიმალური თავისუფლება და დამოუკიდებელი კონსესუსი.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია ჰააგის 1961 წლის კონვენციის რატიფიკაცია, რომლითაც გაუქმდა უცხოეთის ოფიციალური (მათ შორის საწარმოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული) დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნა. აპოსტილის ინსტიტუტის შემოღებამდე უცხო ქვეყნის ოფიციალური თანამდებობის პირის მიერ გაცემული დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურება საჭიროებდა დამატებით დამონმებას შესაბამის ქვეყანაში საქართველოს კონსულთან, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედ საქართველოს კონსულთან. ასევე გართულებული იყო ოფიციალური დოკუმენტების სამართლებრივი დამონმება/დადასტურება.

აღსანიშნავია “გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” ახალი კანონის მიღება, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია. ახალი კანონის მიზანია: მოვალის და კრედიტორის ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევა და მოვალის ქონების რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხების განაწილებით და მისი ლიკვიდაციით ან რეაბილიტაციით კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება;

გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოების ეფექტური და მოქნილი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორთა და მოვალეთა ინტერესების გონივრულ დაცვას.

- **სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე მესაკუთრეთა თანასწორობა.** მნიშვნელოვანია ქართველ ავტორთა მოსაზრება, რომლებიც საკუთრების ცნების ერთიანობას მიიჩნევენ სამოქალაქო სამართლის რეფორმის ერთ-ერთ სერიოზულ შედეგად.<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში შეტანილია დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ისევე მონაწილეობს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი (მუხ.24, 6.4). საქართველოში სამართლებრივმა რეფორმამ განაპირობა შემდეგი პრინციპის აღიარება: საკუთრება ერთიანია ყველა მესაკუთრისათვის, ყველა მესაკუთრე თანასწორია საკუთრების წინაშე.

- **კონკურენციის თავისუფლება.** აღნიშნულ პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში. მისი მნიშვნელობა ასახულია საქართველოს კანონში "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", რომლის მიზანია საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა. იგი განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტის (მენარმე სუბიექტის) პასუხისმგებლობას მის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და სხვა მოქმედებებისათვის, რაც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ბაზარზე.

"თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა, იკრძალება ეკონომიკური აგენტებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ყველა სახის ანტიკონკურენციული საქმიანობა და თავისუფალი ვაჭრობისათვის ბარიერების შექმნა.

<sup>1</sup> ბ. ზოიძე, სანივთო სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 58.

- მოგების მიღება, როგორც სამენარმეო საქმიანობის მიზანი.

- სამენარმეო საქმიანობის მართლზომიერება. აღნიშნული პრინციპი მენარმეობისთვის აუცილებელ სამეურნეო ურთიერთობების სტაბილურობასა და მდგრადობას უზრუნველყოფს. კანონმდებლობის მკაცრი დაცვა მოეთხოვება არა მარტო მენარმეს, არამედ სახელმწიფოს იმ ორგანოებსაც, რომლებიც სამენარმეო საქმიანობას აკონტროლებენ.

- სამენარმეო სამართალში კერძო და საჯარო ინტერესების შერწყმა. საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა პირადი ინტერესი. მენარმეები თავიანთ საქმიანობას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ. მათი უფლებები დაცულია მოქმედი კანონმდებლობით, თუმცა არამართებული იქნებოდა, სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება მხოლოდ მენარმეთა უფლებების დაცვასთან რომ გაგვეიგივებინა. ასეთი საქმიანობის განხორციელების დროს ასევე გასათვალისწინებელია სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების ინტერესებიც. აქედან გამომდინარე, სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება კერძო და საჯარო ინტერესების სინთეზს უნდა ეფუძნებოდეს.

- სახელმწიფოს მიერ სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფოსმიერი რეგულირება. ეკონომიკის განვითარების დონისა და პირობების, ასევე, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით, სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფოს მიერ რეგულირება სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება. XX საუკუნის 90-იან წლებში თითქმის ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში უარი ითქვა სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფოს მიერ რეგულირებაზე და განხორციელდა ე.წ. "შოკური თერაპია", რის მიხედვითაც ეკონომიკური პროცესები უნდა განვითარებულიყო სრულ თვითრეგულირებაზე დაყრდნობით. სახელმწიფოს არჩევანის თეორია (თულოკი (1967), შტიგლერი (1971), პელცმანი (1976)) რეგულირებას სოციალურად არაეფექტურ მეთოდად მიიჩნევს "მრეწველობა თვითონ აგვარებს რეგულირების საკითხს, რომლის გამოყენება ხდება მისსავე სასარგებლოდ".

სახელმწიფოს მიერ სამენარმეო საქმიანობის რეგულირება სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, როგორცაა მენარმე სუბიექტთა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია, ცალკეული საქმიანობის ლიცენზირება, საგადასახადო და საბაჟო რეგულირება და ა.შ.

საქართველოში საკანონმდებლო რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა მაქსიმალური დერეგულირებაა. აღნიშნულ ურთიერთობათა მონაწილენი უნდა გათავისუფლდნენ ჭარბი სამართლებრივი რეგულირებისაგან და უმთავრესი საკითხები, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, საკუთარი ნებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყვიტონ. სწორედ ესაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი.

## სამენარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა

სამენარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა სამენარმეო სამართლის წყაროა, რომელშიც სამენარმეო სამართლის ნორმათა გამოხატულების ფორმები იგულისხმება. ეს ნიშნავს, რომ ის იმ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს მოიცავს, რომლებიც სამენარმეო საქმიანობას არეგულირებს.

სამართლის წყარო, ზოგადად, არა მხოლოდ სამართლის ნორმის გარეგნულად გამოხატვის ფორმაა, არამედ ამა თუ იმ სამართლის სისტემის არსებობის მეთოდოლოგიური საფუძველიც.

სამენარმეო საქმიანობის ნორმები ყველა ქვეყანაში არსებობს. ზოგიერთ ქვეყანაში ისინი ქმნიან სამენარმეო კანონმდებლობას და სამოქალაქო სამართლის ნაწილია (იტალია, ნიდერლანდები), ზოგან სამართლის დამოუკიდებელი დარგია (საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, პორტუგალია).

სამენარმეო სამართლის წყაროებია: კანონები, ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაციული აქტები, სასამართლო პრაქტიკა და ჩვეულება (იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ზნეობის ნორმებსა და საჯარო წესრიგს). ხშირად იურიდიულ ლიტერატურაში სასამართლო პრაქტიკა განიხილება, როგორც ჩვეულების სახესხვაობა და აღინიშნება ტერმინით "სასამართლო ჩვეულება".

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სამართლის წყაროთა შორის მოიაზრება კანონი (როგორც ფორმალური, ისე მატერიალური გაგებით) და ჩვეულება, ხოლო სასამართლო პრაქტიკა არ ითვლება სამართლის წყაროდ, არ ადგენს ზოგად ნორმებს და არ ეწევა სამართალშემოქმედებას, მას მხოლოდ ინფორმაციული და რეკომენდაციული დანიშნულება აქვს.

საინტერესოა როგორ ყალიბდებოდა სამენარმეო სამართლის წყაროები სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით:

- **საფრანგეთი.** ე.წ. სავაჭრო სამართალი, როგორც სამართლის დარგი წარმოიშვა XVII საუკუნეში (კოლბერის ორდონანსები:

საზღვაო ვაჭრობის ორდონანსი (1673 წ.) სახმელეთო ვაჭრობის ორდონანსი (1681 წ.), რომელიც საფუძვლად დაედო საფრანგეთის 1807 წლის სავაჭრო კოდექსს. საგულისხმოა, რომ ეს კოდექსი გარკვეული ცვლილებებითა და დამატებებით დღემდე მოქმედებს).

- **გერმანია.** სამენარმეო ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა კოდიფიცირება განხორციელდა XIX საუკუნეში.

- **შვეიცარია.** დუალიზმის დაძლევა სრულად ვერ მოხდა. 1911 წელს მიღებულ იქნა "ვალდებულებითი კანონი", რომელიც სამოქალაქო კოდექსთან ერთად არეგულირებს სამენარმეო ურთიერთობებს.

- **იტალია.** 1942 წლის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ასევე სამენარმეო ურთიერთობებს არეგულირებს.

- **ნიდერლანდები.** XX საუკუნის 70-იანი წლებიდან სამენარმეო ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსის რეგულირებაში მოექცა.

რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს (ინგლისი და აშშ), სამართლის უპირველესი წყაროა სასამართლო პრეცედენტი ანუ სამოსამართლო სამართალი (Case law) და, ამასთან, კანონის სამართალი (Statut Law).

- **ინგლისი.** ისტორიულად ყველა ვაჭარი ვალდებული იყო მიეღო ვაჭრობის ლიცენზია, რომელსაც გასცემდა სასამართლო ჩვეულების საფუძველზე. 1613 წლიდან სასამართლოები განსახილველად იღებდნენ ვაჭრობასთან დაკავშირებულ ყველა სახის დავას. სასამართლოები მათ იხილავდნენ, როგორც ჩვეულებას საერთო სამართლის შედგენილობაში. სავაჭრო სამართალი გახდა სამოქალაქო სამართლის ნაწილი.

საქართველოს კონსტიტუცია სამართლის ყველა დარგისათვის განსაზღვრავს პრინციპულ დებულებებს.

სამენარმეო სამართალურთიერთობათა მოწესრიგება, რიგ შემთხვევაში, დელეგირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე. ამ უკანასკნელით საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისათვის, იურიდიული ძალის მიხედვით, დადგენილ იერარქიაში მეორე ადგილი უკავია.

საქართველოში მოქმედებს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებათა სისტემა, რომელიც დადებულია სხვადასხვა ქვეყანასთან სამართლებრივი დახმარების, სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ, სამრეწველო საკუთრების დაცვის, დაბეგვრის თავიდან აცილების, ინვესტიციების ხელშეწყობისა და სხვა სფეროებში.

გარდა ამისა, საქართველო არაერთ საერთაშორისო კონვენციასა და შეთანხმებაში მონაწილეობს. საგულისხმოა, რომ ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

კანონმდებლობა, რომელიც სამენარმეო საქმიანობას არეგულირებს, უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ და საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმებს. კანონთა შორის კოლიზიის შემთხვევაში გამოიყენება უფრო ახალი და სპეციალური ნორმა.

სამენარმეო საქმიანობის რეგულირებაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. უწყებრივ ნორმატიულ აქტებს, განსაკუთრებით კი ფუნქციური ორგანოების აქტებს.

კონკრეტული სამენარმეო საქმიანობის რეგულირება ლოკალური ნორმატიული აქტებითაც ხორციელდება. ასეთი აქტები სამენარმეო საქმიანობას მხოლოდ მიკროსაწარმოს დონეზე (მაგ., სანარმოს წესდება, დამფუძნებელთა ხელშეკრულება) არეგულირებს.

სამენარმეო კანონმდებლობაში შემავალ ნორმათა უმრავლესობა საერთო ხასიათს ატარებს და ნებისმიერ სამენარმეო საქმიანობაზე ვრცელდება, თუმცა გვხვდება ისეთი ნორმატიული აქტებიც, რომელთაც სპეციალური ხასიათი აქვს. ისინი ვრცელდება სამენარმეო სამართლის ცალკეულ სუბიექტზე ან სამენარმეო საქმიანობის ცალკეულ სახეზე (მაგ., კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", 2005 წ.; "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" 2006 წ.; "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", 1996 წ. და სხვა).

სამენარმეო სამართლის წყაროების განხილვისას შეუძლებელია არ შევეხოთ ისეთ პრობლემას, როგორცაა ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფოს მიერ რეგულირება. სამენარმეო

ურთიერთობათა ცალსახა (ან მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი, ან მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი) რეგულირების მომხრეები მონეტარიზმის ეკონომიკურ თეორიას ეყრდნობიან და იურიდიულ მეცნიერებაში ატარებენ აზრს ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი რეგულირების შეზღუდვის შესახებ (რაც ბაზრის თვითრეგულირებას გულისხმობს). სამენარმეო სამართლის თანამედროვე მეცნიერულ კონცეფციას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგი პოზიცია უკავია:

- სამენარმეო ურთიერთობები, როგორც ქონებრივი ურთიერთობის ნაწილი, მნიშვნელოვნად განსხვავდება, ამიტომ მისი მონესრიგება სპეციალური კანონმდებლობით უნდა მოხდეს (მაგ., კანონი "მენარმეთა შესახებ").

- სახელმწიფო აწესებს სუბიექტთა მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელების წესებს. ეს მოთხოვნები გამოხატულია სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში (მაგ., კანონი "ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის შესახებ", კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ").

- საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობის სისტემის არსებობა (სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და ა.შ.), რომელიც აწესებს განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

საქართველოში ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების ფონზე აქტიურად მიმდინარეობს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სამენარმეო სამართალთან ინტეგრაციის პროცესი, ვლინდება სამართლებრივ ნორმათა უნიფიცირების, დაახლოებისა და ჰარმონიზაციის შესაძლებლობები. აღნიშნულთან მიმართებაში, საინტერესოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის წინაშე წარდგენილი 2205 რეზოლუცია, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა "გამოინახოს გზები და საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის სფეროში საერთაშორისო კონვენციების იდენტურ კომენტირებას და ერთნაირი კანონების თავმოყრას".

აღსანიშნავია, რომ სამენარმეო ურთიერთობათა რეგულირებისას ასევე გამოიყენება საჯარო-სამართლებრივი ნორმები, კერძოდ საგადასახადო, სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და ა. შ. კანონმდებლობა.

დამოუკიდებელი სამენარმეო კოდექსის მიღების მომხრენი ეყრდნობოდნენ აზრს, რომ კოდექსს საფუძვლად დარგობრივი პრინციპი უდევს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შვეიცარიამ, იტალიამ, ჰოლანდიამ დასძლია დუალიზმი და ერთიან სამოქალაქო კოდექსში გაითვალისწინა სამენარმეო ურთიერთობათა მოწესრიგება.

საქართველოშიც იყვნენ სამენარმეო კოდექსის მიღების მომხრენი. მათი აზრით: "სამოქალაქო კოდექსთან ერთად უნდა შემუშავდეს სამენარმეო კოდექსიც, რომელშიც კოდიფიცირებული უნდა იქნეს არა მხოლოდ სამენარმეო ურთიერთობები, არამედ სამენარმეო საქმიანობის მარეგულირებელი და მაკონტროლებელი სამეურნეო-სამართლებრივი აქტები".<sup>1</sup> თუმცა არსებობდნენ ამ აზრის მოწინააღმდეგენიც. "ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერჯერობით მაინც თავი უნდა შევიკავოთ ცალკე სავაჭრო კოდექსის მიღებისაგან. შევიმუშაოთ ცალკე კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერ კონკურენციაზე, საჯარო ვაჭრობის, აუქციონის ფორმებზე, მომხმარებელთა დაცვაზე და მენარმეობის კანონის ამოქმედებით გადავწყვიტოთ მომავალში სავაჭრო კოდექსის შექმნის აუცილებლობის საკითხი."<sup>2</sup> "ჩვენ გამოვრიცხავთ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში დუალისტურ მიდგომას, ე.ი. სავაჭრო კოდექსის ან მისი მსგავსი კანონის მიღების საჭიროებას. ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი ან/და ჩვენი სამართალმემოქმედების ტრადიციით განპირობებული. სავაჭრო კოდექსის არსებობამ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უკვე შეასრულა თავისი როლი".<sup>3</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვეთანხმები გერმანელი მეცნიერის, კ. ჰოპტის მსჯელობას: "ცალკე სამენარმეო კოდექსის არარსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ ასეთ ქვეყნებს არა აქვთ სამენარმეო სამართალი; სამენარმეო სამართალი სამართლის ობიექტურად არსებული დარგია და მისი დამოუკიდებლობის ეჭვქვეშ დაყენება საფუძველს მოკლებულია".

<sup>1</sup> ლ. ჯომარჯიძე. სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიკაციის პრობლემები. ს. ჯორბენაძე. საიუბილეო კრებული. თბილისი, 1996. გვ. 64.

<sup>2</sup> ს. ჯორბენაძე. საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. სამართლის რეფორმა საქართველოში. თბილისი, 1994. გვ. 147.

<sup>3</sup> ჯ. ხეცურიანი. იურიდიული პირის საკანონმდებლო რეგულირების ძირითადი პრობლემები. გვ. 195.

## სამენარმო სამართლის სუბიექტთა მოკლე დახასიათება

სამენარმო სამართლის სუბიექტები არიან ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომლებსაც სამენარმო საქმიანობის განხორციელებისას აქვთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები. ამასთან, სამენარმო ურთიერთობებში გამოდიან საკუთარი სახელით.

თანამედროვე სამართლებრივი გაგებით, კერძო სამართლის იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც არ მოითხოვს პიროვნული თვისებების არსებობას.

მენარმე სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის დახასიათება მარტივია უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის კატეგორიების ჭრილში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 11-16, 25 მუხლები). აღსანიშნავია, რომ პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა გაერთიანებულია ერთ ტერმინში – "სამართლებრივი შესაძლებლობა" (Legal capacity)<sup>1</sup>, ეს ტენდენცია კონტინენტური სამართლის სისტემაშიც შეინიშნება.

კერძო სამართლის სამენარმო იურიდიულ პირებში სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოები მოიაზრება, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მენარმე სუბიექტი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც განურჩევლად საწარმოს სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა სამენარმო საქმიანობას ეწევა.

მენარმე სუბიექტთა მიმართ ქართული კანონმდებლობა *numerus clausus* პრინციპს იყენებს. ეს ნიშნავს, რომ კანონი ამომწურავად ჩამოთვლის მენარმე სუბიექტებს.

---

<sup>1</sup> Capacity - ინგ. უნარი, სიმძლავრე. იურ. - უფლებაუნარიანობა.

კერძო სამართლის იურიდიული პირების (მათ შორის სამენარმეო ხასიათის იურიდიული პირების) შექმნას საფუძვლად უდევს მხარეთა კერძო ავტონომია და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპი.

"მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში (მუხ.2.1) მოცემულია სამენარმეო საქმიანობის განმარტოვებული სუბიექტთა ამომწურავი ჩამონათვალი. ესენია: ინდივიდუალური მენარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი. მათ შორის ყველა, გარდა ინდივიდუალური მენარმისა, იურიდიული პირის სტატუსით სარგებლობს.

საბაზრო ეკონომიკის ტრადიციულ ქვეყნებში, ზოგადად, იურიდიული პირის საერთო (ზოგადი) და სპეციალურ უფლებაუნარიანობას ასხვავებენ. იურიდიული პირის ზოგადი უფლებაუნარიანობა მისი მოქმედების თავისუფლების აღიარებაა, რაც უფლებას ანიჭებს განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც არ უკავშირდება ადამიანურ თვისებებს და არ იკრძალება კანონმდებლობით.

სპეციალური უფლებაუნარიანობის დროს, იურიდიული პირი უფლებამოსილია იყოს მხოლოდ ისეთი ურთიერთობების მონაწილე, როგორც აუცილებელია და საკმარისი კანონში ან წესდებაში დასახული მიზნის მისაღწევად.

ბოლო პერიოდში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სულ უფრო მეტად ხდება საერთო უფლებაუნარიანობის ლეგალიზაცია. იგი ამსუბუქებს კაპიტალის მოძრაობას დიდი მოგების მიღების მიზნით. ყველაზე აქტიური გამოხატულება მან შვეიცარიაში პოვა. ამ ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, იურიდიული პირი უფლებამოსილია ჰქონდეს ნებისმიერი სახის უფლება და იკისროს ნებისმიერი სახის ვალდებულება გარდა ისეთისა, რომელთა ქონაც დაკავშირებულია ადამიანის ისეთ თვისებებთან, როგორცაა სქესი, ასაკი,

ნათესაური კავშირი და ა. შ.<sup>1</sup> შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკა და მისი სამართლებრივი დოქტრინა ამ უფლება-მოვალეობებში არა მარტო ქონებრივ, არამედ პირად არაქონებრივ უფლებებსაც გულისხმობს.

XIX საუკუნის შუა პერიოდში ინგლისელმა მოსამართლეებმა აღიარეს, რომ კორპორაციასაც შეიძლება ჰქონდეს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, მაგრამ თვით კორპორაციის მსგავსად ისინიც მხოლოდ მიზნობრივად უნდა არსებობდეს, მიზნობრიობას კი მათ სახელმწიფო ანიჭებს.<sup>2</sup> ამ მოძღვრების გაუთვალისწინებლად დადებული ხელშეკრულებები კორპორაციის სამართლებრივი შესაძლებლობების ფარგლებს გარეთაა.

კორპორაციების მიზანი "შეიძლება ორგვარი ყოფილიყო: ჯერ ერთი, კორპორაციების წილთა მფლობელებს უნდა სცოდნოდათ, რა მიზნებისათვის გამოიყენება მათი სახსრები და, მეორე, კრედიტორები უნდა ყოფილიყვნენ გარანტირებულნი და დარწმუნებულნი, რომ მათი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად კორპორაციის ქონება წესდების შეუსაბამო მიზნებისათვის გამოყენებით არ შემცირებულყო."<sup>3</sup>

ინგლისის სასამართლო პრეცედენტზე აღმოცენებულმა პრინციპმა "ultra vires" თანდათან დაკარგა მნიშვნელობა, იგი აღარ ესადაგებოდა ინგლისში განვითარებულ საქონელბრუნვას, რის გამოც XX საუკუნის მიწურულს არსებობა შეწყვიტა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სამენარმეო იურიდიულ პირზე სამართლიანად ვრცელდება ზოგადი უფლებაუნარიანობა.

სამენარმეო იურიდიული პირები უფლებაუნარიანობასთან ერთად ქმედუნარიანიც არიან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული პირის უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას შორის მკვეთრი განსხვავება არ არსებობს. მიუხედავად ამისა, იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია ქმედუნარიანობის ცალკე დახასიათება, მის მიმართ გამოიყენება ე.წ. ორგანული თეორია. "ამ თეორიის თანახმად, ყველა იურიდიული პირის მმართველობის სისტემა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება უნდა

<sup>1</sup> Гражданский кодекс Швейцарии, ст. 51.

<sup>2</sup> Васильев. Гражданское и торговое право капиталистических государств, 1993. с. 89.

<sup>3</sup> ჯ. ხეტურინი. იურიდიული პირის საკანონმდებლო რეგულირების ძირითადი პრობლემები. სამართლის რეფორმა საქართველოში. თბილისი, 1994. გვ. 197.

განისაზღვროს კანონით და აისახოს იურიდიული პირის წესდებაში." უფლება-მოვალეობების შექმნა და განხორციელება იურიდიული პირის ორგანოთა პრეროგატივაა. იურიდიული პირის ორგანო - არის სამართლებრივი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს პირს (ერთპიროვნული ორგანო) ან პირთა წრეს (კოლექტიური ორგანო), რომლებიც მინდობილობის გარეშე წარმოადგენენ იურიდიული პირის ინტერესებს სამართლებრივ ურთიერთობებში. სწორედ ამიტომ ორგანოს საქმიანობა განიხილება, როგორც თვით იურიდიული პირის საქმიანობა.

ამას გარდა, რიგ შემთხვევაში, სამენარმეო სამართლის სუბიექტად შეიძლება გამოვიდნენ ისეთი იურიდიული პირები, რომელთა ძირითადი მიზანია არაკომერციული საქმიანობა, თუმცა საწესდებო მიზნის მისაღწევად ასეთი ორგანიზაციები უფლებამოსილი არიან განახორციელონ სამენარმეო საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში ისინი მონაწილეობენ სამენარმეო ურთიერთობაში და მოქმედებენ, როგორც სამენარმეო სამართლის სუბიექტები.

არასამენარმეო იურიდიულ პირებს უფლება აქვთ განახორციელონ სამენარმეო საქმიანობა იმ პირობით, რომ მოგება მოხმარდება მათი მიზნების რეალიზაციას და არ განაწილდება დამფუძნებლებს, წევრებს ან/და შემომწირველებს შორის.

თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ განხორციელებული სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება განაწილდება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს ან/და შემომწირველებს შორის, დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე სასამართლო განიხილავს და წყვეტს საკითხს, ამ პირთა მიმართ ზიანის ანაზღაურების სახით, ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

## სანარმოს ცნება. მენარმე სუბიექტთა სამართლებრივი ფორმები

სანარმო პირობითად პირთა და ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობაა. გარდა ამისა, მას განეკუთვნება არამატერიალური ფასეულობანი, ფაქტობრივი ურთიერთობები, სანარმოო საიდუმლოებანი და ა.შ. სანარმოს ცნება მოიცავს ასევე მატერიალურ ფასეულობებს, გარკვეულ უფლებებსა და ვალდებულებებს. სხვა სიტყვებით, სანარმო არის სანარმოო-სამეურნეო და სოციალური (სოციალურ-ტექნიკური) სისტემა, რომლის მთავარი მიზანი განსაზღვრული სახის საქონლით (სამუშაოთი, მომსახურებით) საზოგადოების მოთხოვნათა დაკმაყოფილება და ამის საფუძველზე მოგების მიღებაა, ასევე სამუშაო ადგილების შეთავაზება, რაც, იავეის მხრივ, ადამიანთა მატერიალური უზრუნველყოფის წყაროს წარმოადგენს.

ტერმინი "სანარმო" სამართლებრივ პრაქტიკასა და დოქტრინაში სხვადასხვა გაგებით გამოიყენება. ერთ შემთხვევაში მასში მოიაზრება საზოგადოება (კომპანია, კორპორაცია) ანუ აღნიშნავს სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს, სხვა შემთხვევაში იგულისხმება სამეურნეო მიზნის მისაღწევად შექმნილი სანარმოო-სამეურნეო კომპლექსი, როგორც მატერიალურ საშუალებათა და ადამიანთა ერთიანობა.

იურიდიულ მეცნიერებაში სანარმოს დეფინიცია ყალიბდება მისი ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრით. კერძოდ:

- ორგანიზაციული ერთიანობა ნიშნავს, რომ სანარმოს აქვს შიგა სტრუქტურა და ორგანიზაცია;

- სანარმოს მიზანი, მიიღოს მოგება და დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი მოთხოვნები. ეს ორი მიზანი ერთიანობაშია წარმოდგენილი, რადგან, რაც უფრო მეტად აკმაყოფილებს სანარმო საზოგადოებრივ მოთხოვნებს, მით უფრო მომგებიანია მისი საქმიანობა. გარდა ამისა, სანარმოს რენტაბელობას შეუძლია გარკვეულწილად შეამსუბუქოს ისეთი სოციალური პრობლემა, როგორცაა სამუშაო ადგილების შექმნა. რაც უფრო მეტი მომგებიანი სანარმო იარსებებს სახელმწიფოში, მით მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მით მეტი ადამიანი იქნება მატერიალურად უზრუნველყოფილი. ამასთან, მომგებიან სანარმოთა სიმრავლე

აისახება სახელმწიფოს ბიუჯეტზე და ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოგება, თავის მხრივ, საწარმოს რენტაბელობის გარანტიაა, იგი უზრუნველყოფს საწარმოს დაფინანსების წყაროებს და მენარმეთა ფსიქოლოგიური სტიმულირების საშუალებაა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, საინტერესოა სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების მიერ შემუშავებული ე.წ. ბიჰევიორიზმის თეორია, სადაც მაქსიმალური მოგების მიღება და, ამის საფუძველზე, სულიერი და ფიზიკური დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვა წარმოდგენილია ერთიანობაში.

თითოეულ მენარმეს საზოგადოებისათვის სარგებელი მოაქვს, მიუხედავად იმისა, ისახავს თუ არა იგი ამას მიზნად. “მუშაობს რა მოგების მიზნით, მენარმეს თავისი წვლილი შეაქვს ნაციონალური სიმდიდრის შექმნაში, რომელიც შემდეგ მთელ საზოგადოებაზე ნაწილდება” – ადამ სმიტის ეს სიტყვები ცხადყოფს, თუ რამდენად სერიოზული დატვირთვა აქვს საწარმოსა და მთლიანად მენარმეობის მიზანს;

- საწარმოს ამოცანაა სამენარმეო საქმიანობის განხორციელება პროდუქციის დამზადების, სამუშაოს შესრულების ან/და მომსახურების სფეროში;

- საწარმოში დასაქმებულთა არსებობა (დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს);

- საწარმოს სამეურნეო დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ საწარმო აბსოლუტურად დამოუკიდებელია სამენარმეო საქმიანობის პროცესში გადაწყვეტილებების მიღებისას;

- საწარმოს ქონებრივი დამოუკიდებლობა. იგულისხმება საწარმოს განსაზღვრული ქონება, რომელიც მისი სამენარმეო საქმიანობის ეკონომიკურ ბაზას წარმოადგენს;

- საწარმო სამართლის სუბიექტია. იმავდროულად, საწარმო შეიძლება წარმოგვიდგეს, როგორც ობიექტი (ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში, როცა საწარმო განიხილება, როგორც ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობა);

- საწარმოს უნდა ჰქონდეს საფირმო სახელწოდება, რაც მისი ინდივიდუალიზაციისა და იდენტიფიკაციის საშუალებაა.

ქართული და გერმანული სამართალი ამხანაგობისა და კაპიტალური ტიპის საზოგადოების მიმართ იყენებს ერთ ტერმინს საწარმო (საზოგადოება), Gesellschaft. გარდა ამისა, უნდა განვასხვაოთ "ამხანაგობა" სამოქალაქო-სამართლებრივი გაგებით და "ამხანაგობა" სამენარმეო-სამართლებრივი გაგებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §705) მუხლი განსაზღვრავს: ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით, ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო-სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად, ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. თუ ასეთი ხელშეკრულების დადებით იქმნება კორპორაციული სტრუქტურა (Korperschaft), რომლის ძირითადი მიზანი მოგების მიღებაა იურიდიული პირის შეუქმნელად, მაშინ საქმე გვაქვს "ამხანაგობასთან" სამენარმეო-სამართლებრივი გაგებით (აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის ამხანაგობა "მენარმეთა შესახებ" კანონითაც დაშვებული იყო, თუმცა, 2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, მენარმე სუბიექტის აღნიშნული სამართლებრივი ფორმა გაუქმდა. ამასთან, 2010 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული სამენარმეო ამხანაგობის წევრებმა 2011 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველყონ სამენარმეო ამხანაგობის ხელახალი რეგისტრაცია, "მენარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმით. ხელახალ რეგისტრაციამდე სამენარმეო ამხანაგობის მიმართ გამოიყენება "მენარმეთა შესახებ" კანონის 2010 წლის 1 იანვრამდე არსებული ნორმები. თუ სამენარმეო ამხანაგობა დადგენილი წესითა და დადგენილ ვადაში არ გაივლის ხელახალ რეგისტრაციას, მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს სამენარმეო ამხანაგობის ლიკვიდაციის მოთხოვნით).

სამართლებრივი დოქტრინა საწარმოებს პირობითად პერსონალური (ამხანაგობის) და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებად ჰყოფს. პირველ ჯგუფს ეკუთვნის სოლიდარული (სრული) პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება. მათში პიროვნულ ელემენტს გაცილებით უფრო პრიორიტეტული ადგილი უჭირავს. მეორე ჯგუფს კი ეკუთვნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი, სადაც პრიორიტეტულია თავად საწარმოს ქონება.

ინდივიდუალური მენარმე ფიზიკური პირია, რომელიც რეგისტრირებულია სამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას დასავლეთის ყველა ქვეყნის სამართალი იცნობს. საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ" განსაზღვრავს: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალე – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ (მუხ. 20.1).

საქართველოს, რუსეთისა და საფრანგეთის კანონმდებლობით, სპს-ის პარტნიორი გარდა ფიზიკური პირისა, შეიძლება იყოს იურიდიული პირიც.

საზოგადოების სასტარტო მატერიალურ ბაზას ქმნის პარტნიორთა შენატანები. შენატანის მოცულობის მიუხედავად თითოეულ პარტნიორს აქვს ერთი ხმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ნებისმიერი პარტნიორი უფლებამოსილია განახორციელოს როგორც საზოგადოების საქმიანობის ოპერატიული მართვა, ისე მისი წარმომადგენლობა.

კომანდიტური საზოგადოება ამხანაგობის ტიპის საზოგადოებაა, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) (მუხ. 34).

კომპლემენტარის სამართლებრივი მდგომარეობა ფაქტობრივად იგივეა, რაც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორისა. განსხვავდება კომანდიტის სტატუსი, რომლის სამენარმეო რისკი მხოლოდ მის მიერ განხორციელებული შენატანით (საგარანტიო თანხით) განისაზღვრება და არ აქვს საზოგადოების მართვისა და წარმომადგენლობის უფლება

(გარდა კანონით დაშვებული გამონაკლისისა). კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი (კომანდიტურ საზოგადოებაში გაერთიანებულია პერსონალურ და კაპიტალურ საზოგადოებათა ელემენტები, ამიტომ ზოგიერთი ავტორი მას ერთგვარად გარდამავალ ფორმად მიიჩნევს).

კაპიტალურ საზოგადოებათა ჯგუფს ეკუთვნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

შპს-ის პირველი სამართლებრივი ლეგალიზაცია 1892 წ. გერმანიაში მოხდა. აღსანიშნავია, რომ შპს თავიდან შეიქმნა, როგორც პირთა, ე.წ. მენარმეთა გაერთიანება ანუ ამხანაგობა. მოგვიანებით იგი მიჩნეულ იქნა კაპიტალის გაერთიანებად. ეს განაპირობა მისმა ჩამოყალიბებამ ურთიერთობათა ბუნებრივი განვითარების გზით. აღნიშნული საზოგადოება შეიქმნა, როგორც ამხანაგობისა და კაპიტალური ნიშნების ერთობლიობა. შეიძლება ითქვას, რომ იგი შეიქმნა სს-ის საფუძველზე და მიუხედავად იმისა, რომ მასში შენარჩუნებულია სს-ის ძირითადი თვისებები, შპს, სამართლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით, უფრო მოქნილ და მარტივ ფორმას წარმოადგენს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება ერთ პირსაც შეუძლია (მუხ.44).

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი რაოდენობით (მუხ.51).

სს-ის პარტნიორი დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის, აქციის მფლობელია, რაც არ ხდება შპს-ის შემთხვევაში (საერთო სამართლის ქვეყნებში ასეთი განსხვავება არ არსებობს).

შპს-თვის კანონით არ გაითვალისწინება საჯარო ანგარიშგების ვალდებულება. მას არ მოეთხოვება სავალდებულო აუდიტის ჩატარება (საფრანგეთის კანონმდებლობით, რევიზორი (commissaires aux comptes) მხოლოდ წლიურ ანგარიშებს ამოწმებს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ შპს-ის საწესდებო კაპიტალი 300000 ევროზე მეტია). რაც შეეხება სს-ს, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ანგარიშვალდებულ სანარმოში, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდაა დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ სანარმოში ან სანარმოში, რომლის პარტნიორთა რაოდენობა 100 აღემატება, აუდიტის ჩატარება სავალდებულოა.

საკანონმდებლო ცვლილებათა შედეგად, შპს-ისა და სს-ის მართვის სისტემა ერთგვაროვანი გახდა, თუმცა კანონით დადგენილი გამონაკლისის სახით შეიძლება არსებობდეს ორდონიანი მართვის სისტემა. კერძოდ, თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ანგარიშვალდებული სანარმოა, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ან სააქციო საზოგადოება ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა 100 აღემატება, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო, ისევე, როგორც შპს-ში.

სახელმწიფოს მიერ სს-ზე განხორციელებული კონტროლის ერთ-ერთი საშუალებაა პარტნიორთა საერთო კრებაზე ნოტარიუსის დასწრების აუცილებლობა, რაც არ ვრცელდება შპს-ზე.

შპს-ისა და სს-ის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მათი ქონებით, საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

არ ვეთანხმები ზოგიერთ ავტორს, რომელიც მიიჩნევს, რომ შპს-ის სახელწოდება და პასუხისმგებლობის ხასიათი, დეფინიციიდან გამომდინარე, ერთმანეთს არ შეესაბამება. აღნიშნულის არგუმენტაცია შემდეგნაირია: "თვით საზოგადოებას კრედიტორთა წინაშე გააჩნია სრული ქონებრივი პასუხისმგებლობა, რაც შეეხება პარტნიორებს, კრედიტორების წინაშე ისინი საერთოდ არ აგებენ პასუხს."<sup>1</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მართალია შპს მთელი ქონებით აგებს პასუხს ნაკისრ ვალდებულებებზე, მაგრამ, ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებისაგან განსხვავებით, მისი პასუხისმგებლობა ზოგადად შეზღუდულია საზოგადოების ქონების მოცულობით, ამიტომ მოცემული საზოგადოების სახელწოდების მის შინაარსთან შესაბამისობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

რაც შეეხება კოოპერატივს, იგი შედგება წევრთა შეუზღუდავი რაოდენობისაგან და მიზნად ისახავს საკუთარი წევრების სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, მათი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს მიზანი კოოპერატივის ძირითადი მახასიათებელია და მისი, როგორც იურიდიული ინსტიტუტის, არსებობის პირობაა.

კანონში "მენარმეთა შესახებ" ჩამოთვლილია შვიდი სახის კოოპერატივი. ისინი შეიძლება გავაერთიანოთ ორ ჯგუფად: სანარმოო (არტელი) და შემქენ-გამსაღებელი. კოოპერატივი სამენარმეო სამართლის თავისებური სუბიექტია. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მათ საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს. ამის დამადასტურებელია ის, რომ საბჭოთა პერიოდში პირველი კანონი, რომელმაც ფაქტობრივად აღიარა მენარმეობის მართლზომიერება, იყო სსრკ-ის 1988 წლის კანონი "კოოპერაციის შესახებ".

რაც შეეხება უცხოეთის კანონმდებლობით რეგულირებულ და სასამართლო პრაქტიკით აღიარებულ მენარმე სუბიექტებს, სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა ქვეყანაში მენარმე სუბიექტთა სახეები და შინაარსი მეტ-ნაკლებად მსგავსია, მათ შორის არსებობს განსხვავებები, რომლებიც უშუალოდ

<sup>1</sup> Васильев Е.А. Гражданское и торговое право капиталистических государств. 1993. с. 165

უკავშირდებიან ქვეყნის ეკონომიკურ და სამართლებრივ განვითარებასა და კონკრეტული ქვეყნის საზოგადოებრივ მოთხოვნებს.

**ფრანგული** კანონმდებლობით, მენარმე სუბიექტად აღიარებულია: სრული ამხანაგობა, კომანდიტური ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, თუმცა სტატისტიკურად ფრანგულ სამენარმეო ურთიერთობებში სწორედ ამ ფორმებს ენიჭება უპირატესობა. გარდა ამისა, საფრანგეთის №66-537 კანონით განსაზღვრულია ე.წ. გამარტივებული ტიპის სააქციო საზოგადოებისა და სააქციო კომანდიტური საზოგადოების სტატუსიც. ყველა მენარმე სუბიექტი იურიდიული პირია. მათ, განსხვავებით კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების მენარმე სუბიექტებისგან, სპეციალური უფლებაუნარიანობა გააჩნიათ, რომლის ფარგლები დგინდება დამფუძნებელთა მიერ და დეკლარირდება მენარმე სუბიექტის წესდებაში ან სხვა ტიპის სადამფუძნებლო დოკუმენტში (ბოლო წლებში ეკონომიკური ფაქტორების, ასევე სამოქალაქო ბრუნვის ზრდის გათვალისწინებით (მათ შორის<sup>1</sup> ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით) სამენარმეო იურიდიული პირები ნელ-ნელა იძენენ საერთო უფლებაუნარიანობას).

ფრანგული კანონმდებლობით, სრულ ამხანაგობაში შეიძლება გაერთიანდნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, რომელთაც აქვთ ე.წ. კომერსანტის სტატუსი. მათი პასუხისმგებლობა ამხანაგობის კრედიტორთა წინაშე სრული და სოლიდარულია. სრული ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტია სადამფუძნებლო ხელშეკრულება. მოგება და ზარალი პარტნიორებს შორის ძირითადად ნაწილდება მათი შენატანების პროპორციულად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პარტნიორთა შენატანების მოცულობის მინიმალური ზღვარი კანონით არ არის დადგენილი. ამხანაგობას ყველა პარტნიორი ერთობლივად მართავს.

ფრანგული კანონმდებლობით განსაზღვრულ კომანდიტურ საზოგადოებაში გაერთიანებული არიან სრული პასუხისმგებლობის პარტნიორები და პარტნიორები, რომელთა პასუხისმგებლობა შეზღუდულია მათ მიერ განხორციელებული შენატანით

(კომანდიტები). ისინი სრული პასუხისმგებლობის პარტნიორებისაგან განსხვავებით, არ მონაწილეობენ სანარმოს უშუალო მართვაში, თუმცა კონტროლის უფლება აქვთ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დააფუძნოს ერთმა ან მეტმა ფიზიკურმა ან/და იურიდიულმა პირმა. საზოგადოება კრედიტორთა წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ თავისი ქონებით. კანონით განსაზღვრულია შპს-ის მინიმალური სანესდებო კაპიტალი, რაც 7500 ევროა (სსკ ლ233-ე მუხ.). სანარმოს მართვას პარტნიორები აწარმოებენ, პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, უშუალო ხელმძღვანელობას კი დირექტორი/ები, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პარტნიორი, ისე მესამე პირი. თუ შპს-ის პარტნიორთა რაოდენობა 20-ზე მეტია, შესაძლებელია შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. შპს-ის საქმიანობას რევიზორები აკონტროლებენ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტია ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო ხელშეკრულება და წესდება.

სააქციო საზოგადოება შეიძლება დააფუძნოს მინიმუმ 7 ფიზიკურმა ან/და იურიდიულმა პირმა. იმ სააქციო საზოგადოებათა მინიმალური სანესდებო კაპიტალი, რომელთა აქციები გამოტანილია საჯარო ვაჭრობის მიზნით, მინიმუმ 225000 ევროა, სხვა ტიპის სააქციო საზოგადოებისთვის კი – 37000 ევრო. სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტია ნოტარიულად დამოწმებული წესდება. საზოგადოების მართვის სტრუქტურა შეიძლება იყოს ორდონიანი (პარტნიორთა საერთო კრება და დირექტორი (დირექცია)) ან სამდონიანი (პარტნიორთა საერთო კრება, დირექტორი (დირექცია) და სამეთვალყურეო საბჭო). პრაქტიკულად, უფრო ხშირად, გამოიყენება მართვის პირველი ვარიანტი, რომელსაც ასევე “კლასიკურსაც” უწოდებენ.

**გერმანული** კანონმდებლობით, მეწარმე სუბიექტად აღიარებულია: სრული ამხანაგობა, კომანდიტური ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება. ასევე არსებობს ე.წ. “დაფარული” ამხანაგობები, რომელთა არსებობა არ არის გამჟღავნებული მესამე პირთათვის, თუ ასეთი

რამ გათვალისწინებულია ამხანაგობის ხელშეკრულებით. ასეთი ამხანაგობის პარტნიორები კრედიტორთა და მესამე პირთა წინაშე პასუხს აგებენ მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

გერმანული კანონმდებლობით, სრული ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი. მოგება და ზარალი პარტნიორებს შორის ნაწილდება მათი შენატანების პროპორციულად. შენატანების მოცულობის მინიმალური ზღვარი კანონით არ არის დადგენილი. ამხანაგობას ყველა პარტნიორი ერთობლივად მართავს, თუმცა კანონმდებლობით დაშვებულია, რომ ამხანაგობის მართვის უფლება ყველა პარტნიორის მიერ დელეგირებულ იყოს ერთ რომელიმე პარტნიორზე.

გერმანული კანონმდებლობით, შპს შეიძლება შექმნას ერთმა ან მეტმა ფიზიკურმა, ან/და იურიდიულმა პირმა. მისი საწესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება კანონით და 25000 ევროს შეადგენს. საზოგადოება კრედიტორთა წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ თავისი ქონებით. საწარმოს მართვას პარტნიორები აწარმოებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, უშუალო ხელმძღვანელობას კი დირექტორი/ები, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პარტნიორი, ისე მესამე პირი. სამეთვალყურეო საბჭო ფაკულტატური ორგანოა და მისი არსებობა დამოკიდებულია პარტნიორთა გადაწყვეტილებაზე. შპს-ის სადამფუძნებლო დოკუმენტია ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო ხელშეკრულება და წესდება.

სააქციო საზოგადოება შეიძლება დააფუძნოს ერთმა ან მეტმა ფიზიკურმა, ან/და იურიდიულმა პირმა. მისი საწესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება კანონით და 50000 ევროს შეადგენს. საზოგადოება კრედიტორთა წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ თავისი ქონებით. სს-ის მართვის სტრუქტურა სამდონიანია, კერძოდ, საზოგადოების მართვას პარტნიორები (აქციონერები) აწარმოებენ, პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, უშუალო ხელმძღვანელობას – დირექტორი/ები, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პარტნიორი, ისე მესამე პირი და სამეთვალყურეო საბჭო. სს-ის სადამფუძნებლო დოკუმენტია ნოტარიულად დამოწმებული წესდება.

**ინგლისური** კანონმდებლობით, მეწარმე სუბიექტად აღიარებულია: ამხანაგობა და კომპანია. ამხანაგობა (სრული და შეზღუდული) არ არის იურიდიული პირი და ყალიბდება partnership-ის ან შეზღუდული პასუხისმგებლობის partnership სახით, ხოლო კომპანია (სააქციო კაპიტალით ან უიმისოდ, შეზღუდული ან შეუზღუდავი პასუხისმგებლობით) იურიდიული პირის სტატუსს ატარებს (1985 წლის კანონი “კომპანიათა შესახებ”, მუხ. 13(1)). კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებია მემორანდუმი და კომპანიის შიგარეგლამენტი. ინგლისში სავაჭრო ამხანაგობა სახელშეკრულებო გაერთიანებაა განსხვავებით კომპანიისაგან, რომელიც კაპიტალის გაერთიანებას წარმოადგენს. იგი იქმნება ფიზიკური და/ან იურიდიული პირების მიერ. partnership-ის სადამფუძნებლო დოკუმენტია ხელშეკრულება. partnership-ის რეგისტრაცია დაიშვება, თუ არ იქნება გამჟღავნებული მისი პარტნიორების ვინაობა. პარტნიორები უშუალოდ მონაწილეობენ ამხანაგობის მართვაში, ასევე უფლებამოსილი არიან გამოვიდნენ ურთიერთობაში ამხანაგობის აგენტად (წარმომადგენლად). Partnership-ის პარტნიორები ამხანაგობის ვალდებულებებზე კრედიტორთა და მესამე პირთა წინაშე პასუხს აგებენ მთელი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

ინგლისური კომანდიტური ამხანაგობა (შეზღუდული პასუხისმგებლობის partnership) პირთა სახელშეკრულებო გაერთიანებაა, რომელიც მოქმედებს ინგლისის 1890 წლის “შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის შესახებ” კანონის საფუძველზე. მასში ერთიანდებიან სრული და შეზღუდული პასუხისმგებლობის (კომანდიტები) პარტნიორები. აღსანიშნავია, რომ ინგლისში ასეთი სახის ამხანაგობამ პრაქტიკული გავრცელება ვერ პოვა.

ინგლისის კანონით “კომპანიათა შესახებ”, კომპანია წარმოშობის წესით შეიძლება იყოს საჯარო ან კერძო. საჯარო კომპანიების კაპიტალი იქმნება აქციებზე საჯარო ხელის მოწერით, ხოლო კერძო კომპანიების კაპიტალი – უშუალოდ დამფუძნებელთა მიერ. კომპანიის ვალდებულებებზე პარტნიორთა (აქციონერთა) პასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით ასხვავებენ შეზღუდული და შეუზღუდავი (სრული) პასუხისმგებლობის მქონე კომპანიებს. პრაქტიკაში გავრცელებულია შეზღუდული პასუხისმგებ-

ლობის საჯარო და კერძო კომპანიები. ასეთი კომპანიები იქმნება ორი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც კომპანიის ვალდებულებებზე საკუთარი ქონებით პასუხს არ აგებენ. შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანია თავისი სამართლებრივი სტატუსით შეესაბამება კონტინენტური ევროპის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, თუმცა ასეთი კომპანიებისთვის კანონით არ არის განსაზღვრული სანესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობა (ისევე, როგორც ქართული კანონმდებლობის მიხედვით). თავის მხრივ, რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს კომპანიაში კაპიტალის არსებობას, რომელიც პარტნიორთა შენატანებით იქმნება, თუმცა მისი რაოდენობა არ მიეთითება კომპანიის რეგისტრაციისას, რაც მას უპირატესობას ანიჭებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებთან შედარებით.

კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებია: კომპანიის მემორანდუმი და მისი შიგა რეგლამენტი, რომელიც არეგულირებს კომპანიის ურთიერთობას მესამე პირთან და პარტნიორთა შორის. კომპანიის პარტნიორთა (აქციონერთა) უფლებები განისაზღვრება მათ საკუთრებაში არსებული აქციების კატეგორიათა (კლასების) მიხედვით (ჩვეულებრივი, პრივილეგირებული, ხმის არმქონე, კონვერტირებადი, გამოსყიდვისუნარიანი და სხვა). ინგლისური კომპანიის მართვა ორდონიანია, პარტნიორთა საერთო კრება (მართვის უმაღლესი ორგანო) და დირექტორი (დირექტორები) (აღმასრულებელი ორგანო).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიები შინაარსით შეესაბამება კონტინენტური ევროპის სააქციო საზოგადოებებს. კომპანიის ეს ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანიისაგან საჯარო ხასიათით განსხვავდება, კერძოდ:

- საჯაროა ინფორმაცია კომპანიის საქმიანობისა და მის მიერ დადებული გარიგებების შესახებ;
- ზოგიერთ გარიგებებთან მიმართებაში (სესხი, გარანტია, ფინანსური დახმარება და ა.შ.) კომპანიის დირექტორის წარმომადგენლობის უფლებამოსილება შეზღუდულია;
- კომპანიის აქციონერთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება მინიმუმ 2 აქციონერთ.


აშშ-ში, როგორც ინგლისში, სრული ამხანაგობა (partnership) არ არის იურიდიული პირი. ამხანაგობა სახელშეკრულებო გაერთიანებაა და მოქმედებს "ამხანაგობათა შესახებ" 1914 წლის (1992 წლის რედაქციით) აშშ-ის ერთიანი კანონის შესაბამისად. Partnership-ის სპეციალური რეგისტრაცია ხდება მაშინ, თუ არ მულავენდება მისი პარტნიორების ვინაობა. Partnership-ის სადამფუძნებლო დოკუმენტია ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად. პარტნიორთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის მოცულობა ინგლისური Partnership-ის ანალოგიურია.

აშშ-ში კომანდიტური ამხანაგობა (შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა) ორი ან მეტი პირის სახელშეკრულებო გაერთიანებაა და მოქმედებს "შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობათა შესახებ" აშშ-ის ერთიანი კანონის შესაბამისად (ეს კანონი მოქმედებს აშშ-ის ყველა შტატში, ლუიზიანას გარდა).

ამერიკული დახურული კორპორაცია შინაარსით კონტინენტური ევროპის შპს-ს შეესაბამება. დახურული კორპორაცია იურიდიული პირია და მისი სამართლებრივი მდგომარეობა ლეგალიზებულია სასამართლო პრაქტიკით და ცალკეული შტატების კანონით (მაგ., დელავერის შტატის "კორპორაციათა შესახებ" საერთო კანონის მე-14 ქვეგანყოფილებით), ფაქტობრივად, იგი ინგლისური კერძო კომპანიის ანალოგიურია. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს აქციათა თავისუფალი გადაცემისა და მონაწილეთა რაოდენობის შეზღუდვაში (დელავერის შტატის "კორპორაციათა შესახებ" ერთიანი კანონის §342 თანახმად, კორპორაციის მონაწილეთა რაოდენობა ოცდაათს არ უნდა აღემატებოდეს).

ამერიკული ღია კორპორაცია შინაარსით კონტინენტური ევროპის სს-ს შეესაბამება. მისი სამართლებრივი რეგლამენტაცია დგინდება შტატების კანონებით. მათ შორის მნიშვნელოვანია ნიუ-იორკის შტატის 1963 წლის კანონი "სამეწარმეო კორპორაციათა შესახებ" და დელავერის შტატის 1899 წლის საერთო კანონი "კორპორაციათა შესახებ", რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამერიკის დანარჩენი შტატების კანონმდებლობაზე.

გარდა ამისა, 1969 წელს ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ შეიმუშავა ე.წ. სამაგალითო კანონი "სამენარმეო კორპორაციათა შესახებ", რომლის საფუძველზე ცალკეულ შტატებს შესაძლებლობა მიეცა შეემუშავებინა საკუთარი კანონები.



## მენარმე სუბიექტთა რეგისტრაცია

მენარმე სუბიექტთა რეგისტრაციის წესსა და პირობებს არეგულირებს საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ". მისი მიზანია სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტთა აღრიცხვა. საწარმოს/მენარმის რეგისტრაცია ხელს უწყობს მათ დროულ ჩართვას თანამედროვე სამენარმეო ბრუნვაში.

მენარმე სუბიექტი, როგორც "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტი, არსებობას იწყებს მხოლოდ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან.

2008-2010 წლებში "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა საწარმოთა რეგისტრაციის გამარტივების თვალსაზრისით, შედეგი აბსოლუტურად ნათელია: შემცირდა სარეგისტრაციო ვადები, სარეგისტრაციო ხარჯები, საბოლოოდ განხორციელდა "ერთი სარკმლის" პრინციპი, მოხდა რეგისტრაციის პროცედურისა და სარეგისტრაციო მოთხოვნების მაქსიმალური და გონივრული დერეგულირება.

ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურები, მათთან დაკავშირებული ვადები და ხარჯები სხვადასხვა ქვეყანაში რადიკალურად განსხვავდება. მაგალითად, სარეგისტრაციო პროცედურების რაოდენობა მერყეობს ორიდან (კანადა) ოცდაერთამდე (დომინიკის რესპუბლიკა); სარეგისტრაციო ვადა – ორი სამუშაო დღიდან (კანადა, ავსტრალია) 152 სამუშაო დღემდე (მადაგასკარი); სარეგისტრაციოდ გასანევი ხარჯი – 0,5 % მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე (აშშ), 4,6 მშპ-მდე ერთ სულ მოსახლეზე (დომინიკის რესპუბლიკა).

საწარმოთა რეგისტრაციის გამარტივებული და მოდერნიზებული პროცედურები მეტ მოტივაციას ქმნის ქვეყნის შიგნით ახალი ბიზნესის დასაწყებად. შეიცვალა რეგისტრაციის განმხორციელებელი ორგანო, მისი ვადები, სარეგისტრაციო პროცედურების რაოდენობა და მასთან დაკავშირებული ხარჯები. მსოფლიო ბანკის “doing business” 2006 წლის რეიტინგის თანახმად, 2005 წელს საქართველოში კომპანიის დაფუძნებისთვის საჭირო იყო რვა პროცედურა, 21 დღე და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის 13.7%. “doing business”-ის უკანასკნელი მონაცემებით, საქართველომ მე-10 ადგილი დაიკავა.

საქართველოში მეწარმე სუბიექტთა რეგისტრაციას, 2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იგი მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მეწარმე სუბიექტის არსებობა დგინდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით. რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობის ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსება.

მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას მარეგისტრირებელი ორგანო ახდენს მისი ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) მიხედვით, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – მის მიერ განცხადებული საცხოვრებლის/საქმიანობის ადგილის მიხედვით.

საფრანგეთში მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახდენს სავაჭრო სასამართლოები, ხოლო იმ ტერიტორიებზე, სადაც ასეთი სასამართლოები არ არსებობს, რეგისტრაცია წარმოებს საერთო სასამართლოების მიერ; გერმანიაში – პირველი ინსტანციის სასამართლოები; ფედერალური მიწის მთავრობის გადაწყვეტილებით, იურიდიულ პირთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონული საშუალებით ავტომატურ რეესტრში. გერმანიაში სამეწარმეო

რეესტრის ჩანაწერებს ახორციელებს მოსამართლე ან ამისთვის განკუთვნილი თანამდებობის პირი - "რეხსტფლეგერი". ის აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს სპეციალური საპროცესო კანონით "უდავო საქმეების სამართალწარმოების შესახებ".

შვეიცარიაში - კანტონების ადმინისტრაციული ორგანოები; ინგლისში - კომპანიის რეგისტრატორი<sup>1</sup> ინგლისის ვაჭრობის სამინისტროს მიერ წარმოებულ სავაჭრო რეესტრში. აშშ-ში - შტატის მდივანი; რუსეთში - საგადასახადო ორგანო.

რეგისტრაციის ყველაზე მარტივი ფორმა ინდივიდუალური მენარმისთვისაა გათვალისწინებული. ფიზიკური პირი ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციისას მარეგისტრირებელ ორგანოში წარადგენს განცხადებას და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას. განცხადება უნდა შეიცავდეს:

- ა) განმცხადებლის სახელს;
- ბ) განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- გ) განმცხადებლის პირად ნომერს;
- დ) განცხადების შევსების თარიღს;
- ე) განმცხადებლის ხელმოწერას.

სარეგისტრაციო განაცხადის შესავსებად პირს უფლება აქვს, გამოიყენოს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ გაცემული სარეგისტრაციო განაცხადის ფორმა ან მისი ასლი ნებისმიერ მატარებელზე.

განმცხადებელი უფლებამოსილია სარეგისტრაციოდ წარდგინდოს განცხადებაზე გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა, „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხ. 5<sup>4</sup>).<sup>2</sup>

საწარმოს შექმნის მიზნით პარტნიორები ადგენენ წესდებას (შეთანხმებას). წესდება ლოკალური აქტია, რომლის საფუძველზე რეგულირდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორებს შორის არსებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. პარტნიორთა შეთანხმების (წესდების) ნაწილი, რომელიც შეიცავს კანონით დადგენილი სარეგისტრაციო განაცხადით გათვალისწინებულ მონაცემებს და, შესაბამისად, რეგისტრირდება რეესტრში (ატარებს საჯა-

<sup>1</sup> რეგისტრატორები მოქმედებენ 1985 წლიდან ინგლისში, უელსსა და შოტლანდიაში.

<sup>2</sup> დაწერილებით იხ: ლ. გორგაძე. სამენარმო სუბიექტთა რეგისტრაციის რეალური პრობლემატიკა. ყ. ინტელექტუალი №6, 2008.

რო ხასიათს) არის სარეგისტრაციო განაცხადი. წესდება პარტნიორთა შეთანხმების ის ნაწილია, რომლის რეგისტრაცია 2010 წლის მაისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად არ არის სავალდებულო, იგი იდება წერილობითი ფორმით და მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ ენაზე.

საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც ამავედროულად არის პარტნიორთა შეთანხმების (წესდების) ნაწილი და რომელშიც სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს:

ა) საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება;

ბ) საწარმოს სამართლებრივი ფორმა;

გ) საწარმოს იურიდიული მისამართი;

დ) საწარმოს პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;

ე) საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები შპს-ს პარტნიორთა/კომანდიტთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ;

ვ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – აღნიშვნა, რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული;

ზ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში შპს-ს პარტნიორთა/კომანდიტთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

თ) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;

ი) პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;

კ) თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს, უნდა მიეთითოს, ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს, თუ ცალ-ცალკე;

ლ) პარტნიორებს უფლება აქვთ რეესტრში მიუთითონ სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი და მისი უფლებამოსილების ფარგლები. ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი;

მ) სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. თუ სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი იურიდიული პირია, უნდა მიეთითოს მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ.

სარეგისტრაციო განაცხადის სანოტარო წესით დამონმება სავალდებულო არ არის, თუ უფლებამოსილი პირები მას ხელს მარეგისტრირებელ ორგანოში აწერენ ან, დადგენილი წესით, დამონმებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ხელმოწერის დამონმების წესი და პირობები განისაზღვრება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით).

თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსთვის დადგენილ ეკვივალენტურ მონაცემებს. სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტების ეკვივალენტურობის დადგენის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში მისი იურიდიულ პირად რეგისტრაც-

ციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამონმებული ან ლეგალიზებული უნდა იქნეს სათანადო წესით.

რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება.

ასევე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნოვაციაა, თუ საწარმოს საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რეალიზაციასთან, საკვებწარმოების ობიექტებთან, სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში აღნიშნულის მითითება სავალდებულოა. ასეთი საწარმოს საქმიანობის რეგისტრაციის დამატებითი პირობები განისაზღვრება ინსტრუქციით, ხოლო საფასური „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხ.5).

აღსანიშნავია, რომ საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენენ: შპს-ს, სს-ს, კოოპერატივს – დირექტორები; სპს-ს – პარტნიორები; კს-ს – კომპლემენტარები. საწარმო მესამე პირებთან ურთიერთობაში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ასევე პროკურისტებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირებით, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ბოლო პერიოდში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა განაპირობა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა ხელმოწერის როლის ამალღება, რამაც საქმიანი ურთიერთობებიდან ბეჭდის არსებობის აუცილებლობა მოხსნა. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში დამკვიდრებული ტრადიცია ბეჭდის სანდოობის თაობაზე მაინც ვერ აღმოიფხვრა, სწორედ ამ მიზეზით კანონში გაჩნდა უფრო ნათელი დებულება, კერძოდ, საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილ იქნეს საწარმოს ბეჭდით დამონმებული ნებისმიერი დოკუმენტი (მუხ. 5.5).

კანონი ითვალისწინებს საწარმოს/მენარმის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესაძლებლობას. იმდენად, რამდენადაც სამენარმეო სუბიექტის დაფუძნებისა და რეგისტრაციის პროცედურა ძალიან გამარტივდა, უარი მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებშია გათვალისწინებული (მუხ. 5<sup>3</sup>), კერძოდ:

ა) მოთხოვნა რეგისტრაციის შესახებ ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აკმაყოფილებს “მწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

ბ) სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები;

გ) არ არის გადახდილი მომსახურების საფასური.

ასეთ შემთხვევაში, მარეგისტრირებელი ორგანო განმცხადებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აძლევს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 30 დღის ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება აღმოფხვრილი, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადანყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია, გარდა მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა.

მარეგისტრირებელი ორგანოს უარი საწარმოს რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს (პირებს) ან სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილ პირს. აღნიშნული არ ზღუდავს პარტნიორების უფლებას რეესტრში დარეგისტრირებული გადანყვეტილების მიღების წესის შესაბამისად უზრუნველყონ სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის შესახებ პირდაპირ არის მითითებული განაცხადში.

სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილებას ხელს აწერს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი ან სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ ცვლილებებს წარადგენენ პარტნიორები, მას ხელი უნდა მოაწერონ პარტნიორებმა რეესტრში რეგისტრირებული გადანყვეტილების მიღების წესის შესაბამისად და დაამოწმონ სათანადო წესით. ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ საჯარო რეესტრში დოკუმენტის რეგისტრაციის შემდეგ.

სააქციო საზოგადოებაში პარტნიორების (აქციონერების) და მათი წილობრივი მონაწილეობის ცვლილება არ მოითხოვს ცვლილებებს წესდებაში და რეგისტრაციას მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება ასევე გულისხმობს, ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პროცესის, ასევე გადახდისუნარიობის, გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის, ლიკვიდატორის, რეაბილიტაციისა და გაკოტრების მმართველის შესახებ ინფორმაციის ასახვას მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილება ძალაშია მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (მუხ. 5<sup>1</sup>).

სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილება ძალაშია მარეგისტრირებულ ორგანოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს რეესტრიდან ამონაწერი (ამონაწერის გაცემის ვადები, საფასური, ასევე მის გაცემაზე უარის თქმის საფუძველები რეგულირებულია საქართველოს კანონით „საჯარო რეესტრის შესახებ“). ამონაწერი მზადდება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის რეგისტრირებული სუბიექტის, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა შეზღუდვის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. შეზღუდული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებების შემთხვევაში ამონაწერი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პარტნიორთა წილებზე, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს.

საკანონმდებლო სიახლეა სანარმოს რედომიცილების შესაძლებლობა (მუხ. 5<sup>1</sup>), რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის სანარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანას (რედომიცილებას) სანარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად. საქართველოში რედომიცილებული სანარმო შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით. რაც შეეხება საქართველოში რეგისტრირებულ სანარმოს, უფლება აქვს გადაიტანოს რეგისტრაცია უცხო ქვეყანაში, სანარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად, თუ:

ა) ამ ქვეყანასთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული სანარმოს რედომიცილება;

ბ) სანარმოს წინააღმდეგ საქართველოში არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან გადახდისუუნარობის საქმის ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება;

გ) სანარმოს რედომიცილების დროისათვის საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიმართ არ აქვს დავალიანება.<sup>1</sup>

წარმოდგენილი საკანონმდებლო ნოვაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს ოფშორიზაციისაკენ, ვინაიდან ასეთი კატეგორიის სამართლებრივი ნორმები დამახასიათებელია ოფშორული სახელმწიფოებისათვის, სადაც განვითარებულია საფინანსო სექტორი და ხშირია სანარმოთა რედომიცილების ფაქტები.

სანარმოს რედომიცილება სამართლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო პროცედურაა, ამიტომ კანონმა დაადგინა, რომ საქართველოში რეგისტრირებული სანარმოს რედომიცილება, თავისი შინაარსით, სანარმოს რეორგანიზაციის ტოლფასია და მასზე ვრცელდება სანარმოს რეორგანიზაციის მარეგულირებელი ნორმები.

<sup>1</sup> რედომიცილების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ლიკვიდაციის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო ვალდებულია განახორციელოს "მენარმეთა შესახებ" კანონითა და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მოქმედება, რის შედეგადაც სანარმო სამენარმეო რეესტრიდან ამოიშლება.

კონტინენტური ევროპის სამართლებრივი დოქტრინა აღიარებს, რომ სანარმოთა სახელმწიფო რეგისტრაცია ატარებს კონსტიტუციურ ან დეკლარაციურ ხასიათს. რეგისტრაცია კონსტიტუციურია, როცა კანონით მისი განხორციელება სამართალდამდგენი მნიშვნელობისაა, როგორც იურიდიული ფაქტისა, რომლის საფუძველზეც პირს მენარმის სტატუსი ენიჭება. რეგისტრაციის კონსტიტუციურ ხასიათს აღიარებს ყველა ქვეყანა კაპიტალურ საზოგადოებებთან მიმართებაში, ხოლო საფრანგეთი - ნებისმიერ "ამხანაგობასთან" მიმართებაში.

რეგისტრაციას აქვს დეკლარაციული ხასიათი, როდესაც პირი მენარმეა არა მენარმოების განხორციელების შედეგად, არამედ სამენარმეო (სავაჭრო) ხასიათის გარიგებათა დადების საფუძველზე ანუ რეგისტრაციისაგან დამოუკიდებლად. მაგ., გერმანიაში ე.წ. სახელშეკრულებო ამხანაგობის რეესტრში გატარება დეკლარაციული ხასიათისაა. ამხანაგობა ითვლება არსებულად სამენარმეო საქმიანობის განხორციელების დღიდან, თუ, რა თქმა უნდა, აღნიშნული მომენტი დროით წინ უსწრებს რეგისტრაციას.

უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში სანარმოს შექმნა მოიცავს ერთმანეთის თანამიმდევრულ პროცესებს. გერმანიაში ეს ფაქტი დაფუძნებულია საზოგადოების პარტნიორთა ნოტარიულად დამონმბულ ხელშეკრულებაზე. ამის საფუძველზე ხდება საზოგადოების დამფუძნებელთა თავმოყრა. ისინი აყალიბებენ საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას, იღებენ ვალდებულებას საზოგადოების სანესდებო კაპიტალში შენატანების შესახებ და ა.შ. მაგალითად, შპს "შექმნილად" ითვლება პარტნიორთა ხელშეკრულების დადების მომენტიდან.<sup>1</sup> ამ ეტაპზე იგი, ისევე, როგორც სააქციო საზოგადოება, დაფუძნების პროცესში იმყოფება და წარმოგვიდგება, როგორც ჯერ კიდევ რეგისტრაციაში გაუტარებელი საზოგადოება (Vor.GmbH).

<sup>1</sup> GmbH - Gesetz. §29.

სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით მოპოვებული უფლებები წარმოადგენს დამფუძნებლების საერთო უფლებებს, მიუხედავად მათი წილისა, თუ სხვა რამ არ იყო მათ შორის შეთანხმებული. წინარე საზოგადოების სახელით ვალდებულებების ამღები პირები და დამფუძნებლები რეგისტრაციის მომენტამდე პერსონალურად და სოლიდარულად აგებენ პასუხს კრედიტორების წინაშე. სამენარმეო რეესტრში საზოგადოების რეგისტრაციის მომენტიდან წინარე საზოგადოების მიერ მოპოვებული უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები ხდება რეგისტრირებული საზოგადოების უფლებები და ვალდებულებები.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობა წლების განმავლობაში წარმოადგენდა ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფ საზოგადოებას, როგორც ეგრეთ წოდებულ "ქმედუნარო კავშირს".<sup>1</sup> პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამგვარი მიდგომა არასწორია. "ეს არის განსაკუთრებული სახის "გაერთიანება", რომელიც ქმედუნარიანობისაგან დამოუკიდებლად შეესაბამება ჩამოყალიბების პროცესში მყოფ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. ასეთი "გაერთიანების" მიმართ უკვე გამოიყენება არა მხოლოდ პარტნიორთა ხელშეკრულების, არამედ კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებიც. ეს ნორმები ნებას რთავს პარტნიორებს – საზოგადოების სამენარმეო რეესტრში შეტანამდე დააფუძნონ საზოგადოება, შექმნან საზოგადოების ქონება, ასევე ნებას რთავს საზოგადოების დამფუძნებლებს მონაწილეობა მიიღონ სამართლებრივ ურთიერთობებში.

საინტერესოა ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფი საზოგადოების წარმომადგენლობის და პასუხისმგებლობის საკითხი მესამე პირთა მიმართ. მაგალითად, თუ პარტნიორები შპს-ის რეგისტრაციამდე, ჩამოყალიბების პროცესში, დადებენ გარიგებას, ხოლო ამ უკანასკნელიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა დადგება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ, ისინი პასუხს აგებენ არა როგორც შპს-ის პარტნიორები, არამედ, როგორც სოლიდარული მოვალეები (პირდაპირ, უშუალოდ, მთელი თავისი ქონებით).

წარმოდგენილი პრობლემა საქართველოში საკანონმდებლო ცვლილებათა განხორციელების შედეგად აღმოიფხვრა.

<sup>1</sup> Grundung und Beendigung der GmbH Einmann - GmbH. S.365.

## საწარმოს ფილიალის დაარსება

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს უფლება აქვს დააარსოს ფილიალი (ლათ. filialis – შვილობილი, filius – შვილი, ინგლ. filial), წარმომადგენლობა (ინგლ. representation of juridical person), ბიურო (ფრანგ. bureau), სააგენტო (ლათ. agens/agentis), რომლებიც, თავის მხრივ, საწარმოსაგან ტერიტორიულად განცალკევებული სტრუქტურული ერთეულებია, ემსახურება საწარმოს საქმიანობის სფეროს გაფართოებას, არ აქვთ იურიდიული პირის სტატუსი.

საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ" განიხილავს მხოლოდ ფილიალის შექმნის საკითხს (მუხ. 16), დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების მიმართ კი კანონი ერთგვარად "გულგრილია". საგულისხმოა, რომ მათი შექმნისას საწარმომ ფილიალის მარეგულირებელი ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს.

მართალია, ფილიალი არ არის იურიდიული პირი, მაგრამ მის მიმართ კანონმდებელი მაინც აყენებს კონკრეტულ მოთხოვნებს. კერძოდ, ფილიალი ყოველთვის საწარმოს ნაწილია, ამასთან, აქვს გარკვეული ორგანიზაციული დამოუკიდებლობა; იგი უნდა იყოს ტერიტორიულად განცალკევებული, მის მიზანს საწარმოს ადგილსამყოფელის გარეთ საზოგადოების მთელ ან ნაწილობრივ ფუნქციათა შესრულება წარმოადგენს.

კანონის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს ფილიალი რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

ფილიალის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას სხვადასხვა საწარმოში სხვადასხვა ორგანო იღებს. მაგალითად, შპს-ში პარტნიორთა საერთო კრება, სააქციო საზოგადოებაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დანარჩენი სახის სამართლებრივ ფორმებში – საწარმოს ხელმძღვანელების მიერ ისე, რომ შეიძლება არც იყოს საჭირო საერთო კრების ჩატარება.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დარეგისტრირებულ საწარმოს, ასევე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ საქართველოში დარეგისტრირებულ საწარმოს, შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე და, შესაბამისად, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დააარსოს ფილიალი იმავე წესით, რა წესითაც უცხო ქვეყნის საწარმოები. კერძოდ, უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის საქართველოში დაარსების შემთხვევაში მარეგისტრირებულ ორგანოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

- ა) განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამონმებული საწარმოს გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;
- გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამონმებული “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი მონაცემები კონკრეტული საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის შესახებ.

უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დანესებულების) რეგისტრაციას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო, ფილიალის იურიდიული მისამართის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში სარეგისტრაციო დოკუმენტები მოითხოვს აპოსტილით დამონმებას.

კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარდგენის-  
თანავე, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უცხო ქვეყნის  
საწარმოს ფილიალი (მუდმივი დაწესებულება) რეგისტრაციაში  
გაატაროს (მუხ. 16).

საწარმოები და უცხო ქვეყნის საწარმოთა ფილიალები (მუდმივი  
დაწესებულებები), რომლებიც საქართველოს ფინანსთა სამინის-  
ტროს მონაცემთა ბაზაში აღრიცხულია, როგორც გადასახადის  
გადამხდელები, მაგრამ არ აქვს გავლილი სახელმწიფო რეგისტრა-  
ცია, საგადასახადო აღრიცხვის დროისათვის, მოქმედი კანონმდებ-  
ლობით დადგენილი წესით, ითვლება რეგისტრირებულად და ვალდე-  
ბულია სარეგისტრაციო დოკუმენტაცია მოიყვანოს შესაბამისობაში  
კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ამ პირობის შეუსრულებლობის  
შემთხვევაში, მათზე ვრცელდება “მენარმეთა შესახებ” საქართვე-  
ლოს კანონის მე-14 მუხლის 102 პუნქტით დადგენილი წესები.

## საწარმოს საფირმო სახელწოდება

ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის საწარმო სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობს განსაზღვრული სახელით (სახელწოდებით), რომელსაც ფირმა ეწოდება (non comercial, Firma, trade name).

სახელის უფლება არამატერიალურ ქონებრივ უფლებებს განეკუთვნება, განსაკუთრებით კომერციული ურთიერთობის სფეროში.<sup>1</sup>

ზოგადად სამოქალაქო სამართალი სახელის უფლებას დიფერენცირებულად წარმოადგენს. ერთ შემთხვევაში სახელის უფლება წარმოდგენილია, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება (სამოქალაქო სახელი), მეორე შემთხვევაში, როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება (კომერციული სახელწოდება). პირადი არაქონებრივი უფლებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი ისაა, რომ მისი გადაცემა სხვა პირისათვის შეუძლებელია, იგი გადაცემაუუნარო უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება. ადამიანის სახელი ყოველთვის ინდივიდუალურია და კონკრეტული პიროვნების იდენტიფიკაციას ახდენს.

კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა ადამიანის სახელი “გადაცემაუნარიანია”. ამის შესაძლებლობას “მეწარმეთა შესახებ” კანონი ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო (კომერციულ) სახელწოდებად, საწარმოს ქონების ნაწილად და შეიძლება განვიხილოთ, როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება.

სამოქალაქო სახელი ყოველთვის პირადი არაქონებრივი სიკეთეა, რომლის გასხვისება და სხვა პირზე გადაცემა დაუშვებელია; სავაჭრო, კომერციული სახელი (სახელწოდება) – არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემა სხვა პირზე კანონით დადგენილი წესით დასაშვებია. აღნიშნული ცხადყოფს მის არამატერიალურ ქონებრივ ხასიათს. ამასთან, აღსანიშნავია ის შეზღუდვა, რომელსაც კანონი აწესებს: საფირმო სახელწოდება შეიძლება მხოლოდ იმ საწარმოსთან ერთად გასხვისდეს, რომლის სახელწოდების აღმნიშვნელიცაა. ცალკე სახელის გასხვისება დაუშვებელია.

<sup>1</sup> Baumbach / Itefermchl, §16 vWG Rn 27.

საფირმო სახელწოდება მენარმის იდენტიფიკაციისა და მისი საქმიანობის ინდივიდუალიზაციის საშუალებაა, ამიტომ მისი ქონა მოვალეობაა, იგი საწარმოს ქონებრივი კომპლექსის ნაწილია, რომლის მნიშვნელობა და ეკონომიკური დანიშნულება ბაზარზე იზრდება საწარმოს რეპუტაციის ამაღლებასთან ერთად.

საფირმო სახელწოდების სამეურნეო-ეკონომიკური დანიშნულება განსაზღვრავს მისი შექმნის, გამოყენებისა და დაცვის პირობების რეგულირებას (მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის – მუხ. 18; მენარმეთა შესახებ კანონის მუხ. 6; გერმანიის სავაჭრო კოდექსის - §18-23; შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის – მუხ. 876, 944-956; ინგლისის "კომპანიათა შესახებ" კანონის მუხ. 22-30; საფრანგეთის "სავაჭრო ამხანაგობათა შესახებ" კანონის მუხ. 9,11,25,34 და 70, და ა.შ.).

მენარმე სუბიექტის სახელწოდება უნდა პასუხობდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნები ეყრდნობა ფირმის ქეშმარიტების პრინციპს. ქართული კანონმდებლობით, ინდივიდუალური მენარმე საქმიან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი პარტნიორის სახელს, „სპს“-სთან ერთად. ასევე კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი სრული პარტნიორის სახელს, „კს“-სთან ერთად. თუ სპს-სა და კს-ში გაერთიანებულია მხოლოდ იურიდიული პირები, მათი სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთერთის საფირმო სახელწოდებას შესაბამისი დამატებით.

ზოგიერთ შემთხვევაში, ზემოხსენებული პრინციპი ირღვევა, რაც, თავის მხრივ, მართლზომიერების ჩარჩოებში ჯდება. საწარმოს გასხვისება ან პარტნიორთა შეცვლა საწარმოს მესაკუთრის შეცვლას ნიშნავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელს უფლება აქვს ისარგებლოს ძველი სახელწოდებით, წინანდელი მესაკუთრის თანხმობით.

რაც შეეხება კაპიტალურ საზოგადოებებს, მათზე საფირმო სახელწოდების ქეშმარიტების პრინციპი, მისი კლასიკური გაგებით, არ მოქმედებს. პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას და კოოპერატივს შეუძლია საფირმო სახელწოდება

შეარჩიოს მათი საქმიანობის საგნის მიხედვით ან შეიძლება ეს სახელწოდება იყოს ფანტაზიის ნაყოფი, ამასთან, უნდა შეიცავდეს: სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – დამატებას „სააქციო საზოგადოება“ ან „სს“, ან „კორპორაცია“; შპს-ის შემთხვევაში – დამატებას „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „შპს“; კოოპერატივის შემთხვევაში – დამატებას „რეგისტრირებული კოოპერატივი“ ან „რკ“.

მნიშვნელოვანია, რომ მენარმე სუბიექტის საფირმო სახელწოდებას არ უნდა დაერთოს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა, ან/და გაუგებრობა სანარმოს სამართლებრივი ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის, ან/და პარტნიორთა ურთიერთობის გამო.

საფირმო სახელწოდებაზე უფლება, როგორც სამრეწველო სა-კუთრების ელემენტის უფლება, ეკუთვნის მხოლოდ მის მფლობელს. იგი უფლებამოსილია კომერციულ ოპერაციებში სხვადასხვა წესით გამოიყენოს საფირმო სახელწოდება. მაგ., საქონლის რეკლამირებისას, სასაქონლო ნიშნის ელემენტის სახით, სანარმოს აბრაზე, საქონლის შეფუთვაზე და ა.შ.

საფირმო სახელწოდებაზე განსაკუთრებული უფლება გულისხმობს, რომ ყველა სხვა მენარმე სუბიექტს ეკრძა-ლება იგივე სახელწოდების ან სასაქონლო ნიშნის საქმიან ურთიერთობებში გამოყენება. თუ კანონის აღნიშნული მოთხოვნა დაირღვევა, რამაც შეიძლება საზოგადოების შეცდომაში შეყვანა გამოიწვიოს, დამრღვევის წინააღმდეგ გამოიყენება ქონებრივი, ადმინისტრაციული და, ზოგიერთ შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივი სანქციები.

სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის მე-9 მუხლში აღნიშნულია, რომ იმ საწარმოს საქონელი, რომელსაც საფირმო სახელწოდების სახელი აქვს, შეიძლება "დაპატიმრდეს" ან, უკეთეს შემთხვევაში, აიკრძალოს სახელმწიფოში მისი შეტანა.

საფირმო სახელწოდებაზე უფლება წარმოიშობა მისი სამეურნეო ბრუნვაში ფაქტობრივი გამოყენების საფუძველზე. ეს წესი იმ შემთხვევაზეც ვრცელდება, როცა პირი აუცილებელი რეგისტრაციის დროს მას რეესტრში ატარებს.

საფირმო სახელწოდების რეგისტრაცია დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და მესამე პირთა საჯაროდ ინფორმირებას ემსახურება.

## სანარმოს ქონება

"სიმდიდრე ქონების საკუთრებაში კი არა, მისით სწორად სარგებლობაში გამოიხატება."

არისტოტელე

სანარმოს ქონება მისი საქმიანობის ეკონომიკური ბაზაა. იგი სანარმოს სხვადასხვა იურიდიულ საფუძველზე ეკუთვნის; კერძოდ, სანივთო-სამართლებრივი ნორმების ან ვალდებულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე. სანივთო სამართალი არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც პირთა ურთიერთობებს ნივთებთან აწესრიგებს. ვალდებულებითი სამართალი კი არეგულირებს ქონების გადაცემასთან, სამუშაოს შესრულებასთან, მომსახურების განევასთან, ზიანის მიყენებასთან, უსაფუძვლო გამდიდრებასა და სხვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

საგულისხმოა, რომ სანივთო უფლებები numerus clausus-ს პრინციპითაა განსაზღვრული. ე.ი. არსებობს იმდენი სანივთო უფლება, რამდენიც კანონითაა დადგენილი. ესენია: საკუთრება, აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი, გირავნობა, იპოთეკა. ვალდებულებითი სამართალი კი თავისუფალია ასეთი შეზღუდული ფორმულირებისაგან, მას არა აქვს სისრულის პრეტენზია.

თუ სანარმოს ქონება მესაკუთრის უფლებით ეკუთვნის. მას აქვს ამ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება.

საკუთრების ფორმის მიუხედავად, სანარმოს ქონება უნდა იყოს განცალკევებული და მასზე დამაგრებული. ეს ხორციელდება სანარმოს დამოუკიდებელი ბალანსის მეშვეობით, იგი წარმოადგენს არა მარტო საბუღალტრო, არამედ იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც სანარმოს ქონების განცალკევებას უზრუნველყოფს.

სანარმოზე ქონების იურიდიული დამაგრების საფუძველი შეიძლება მინდობილი მართვის ხელშეკრულება (ტრასტი) იყოს.

ტრასტი არის საკუთრების მართვის მინდობის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საკუთრების მიმნდობი ქონებას გადასცემს მინდობილ მმართველს, რომელიც მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად. ამდენად, ტრასტი გამოიყენება არა როგორც მინდობილი საკუთრება, არამედ როგორც საკუთრების მინდობილი მართვა. სწორედ ამიტომ, იგი გამოდის ვალდებულებითი და არა სანივთო უფლების სახით.

საკუთრების მინდობილი მართვის ხელშეკრულების აუცილებლობა მაშინ წარმოიქმნება, როცა ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია მისი ეფექტური მართვა ან საკუთრების მასაში შედის მართვის სხვადასხვა ობიექტი.

ქონების მინდობილი მართვის ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ერთი მხარე (მართვის დამფუძნებელი) გადასცემს მეორე მხარეს (მინდობილ მმართველს) ქონებას, მინდობილ მმართველობაში გარკვეული ვადით, მეორე მხარე ვალდებულია განახორციელოს მინდობილი ქონების მართვა, მართვის დამფუძნებლის ან მის მიერ მითითებული პირის (სარგებლის მიმღების) ინტერესების შესაბამისად.

ქონების მინდობილი მართვის ხელშეკრულება ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა (თუ მასში მონაწილეობს მესამე პირი - სარგებლის მიმღები). ეს ფაქტორი განასხვავებს მას საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული ტრასტისაგან, რომელშიც ყოველთვის სამი მხარე მონაწილეობს.

მართალია, ქონება მინდობილ მმართველზე საკუთრების უფლებით არ გადადის, მაგრამ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია აღნიშნულ ქონებასთან მიმართებაში შეასრულოს ნებისმიერი იურიდიული ან ფაქტობრივი მოქმედება სარგებლის მიღების მიზნით (თუმცა ზოგიერთი სახის შეზღუდვა შეიძლება კანონით ან ხელშეკრულებით დადგინდეს). მინდობილი მმართველი გარიგებებში საკუთარი სახელით მონაწილეობს, ამასთან, დაურთავს მინდობილი მმართველის აღმნიშვნელ დამატებას. თუ ასეთი აღნიშვნა არ იქნა შესრულებული, იგი, კონკრეტული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებებზე ერთპიროვნულად, მთელი ქონებით აგებს პასუხს.

მინდობილი მართვის ობიექტი შესაძლოა იყოს მთლიანად საწარმო და/ან სხვა ქონებრივი კომპლექსები, ცალკეული ობიექტები, ფასიანი ქაღალდები, უფლებები და ა.შ. რაც შეეხება თავად

მინდობილ მმართველს, იგი ყოველთვის სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირია.

მინდობილი მმართველი მასზე დაკისრებულ ფუნქციებს პირადად ახორციელებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში (თუ იგი ამისათვის უფლებამოსილია ხელშეკრულებით ან მართვის დამფუძნებლისაგან მიღებული აქვს წერილობითი თანხმობა, ან უფლებამოსილებას იღებს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე) ფუნქციათა დელეგირება შეიძლება მოხდეს სხვა პირზე. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მაინც მინდობილ მმართველს ეკისრება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მინდობილი მმართველი პასუხს აგებს:

- თუ მინდობილი ქონების მართვის განხორციელებისას, მართვის დამფუძნებლის ინტერესების შესაბამისად არ იჩენს გულისხმიერებას და მზრუნველობას;

- ზოგადი წესის მიხედვით, მინდობილი მართვის განხორციელებიდან წარმოქმნილი ვალები სამართავად მინდობილი ქონების ხარჯზე იფარება. თუ ეს ქონება საკმარისი არ არის, მაშინ ადგილი აქვს სუბსიდირებულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, გადახდევინება ხდება მინდობილი მმართველის საკუთარი ქონების ხარჯზე, უკმარისობის შემთხვევაში – მართვის დამფუძნებლის, მართვისათვის მინდობილი ქონების მასაში შეუტანელი ქონების ხარჯზე;

- უფლებამოსილების გადაჭარბებით დადებული გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე.

ქონების მინდობილი მართვის ხელშეკრულების შეწყვეტისას ქონება უბრუნდება მართვის დამფუძნებელს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კერძოდ, ზემოხსენებული ქონება ანაზღაურებით ან აუნაზღაურებლად შესაძლოა გადაეცეს მინდობილ მმართველს ან წინასწარ დადგენილ მესამე პირს, ან შესაძლოა გაიყოს სხვადასხვა პროპორციით მართვის დამფუძნებელსა და მინდობილ მმართველს შორის, ან მართვის დამფუძნებელს, მინდობილ მმართველსა და მესამე პირს შორის.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქონების მინდობილი მართვის ხელშეკრულების საფუძველი მინდობილი მმართველის მიმართ არსებული ნდობაა, რაც მართვის დამფუძნებლის რწმენითაა განმტკიცებული. ნდობის ფაქტორის არსებობის აუცილებლობა იმ მარტივი მიზეზითაა განპირობებული, რომ მინდობილი

მმართველის საქმიანობაზე მინდობის დამფუძნებლის მხრიდან განხორციელებული კონტროლი მოკლებულია აბსოლუტურობას, ხოლო თავად მმართველის მიერ, პირადი გამდიდრების მიზნით, არაკეთილსინდისიერი ქცევის შესაძლებლობა საკმაოდ დიდია.

გარდა აღნიშნულისა, საწარმო ქონებას შეიძლება ფლობდეს ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე. ლიზინგი არსებითად ქირავნობაა, მაგრამ მნიშვნელოვანი თავისებურებებით. ლიზინგის ხელშეკრულებით, ძირითადად ქირავდება ძვირად ღირებული მოწყობილობა ან მოწყობილობათა კომპლექტი. ამასთან, ამ მოწყობილობათა გადაცემა ხდება ხანგრძლივი დროით, ხშირად, მოწყობილობის ეფექტური სამსახურის მთელი დროით.

პრაქტიკულად ლიზინგი კაპიტალდაბანდებათა სრული დაფინანსების განხორციელების საშუალებაა, ამასთან, საწარმოს უნარჩუნებს ფინანსურ ლიკვიდურობას.

საწარმოთა მოდერნიზაცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სწრაფად და ეფექტურად ავითარებს წარმოებას, ავსებს ბიუჯეტს, რაც წინაპირობაა მათ მიერ სახელმწიფოს მხრიდან დღეს გაცემული შეღავათების დაბრუნებისა.<sup>1</sup>

ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში მომრავლდა საწარმოები, რომლებიც თავიანთ ბიზნესს ფრენშაიზინგის საფუძველზე აგებენ. ფრენშაიზინგის მიხედვით, ერთი პირი (ფრენშაიზის გამცემი), რომელსაც აქვს საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში მართვის შემუშავებული სისტემა, ნებართვას აძლევს მეორე პირს (ფრენშაიზის მიმღებს), გამოიყენოს ეს სისტემა ფრენშაიზის მიმცემის მოთხოვნათა შესაბამისად, კომპენსაციის სანაცვლოდ.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საგანი მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების (არამატერიალურ ქონებრივ) უფლებებს. ამ შემთხვევაში აღნიშნული უფლებები ფრენშაიზის მიმღების საკუთრებაში კი არ გადადის, არამედ მას იღებს ლიცენზიის საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. დღეს საქართველოში, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, მოქმედებს ისეთი ცნობილი საწარმოები, როგორცაა: "პეპსიკო", "მაკ დონალდსი", "ბასკინ-რობინსი", "შერატონ პალასი", "მარიოტი" და სხვ.

<sup>1</sup> ქ. ქოქრაშვილი. ლიზინგის ხელშეკრულების მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. მართლმსაჯულების მაცნე, 2001, №4, გვ. 7-10; ქ. ქოქრაშვილი. საერთაშორისო ფინანსური ლიზინგი და მისი დამკვიდრების რეალური ასპექტები საქართველოში. სამართალი, 2001.

ფრენშაიზინგი (კომერციული კონცესია) არის არა მარტო მის გამცემსა და მიმღებს შორის ურთიერთობა, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს. ჯერ ერთი, ხდება ბაზარზე ახალი კონკურენტის შესვლა, რომელსაც საქმიანობის დაწყებისთანავე ბაზრის ლიდერობაზე აქვს პრეტენზია, მეორე ის, რომ ფრენშაიზინგი არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი საშუალება. ადგილობრივი ეკონომიკისათვის ფრენშაიზინგს მარტო ამით კი არ მოაქვს სარგებელი, არამედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნითა და ახალი ტექნოლოგიების შემოტანითაც. ფრენშაიზინგის სამშობლოში, აშშ-ში იგი განისაზღვრება, როგორც სანარმოს მიერ საქონლისა და მომსახურების მართვისა და გასაღების სისტემა, დისტრიბუტორთა ქსელის საშუალებით.<sup>1</sup>

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება უშუალოდ საქონლის ან მომსახურების გადაცემის ხელშეკრულება კი არ არის, არამედ მისი საშუალებით ერთი პირი (ფრენშაიზის მიმცემი), რომელსაც აქვს საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში მართვის შემუშავებული სისტემა, ნებართვას აძლევს მეორე პირს (ფრენშაიზის მიმღებს) გამოიყენოს ეს სისტემა ფრენშაიზის გამცემის მოთხოვნათა შესაბამისად, კომპენსაციის (ანაზღაურების) სანაცვლოდ.<sup>2</sup>

სანარმოს ქონება აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსზე. სწორედ დამოუკიდებლობა ასახავს სანარმოს ქონების განცალკევებულობას. ბალანსი აქვს სანარმოს ქვედანაყოფებსაც (ფილიალი, წარმომადგენლობა), მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია არა დამოუკიდებელ, არამედ ცალკე ბალანსზე. ასეთი ბალანსის აქტივები და პასივები მთლიანად სანარმოს დამოუკიდებელ ბალანსში აისახება.

სანარმოს ქონების ნაწილი პარტნიორთა მიერ განხორციელებული შენატანებია. 2008 წლის 14 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ამ საკითხთან დაკავშირებით, პრინციპულად შეიცვალა კანონმდებლის მიდგომა, მოხდა მაქსიმალური დერეგულირება და მეტი თავისუფლება მიეცათ პარტნიორებს სანარმოს ქონების შექმნასთან, ასევე მოგებისა და ზარალის განა-

<sup>1</sup> საქართველოში პირველი ამერიკული ფრენშაიზის მიმცემი "პეპსიკო" იყო, რომელმაც საქართველოში შემოიტანა "პეპსი კოლას" სიროფი და დაიწყო "პეპსიკოლას" და "კოკა-კოლას" წარმოება.

<sup>2</sup> ს. ჯორბენაძე. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება. თბ., 1999.

წილების პროპორციულობასთან დაკავშირებით. კერძოდ, საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის რაოდენობა. ამ საკითხთან მიმართებაში რეფორმამდე ქართული საკორპორაციო სამართალი მთლიანად გერმანულ-ავსტრიულ სამართალზე იყო ორიენტირებული. "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ადრე მოქმედი რედაქციის 3.3 მუხლი სწორედ გერმანული საზოგადოებათა სამართლის რეცეფციის შედეგად წარმოშობილი ინსტიტუტის ქართული გამოხმაურება იყო. ქართულ სამართალში სანესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობის არსებობა კაპიტალური სანარმოებისათვის ბიზნესის დაწყების ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობა იყო (შპს-თვის განისაზღვრებოდა მინიმუმ 200 ლარი, სს-თვის მინიმუმ 15 000 ლარი). „მენარმეთა შესახებ“ კანონში ტერმინი "სანესდებო კაპიტალი" შეიცვალა ტერმინით "სანარმოს კაპიტალი". იდენტური მიდგომა არსებობს ინგლის-ამერიკულ სამართალში. მართალია, აშშ-ში ზოგიერთი შტატის სამართალი კორპორაციის რეგისტრაციისთვის მინიმალურ კაპიტალს ითვალისწინებს (estimated capital) (კოლუმბიის რეგიონი, ოკლოჰამა, პუერტო რიკო, სამხრეთ დაკოტისა და ტეხასის კორპორაციული სტატუტები), მაგრამ ეს ამერიკისთვის ატიპური მოვლენაა და ძირითადი აქცენტი საკორპორაციო სამართლის მონინავე შტატების – დელავერისა და ნიუ-იორკის სამართალზე კეთდება, სადაც კაპიტალის განსაზღვრული მინიმალური რაოდენობა არ არის კორპორაციის რეგისტრაციის წინაპირობა.

თითოეული პარტნიორის შესატანის შეტანის წესი და ვადა განისაზღვრება თავად პარტნიორთა მიერ. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ მოახდინა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუმცა, სანარმოს წესდებით, შესაძლებელია განსხვავებული წესის დადგენაც.

არაფულადი შესატანის განხორციელებისას გასათვალისწინებელია საწარმოსათვის მისი საჭიროება. შესატანს ექვემდებარება როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთები, სანივთო უფლებები. მოთხოვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაფულად შესატანად, თუ მათი ეკონომიკური ღირებულებების დადგენა რეალურად შესაძლებელია. მოთხოვნის გამოყენება არაფულადი შესატანის სახით უნდა გაფორმდეს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით საზოგადოებასა და შეტანაზე ვალდებულ პირს შორის. არაფულადი სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს წილები და აქციები.

2008 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე, მომსახურების განვების ვალდებულება ან მისგან წარმოშობილი მოთხოვნები არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო შესატანად მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნები გადაცემაუნარიანი იყო. კანონმდებელი თვლიდა, რომ მათ საწარმოს დაფუძნებისას მყარად განსაზღვრული ეკონომიკური ღირებულება არ ჰქონდა, აქაც იგრძნობოდა ევროპული სამართლის გავლენა, რაც შეეხება ინგლისურ-ამერიკულ სამართალს, ასეთი ცნებები მისთვის სრულიად უცხოა. “მწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის დღევანდელი რედაქციით, კერძოდ 3.5 მუხლის მიხედვით, საზოგადოების კაპიტალი შეიძლება შეივსოს როგორც ფულით, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი ობიექტებით, აგრეთვე სამუშაოს შესრულებით ან/და მომსახურების განვით. ამასთან, საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან მათი შეტანის რაოდენობა.

აღნიშნული საკითხები ასევე რეგულირდება სპეციალური კანონებით, რომელთაც გარკვეულ შემთხვევაში განხვავებული მიდგომა აქვს კონკრეტული სუბიექტის კაპიტალთან მიმართებაში. მაგალითად, “კომერციული ბანკების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს პერიოდულად განუსაზღვრავს განალდებული საწესდებო კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ რაოდენობას და მათი შექმნის წესებს. კომერციულ ბანკს ეკრძალება საწესდებო კაპიტალის შევსება (ფორმირება) არაფულადი ფორმით.

კომერციულ ბანკს არა აქვს უფლება, შეამციროს თავისი საწესდებო კაპიტალი აქციების გამოსყიდვით ან შეამციროს საზედამ-

ხედველო კაპიტალი რეზერვების გამოყენებით ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე და სანესდებო კაპიტალის ცვლილების შესახებ წესდებაში სათანადო შესწორების შეუტანლად.

სანესდებო კაპიტალის მინიმალური ფიქსირებული რაოდენობა შენარჩუნებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ. „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სანესდებო კაპიტალში ფულადი შესატანი არ უნდა იყოს 250000 (ორას ორმოცდაათი ათას) ლარზე ნაკლები.

საწარმოს ქონება, გარდა ზემოხსენებულისა, შეიძლება მოიცავდეს ასევე სხვადასხვა ფონდს, რომელთა რაოდენობა და მიზნობრივი დანიშნულება გაითვალისწინება საზოგადოების წესდებაში. ფულადი სახსრების ფონდების ფორმირება ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ქონების არსებობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის თვალსაზრისით, არამედ პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრისას. კაპიტალური ტიპის საწარმო ნაკისრ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. აქვე, კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს (მუხლი 3.6); ან/და, თუ დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია (მუხლი 3.8). რაც შეეხება ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს, სპს-ის პარტნიორები და კს-ის კომპლემენტარი პარტნიორები კრედიტორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებენ უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად, მთელი თავისი ქონებით (მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია).

საწარმოს ქონება მოიცავს არა მხოლოდ აქტივს, არამედ პასივსაც.

კანონის ადრე მოქმედი რედაქციის შესაბამისი ნორმების (მუხ. 3.3; 45; 51) შინაარსის მიხედვით საკორპორაციო სამართლის თეორია იურიდიულად განასხვავებდა საზოგადოების სანესდებო კაპიტალსა და საზოგადოების ქონებას. ეკონომიკური თვალსაზრისით, მათ შორის სხვაობა ფაქტობრივად არ არსებობს. ქონებაში იგულისხმებოდა სანესდებო კაპიტალი პლუს ყველა დანარჩენი არსებული ქონება, რომელიც არ იყო შეტანილი სანესდებო კაპიტალში. მიუხედავად მსგავსებისა, ამ ორ ინსტიტუტს შორის მაინც არსებობს განსხვავება სამართლებრივი თვალსაზრისით. საზოგადოების კაპიტალი და მისი განსაზღვრა პარტნიორებს იმისთვის სჭირდებათ, რომ დაადგინონ საკუთარი წილები საზოგადოებაში. პარტნიორები ურთიერთშეთანხმებით, წესდებით განსაზღვრავენ საკუთარ წილებს. სანარმო, რენტაბელური საქმიანობის პირობებში, იღებს მატერიალურ სარგებელს და მისი ქონებაც შესაბამისად იზრდება.

იყო პერიოდი, როდესაც სანესდებო კაპიტალს ჰქონდა კრედიტორთა დაკმაყოფილების გარანტირებულობის ფუნქცია. მოგვიანებით სანესდებო კაპიტალმა ეს ფუნქცია დაკარგა. სანარმო პასუხისმგებელია მთელი ქონებით და არა მხოლოდ სანესდებო კაპიტალით. საქმიან ურთიერთობებში აშკარაა თავად კონტრაგენტის პასუხისმგებლობა (ეს პრინციპი ასევე ცნობილია აშშ-ის სამართალში – “caveat emptor” – ხარისხი მყიდველის რისკზე). ზოგადად, ბიზნესის წარმოება სერიოზულ რისკებს უკავშირდება, ამიტომ გარიგების პოტენციურმა მხარემ საგულდაგულოდ უნდა შეამოწმოს, ფაქტობრივად რა კაპიტალის მფლობელია სანარმო და შეძლებს თუ არა ეს უკანასკნელი კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან მისივე ქმედებით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში.

## საწარმო, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი

ტერმინი საწარმო (Entreprise, Unternehmen, Предприятие) პრაქტიკასა და დოქტრინაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ერთ შემთხვევაში იგი საზოგადოების (კორპორაციის, კომპანიის) სინონიმია, მეორე შემთხვევაში – პირთა და ქონების ორგანიზაციული ერთიანობა, რომელსაც ასევე მიეკუთვნება საწარმოსა და დაქირავებულთა საქმიანობა, არამატერიალური ფასეულობანი, ფაქტობრივი ურთიერთობები, საწარმოო საიდუმლოებანი, მატერიალური ფასეულობანი, უფლებები და ვალდებულებები.

ლიტერატურაში საწარმოზე (განსაზღვრული სამეურნეო ერთეულის ანალიზიდან გამომდინარე) გამოთქმულია განსხვავებული სამართლებრივი და ეკონომიკური შეხედულებები. კერძოდ, პრობლემური გახდა საწარმოს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად აღიარება.

ობიექტი, ზოგადად ფილოსოფიური კატეგორიაა და გულისხმობს საგანს, რომელზეც მიმართულია სუბიექტის მოქმედება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კერძო უფლებათა ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც, კანონით დადგენილი წესით, ბრუნვიდან არ არის ამოღებული. მოცემული დებულებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოთ საწარმოზე, როგორც კონკრეტული სამართლის ობიექტზე. ამასთან, ზოგიერთი ავტორი მას სამართლის დამოუკიდებელ ობიექტად არ მიიჩნევს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Brox, Hans. Allgemeiner Teil des BGB, 15. Aufl. S. 331.

საწარმოს, როგორც სამართალურთიერთობის ობიექტის, დახასიათებისას საჭიროა მისი მახასიათებლების გამიჯვნა. კერძოდ:

1) საწარმო თავისი შემადგენლობით რთული (მრავალგვარი) ქონებრივი კომპლექსია, რომელიც მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ელემენტებს (საწარმოს სტატიკური დახასიათება).

საწარმოს ქონებრივი კომპლექსი პირობითად ოთხ ჯგუფად იყოფა:

- **ნივთები.** სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ნივთებს მიეკუთვნება ყველა მატერიალური საგანი, მათ შორის ისეთებიც, რომელიც ადამიანის ხელით და გონებით არის შექმნილი ან ბუნების ნაბოძებია. ამასთან, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის რაიმე სახის მოთხოვნას (იგულისხმება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები, ნედლეული, მასალები, პროდუქცია და სხვა ძირითადი და საბრუნავი საშუალებები);

- **ქონებრივი უფლებები.** ეს სამართალურთიერთობის მონაწილეთა სუბიექტური უფლებებია, რომელიც ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას უკავშირდება, ასევე მოიცავს იმ ქონებრივ მოთხოვნებს, რომელიც ამ ქონების გაყოფის ან გაცვლის დროს წარმოიშობა (იგულისხმება მიწით, წყლით და სხვა ბუნებრივი რესურსებით, შენობა-ნაგებობებით, მანქანა-დანადგარებითა და მოწყობილობებით სარგებლობის უფლება, მოთხოვნის უფლება და ა.შ.);

- **ქონებრივი ვალდებულებები** (იგულისხმება სამართალურთიერთობის სუბიექტის მიერ ნაკისრი ვალდებულებები);

- **უფლება არამატერიალურ სიკეთეზე** (იგულისხმება საწარმოს იდენტიფიკაციისა და ინდივიდუალიზაციის საშუალებები და ა.შ.).

ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ საწარმოსთან დაკავშირებული გარიგება აუცილებლად ყველა ჯგუფის ელემენტს უნდა მოიცავდეს. დასაშვებია, რომ სამართალურთიერთობის ობიექტი იყოს არა საწარმო მთლიანად, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი. მისი შინაარსის მექანიკური დაყვანა ამა თუ იმ ნივთების კომპლექსის გაგებადმდე დაუშვებელია. ფრანგული კანონმდებლობით, გასხვისებული საწარმოს შემადგენლობაში შედის ყველა ქონებრივი

ელემენტი, გარდა უძრავი ნივთებისა, მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოქმნილი მოთხოვნებისა და ვალებისა. ფაქტობრივად, სანარმოს შემძენი არ ხდება არც მოვალე და, შესაბამისად, არც კრედიტორი, თუ აღნიშნული წინასწარ არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით. ფრანგი ავტორები, კანონმდებლობაზე დაყრდნობით, მართებულად აღნიშნავენ: სავაჭრო აქტივებისა და სანარმოს გაიგივება დაუშვებელია.<sup>1</sup>

აშშ-ს სამართლის მიხედვით ე.წ. "კომპლექსური გასხვისება" შემძენის საკუთრებაში მხოლოდ მასალის, მონყობილობისა და საქონლის გადასვლას გულისხმობს. რაც შეეხება სავალო ვალდებულებებს და მესამე პირების მიმართ მოთხოვნის უფლებას, მისი მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ მხარეთა შორის დადებული კონკრეტული ხელშეკრულებით.<sup>2</sup>

2) სანარმოს ელემენტები ქმნიან ერთ მთლიანს, რაც განსაზღვრული სახის საქმიანობის განხორციელების საშუალებას იძლევა (სანარმოს ინტეგრაციული დახასიათება).

სანარმოს ელემენტთა სიმრავლე, ასევე მისი შედგენილობის პერმანენტული ცვლილება სულაც არ გულისხმობს, რომ იგი ნივთების უსისტემო, ეკლექტიკური კონგლომერატია.

სანარმოს ინტეგრაციული ერთიანობა ნათლად ვლინდება კორპორაციის ჩარჩოებში მიმდინარე რეალურ სუროგაციაში, რაც ნიშნავს, რომ ერთობლიობაში შემავალი ცალკეული ქონება შეიძლება შეიცვალოს მეორით – ერთობლიობა მაინც აგრძელებს არსებობას, როგორც უცვლელი. ახალი ქონება ძველის ადგილს იკავებს.<sup>3</sup>

პრაქტიკულად სანარმოს ერთიანობა მრავალ ასპექტში ვლინდება. ესენია: ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, ტერიტორიული და სხვა, თუმცა ისინი ფაქტობრივი და არა იურიდიული ხასიათისაა.

პრაქტიკის, დოქტრინის და მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ სანარმოს არა მხოლოდ სამეურნეო ერთი-

<sup>1</sup> С. Жамен, Л. Лакур. Торговое право. М., 1993. с. 42.

<sup>2</sup> იხ. Union Commercial Code of USA. Article 5-102.

<sup>3</sup> Жолюно де ла Морандер. Гражданское право Франции. 1958 г. с. 64.

ანობა ახასიათებს, არამედ იურიდიულიც. აღნიშნულის მტკიცებისას შემდეგ დებულებებს ვეყრდნობი:

- სანარმო ერთიანობაში ბრუნვაუნარიანია;
- სანარმოს საფირმო სახელწოდება გადადის შემძენზე თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- სანარმოს გასხვისების ხელშეკრულებით მიუთითებელი ვალების არსებობისას, შემძენი უფლებმოსილია მოითხოვოს ფასის დაკლება, მიუხედავად იმისა, რომ ახალი შემძენი მაინც მოვალედ ითვლება (გერმანელი ცივილისტი - ლ. ენეკცერუსი აღნიშნავს: "უფლება სანარმოზე არ უნდა გაგვიგივოთ საკუთრების უფლებასთან, ამიტომ სანივთო უფლებები სანარმოზე არ ვრცელდება").<sup>1</sup>


3) სანარმო ექსპლუატირებული ქონების კომპლექსია (სანარმოს დინამიკური დახასიათება).

სანარმოს სირთულე არა მხოლოდ მასში შემავალი ელემენტების მრავალფეროვნებაში აისახება, არამედ მის დინამიკურობაშიც.

სამენარმეო საქმიანობა, კორპორაციის ქონებრივი ბაზის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვლილებაში ვლინდება. სანარმო ფუნქციური ქონებრივი კომპლექსია, ამიტომ გასხვისება მისი ექსპლუატაციის გაგრძელებას გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით, აქტუალური რჩება გასული საუკუნის დასაწყისში გერმანიის სასამართლო პრაქტიკით შემუშავებული პრინციპი, რომლის თანახმად, სანარმოს გასხვისება მისი ყველა შემადგენელი ელემენტის გასხვისებას გულისხმობს, რაც სავაჭრო საქმიანობის გაგრძელებისა და მოცემული სანარმოს კონკრეტული ხასიათის შენარჩუნებისთვისაა საჭირო.

4) სანარმოს ქონებრივი კომპლექსი სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის გამოიყენება (სანარმოს მიზნობრივი დახასიათება).

<sup>1</sup> Л.Энкецерус. Курс Германского гражданского права, т. I. 1949. с. 267.



ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საწარმოს ნიშან-თვისებები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და საწარმოს ცნების სრულყოფილი გააზრება მხოლოდ მათ ერთობლიობაში ვლინდება. ანალიზი ცხადყოფს, რომ პირველი და მე-4 თვისება წმინდა სამართლებრივი ხასიათისაა, თუმცა ეკონომიკური მიზეზებითაა განპირობებული, რაც შეეხება მე-2 და მე-3 – პირიქით, "გენეტიკურად" ეკონომიკურია, მაგრამ იწვევს სამართლებრივ შედეგებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა რეალური ურთიერთზემოქმედება მუდმივ ხასიათს ატარებს.

## საწარმოს მართვის ორგანოები

იურიდიული პირების ქმედუნარიანობა მისი ორგანოების მეშვეობით ხორციელდება. იგივეს მონიშნავს იურიდიული პირის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი – ორგანიზებულობა. კერძოდ, სამეწარმეო იურიდიული პირი შეიძლება მხოლოდ “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბდეს. მათ მიმართ მოქმედებს ე.წ. *numerus clausus* პრინციპი. გარდა ამისა, ყოველ იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს კანონით და წესდებით განსაზღვრული მართვის ორგანოები. სწორედ ამ ორგანოების მეშვეობით ახორციელებს იურიდიული პირი თავის საქმიანობას.

- იურიდიული პირის ორგანო კანონის ან/და იურიდიული პირის წესდების შესაბამისად ყალიბდება;

- იურიდიული პირის ორგანო განსაზღვრული უფლებამოსილებებითაა აღჭურვილი, რომელთა რეალიზაციას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს;

სამეწარმეო იურიდიული პირების მართვის ორგანოთა უკეთესად დახასიათების მიზნით, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, წარმოგიდგენთ მის კლასიფიკაციას სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით:

- საწარმოს ორგანოთა კლასიფიკაცია დასახელების მიხედვით: პარტნიორთა საერთო კრება; დირექტორი/დირექცია (ერთპიროვნული ან კოლექტიური); სამეთვალყურეო საბჭო.

- საწარმოს ნების ჩამოყალიბებისა და მესამე პირებთან ურთიერთობაში ნების გამოვლენის მიხედვით: ნების ჩამომყალიბებელი და ნების გარეგნულად გამოვლენი ორგანოები. საწარმოს მართვის ორგანო შეიძლება იყოს მხოლოდ მისი ნების ჩამომყალიბებელი (პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო), ასევე ნების ჩამომყალიბებელი და მესამე პირებთან ურთიერთობაში ნების გამოვლენი (საწარმოს აღმასრულებელი ორგანო - დირექტორი).

<sup>1</sup> ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., რუსეთი, საფრანგეთი) ამ ჩამონათვალს ემატება სარევიზიო კომისია (რევიზორი).

- სანარმოს მართვის ორგანოს შემადგენლობაში შემავალ პირთა რაოდენობის მიხედვით: კოლექტიური ორგანო (პარტნიორთა საერთო კრება, დირექცია, სამეთვალყურეო საბჭო) და ერთპიროვნული ორგანო (დირექტორი).

- სანარმოს მართვის ორგანოთა ფორმირების წესის მიხედვით: არჩევითი და დანიშვნიით. არჩევითია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო, დანიშვნიითი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების დირექტორები.

- სანარმოს მართვის ორგანოთა მიერ შესრულებული ფუნქციების მიხედვით: საერთო და სპეციალური. საერთო ხასიათის ფუნქციების შემსრულებელი ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო, რომლებიც საზოგადოების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს. სპეციალური ხასიათის ფუნქციების შემსრულებელი ორგანოები ემსახურება მიმდინარე საკითხების გადაწყვეტას (დირექტორი/დირექცია).

- სანარმოს მართვის ორგანოს მოქმედების ვადის მიხედვით. ესენია: უვადო და ვადიანი. საზოგადოების ყველა ორგანო, გარდა პარტნიორთა საერთო კრებისა, ვადიანია. მათი ფუნქციონირების ვადა მითითებულია კანონში ან/და წესდებაში. ეს ეხება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს (სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი საერთო კრების მიერ აირჩევა ერთი წლის ვადით, თუ წესდებით სხვა ვადა არ არის დადგენილი, მაგრამ უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მონვევამდე (საქ. კანონი "მენარმეთა შესახებ" მუხ. 55.2)), კოოპერატივის დირექტორებს (კოოპერატივში დირექტორებს ირჩევენ ოთხი სამეურნეო წლის ვადით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (იქვე, მუხ. 66.2)), ასევე საზოგადოების წესდებაში მითითებულ პირებს (მაგ., შპს-სა და სააქციო საზოგადოების დირექტორებს).

სანარმოს მართვის ორგანოთა სტრუქტურა, შემადგენლობა და ფორმირების წესი დიდ გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე, ამიტომ მართვის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ გადაწყვეტილებათა ოპერატიულობა, პარტნიორთა ინტერესების დაცვა და მმართველობითი გადაწყვეტილებების განუხრელი შესრულების რეალიზაცია.

სანარმოს ორგანოთა მმართველობითი საქმიანობა კორპორაციული მართვის ჩარჩოებში ჯდება. აქედან გამომდინარე, მართვის ორგანოთა საქმიანობა ანუ კორპორაციული მართვა - სოციალური მართვის ნაირსახეობაა. კორპორაციული მართვის ინსტი-

ტუტი თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ინსტიტუტია.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ 1999 წელს მიღებულ იქნა კორპორაციული მართვის პრინციპები, რომლის რედაქციული განახლება 2004 წელს მოხდა. გარდა ამისა, კორპორაციული მართვის პრინციპები აღიარებულ იქნა ფინანსური სისტემების სტაბილურობის ხელშეწყობ სტანდარტად.<sup>1</sup>

თანამედროვე მსოფლიოში კაპიტალური საზოგადოებები, მართვის თვალსაზრისით, ორ დიდ ჯგუფად იყოფა. ესენია: ერთსაფეხურიანი მართვის სისტემის მქონე (one – board system), რომელიც დამახასიათებელია ინგლისურ-ამერიკული, შვეიცარული, ფრანგული და ბელგიური სამართლისათვის. იგი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სამენარმეო საქმიანობას და კონტროლს. ერთ ორგანოს ევალება როგორც საზოგადოების სამენარმეო საქმიანობის გაძღოლა, ისე კონტროლი; მეორე, ორსაფეხურიანი მართვის სისტემის მქონე (two – tier – system), რომელიც გამოიყენება გერმანულ, შოლანდიურ, ავსტრიულ, ესპანურ, ქართულ, რუსულ და ევროპის სხვა ქვეყნების საკორპორაციო სამართალში. ორსაფეხურიანი სისტემის დროს დირექტორატის ზემდგომ, მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მუდმივად აკონტროლებს დირექტორატის საქმიანობას.<sup>2</sup> აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართულ სინამდვილეა და, შესაბამისად, კანონმდებლობაშიც ნელ-ნელა იშლება ზღვარი მართვის ორ საფეხურს შორის.

<sup>1</sup> OECD Principles of Corporate Governance. OECD. 2004. P. 13.

<sup>2</sup> მარკუს ლუთერი. კორპორაციული მართვა (Corporate Governancc) გერმანიასა და აშშ-ში. "საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში". გერმანულ - ქართული სიმპოზიუმი. თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი. გვ. 21-32; იოჰანეს ზემლერი. სამეთვალყურეო საბჭოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება. II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში. 2003. გვ. 353-373. მ. შაპუაძევილი. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში. იქვე. გვ. 373-389; Comparative Corporate Governancc - The state of the Art and Emerging Research. Ed. by Hopt. Oxford. 1998.

## სანარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები

"იმისთვის რომ მართო,  
უნდა იცოდე საკუთარი  
თავის მართვა".

დემოკრიტიე

სანარმოს ხელმძღვანელობა გულისხმობს კომპეტენტური მენეჯმენტის გონივრულ შექმნას. უმთავრესად ხელმძღვანელთა ნიჭსა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული, რამდენად რენტაბელური იქნება კონკრეტული სანარმო. ამასთან დაკავშირებით, ინგლისის სასამართლო პრაქტიკა ხელმძღვანელობს 1925 წ. "City Equitable Fire Insurance Co. Ltd" საქმეზე დადგენილი პრინციპით - დირექტორი ვალდებულია მოიქცეს ისე, როგორც მოეთხოვება მისი განათლებისა და გამოცდილების მქონე პირს.<sup>1</sup>

საქართველოში მოქმედი კანონი "მენარმეთა შესახებ" სანარმოთა ხელმძღვანელობის პრობლემას თანამედროვე ეკონომიკურ მოთხოვნათა შესაბამისად განიხილავს. ხელმძღვანელობა კომპეტენტური მენეჯმენტის (management) გონივრულ შექმნას გულისხმობს, რაც კორპორაციული მართვის განსაკუთრებული, სანარმოს საქმიანობის პასუხისმგებელი რგოლია. "უმთავრესად დირექტორის ნიჭზე, მის უნარზე, გამოცდილებაზე და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული სანარმოს ბედი - რენტაბელური იქნება თუ არა. ამავე დროს, დირექტორი პასუხს აგებს სანარმოს წინაშე."<sup>2</sup>

როგორც ჩვენი, ისე უცხოეთის ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ დირექტორთა როლი სანარმოს მართვის საქმეში შაქრისა და მათრახის პრინციპის გათვალისწინების მიუხედავად, ერთგვარად "დაკნინებულია", რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი შეკრებები ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს, ამასთან, თავიანთ ფუნქციას მხოლოდ იმ პარტნიორთა ინტერესების დაცვაში ხედავენ, რომლებმაც ფაქტობრივად მოახდინეს მათი "დელეგირება" დირექციაში. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ კორ-

<sup>1</sup> გერმანიაში 2002 წლიდან მოქმედებს ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილების განსაზღვრულ სპეციალური აქტი Deutsch Corporate Governance Kodex.

<sup>2</sup> ლ.ჭანტურია, თ. ნინიძე. მენარმეობის შესახებ კანონის კომენტარი. თბ., 2002. გვ.115.

პორაციული მართვის მოდელი მისი მონაწილეებისათვის არაერთ ეთიკურ პრობლემას წარმოქმნის. "საკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაკონტროლებელი პოზიცია შეუძლიათ გამოიყენონ იმისთვის, რომ აიძულონ მენეჯმენტი წავიდეს დათმობაზე, გაიზარდოს პარტნიორთა ერთი ჯგუფის პოლიტიკის გავლენა ან განსაკუთრებული კეთილგანწყობით მოეპყრას წილთა (აქციითა) უმრავლესობის მფლობელებს. როცა კორპორაციული შემოსავალი დაბალია, მენეჯერს შეუძლია კორპორაციის აქტივების ფარული გამოყენება პირადი მოგების მისაღებად. ამ დროს იგი კორპორაციულ მიზნებს იშველიებს, რეალურად კი მწარმოებლობის დაბალი დონის ფონზე ფართოვდება მენეჯმენტის "იმპერია", შესაბამისად, ვინროვდება მენეჯმენტის პასუხისმგებლობის მოცულობა.

კორპორაციული მართვის მოდელი მიზნად ისახავს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ფიდუციური მოვალეობის დარღვევის აცილებას. მაგალითად, სააქციო საზოგადოების მართვაში არსებული ეთიკური პრობლემების ანალიზის აუცილებლობა იმითაა გამოწვეული, რომ ისინი, თავის მხრივ, დიდ ზეგავლენას ახდენენ აქციონერთა უფლებების განხორციელებაზე. ამერიკის საკანონმდებლო ინსტიტუტმა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაასრულა კორპორაციული მართვის პრობლემების ხანგრძლივი კვლევა, რომლის შედეგები ჩამოაყალიბა დასკვნით მოხსენებაში – "კორპორაციული მართვის პროექტი".<sup>1</sup>

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს ხელმძღვანელი უნდა იყოს სრულწლოვანი, სრული ქმედუნარიანობის მქონე ფიზიკური პირი. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის ემანსიპაციას, რაც გულისხმობს, რომ "თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს 16 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსთვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების დროს.

საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგა-

<sup>1</sup> Irwin's Business Law. Concepts, analysis, perspectives. Elliot I. Klayman, Jonh W. Begby, Dan S. Ellis. 1994. p. 874.

ნოსთან შეთანხმებით (ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავებით ინგლისის კანონმდებლობა ითვალისწინებს საწარმოს დირექტორის მაქსიმალურ ასაკს და იგი 70 წელია).<sup>1</sup>

ამასთან დაკავშირებით, აღვნიშნავ, რომ გერმანიის 1981 წ. კანონში "შპს-ის შესახებ" ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო არასრულწლოვნის ემანსიპაციის საკითხი. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქ. ჰამის სასამართლოს 1992 ხლის 13 აპრილის გადაწყვეტილება. "შპს-ის შესახებ" გერმანიის კანონის 1992 წლის 96 ვერსიის თანახმად, არასრულწლოვანს საწარმოს დირექტორად დანიშვნის შემთხვევაში არ ენიჭება სრული ქმედუნარიანობა, რაც ნიშნავს, რომ ზოგიერთი სახის გარიგება არ შედის მის კომპეტენციაში. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვნის დანიშვნა შპს-ს დირექტორად თავისთავად ეჭვქვეშ აყენებდა საწარმოს ქმედუნარიანობას.

"მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დირექტორი "საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის". გარდა ამისა, პასუხისმგებლობის მოცულობიდან გამომდინარე, მუდმივად უნდა გრძნობდეს საზოგადოების "მაჯისცემას" და აკონტროლებდეს მის რიტმს. იგივე აზრს იზიარებს ინგლისის კანონი "კომპანიათა შესახებ", სადაც აღნიშნულია: "კომპანიის დირექტორი საქმეს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, მაღალკვალიფიციური ცოდნით და გამოცდილებით ისევე, როგორც ამას აკეთებს მესაკუთრე, ტრასტის ხელშეკრულების შესაბამისად".

თუ გავითვალისწინებთ ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ეკონომიკის თავისებურებებს, საქართველოში არსებულ საწარმოთა ხელმძღვანელების არადამაკმაყოფილებელ დონეს, ხელმძ-

<sup>1</sup> The England Law "about companis".

ღვანელი პირების დაბალ კვალიფიკაციას და მათი შესაძლო პასუხისმგებლობის სიმძიმესა და მოცულობას, ექვის ქვეშ დგება სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-60 მუხლი, საწარმოს ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს საჯარო მოსამსახურეთა მიმართ, რაც გულისხმობს, რომ "მოსამსახურე არ უნდა იყოს სამენარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოს წევრი". გამონაკლისია საკანონმდებლო სიახლე, რომლის მიხედვით იმ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფოს წილი შეადგენს საწარმოს კაპიტალის 50%-ზე მეტს, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს საჯარო მოსამსახურის მონაწილეობა. ამ უკანასკნელის კანდიდატურას წარადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (რომელიც იმავდროულად საჯარო მოხელეა) დაკისრებულ მოვალეობებს ანაზღაურების გარეშე ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ საწარმოთა ხელმძღვანელობის სუბიექტური შემადგენლობა ამხანაგობის და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში განსხვავებულია. პირველ შემთხვევაში მას ახორციელებენ საზოგადოების პარტნიორები. მაგ., სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობა ეკისრება ყველა პარტნიორს, ერთ ან რამდენიმე პარტნიორს. კომანდიტური საზოგადოების მართვას მხოლოდ პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) ახორციელებენ, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და წესდებით კომანდიტს მიენიჭოს საწარმოს ხელმძღვანელობის უფლება, ოღონდ წარმომადგენლობის უფლების გარეშე. თუ კომანდიტს ეს უკანასკნელიც მიენიჭა, მაშინ მასზე გავრცელდება წესები შპს-ის დირექტორის შესახებ. შედარებისათვის მოვიხმობ ერთ მაგალითს: საფრანგეთის კანონმდებლობა კომანდიტს არ ანიჭებს არც საზოგადოების მართვის, მით უმეტეს, არც წარმომადგენლობის უფლებამოსილებას და ამ უკანასკნელის განხორციელება მინდობილობის საფუძველზეც კი არ შეუძლია.

კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს სპეციალურად შექმნილი ორგანო - დირექტორი/დირექტორატი, რომელიც შეიძლება

იყოს როგორც სანარმოს პარტნიორი, ისე არაპარტნიორი, რომელთა უფლებამოსილების ფარგლები და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება კანონით "მენარმეთა შესახებ", საზოგადოების წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

კაპიტალურ საზოგადოებათა ხელმძღვანელობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთპიროვნულად (დირექტორი), ისე კოლექტიურად (დირექტორატი, გამგეობა, დირექტორთა საბჭო. საფრანგეთში მას ადმინისტრაციულ საბჭოს უწოდებენ, ავსტრიაში - გამგეობას). ერთგვარად განსხვავებულად არეგულირებს აღნიშნულ საკითხს საფრანგეთის კანონმდებლობა. "სავაჭრო ამხანაგობათა შესახებ" კანონის 91-ე მუხლში ვკითხულობთ: "სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციული საბჭოს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელობითი აქციის მფობელი აქციონერი. გარდა ამისა, ადმინისტრაციული საბჭოს წევრი შეიძლება იყოს იურიდიული პირიც. გამონაკლის შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს საზოგადოების თანამშრომელი, რომელთანაც, ამ მომენტამდე, სულ ცოტა ორი წლით ადრეა დადებული შრომითი კონტრაქტი".

იმ შემთხვევაში, როცა სანარმოს ჰყავს რამდენიმე დირექტორი და ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, დირექტორები ერთობლივად დებენ გარიგებებს და ასრულებენ ხელმწიერებს. ზოგიერთ დირექტორს შეიძლება მიენიჭოს გარიგების დადების ან განსაზღვრული სახის საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება. საზოგადოების მიერ ნების გამომჟღავნების გამოსახატავად საკმარისია ერთი დირექტორის ნების გამოვლენა.

თუ დირექტორი რამდენიმეა, მაშინ წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთ-ერთს დამოუკიდებლად ან ერთ-ერთ სავაჭრო წარმომადგენელთან ერთად მიენიჭოს საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება; ამავე დროს შესაძლებელია, რომ დირექტორებს სავაჭრო წარმომადგენლების გარეშეც შეეძლოთ წარმოადგინონ საზოგადოება.

საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ" ხელმძღვანელობის საქმიანობად მიიჩნევს მოქმედებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მენარმე სუბიექტის მიზანს (მუხ.9. 2). ეს უპირველესად, საზოგადოების ინტერესების დაცვას გულისხმობს. ჩვენი კანონმდებლობა ერთმანეთისგან მიჯნავს დირექტორთა

პირდაპირ და არაპირდაპირ საქმიანობას. მაგალითად, თუ დირექტორი ოფიციალურ პირობებში (მაგ., სანარმოს ოფისში) ანარმოებს მოლაპარაკებას მესამე პირთან შეთანხმების მისაღწევად, რა თქმა უნდა, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ეს მიიჩნევა დირექტორის პირდაპირ საქმიანობად, თუ იმავე მიზნის მისაღწევად მესამე პირს ეპატიჟება რესტორანში, მაშინ აღნიშნული საქმიანობა ჩაითვლება არაპირდაპირად, თუმცა ხარჯებს, რომელიც გაიწევა არაპირდაპირი საქმიანობით საზოგადოების მიზნის მისაღწევად (წარმომადგენლობითი ხარჯები), ანაზღაურებს საზოგადოება.

კანონის თანახმად, ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში სანარმოს სახელით გადანყვეტილებების მიღების უფლებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს სანარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთერთობაში.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება იმავდროულად წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც მოიცავს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ მენარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიაყენონ მენარმე სუბიექტს (მუხ.9.3; 9.4) (პრაქტიკაში ასეთი შეზღუდვის ყველაზე გავრცელებული ფორმაა - ზოგიერთი ფუნქციის განხორციელებისთვის პარტნიორთა საერთო კრების გადანყვეტილების ან სამეთვალყურეო საბჭოს აუცილებელი თანხმობის დანესება).

ხელმძღვანელთა კეთილსინდისიერების ვალდებულების განსაზღვრა მეტად აბსტრაქტულია. "ხელმძღვანელობის" ცნება არ იძლევა კეთილსინდისიერების განსაკუთრებულ და კარგად გასაგებ კონკრეტიზაციის საშუალებას.

სანარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებაში საინტერესოა კონკურენციის აკრძალვის (ინტერესთა კონფლიქტის) საკითხი. "მენარმეთა შესახებ" კანონის 9.5 მუხლში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელ პარტნიორებსა და დირექტორებს "არა აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას,

რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით". სპს-სა და კს-ში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას, ხოლო შპს-ში, სს-სა და კოოპერატივში იმ ორგანოს, რომელიც დირექტორს ნიშნავს. ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ენევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ (ინტერესთა კონფლიქტი). თუ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიადგა ზიანი, ის აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის 5%-ის მქონე აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს.

აღნიშნული ნორმა არ მოქმედებს იმ პირებზე, რომლებიც დირექტორად მუშაობენ შვილობილ საწარმოებში ან ფილიალებში.

კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევას გარკვეული სამართლებრივი შედეგები მოსდევს, კერძოდ, დირექტორი "ვალდებულია უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე, დათმოს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნები და აანაზღაუროს ზარალი". გადამწყვეტილებას, კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევი საზოგადოების ხელმძღვანელობაზე, უფლებამოსილი პირების პასუხისმგებლობის შესახებ იღებენ დანარჩენი პარტნიორები, ხოლო საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას - ეს უკანასკნელი.

საგულისხმოა, რომ რუსეთის ფედერალური კანონმდებლობა კონკურენციის აკრძალვას ავრცელებს არა მარტო უშუალოდ საწარმოს ხელმძღვანელებზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზეც.

მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს (ასეთის არსებობისას), პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. მათთან დადებული ხელშეკრულებით, შეიძლება აღნიშნული ვალდებულება ძალაში დარჩეს ამ პირთა თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, არა უმეტეს 3 წლის ვადით. შესაძლებელია ამ ვალდებულებისათვის

გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია, რომლის რაოდენობა და გადახდის წესი ხელშეკრულებით განისაზღვრება.

საწარმოს დირექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა კონტროლის ორგანიზება და განხორციელება. სიტუაციის ანალიზს, საკითხის დაყენებას, სტრატეგიის შემუშავებასა და საქმიანობის ორგანიზაციას საერთო მიზანი აქვს. ეს არის კონტროლი ბიზნესის წარმოებაზე. ამასთან, კონტროლს სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს და გამოიხატება ამოცანის (მიზნის) დასახვაში, ამ უკანასკნელთან მიღებული შედეგების შედარებაში, ნაკლოვანებათა მიზეზების გამოვლენაში და სიტუაციის გამოსწორების მიზნით აუცილებელი ზომების მიღებაში.

საზოგადოების ხელმძღვანელებს განსაზღვრული ვალდებულებები აქვთ, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხს აგებენ საზოგადოების წინაშე პირადად და მთელი თავისი ქონებით. თუ საზოგადოებას მართავს კოლეგიური ორგანო, მათ ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა. გამონაკლისია მესამე პირებზე, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დირექტორის მართლზომიერი საქმიანობით მიყენებული ზიანი. ამგვარი ზიანის ანაზღაურება ხდება თვით საზოგადოების მიერ. ამასთან, საზოგადოების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ შეიძლება იმ მოტივით, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად<sup>1</sup>.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი, რომელიც დირექტორზეა დელეგირებული. დირექტორებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ თავიანთი უფლებამოსილება არ დაურღვევიათ.

მეწარმე სუბიექტთან დადებული ხელშეკრულების ან საწარმოს წესდების ნორმათა დარღვევისას, პასუხისმგებლობის გარდა, პრაქტიკაში შეიძლება დადგეს დირექტორის დაუშვებელი მოქმედებით

<sup>1</sup> ქ. ქოქრაშვილი. სააქციო საზოგადოების დირექტორთა სამეწარმეო ხასიათის პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი დახასიათება ქართული და ინგლისური სამართლის მიხედვით. II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში. 2003. გვ. 465-475.

გამონვეული პასუხისმგებლობის საკითხი, რაც გულისხმობს, რომ პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანს აყენებს კანონით დაცულ ქონებას (სულერთია, ზარალი მატერიალურია თუ არამატერიალური), ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საწარმოში დირექტორის თანამდებობის დაკავების მომენტიდან პიროვნება თავის თავზე იღებს გარკვეულ ვალდებულებებს და ამ დროიდან იგი პასუხისმგებელი ხდება ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან დარღვევისთვის. ამ დროს გადამწყვეტია ფაქტობრივად არსებული ურთიერთობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პირი, რომელიც საზოგადოების დირექტორის მოვალეობას ასრულებს, პასუხისმგებელია თავის ქმედებაზე. საკანონმდებლო ბაზის არსებობის მიუხედავად, საქართველოში საზოგადოების ხელმძღვანელების "შეცდომებისათვის" ტიპურ სანქციად ითვლება მასთან სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტა, სხვა სახის სამართლებრივი სანქციების გამოყენების შემთხვევები ერთეულია. ყველა საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია როგორც დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისათვის, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, კორპორაციების ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობას განიხილავს კორპორაციული მართვის ელემენტად. მას უნიწინააღმდეგე ენიჭება პრევენციული ინსტიტუტის ფუნქცია და შემდეგ რეპრესიული, საკომპენსაციო ფუნქცია.

დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება მაშინ მოიხსნას, თუ იგი ფაქტობრივად აღარ ასრულებს დირექტორის მოვალეობას და ეს საზოგადოების, შესაბამისად, პარტნიორებისათვის ცნობითა და მათი თანხმობით ხდება (თუ კანონით, წესდებით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). ამას მნიშვნელობა აქვს, რათა დირექტორის უმოქმედობამ მისი უფლებამოსილების დარღვევის საკითხი არ წამოჭრას. გარდა ამისა, დაუშვებელია საწარმოს ხელმძღვანელისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ნებისმიერი სახის კომერციული წარუმატებლობის შემთხვევაში. დირექტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისთვის, რომელიც ისეთმა ქმედებამ გამოიწვია, რაც ნებისმიერ კეთილსინდისიერ დირექტორს შეიძლებოდა მოსვლოდა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Block, Dennis J., Barton, Nancy E., Radin Stephen A. The Business Judgment Rule. Fiduciary Duties of Corporate Directors. 1998.

## სანარმოს პარტნიორთა საერთო კრება

სამენარმეო იურიდიულ პირთა მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. "მენარმეთა შესახებ" კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს სანარმოთა ორგანიზაციულ სტრუქტურას, რაც აუცილებელია მათი საქმიანობისთვის. სპს-სა და კს-თვის ეს არის პარტნიორთა საერთო კრება, შპს-თვის - პარტნიორთა საერთო კრება და დირექტორი (დირექტორატი), სს-თვის - საერთო კრება, დირექტორი (დირექტორატი); თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ანგარიშვალდებული სანარმოა, რომლის ფასიანი ქალაქები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქალაქების ბირჟაზე ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა 100 აღემატება, ასევე სამეთვალყურეო საბჭო (ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ფაკულტატიურია და მისი არსებობა დამოკიდებულია პარტნიორთა ნებაზე) კოოპერატივისთვის - პარტნიორთა ან წარმომადგენელთა კრება, გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ პარტნიორთა საერთო კრება აუცილებელია ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის სანარმოსთვის. სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობით ხორციელდება საზოგადოების პარტნიორთა ერთ-ერთი ძირითადი უფლების - სანარმოს მართვის რეალიზაცია. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც სანარმოს ძირითად ამოცანებსა და ინტერესებს შეეხება, მიიღება საერთო კრების მიერ. იმ შემთხვევაშიც, როცა საზოგადოებას ერთადერთი წევრი ჰყავს, გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად, რაც იურიდიული პირის დამოუკიდებლობისა და მისი ორგანიზაციული ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარეობს.

საერთო კრების მოწვევის წესს, პროცედურას, კომპეტენციასა და კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებას განსაზღვრავს კანონი და/ან კონკრეტული საზოგადოების წესდება. სანარმოს პარტნიორთა საერთო კრება შეიძლება იყოს რიგითი ან რიგგარეშე.

რიგითი კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს, შპს-ის შემთხვევაში – დირექტორსაც შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება, ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას (გერმანიაში - დირექტორსა და პარტნიორებს, რომელთაც საწესდებო კაპიტალის 10% მაინც აქვთ (GMBHG §50); საფრანგეთში - დირექტორებსა და პარტნიორებს, რომლებიც წილთა ნახევარს ფლობენ, ასევე წილთა 1/4-ის მფლობელ პარტნიორებს (საფრანგეთის კანონი "სავაჭრო ამხანაგობათა შესახებ", მუხ. 57)). წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები) (ეს უკანასკნელი წესი არ ვრცელდება სს-ზე).

პარტნიორთა კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს კრების ოქმს (მუხ. 9<sup>1</sup>).

კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის, ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესს. რაც შეეხება საკითხებს, რომელთა მნიშვნელობა სცილდება

საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადანყვეტილებას.

პარტნიორთა საერთო კრებაზე სპს-ის თითოეულ პარტნიორსა და კს-ის თითოეულ სრულ პარტნიორს (კომპლემენტარს) აქვს თითო ხმა. კს-ის შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) ხმის უფლება არ აქვს. შპს-ის და სს-ის პარტნიორთა/აქციონერთა ხმები განისაზღვრება მათივე წინასწარი შეთანხმებით.

საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს გადანყვეტილების მიღება ხმების უბრალო უმრავლესობით, კვალიფიციური უმრავლესობით ან ერთხმად.

განსხვავებული წესია დადგენილი სააქციო საზოგადოების მიმართ. კერძოდ, თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება, დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს, ან "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.

საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადანყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადანყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადანყვეტილებად.

ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ხმების 75%-ზე მეტს ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება ყველა შემთხვევაში სავალდებულოა.

კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას უნდა დაერთოს იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში მონაწილეობის უფლება.

სს-ის ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი დაზღვეული წერილით ეგზავნებათ. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში ეროვნული ბანკი განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით.

სს-ის საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით აქციონერთაგან ირჩევს საერთო კრება. კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ ოქმს ადგენს ნოტარიუსი (მუხ. 54.4).

თუ სს-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება მის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები) (საფრანგეთის კანონმდებლობით, ყოველწლიური რიგითი კრება გადაწყვეტილებაუნარიანად ითვლება, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე აქციათა 25%-ის მფლობელი მაინც). წინააღმდეგ შემთხვევაში, იმავე დღის წესრიგით მოიწვევა მეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ ესწრება ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი/პარტნიორები. თუ კრებაზე ამ შემთხვევაშიც არ შედგა კვორუმი, თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანად ჩაითვლება წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის/პარტნიორების რაოდენობის მიუხედავად.

რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, კრება უფლება-მოსილია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე აქციონერთა 1/3-ზე მეტი. თითო აქციონერს თითო ხმა აქვს. ამ საერთო პრინციპიდან არსებობს გამონაკლისი, თუ ეს უკანასკნელი გათვალისწინებულია კომპანიის (კორპორაციის) შიგა რეგლამენტით.

შეცვლილი დღის წესრიგით კრების ხელმეორედ მოწვევა, ასევე სხვა პარტნიორების მიერ იმავე დღის წესრიგით განმეორებით კრების მოწვევა არ უნდა შეფასდეს კრების განმეორებით მოწვევად.<sup>1</sup>

თუ სს-ში კანონით ან წესდებით გათვალისწინებულია სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, მისი წევრების არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

ა) ყოველი აქციონერი ანაწილებს თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა სრულ რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები ან მისი ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

კოოპერატივის მეპაიეთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული ხმების უფრო მეტი რაოდენობა ან სხვა დამატებითი მოთხოვნები.

<sup>1</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე. თბ., 2001, №1. გვ. 44 - 50.

საერთო კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წევრთა 1/10 ან წესდებაში საამისოდ აღნიშნული უფრო მცირე ნაწილი ხელმოწერილ განცხადებაში მოითხოვს კრების მოწვევას კონკრეტული მიზნის მითითებით. თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ სასამართლოს შეუძლია საერთო კრების მოწვევის ან დღის წესრიგის გამოცხადების უფლებამოსილება მიანიჭოს იმ წევრებს, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნა. კრების მოწვევაზე ან გამოცხადებაზე სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილება სავალდებულოდ უნდა გამოქვეყნდეს. საერთო კრება მოიწვევა სულ ცოტა 3 კვირის ვადაში ოფიციალური გამოქვეყნებით.

თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება. თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, წესდებით განისაზღვრება, საერთო კრება ჩატარდეს თუ წარმომადგენელთა კრება.


წარმომადგენლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ კოოპერატივის წევრი, ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის არც გამგეობის და არც სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში, ამასთან, კანონით განსაზღვრულია წარმომადგენელთა მინიმალური რაოდენობა, მინიმუმ 50 წარმომადგენელი.

წარმომადგენლობითი კრების არსებობის შემთხვევაში კოოპერატივის წესდებით უნდა განისაზღვროს:

- რამდენ წევრზე მოდის ერთი წარმომადგენელი;
- წარმომადგენლობის ვადა.

ყოველი წარმომადგენლისათვის არჩეული უნდა იქნეს თითო სათადარიგო პირი. თუ წარმომადგენელი გათავისუფლდება ვადის დამთავრებამდე, მაშინ მას შეცვლის სათადარიგო პირი. ეს პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ წარმომადგენელთან ერთად, წარმომადგენელთა არჩევის დადგენილი წესებით და უფლებამოსილების იმავე ვადით.

არჩეულ წარმომადგენელთა და სათადარიგო პირთა სია საჯაროა და გამოქვეყნებას ექვემდებარება.



## საწარმოს წარმომადგენლობა

საბაზრო ურთიერთობათა განვითარება, სამეურნეო კავშირების გართულება, მრეწველობისა და ვაჭრობის კონცენტრაცია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი – ყველაფერი ეს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას წარმომადგენლობის ინსტიტუტის (ფართო გაგებით) გამოყენებას მოითხოვს. სამეწარმეო იურიდიული პირები ოპერატიულ საქმიანობას წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებენ.

წარმომადგენლობა გულისხმობს ერთი პირის (წარმომადგენლის) მიერ მეორე პირის (წარმომდგენლის) სახელით იურიდიული მოქმედების შესრულებას. ამასთან, ნებისმიერი სამართლებრივი შედეგი დგება უშუალოდ წარმომდგენლისათვის, ე.ი. წარმომადგენელი მხოლოდ წარმომდგენლის ნების მატარებელია.

წარმომადგენლობის ინსტიტუტის განვითარება დაკავშირებულია XVII ს-ში წარმოების კაპიტალისტური მეთოდის განვითარებასთან. წარმოების გამსხვილებასთან ერთად წარმოების მართვის ფუნქცია სულ უფრო რთულდებოდა, ამასთან, იზრდებოდა მოთხოვნა ისეთ თანამშრომლებზე, რომლებიც მართვის ფუნქციას მესაკუთრის მაგივრად განახორციელებდნენ. წარმომადგენლობის საკანონმდებლო მონესრიგება პირველად XIX ს-ში მოხდა.

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას (საქართველოში, საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში) წარმომადგენლობა ორი ფორმით გამოიყენება: პირდაპირი და არაპირდაპირი სავაჭრო წარმომადგენლობა. პირდაპირი წარმომადგენლობის დროს წარმომადგენელი მოქმედებს წარმომდგენი პირის სახელით და შედეგი დგება წარმომდგენელი პირისთვის (მაგ., პროკურისტი). არაპირდაპირი წარმომადგენლობის დროს წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი სახელით და შედეგი დგება ჯერ წარმომადგენ-

ლისთვის, შემდეგ ტრანსფორმირდება წარმოდგენილზე (მაგალითად, კომისიონერი).<sup>1</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს დავალეზის ხელშეკრულებით წარმოქმნილ ურთიერთობებს (მუხ. 709–722). "დავალეზის ხელშეკრულებით, რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალეზული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და მის ხარჯზე" (მუხ. 709) (XIX ს-ში ავსტრიის სამოქალაქო კოდექსში წარმომადგენლობის ინსტიტუტი სწორედ დავალეზის ხელშეკრულებასთან მიმართებაში იყო განხილული).<sup>2</sup>

დავალეზის ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური ხელშეკრულებაა, იგი ყოველთვის სამუშაოს შესრულებას უკავშირდება. მისი მხარეებია, ერთი მხრივ, მარწმუნებელი, რომელიც დავალეზის მიმცემია და ამ სახის ურთიერთობაში კრედიტორის როლში გამოდის, ხოლო, მეორე მხრივ, რწმუნებული, რომელიც დავალეზული მოქმედების განხორციელებას კისრულობს. ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ დავალეზის ხელშეკრულების ფორმა თავისუფალია, მარწმუნებელმა რწმუნებულს უნდა მისცეს მინდობილობა, რომლის ფორმა ასევე თავისუფალია. დავალეზის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით. ეს ვადა ყოველთვის მინდობილობის ვადას უკავშირდება.

როგორც წესი, რწმუნებულმა დავალეზა პირადად უნდა შეასრულოს, მაგრამ კანონმდებელი უშვებს შემთხვევას, როცა რწმუნებული დავალეზული საქმის უკეთესად შესასრულებლად დახმარებისთვის მიმართავს სხვა პირს (მაგ., სასაწყობო მომსახურების, საქონლის შეფასების მიზნით და ა.შ.). ამ შემთხვევაში დამხმარე არ

<sup>1</sup> საქართველოში სავაჭრო წარმომადგენლობა სამართლებრივად "მეწარმეთა შესახებ" კანონის და სამოქალაქო კოდექსის ნორმებით რეგულირდება; საფრანგეთში – საფრანგეთის სავაჭრო და სამოქალაქო კოდექსებით; შვეიცარიაში – შვეიცარიის ვალდებულებითი კანონით; იტალიაში – სამოქალაქო კოდექსით და კანონით "ავენტინისა და წარმომადგენლების შესახებ"; გერმანიაში – გერმანიის სავაჭრო და სამოქალაქო კოდექსებით; ავსტრიაში – სამოქალაქო, სავაჭრო კოდექსებით და ცალკეული კანონებით; ბულგარეთში – სავაჭრო კოდექსითა და კანონით "ვალდებულებებისა და ხელშეკრულებათა შესახებ"; ჩეხეთში – სავაჭრო კოდექსით; უზბეკეთში – სამოქალაქო კოდექსით; ინგლისში – სასამართლო პრეცედენტითა და კანონით "ფაქტორების შესახებ".

<sup>2</sup> Flume. Rechtsgechsch. S. 751.

არის მარწმუნებლის წინაშე პასუხისმგებელი. მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში მარწმუნებელს უფლება აქვს მესამე პირს გადაანდოს დავალების სრულად ან ნაწილობრივ შესრულება. ეს ფაქტობრივად რწმუნებულის შეცვლას ნიშნავს. დავალების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს, ცალმხრივად.

სამეწარმეო ხასიათის წარმომადგენლობის ძირითადი სახეობია:

- წარმომადგენლობა, რომელსაც ახორციელებენ სანარმოს თანამშრომლები;

- წარმომადგენლობა, რომელსაც ახორციელებენ ე.წ. აგენტები. ისინი შუამავლობენ გარიგების დადებისას ან დებენ გარიგებებს წარმომადგენლის სახელით და მათთან მუდმივ ურთიერთობაში იმყოფებიან.

წარმომადგენელზე მინიჭებული უფლებამოსილების მოცულობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. თანამშრომელ წარმომადგენლებს განსაკუთრებით დიდი უფლებები აქვთ. ამასთან, მესაკუთრენი ინარჩუნებენ მათი საქმიანობის კონტროლის უფლებას.

სანარმოს წარმომადგენელთა შორის, უფლებამოსილების მოცულობით ყველაზე მნიშვნელოვანია პროკურისტის საქმიანობა.

პროკურა (გენერალური სავაჭრო მინდობილობა - Prokura) არის სპეციალური სავაჭრო მინდობილება, რომლის მნიშვნელობა და უფლებამოსილების მოცულობა განისაზღვრება საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ" (მუხ. 10).

პროკურას, კანონმდებლობიდან გამომდინარე, ახასიათებს განსაკუთრებული ნიშნები:

- უფლებამოსილების მოცულობა განისაზღვრება კანონით და მისი შეცვლა ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიმე მხარის ინიციატივით, დაუშვებელია;

- კანონი არ ცნობს პროკურის უფლებამოსილების შეზღუდვას მესამე პირებთან მიმართებაში;

- კანონი მოითხოვს პროკურის აუცილებელ რეგისტრაციას არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში.

პროკურის გაცემის უფლება აქვთ სპს-ში – ნებისმიერ პარტნიორს, კს-ში – კომპლემენტარებს, შპს-ში, სს-სა და კოოპე-

რატივში – დირექტორებს. პროკურის გაცემა შეუძლია ასევე ინ-  
დივიდუალურ მენარმეს.

საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ" არ ზღუდავს  
პროკურისტთა რაოდენობას. ამიტომ მათი რიცხვი საწარმოში შე-  
იძლება იყოს ერთი ან მეტი (საერთო პროკურა). პროკურა მხო-  
ლოდ მაშინ იქნეს იურიდიულ ძალას, როდესაც აღნიშნული დოკუ-  
მენტი გადაეცემა პროკურისტს, ე.ი. აქ მნიშვნელოვანია ამ უკა-  
ნასკნელის ნების გამოყენება ანუ მისი თანხმობა.

პროკურა იძლევა უფლებამოსილებას, სასამართლოსა და სხვა  
ურთიერთობებში განახორციელოს ყველა იმ სახის საქმიანობა და  
სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს  
ფუნქციონირებასთან. მიწის ნაკვეთის გასხვისების ან ვალდებუ-  
ლებებით დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხო-  
ლოდ მაშინ, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად  
მიენიჭება. პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე  
პირისათვის. მაგალითად, ბათილია დანაწესი, რომ პროკურა გამოყე-  
ნებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული გარიგებებისა და გარიგებათა  
განსაზღვრული სახეებისათვის ან მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა  
არსებობისას, ან განსაზღვრული დროისათვის, ან ცალკეულ  
ადგილებში. პროკურის შემოფარგვლას ერთი ან რამდენიმე ფილია-  
ლით მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირისათვის, თუ ფილიალები  
იმართება სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით. ამ წესის თანახმად,  
საფირმო სახელწოდებათა განსხვავებულობა იმითაც გამოისახება,  
რომ „ფილიალს“ დაერთვის დამატება, რომელშიც აღინიშნება  
ფილიალის საფირმო სახელწოდება (გერმანიის კანონმდებლობით,  
პროკურისტს შეიძლება მიენიჭოს საზოგადოების უძრავი ქონების  
განკარგვის უფლება ე.წ. განსაკუთრებულ აქტზე დაყრდნობით).<sup>1</sup>

პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა საწარმოს მიერ  
ხდება პროკურის უფლებამოსილების მეტ-ნაკლები შეზღუდვა.  
მაგალითად, პროკურისტს შეიძლება ხელშეკრულებაზე ხელმოწე-  
რის უფლება მიენიჭოს მხოლოდ დირექტორის არყოფნის შემ-  
თხვევაში. ხელშეკრულების მხარე, ხელმძღვანელობს რა კანონის  
ნორმებზე დაყრდნობით, არ არის ვალდებული გაარკვიოს პროკუ-  
რის არაკანონიერი შეზღუდვები. აქედან გამომდინარე, თუ საწარ-

<sup>1</sup> Gesellschafts recht. § 49.2.

მო აღნიშნულ ხელშეკრულებას საცილოდ გახდის (ჩათვლის პროკურისტის უფლებამოსილების გადაჭარბებად), პროკურისტის მიერ დადებული ხელშეკრულება მესამე პირისთვის მაინც იურიდიული ძალის მქონედ დარჩება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურის შეზღუდვის პრეზუმფცია ეყრდნობა კომერციულ ურთიერთობებში ნდობის დაცვის აუცილებლობის პრინციპს.

ზოგადი წესის თანახმად, პროკურა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ:

- პროკურის გაუქმებით ან მისი ძალადაკარგულად აღიარებით;

- პროკურისტის გარდაცვალების შემთხვევაში;

- თუ საწარმო გადავა ლიკვიდაციის რეჟიმში;

- საწარმოს გასხვისების შემთხვევაში.

თუ საწარმოს აქვს რამდენიმე ფილიალი, პროკურისტს შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ერთის ან ყველას წარმოდგენის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს კიდევ ერთი სახის შეზღუდვას, როცა საწარმო პროკურას გასცემს ორ ან მეტ პირზე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს, რომ მათი ერთობლივი ხელმოწერა აუცილებელია გარიგების ნამდვილობისთვის.

პროკურისტი საქმიანი ხელმოწერისას საწარმოს საფირმო სახელწოდებას ურთავს თავის სახელს და გვარს, პროკურის აღმნიშვნელი დამატებით. პროკურის გადაცემა მესამე პირისთვის დაუშვებელია.

სავაჭრო წარმომადგენლობის ერთ-ერთ სახეს, საქართველოს, გერმანიისა და შვეიცარიის კანონმდებლობით, წარმოადგენს საწარმოს იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილების (სავაჭრო მინდობილობის) მქონე პირები. მათი უფლებამოსილება ვრცელდება არა იმ იურიდიულ მოქმედებებზე, რომლებიც ჩვეულებრივია ყველა საწარმოსთვის, არამედ მხოლოდ იმაზე, რაც მისაღებია კონკრეტული სახის საწარმოსთვის. შესაბამისად, მისი კომპეტენციის მოცულობა უფრო მცირეა, ვიდრე პროკურისტისა. სავაჭრო მინდობილობა შეიძლება გაიცეს რაიმე კონკრეტული გარიგების დასადავად, მაგალითად, სესხის ასა-

ლებად და ა. შ. ამასთან, ამგვარი მინდობილობა ყოველთვის არ მოითხოვს წერილობით ფორმას.

სავაჭრო წარმომადგენელს აქვს შუამავლობის საზღაურის (პროვიზიის) მოთხოვნის უფლება ყველა იმ გარიგებისათვის, რომელიც დადებულია მას და წარმოდგენილ საწარმოს შორის<sup>1</sup> არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში.

პროვიზიის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა

- საწარმომ შეასრულა ან უნდა შეესრულებინა გარიგების პირობები;
- გარიგების მეორე მხარემ შეასრულა გარიგების პირობები;
- გარიგების მეორე მხარე შეასრულებდა გარიგების პირობებს, საწარმოს რომ შეესრულებინა ამავე გარიგებით ნაკისრი ვალდებულება.

პროვიზიის მოთხოვნის უფლება ისპობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარიგება არ შესრულდება საწარმოსგან დამოუკიდებელი მიზეზით. ასეთ შემთხვევაში მიღებული თანხები, როგორც წესი, უკან უნდა დაბრუნდეს, თუ მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობის გარდა, საწარმოს წარმომადგენლობის უფლება აქვთ პირებს, რომლებიც არ წარმომადგენენ საწარმოს შრომით პერსონალს. ესენია: სავაჭრო წარმომადგენლები, დამოუკიდებელი მოვაჭრეები, კომისიონერები და სავაჭრო მაკლერები. აღნიშნულ პირთა სამართლებრივ რეგულირებაზე "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონმა 2008 წელს უარი თქვა და მის მე-11 მუხლში დაფიქსირდა "საწარმოს ურთიერთობები სავაჭრო წარმომადგენელთან, დამოუკიდებელ მოვაჭრესა და კომისიონერთან რეგულირდება მათთან დადებული ხელშეკრულებით".

ზოგადად, სავაჭრო წარმომადგენელი არის დამოუკიდებელი მენარმე. ამ სახით შეიძლება გამოვიდეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. სავაჭრო წარმომადგენელი შუამავლობს ან დებს გარიგებებს საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის მიზნით, სხვა საწარმოს სახელითა და ხარჯით. სავაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა ასევე დამოუკიდებელი მოვაჭრე,

რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით და ხარჯით, თუმცა უპირატესად იმყოფება სხვა სანარმოს, სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში.

პირი, რომელიც საქონლის ან უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, მაგრამ სხვისი ხარჯით, კომისიონერია.

ზოგადად, კომისიონერი პასუხს აგებს მისთვის მიბარებული ქონების დანაკლისისა და დაზიანებისათვის, თუ ეს არ არის გამოწვეული იმ გარემოებით, რომელთა აღკვეთა შეუძლებელი იყო კეთილსინდისიერი კომერსანტის გულისხმიერი მოქმედებით. კომისიონერი მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს ქონების დაუზღვევლობისათვის, თუ მას კომიტენტისგან დავალებული ჰქონდა ქონების დაზღვევა, თუ მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

კომისიონერს პროვიზიის მოთხოვნის უფლება ეძლევა გარიგების შესრულების ან კომიტენტის მიზეზით მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში.

კომისიონერს შეუძლია მოითხოვოს ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რაც მან გაიღო კომიტენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ხარჯებს განეკუთვნება სანყოფისა და ტრანსპორტირების ხარჯებიც.

თუ შეუძლებელია საკომისიო საქონლის გაყიდვა ან კომიტენტი უარს ამბობს თავის დავალებაზე და ამასთან უსაფუძვლოდ აყოვნებს საქონლის მიღებას, კომისიონერი უფლებამოსილია მოახდინოს მისი რეალიზაცია აუქციონის ან სხვა გზით.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება წარმომადგენლობის სპეციალური ფორმა, რომელსაც საფრანგეთში კომივიოიაჟერი ეწოდება. ეს არის პირი, რომელიც მენარმის მითითებით მოგზაურობს სხვადასხვა რეგიონში (ქვეყნებში) და იღებს შეკვეთებს ამა თუ იმ პროდუქციის დასამზადებლად.

საერთო სამართლის ქვეყნებში ცნობილია ე.წ. agency-ის ინსტიტუტი. Agency შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ ხელშეკრუ-

ლების საფუძველზე, არამედ განხორციელებული მოქმედების მონონებით ან დუმილით.<sup>1</sup>

საერთო სამართლის ქვეყნებში არ ხდება წარმომადგენლობის დაყოფა კანონიერ და სახელშეკრულებო წარმომადგენლობებად. ინგლისში ტერმინი "აგენტი" (წარმომადგენელი) ფართო გაგებით გამოიყენება. აგენტს სამართლებრივ ურთიერთობებში გამოსვლის უფლება აქვს როგორც თავისი, ასევე პრინციპალის (წარმომადგენის) სახელით. მესამე პირებთან ურთიერთობებში აგენტს შეუძლია: 1) გაამხილოს პრინციპალის არსებობა და მიუთითოს მის სახელწოდებაზე; 2) გაამხილოს პრინციპალის არსებობა და არ მიუთითოს მის სახელწოდებაზე; 3) არ გაამხილოს პრინციპალის არსებობა და გარიგება დადოს თავისი სახელით (undisclosed principal).

პირველ ორ შემთხვევაში გარიგების მეორე მხარე უფლებამოსილია მოთხოვნით მიმართოს მხოლოდ პრინციპალს, მესამე შემთხვევაში შეუძლია მოთხოვნები წაუყენოს პრინციპალს ან აგენტს. თავის მხრივ, პრინციპალს უფლება აქვს სამივე შემთხვევაში მიმართოს გარიგების მეორე მხარეს, მიუხედავად იმისა, აგენტი თავისი სახელით მოქმედებს თუ პრინციპალის.<sup>2</sup>

ინგლისისა და აშშ-ის სასამართლო პრაქტიკამ სამართლებრივად, ამომწურავად მონაწილეობა ზოგიერთი სახის აგენტის მდგომარეობა, მათი მომსახურება ფართოდ გამოიყენება როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის სფეროში. ესენია:

- კონსიგნაციური აგენტი (ფაქტორი) – მათი სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია ინგლისის 1889 წ. კანონში "ფაქტორების შესახებ". ფაქტორის ძირითად უფლებამოსილებაში შედის საქონლის ყიდვა-გაყიდვა. მნიშვნელოვანია, რომ იგი ფლობს პრინციპალის საქონელს და, შესაბამისად, პასუხს აგებს მის დაცვასა და შენახვაზე;

- დელკრედერე აგენტი – რომელიც პრინციპალს ხელშეკრულების შესრულების გარანტიად უდგება. დელკრედერე არის საგარანტიო ხელშეკრულების ერთ-ერთი ნაირსახეობა, გამოიყენება სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მონაწილეობით წარმოშობელ ურთიერთობებში. თუ სავაჭრო წარმომადგენელი ან

<sup>1</sup> Anson s. Law of Contract. 24. Aufl. 1975 S 771. f.f.

<sup>2</sup> Borrie J. Commercial Law-5. Ed-1980-p. 1-45

კომისიონერი წერილობით ივალდებულებს, რომ თავდებად დადგება გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს სპეციალური გასამრჯელო – ვალდებულების შესრულების თავდებად ყოფნის პროვიზია. სათავდებო პროვიზიის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა გარიგების დადებისთანავე. ამრიგად, დელკრედერე კლიენტის გადახდისუნარიანობის გარანტია. ასეთი ვალდებულება წერილობით უნდა გაფორმდეს;

- ბროკერი – შუამავალი, რომელიც ამზადებს ხელშეკრულების პროექტს და უგზავნის მხარეებს ხელმოსაწერად;

- განსაკუთრებული უფლებების მქონე აგენტი – სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით, რომ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოახდინოს პრინციპალის საქონლის რეალიზაცია;

- საექსპორტო ოპერაციებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკომისიო საექსპორტო სახლებს. ამ შემთხვევაში ორმაგი ურთიერთობა მყარდება, ერთი მხრივ, საექსპორტო სახლსა და იმპორტიორს შორის (ეს არის ურთიერთობა აგენტსა და პრინციპალს შორის) და, მეორე მხრივ, საექსპორტო სახლსა და ადგილობრივ მიმწოდებლებს შორის;

- აუქციონისტი – აგენტი, რომელსაც პრინციპალი გადასცემს საქონელს აუქციონზე სარეალიზაციოდ.

## შუამავალთა როლი საწარმოს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში

საქართველოს ისტორიული განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე, საგარეო სავაჭრო საქმიანობა, როგორც მეურნეობის საერთო სტრუქტურის ნაწილი, გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე. საგარეო სავაჭრო კავშირები ზემოქმედებენ შიგნითურ პროპორციების სრულყოფაზე, მწარმოებელი ძალის განლაგება-განვითარებაზე და ა.შ.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმა, ბუნებრივია, საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმიანობის სრულყოფასაც მოიცავს, რამაც დასაბამი ჯერ კიდევ 1991 წლიდან აიღო. ამ დრომდე აღნიშნული კავშირები განიხილებოდა სახელმწიფოებრივ დონეზე, როგორც იძულებითი მოვლენა; ასეთი იყო ადმინისტრაციულ-განკარგულებითი სისტემის კრედო. წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ექსპორტი არ შეიძლება ყოფილიყო ეფექტური, რადგან პირველადი სამეწარმეო რგოლები (საწარმოები, გაერთიანებები) და სამეცნიერო დაწესებულებები ფაქტობრივად იზოლირებული იყვნენ საგარეო ვაჭრობის კავშირებისგან. იქმნებოდა ერთგვარი ვაკუუმი, რაც ინვესტაგაუცხოებას ექსპორტის მწარმოებელსა და ფაქტობრივად განხორციელებულ ექსპორტს შორის.

XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ფინანსური კრიზისი და მასთან დაკავშირებული პრობლემების სირთულე ადეკვატურად აისახა ქვეყნის საგარეო ურთიერთობებზე. საქართველოს ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში მრავალფეროვანი ღონისძიებების გატარება მოუხდა, მათ შორისაა საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ახალი პრინციპების დანერგვა, რომელმაც საგარეო ურთიერთობები უფრო მაღალ დონეზე აიყვანა და გააფართოვა მისი არეალი, რასაც შედეგად საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლის ზრდა მოჰყვა.

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმატორული საქმიანობა ბუნებრივია საგარეო ვაჭრობის სფეროსაც შეეხო. მისი მიზანი ამ კუთხით არსებული პრობლემათა გადაჭრაა. აღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფოს მიერ უარი ითქვა საგარეო ვაჭრობის სფეროში მონოპოლიაზე.

ბუნებრივია, რომ ქართველი მენარმეები ამ პროცესს მოუმზადებელი შეხვდნენ. მათ არ გააჩნდათ არც სამართლებრივი საფუძველი, არც პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სფეროში მეტად მნიშვნელოვანია იურისტთა და ეკონომისტთა როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული ურთიერთთანამშრომლობა. გასული საუკუნის ბოლო წლებიდან საქართველოს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი შემცირდა. გაიზარდა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობამ. ევროკავშირის სახელმწიფოებმა საქართველოს მიანიჭეს ვაჭრობის პრეფერენციული რეჟიმი, რაც გულისხმობს, რომ საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებში თავისი საქონლის ექსპორტისას უფლება აქვს ისარგებლოს, იმპორტზე დაწესებულ საერთო ტარიფთან შედარებით, შეღავათიანი ტარიფით.

საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლა იწვევს საწარმოთა დამოუკიდებლად გასვლას საერთაშორისო ბაზარზე, რაც, თავის მხრივ, წარმოქმნის საექსპორტო და საიმპორტო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში კვალიფიციურ გარკვევას, კერძოდ:

- მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა;
- სასურველი პარტნიორის შერჩევა;
- უცხოური ფირმების საქმიანობის ანალიზი და მარკეტინგი;
- საქონლის რეალიზაციის თანამედროვე ფორმების შესწავლა და საქონლის გაყიდვის შემდგომი მომსახურება;
- მენარმეობის იმ სფეროების სტიმულირება, სადაც წარმოება ადგილობრივ რესურსებზეა დამყარებული.

საგარეო ეკონომიკური ოპერაციების გატარების პროცესში ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების დადებას უჭირავს. აღნიშნული ხელშეკრულების პროფესიონალურად შედგენაზე ბევრადაა დამოკიდებული გარიგების წარმატება, კომერციული თვალსაზრისით.

უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული საქმიანობისთვის ფართოდ გამოიყენება სავაჭრო შუამავლობის ინსტიტუტი, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია.

შუამავალი (middleman) – ფიზიკური ან იურიდიული პირია, რომელიც გარიგების დამდებ მხარეებს აკავშირებს. საშუამავლო საქმიანობას ეწევიან ბროკერები, დილერები, კომისიონერები, კონსიგნატორები, მაკლერები, სავაჭრო და სამრეწველო აგენტები. საქონლის საერთაშორისო ბრუნვაში დიდ როლს ასრულებს ე.წ. სავაჭრო ფირმები.

საშუამავლო ოპერაციები, რომლებსაც შუამავალი ფირმები ექსპორტიორის ან იმპორტიორის დავალებით ასრულებენ, ცალკეული დავალების ან სპეციალური შეთანხმების საფუძველზე, მოიცავს უცხოელი პარტნიორების მოძიებას, ხელშეკრულებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას, საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო-ექსპედიტორული ოპერაციების შესრულებას, საკრედიტო-საფინანსო მომსახურებას, ქონების დაზღვევას, რეკლამირებასა და გაყიდვის შემდგომ მომსახურებას, გასაღების ბაზრის შესწავლას, ანალიზს და სხვა.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შუამავალთა მოზიდვის მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის ოპერაციების ეკონომიურობა. მაგ., ექსპორტის დროს სავაჭრო წარმომადგენელი საქონლის მწარმოებელს საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემისაგან ათავისუფლებს. იგი იმპორტიორს თავისი ადგილსამყოფელის მიხედვით აწვდის საქონელს, ახარისხებს და ფუთავს, უზრუნველყოფს საქონლის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ შუამავლებს გადაეხდებათ შრომის საზღაური, მწარმოებლისთვის ეს მაინც ეკონომიურია, რაც გამონეულია შემდეგი ფაქტორებით:

- შუამავლების მონაწილეობა ზრდის საქონლის ბრუნვის ოპერატიულობას. თავის მხრივ, კაპიტალის ბრუნვის დაჩქარება ზრდის მოგების მოცულობას;

- შუამავლები ოპერატიულად და აქტიურად რეაგირებენ ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებაზე, რამეთუ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ მყიდველებთან;

- შუამავლების მოზიდვა განაპირობებს საქონლის კონკურენტუნარიანობას, რადგან შუამავლები ატარებენ ტექნიკურ მომსახურებას, ახორციელებენ გაყიდვის წინა სერვისს;

- ხშირად შუამავლები აბანდებენ ფულს გასაღების ქსელის შექმნასა და განვითარებაში. ამით ექსპორტიორები ერთგვარად ზოგავენ საკუთარ სახსრებს.

ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკაში ასხვავებენ საშუამავლო ოპერაციების შემდეგ სახეებს:

- დილერული ოპერაციები, როცა შუამავალი გამოდის საკუთარი სახელით და საკუთარი ხარჯით. ფართო გაგებით, დილერები ახორციელებენ საბირჟო ან სავაჭრო შუამავლობას. შემოსავალი წარმოიშობა ვალუტის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვას შორის სხვაობით, ასევე კურსის ცვლილების ხარჯზე;

- საკომისიო ოპერაციები, როცა შუამავალი გამოდის საკუთარი სახელით და სხვისი ხარჯით;

- ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება დავალების ხელშეკრულებით, ე.ი. შუამავალი გამოდის სხვისი სახელით და სხვისი ხარჯით.

შემოთავაზებული კლასიფიკაციიდან და შუამავლებზე კანონით თუ ხელშეკრულებით მინიჭებული ფუნქციებიდან გამომდინარე, მსოფლიო პრაქტიკაში ასხვავებენ: სავაჭრო ფირმებს ან დილერებს; საკომისიო ფირმებს; სავაჭრო აგენტებს. აგენტთა განსაკუთრებული სახეა ბროკერები.

ე.წ. სავაჭრო ფირმები ახორციელებენ დილერულ ოპერაციებს საქონლის გაყიდვაზე. აღნიშნულ საქმიანობას შუამავლები საკუთარი ხარჯითა და სახელით ეწევიან. იურიდიულად ეს აქტი ნასყიდობის ხელშეკრულებით ფორმდება. საქონლის შესყიდვასა და შემდგომში მისი გაყიდვის მომენტამდე შუამავალი გვევლინება საქონლის ნომინალურ მფლობელად. აქედან გამომდინარე, მასვე აწევს საქონლის დაზიანების, განადგურების ან დაკარგვის რისკიც.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სავაჭრო ფირმების ნაირსახეობებია: სავაჭრო სახლები, საექსპორტო და საიმპორტო ფირმები, საბითუმო და საცალო ფირმები, დისტრი-

ბუტორები, სტოკისტები.<sup>1</sup> აღნიშნულ კლასიფიკაციას პირობითი მნიშვნელობა აქვს და მისი მიზანი სავაჭრო ფირმებს შორის ფუნქციონირებას გამოიწვევს და მათი კომპეტენციის დაზუსტებაა. ე.წ. ბროკერის ინსტიტუტი საქართველოში ნელ-ნელა ფეხს იკიდებს, ამიტომ უცხოეთის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მისი ზოგადი დახასიათება.

ბროკერი ასრულებს ხელშეკრულების დასადავად აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებს. იგი ამზადებს გარიგების პროექტს და უგზავნის მხარეებს. ბროკერის მეშვეობით მხარეები იღებენ შემხვედრ წინადადებებს. ბროკერს აქვს სპეციალური უფლებამოსილება, რომლის ფარგლებშიც იგი მოქმედებს.

საბროკერო კომპანიები ყველაზე მეტი რაოდენობით მოქმედებენ ინგლისში და ფაქტობრივად მონოპოლიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. პრაქტიკიდან გამომდინარე, რუსეთი ინგლისში ხეტყის ექსპორტს მხოლოდ საბროკერო კომპანიების მეშვეობით ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ცნობილი ინგლისური საბროკერო კომპანია "Shemoda Capital advisors" გარკვეული პერიოდი საქართველოს ტერიტორიაზეც ახორციელებდა ინვესტირებას.

ბროკერის საქმიანობის ანაზღაურება, ხშირ შემთხვევაში, სავაჭრო ჩვეულებებზე დაყრდნობით ხორციელდება, რომელიც, როგორც წესი, მერყეობს ხელშეკრულების ფასის 0,5%-დან 2-3%-მდე. საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში ხშირად მონაწილეობენ შუამავლები, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე კისრულობენ ბაზრის გამოკვლევას, რეკლამირებას, საქმიან წრეებში ექსპორტიორზე მაღალი რეპუტაციის შექმნას, მყიდველთა მოზიდვასა და მათთან საქმიანი შეხვედრების ორგანიზებას. პრაქტიკის გათვალისწინებით, ექსპორტიორები ასეთი შუამავლის სახით ცდილობენ შეარჩიონ ავტორიტეტული პირები (ფირმები).

საერთო სამართლის ქვეყნებში, სამენარმეო პრაქტიკიდან გამომდინარე, აგენტ-ნარმომადგენლის ძირითად ვალდებულებებში შედის:

- მარკეტინგული კვლევების ჩატარება და პრინციპალის ინფორმირება ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე;

<sup>1</sup> Schmitthoff's Export Trade - 9 P. 292.

- პრინციპალის ინფორმირება საქონლის ტექნიკურ მოთხოვნებსა და ფასზე;

- პრინციპალისთვის დახმარების განწვევა გარიგების დადებისას, საქონლის რეკლამირება და საქმიან წრეებში მისი რეპუტაციის ამაღლება.

ამგვარი წარმომადგენლობის დროს გაიცემა მინდობილობა (Letter of authority).<sup>1</sup>

იურიდიულ პრაქტიკაში ასხვავებენ სამი სახის მინდობილობას:

- ერთჯერადი, როცა მინდობილობა გაცემულია ერთი ან რომელიმე კონკრეტული მოქმედებისთვის;

- სპეციალური, რომელიც ფორმდება ერთგვაროვანი მოქმედებების შესასრულებლად;

- საერთო (გენერალური), რომელიც წარმომადგენელს ანიჭებს წარმოდგენილის ქონების მართვის, გარიგების დადების, სასამართლოში მონაწილეობის, საგარეო ეკონომიკური შეთანხმებების დადების უფლებას.

უფლებამოსილების გადანდობა დაიშვება, თუ პირდაპირაა მითითებული მინდობილობაში ან თუ აუცილებელია წარმოდგენილის ინტერესებისთვის.

წარმოდგენილები ასრულებენ წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილ გარიგებათა პირობებს, ანაზღაურებენ მათ მიერ განწვეულ ხარჯებს და უხდიან გასამრჯელოს. ამ უკანასკნელით ისინი ფაქტობრივად წარმომადგენელთა კომპეტენტურობისა და ოპერატიულობის შეფასებას ახდენენ.

გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრიის, ლიხტენშტეინის კანონმდებლობით, წარმომადგენელს უფლება აქვს მიიღოს ანაზღაურება ისეთ გარიგებებზეც, რომლებიც წარმოდგენილებმა დადეს დამოუკიდებლად, მაგრამ წარმომადგენლებმა წარმოდგენილთათვის იმავე პარტნიორებთან ადრე მოაწერეს ხელი სხვა გარიგებებზე. წარმომადგენელთა უფლებების დაცვის აღნიშნული მექანიზმი გაცილებით უფრო სრულყოფილია.

რაც შეეხება კომისიონერებს, თვით ტერმინი კომისია (commission) ნიშნავს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი მხარე (კომისი-

<sup>1</sup> Borrie J. Commercial Law-5 P-42.

ონერი) ვალდებულია, მეორე მხარის (კომიტენტის) დავალებით შეთანხმებული გასამრჯელოს საფუძველზე დადოს გარიგება საკუთარი სახელით, მაგრამ კომიტენტის ხარჯით და მისივე ინტერესებით.

კომისიონერის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ანგარიშგება კომიტენტის წინაშე.

კომისიონერი პასუხს არ აგებს, თუ მესამე პირი არ შეასრულებს გარიგებით გათვალისწინებულ პირობებს, რა თქმა უნდა, თუ ეს წინასწარ მხარეთა მიერ არ არის შეთანხმებული, რითაც კომისიონერი კისრულობს მესამე პირის გადახდისუნარიანობას. ასეთ შემთხვევაში კომისიონერი იძენს უფლებას დამატებით გასამრჯელოზე (del credere commission).

კომიტენტი (principal) სავაჭრო კომისიის ხელშეკრულების მხარეა, რომელსაც შეუძლია საგარეო ვაჭრობის სფეროში კომისიონერს დაავალოს ხელშეკრულებათა დადება საქონლის იმპორტზე, ფრახტზე, კრედიტის აღებაზე, საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე და ა.შ.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კომისიის ხელშეკრულებაში, როგორც წესი, მოცემულია კომისიონერის უფლებამოსილების ტექნიკური და კომერციული პირობები. ჩვეულებრივ ეყენია:

- მინიმალური ფასები საქონლის ექსპორტირების შემთხვევაში და მაქსიმალური ფასები საქონლის იმპორტირების დროს;

- საქონლის მიწოდების მინიმალური ვადები;

- საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზღვრული დახასიათება;

- საკომისიო გასამრჯელოს გადახდის წესი და მოცულობა.

აღნიშნული ხელშეკრულება ასევე მოიცავს კომისიონერის ვალდებულებებს, კერძოდ, ნებისმიერ შემთხვევაში შეთანხმოს კომიტენტთან ხელშეკრულების არსებითი პირობები, მათ შორის საქონლის რაოდენობა, მიწოდების ვადები, საქონლის ფასი და ა.შ.

მესამე პირებთან ურთიერთობაში კომისიონერები გამოდიან, როგორც გამყიდველები. კომისიონერი პასუხს აგებს მის ნომინალურ მფლობელობაში არსებული საქონლის შენახვაზე. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კომისიონე-

რის ვალდებულება, დააზღვიოს საქონელი კომიტენტის სასარგებლოდ.

მნიშვნელოვანია საკომისიო გასამრჯელოს მოცულობის შეთანხმება. მაგ., იაპონიაში, აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში საკომისიო გასამრჯელო მერყეობს გარიგების საფასურის 1,5-3,5%-მდე. ასეთი ანაზღაურება მოქმედებს მაშინ, როცა კომისიონერსა და კომიტენტს შორის სრულდება წმინდა საკომისიო ოპერაცია, კერძოდ:

- კომისიონერი საქონლის შესყიდვის ან გაყიდვის დროს მოქმედებს მხოლოდ კომისიის ხელშეკრულების ფარგლებში;

- კომისიონერი თავისი საქმიანობის არც ერთ ეტაპზე არ ხდება საქონლის მესაკუთრე;

- კომისიონერი პასუხს არ აგებს კომიტენტის წინაშე მესამე პირის ვალდებულებებზე.

დელკრედერე ხელშეკრულების შემთხვევაში გასამრჯელო გაცილებით მეტია, კომისიონერი კისრულობს დამატებით გარანტიებს. აღნიშნულის მექანიზმი ასეთია: თუ მესამე პირი არის მყიდველი, ე.ი. საქონლის ბენეფიციარი, ხოლო კომიტენტი არის გამყიდველი, მაშინ კომისიონერს შეუძლია იკისროს მყიდველის გადახდისუნარიანობის გარანტია. ამ შემთხვევაში კომისიონერსა და კომიტენტს შორის იდება კომისიის ხელშეკრულება "დელკრედერე" პირობებზე. ამ პირობების თანახმად, კომისიონერი თვითონ ანაზღაურებს კომიტენტის დანახარჯებს, მყიდველის გადახდისუნარიანობის შემთხვევაში.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე შუამავლებს აქვთ განსაზღვრული დანახარჯი, რაც დაკავშირებულია ბაზრის გამოკვლევასთან, საქონლის რეკლამირებასთან და ა.შ. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, არსებობს სავაჭრო შუამავალთა საქმიანობის ანაზღაურების რამდენიმე ფორმა, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს ხელშეკრულებაში, კერძოდ:

- შუამავლები იტოვებენ სხვაობას საქონლის ბაზარზე რეალიზაციის ფასსა და ექსპორტიორთა მიერ საქონელზე დადგენილ ფასს შორის. ანაზღაურების ასეთი ფორმა სტიმულს აძლევს შუამავალს, გაზარდოს საექსპორტო ფასი. გარდა ამისა, ექსპორტიორმა კარგად უნდა იცოდეს საქონლის რეალიზაციის ფასები,

რათა წინასწარ შეძლოს პროგნოზირება ფასთა სხვაობაზე. თუ ექსპორტიორი არ არის აღნიშნული საქმის კურსში, მაშინ შუამავალს ეძლევა შანსი შეუთანხმდეს დაბალ საექსპორტო ფასზე და ამით მიიღოს დიდი მოგება. ამ ნეგატიური მოვლენის თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალებაა, ექსპორტიორმა ხელშეკრულებაში თავიდანვე დააფიქსიროს შუამავლის ვალდებულება, რომ პერიოდულად ჩააბაროს ანგარიში ექსპორტიორის საქონლის რეალიზაციაზე;

- შუამავლის სასარგებლოდ ირიცხება შეთანხმებული პროცენტები. ეს, თავის მხრივ, შუამავალს აძლევს სტიმულს, რომ გაზარდოს გასაღების მოცულობა და, შესაბამისად, გაზარდოს ფასები, რასაც მოჰყვება რეალიზაციის ეფექტურობის ზრდა;

- ანაზღაურება ე.წ. "კოსტპლასის" სისტემით. ამ სისტემის არსი ასეთია: შუამავალი ექსპორტიორს (გამყიდველს) წარმოუდგენს დოკუმენტებს, სადაც მის მიერ განეული ხარჯებია დაფიქსირებული. ექსპორტიორი ამ ხარჯებს წინასწარ შეთანხმებული პროცენტული ნამატით ანაზღაურებს, რაც ფაქტობრივად შუამავლის მოგებას წარმოადგენს.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს მიერ კერძო-სამართლებრივ კორპორაციებში საკუთარი წილების (აქციების) პრივატიზაციის პროცესის დაგეგმვას და მომგებიანად წარმართვაში გამოიყენება შუამავლობა, რომელსაც ძირითადად საინვესტიციო ბანკები ახორციელებენ. ისინი საუკეთესო ტრანზაქციული ალტერნატივის არჩევის მიზნით, კონსულტაციებს უწევენ გამყიდველებს და არ წარმოადგენენ ტრანზაქციის მონაწილე დამოუკიდებელ მხარეს. საინვესტიციო ბანკის მომსახურების ანაზღაურება ხდება გასაყიდი ობიექტისა და გამყიდველის მიერ თითოეული ტრანზაქციისთვის ურთიერთშეთანხმებული სქემის საფუძველზე. საინვესტიციო ბანკის ანაზღაურება, პირობითად, ორი ელემენტისაგან შედგება: ფიქსირებული ნაწილი (რითეინერი) და ქონების გაყიდვით მიღებული თანხის წინასწარ შეთანხმებული პროცენტი.

## სანარმოს პარტნიორთა უფლება-მოვალეობა

სანარმოს პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სანარმოებში პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირი. კანონმდებელი მათ აბსოლუტურად ერთნაირ სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს, რაც, თავის მხრივ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას უწყობს ხელს.

მოქმედი კანონმდებლობა ფიზიკური პირის, როგორც საზოგადოების პარტნიორის, მიმართ არ ადგენს ასაკობრივ ცენზს, რადგან, სამოქალაქო კანონმდებლობით, ნებისმიერი ფიზიკური პირი შეიძლება იყოს განსაზღვრული ქონების მესაკუთრე. როცა საუბარია დამფუძნებელ პარტნიორზე, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მხოლოდ სრულწლოვანი და სრული ქმედუნარიანობის მქონე პირი იგულისხმება, ხოლო წილის მემკვიდრეობით გადაცემის შემთხვევაში პარტნიორად შესაძლებელია არასრულწლოვანი (ან/და ქმედუნარო) პირიც მოგვევლინოს, თავისთავად ამ უკანასკნელის პარტნიორობიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის დელეგირება მათ კანონიერ წარმომადგენელზე ხდება.

სანარმოს პარტნიორად ყოფნა, განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით, ფიზიკური და იურიდიული პირების ნებაზეა დამოკიდებული, პარტნიორებს აქვთ უფლება-მოვალეობანი, რაც შესაბამისი კანონმდებლობით და/ან სანარმოს წესდებით (ხელშეკრულებით) განისაზღვრება.

სამართლებრივ დოქტრინაზე დაყრდნობით, სანარმოს პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება იყოს: კანონზე, საზოგადოების წესდების დებულებებზე, ხელშეკრულებასა და სასამართლოს პრაქტიკაზე დაფუძნებული. პირველს მიეკუთვნება: პარტნიორთა საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება. ასევე, ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, უფლება აქვს, შეამომოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის

მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, მისი შემონმების ხარჯები ეკისრება საწარმოს. კონტროლისა და შემონმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით.

საზოგადოების წესდების დებულებათა როლი ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. მრავალი საკითხი გამოვიდა კანონის რეგულირების სფეროდან და კონკრეტული საწარმოს წესდებით მოწესრიგდა. მათ შორის: საზოგადოების საბუღალტრო ნიგნის შემონმება უშუალოდ (რიგ შემთხვევაში, აუდიტორის დახმარებით), საზოგადოების ორგანოებისათვის წლიური ანგარიშის შესახებ განმარტების მოთხოვნა, საზოგადოების ქონებაში შესატანის შეტანის, დივიდენდების მიღების, წილის გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის უფლებები, საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონების განაწილებაში მონაწილეობის მიღების უფლება, კრედიტორთა და მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის მოვალეობა (კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში), საზოგადოებიდან გასვლის უფლება და ა.შ.

სასამართლო პრაქტიკა პარტნიორებს ანიჭებს საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის უფლებას.

სამენარმეო ხასიათის იურიდიული პირების პარტნიორთა უმთავრესი უფლება-მოვალეობა საწარმოს მართვაა, რასაც ისინი პარტნიორთა საერთო კრებაზე მონაწილეობით ახორციელებენ.

სწორედ საერთო კრებაზე ხდება პარტნიორთა ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაცია, კერძოდ, სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა, ფილიალების და სხვა ავტონომიური წარმონაქმნების შექმნა და ლიკვიდაცია, უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა, იმ კრედიტების უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნება ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, წლიური შედეგების დამტკიცება და ა.შ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს სამენარმეო პრაქტიკაში ინფორმაციის მიღების გაფართოების ტენდენცია. ყველა პარტნიორს უფლება აქვს მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

მიღებული ინფორმაციის მოცულობა და ხასიათი პარტნიორებს აძლევს საზოგადოების საქმიანობის გაკონტროლების საშუალებას. ყველაზე მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რომელიც პარტნიორისა და საზოგადოების ქონებრივ ინტერესებს ეხება. ეს ბუნებრივია, სწორედ ამ ფაქტორზეა დამყარებული საზოგადოების პარტნიორის მატერიალური მდგომარეობა და საზოგადოებაში პარტნიორად დარჩენის ინტერესი.

ბოლო პერიოდში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა პარტნიორთა უფლება-მოვალეობების ძირითადი მოცულობის განსაზღვრა მათვე მიანდო. ზოგადი წესის მიხედვით, სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუ “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით ან კონკრეტული საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი (წესდებით შესაძლებელია მათ მიერ შეტანილი შენატანებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვროს განსხვავებული უფლება-მოვალეობები).

საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის რაოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების განწევა.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) – საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.

კანონით ასევე დაშვებულია კაპიტალური საზოგადოების პარტნიორთა და კომანდიტთა პერსონალური პასუხისმგებლობის

შესაძლებლობაც, კერძოდ, კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები, ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით, საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმების ბოროტად გამოყენების ფაქტი დგინდება ცალკეულ შემთხვევებში, კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე.

საზოგადოების პარტნიორთა ერთ-ერთი უფლებაა პარტნიორის გარიცხვა, რომლის რეგულირების მექანიზმი თავისთავად არ წარმოადგენს საკანონმდებლო "ნოველას". ზოგადად, საკორპორაციო სამართლებრივი დოგმატიკის მიხედვით, კაპიტალური ტიპის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის ორი ძირითადი შესაძლებლობა არსებობს, კერძოდ, როცა პარტნიორი არ ასრულებს (ან არაჯეროვნად ასრულებს) შესატანის შეტანის ვალდებულებას და მეორე, როცა პარტნიორი ზიანს აყენებს საზოგადოებას. "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 2007 წლის 10 ოქტომბრამდე არსებული რედაქციით, ასევე გათვალისწინებული იყო პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობა, თუ დათქმულ ვადაში არ შეიტანდა სრულად წინდათქმულ შესატანს. დღეს მოქმედი რედაქციით, პარტნიორებმა შესატანის შეტანის წესი და ვადა აუცილებლად წესდებით უნდა მოანესრიგონ. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედ კანონში არ არის ტერმინი "პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა", მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ვადის უშუდეგოდ გასვლის შემთხვევაში, პარტნიორი, რომელიც არ განახორციელებს გადახდას, დაკარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებს. ცხადია, რომ წარმოდგენილი რედაქცია შინაარსით უთანაბრდება პარტნიორის გარიცხვას.

უნგრეთის კანონმდებლობით, გარიცხული პარტნიორის წილის რეალიზაცია ღია აუქციონის წესით ხდება. კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სხვა წესით წილის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ გარიცხული პარტნიორის თანხმობით.

აუქციონზე წილის გაყიდვამდე 8 დღით ადრე ოფიციალურად უნდა გამოქვეყნდეს აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი.

აუქციონის დაწყებამდე საზოგადოების წარმომადგენელი მონაწილეებს სთავაზობს წამოაყენონ წინადადებები. წილს იძენს ის, ვინც ყველაზე სარფიან წინადადებას წამოაყენებს. იგი ვალდებულია მაშინვე მოახდინოს ნაღდი ანგარიშსწორება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განცხადებაში აუქციონის შესახებ სხვა რამ არ არის აღნიშნული.

თუ ყველაზე დიდი შემოთავაზებული თანხა წილის ნომინალურ ღირებულებაზე დაბალია, აუქციონი შემდგარად არ ჩაითვლება. აუქციონი შეიძლება განმეორდეს რამდენჯერმე. ამასთან, ყოველ მომდევნო აუქციონზე წილის ნომინალური ღირებულება შეიძლება შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს 1/3-ისა.

წილის რეალიზებით შემოსული თანხიდან, პირველ რიგში, იფარება საწესდებო კაპიტალში წილის შეუვსებელი ნაწილი, დანარჩენი გადაეცემა გარიცხულ პარტნიორს.<sup>1</sup>

სამეწარმეო საქმიანობის მიზნის გათვალისწინებით, პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება საზოგადოების საქმიანობიდან მოგების მიღებაა.

თუ სპს-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება ყოველი პარტნიორის წილი. ასევე, ერთ-ერთი პარტნიორის წილის მოგება მიემატება მისსავე შენატანს, თუ ის არ იყო სრულად შეტანილი; პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში შენატანიდან გახარჯული ფული მოგებიდან ჩამოიწერება (მუხ. 25).

კომანდიტურ საზოგადოებაში ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს, ბალანსის საფუძველზე, დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება ყოველი პარტნიორის წილი. მოგებისა და ზარალის გაანგარიშების, პერიოდულობის და განაწილების წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით. კომანდიტი ზარალს ანაზღაურებს თავისი შენატანით, თუ პასუხისმგებლობა დადგება შესატანის სრულად შეტანამდე, ჯერ კიდევ შეუტანელი შესატანითაც

<sup>1</sup> Закон Венгрии “о Товариществах”, § 165.

(მუხ. 38). კომპლემენტარის მიმართ კი მოქმედებს სპს-ის პარტნიორის მარეგულირებელი ნორმები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება არ არის მათი წილების პროპორციული. შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირაონ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული (მუხ. 46).

სააქციო საზოგადოებაში აქციონერების მოგების წილი განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობს მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი (მუხ. 53.2).

კოოპერატივში პირველი სამეურნეო წლისთვის მოგება ნაწილდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველ მომდევნო წელს კი – მოგების მიმატებით და ზარალის ჩამონერით წინა სამეურნეო წლის ბოლოს არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის რაოდენობა (მუხ. 68).

პარტნიორის მნიშვნელოვანი უფლებაა საკუთარი წილის გასხვისება ან დატვირთვა (დაგირავება).

კაპიტალური საზოგადოების პარტნიორებს წილის გასხვისება თავისუფლად შეუძლიათ, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული შეზღუდვებია დაწესებული. წილის გასხვისების შესახებ გადაწყვეტილებას თავად პარტნიორები იღებენ.

პრაქტიკიდან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა წესდებაში ან/და ხელშეკრულებაში შესაძლოა არსებობდეს დებულება იმის შესახებ, რომ პარტნიორის მიერ წილის გასხვისების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება თვით ამ საზოგადოების დანარჩენ პარტნიორებს. წილის ნასყიდობა, როგორც აღვნიშნე, უფლების ნასყიდობას გულისხმობს. წილის შექენით ახალი პარტნიორი ძველი პარტნიორის ადგილს იკავებს საზოგადოებაში.

საზოგადოების პარტნიორი უფლებამოსილია გაასხვისოს ჯერ კიდევ ბოლომდე შეუვსებელი წილი, ოღონდ იმ მოცულობით, რაც უკვე შეტანილია (გადახდილია).

რუსეთის კანონმდებლობით, საზოგადოების პარტნიორი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს დანარჩენ პარტნიორებს გადაწყვეტილება წილის (ან მისი ნაწილის) გასხვისების შესახებ. ამასთან, უნდა მიუთითოს ფასსა და იმ პირობებზე, რომლის საფუძველზე ყიდის წილს. თუ პარტნიორები ერთი თვის განმავლობაში (წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა პერიოდიც) არ ისარგებლებენ წილის უპირატესი შესყიდვის უფლებით, პარტნიორი უფლებამოსილია გაყიდოს წილი იმ ფასში და იმ პირობით, რაც შეტყობინებაშია აღნიშნული.

თუ აღნიშნული პროცედურა დაირღვა, პარტნიორს უფლება აქვს სამი თვის განმავლობაში სასამართლოს წესით მოითხოვოს მასზე მყიდველის უფლება-მოვალეობების გადმოტანა.

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს საზოგადოების მიერ პარტნიორის წილის შექენას. აღნიშნული აკრძალავა ეყრდნობა დებულებას, "საზოგადოება არ შეიძლება იმავდროულად იყოს თავისი თავის პარტნიორი".

რუსეთის ფედერალური კანონმდებლობით, საზოგადოება უფლებამოსილია სუფთა აქტივების ხარჯზე, რომელიც სცილდება საწესდებო კაპიტალის მოცულობას, შეიძინოს (დროებით) საკუთარი პარტნიორის წილი. ეს იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების წესდება კრძალავს პარტნიორის მიერ წილის დათმობას, ხოლო დანარჩენი პარტნიორები უარს აცხადებენ მის შექენაზე ან თუ პარტნიორები არ გამოთქვამენ თანხმობას წილის მესამე პირზე გადაცემის შესახებ. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებამ პარტნიორს წილის რეალური ღირებულება უნდა გადაუხადოს, რაც ბოლო საანგარიშო წილის პერიოდის საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებით განისაზღვრება ან გადასცეს შესაბამისი ღირებულების ქონება ნატურით. ამას გარდა, კანონი ადგენს: საზოგადოების მიერ წილის შექენიდან ერთი წლის განმავლობაში საწარმო ვალდებულია, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, შესყიდული წილი მიჰყიდოს მისსავე პარტნიორს (პარტნიორებს) ან მესამე პირს. თუ აღნიშნული პროცედურა საზოგადოების წესდე-

ბით აკრძალულია, მაშინ გადაანაწილოს იგი ყველა პარტნიორზე, მათი წილების პროპორციულად.

გერმანიის კანონმდებლობით, საზოგადოების პარტნიორის მიერ წილის გასხვისება მოითხოვს ნოტარიული წესით დამონმებულ ხელშეკრულებას. ასევე ნოტარიული დამონმებაა საჭირო წილის გასხვისების შეთანხმებისას. ამასთან, შეთანხმება იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ამის გარეშეც, თუ არსებობს ზემოაღნიშნული ხელშეკრულება.<sup>1</sup>

საფრანგეთის კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ საზოგადოების წევრს უფლება აქვს გაასხვისოს საკუთარი წილი მხოლოდ იმ პარტნიორთა თანხმობით, რომლებიც წილთა მთლიანი რაოდენობის 3/4-ს ფლობენ. გარდა ამისა, პარტნიორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს თითოეულ პარტნიორს წილის გასხვისების შესახებ. თუ ბოლო შეტყობინებიდან სამი თვის განმავლობაში არც ერთი პარტნიორი არ გამოეხმაურა, მაშინ თანხმობა მიღებულიად ჩაითვლება.

იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორები უარს განაცხადებენ წილის გასხვისებაზე, ვალდებული არიან უარის თქმიდან სამი თვის განმავლობაში თვითონ შეისყიდონ აღნიშნული წილი. სამთვიანი ვადის გაგრძელების უფლება აქვს სასამართლოს, საზოგადოების დირექტორის განცხადების საფუძველზე. პროლონგაცია არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. საზოგადოების პარტნიორზე წილის გადაცემა ხდება თავისუფლად. ამასთან, წესდებით შეიძლება განსაზღვრულ იქნეს გარკვეული სახის შეზღუდვები. ამ შემთხვევაში, წესდებით, შეიძლება აუცილებელ ხმათა რაოდენობისა და ვადების შემცირება.<sup>2</sup>

უნგრეთის კანონმდებლობით, იკრძალება ჯერ კიდევ ბოლომდე შეუვსებელი წილის გასხვისება. ამასთან, პარტნიორის მიერ წილის გასხვისებისას თვით საზოგადოება და მისი პარტნიორები სარგებლობენ შესყიდვის უპირატესობით.

თუ საზოგადოება ან საზოგადოების დანარჩენი პარტნიორები 15 დღის ვადაში არ გამოეხმაურებიან პარტნიორის შეტყობი-

<sup>1</sup> GmbHG, § 15.

<sup>2</sup> Закон Франции "о Торговых товариществах" ст. 45.

ნებას წილის გასხვისების თაობაზე, ამ უკანასკნელს უფლება აქვს თავისუფლად გაასხვისოს იგი.<sup>1</sup>

წილის გასხვისება ნიშნავს, წილის ნებისმიერი სახით გადაცემას სხვა პირზე (ნასყიდობა, ჩუქება, დათმობა, გაცვლა და სხვა). თავად საზოგადოებას უფლება არა აქვს გაასხვისოს პარტნიორის წილი.<sup>2</sup> საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გასხვისებული წილის კვლავ გამოსყიდვის უფლებასაც. მნიშვნელოვანია, რომ, თუ შპს-ის წილი მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდშია შეძენილი, იგი მეუღლეთა თანასაკუთრებად ითვლება. ამ შემთხვევაში გამოიყენება საქ. სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის დებულება. კერძოდ, იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაში შედის ხორციელდება მეუღლეთა შეთანხმებით იმის მიუხედავად, რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ამასთან, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, ერთ-ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან არ ეთანხმებოდა ამ გარიგებას. ასეთ შემთხვევაში მეუღლეს უფლება აქვს, როგორც თანამე-საკუთრეს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი.

პარტნიორის მიერ წილის გასხვისება ან დაგირავება მოითხოვს სანოტარო წესით დამონმებულ ხელშეკრულებას და შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას.

ერთი წილი შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე უფლებამოსილ პირს. ამ შემთხვევაში წილის განკარგვა მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით შეიძლება. პასუხისმგებლობის შემთხვევაში, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. თუ არ არსებობს საერთო საკუთრების წარმომადგენელი, საზოგადოების სამართლებრივი მოქმედება, რომელიც აღნიშნულ წილს ეხება, მიმართულია წილის თითოეული მესაკუთრის მიმართ.

კომანდიტურ საზოგადოებაში კომანდიტს შეუძლია თავისუფლად გაასხვისოს თავისი წილი, თუ საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

<sup>1</sup> Закон Венгрии "о Торговых товариществах". ст. 45.

<sup>2</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001. № 1, გვ. 4-5.

წილის მემკვიდრეობით გადაცემა მემკვიდრეობის სამართლის ნორმებით წესრიგდება. პარტნიორის გარდაცვალებისას მისი კუთვნილი წილი შედის სამკვიდროს მასაში და წაწილდება მემკვიდრეებზე. აღნიშნული წესის შეცვლის უფლება წესდების დებულებით პარტნიორებს არა აქვთ, მაგრამ შეუძლიათ მოაწესრიგონ მემკვიდრეების პარტნიორებად მიღების საკითხი.

მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს სახით მიიღებს წილს, ჯერ კიდევ არ გვევლინება საზოგადოების პარტნიორად, სანამ ამის შესახებ ყველა აუცილებელი მონაცემი შესაბამის რეესტრში არ დაფიქსირდება.

საზოგადოების პარტნიორის ერთ-ერთი უფლება საზოგადოებიდან გასვლაა. ამ უფლების რეალიზაცია ხშირად არა მხოლოდ გამსვლელი პარტნიორის, არამედ დარჩენილ პარტნიორთა და ზოგჯერ თვით საზოგადოების მდგომარეობის, მისი პასუხისმგებლობის რეალური მოცულობის და ა.შ. შეცვლასაც იწვევს. სწორედ ამიტომ, პერსონალური პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორის გასვლის შემთხვევა რეგულირდება საწარმოს რეორგანიზაციის მარეგულირებელი ნორმებით.

დაუშვებელია პარტნიორის გასვლა ერთი პირის მიერ შექმნილი საზოგადოებიდან, რადგან საზოგადოება პარტნიორის გარეშე სრული აბსურდია. ასეთ საზოგადოებას არათუ ფუნქციონირება, ლიკვიდაციის განხორციელებაც არ შეუძლია.

პარტნიორთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება საწარმოს ლიკვიდაციისას დარჩენილი ქონების განაწილებაში მონაწილეობის მიღებაა. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება (მიუხედავად სამართლებრივი ფორმისა), პირველ რიგში, საწარმოს ვალების დასაფარავად გამოიყენება. ამის შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილებაში პარტნიორები იღებენ მონაწილეობას წესდებით განსაზღვრული წესისა და პროპორციების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ კომერციული იურიდიული პირი სამართალურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტია და, ზოგადი პრინციპის თანახმად, კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს საკუთარი და არა პარტნიორთა ქონებით, რაც შემთხვევაში, მაინც არ გამოირიცხება საწარმოს პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა. პირველ რიგში, ეს ამხანაგობის ტიპის საზოგადოებას ეხება. "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 3.2 მუხლი იმპერა-

ტიულად ადგენს, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) სანარმოს ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის მოცულობა წესდებით განისაზღვრება.

კაპიტალური ტიპის საზოგადოების მიმართ აღნიშნული საკითხი განსხვავებულად წყდება. ამ საზოგადოებათა პარტნიორების პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორებსა და მესამე პირთა წინაშე გამორიცხულია (თუმცა დაშვებულია საზოგადოების შიგნით პასუხისმგებლობა, იგულისხმება ვ.ვ მუხლის დანაწესი). მიუხედავად აღნიშნულისა, რაც შემთხვევაში, პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორსაც. კერძოდ, კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი აქციონერი, კოოპერატივის დამფუძნებელი წევრი შესატანის საბოლოო შეტანამდე საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მის მიერ შეუტანელი შესატანის რაოდენობით. შესატანის სრულად შეტანა პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს იმ პირს, რომელმაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ნორმები ბოროტად გამოიყენა. გარდა ამისა, კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორს პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება, თუ აშკარაა, რომ ზიანი სწორედ მისი დაუდევარი მოქმედებით მოხდა. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებაა, მასზე ვრცელდება გარიგების ნამდვილობისა და ბათილობის მარეგულირებელი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები. სწორედ ამიტომ, საზოგადოების პარტნიორს უფლება აქვს გაასაჩივროს პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება, რომლის მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის სპეციალური ვადა. "მენარმეთა შესახებ" კანონის 15.2 მუხლში აღნიშნულია: დაუშვებელია პარტნიორთა საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა,

როცა კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის, ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით; ამ შემთხვევაში გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა ერთი წელია.

თუ შპს-ის დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგებზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პარტნიორის განზრახვა. აუცილებელი არ არის, რომ დომინანტი მდგომარეობა ეკავოს მხოლოდ ერთ პარტნიორს, შესაძლებელია ერთზე მეტმა პარტნიორმა “ხმათა შეკვრით” (spærminoritaet) დაიმკვიდროს დომინანტური მდგომარეობა. ეს ის შემთხვევაა, როცა ისინი ერთად მოქმედებენ იმ განზრახვით, რომ ზიანი მიაყენონ საზოგადოებას. ასეთი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება დომინანტ პარტნიორს (პარტნიორებს).

## მენარმე სუბიექტის შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის რეგულირება

სანარმოს შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია მისი, როგორც სამართლის სუბიექტის, არსებობა-არარსებობის საკითხის გადამწყვეტია. ეს იურიდიული ფაქტი იმდენადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რამდენადაც სანარმო ხშირად სწორედ რეორგანიზაციის საფუძველზე იქმნება ან ლიკვიდაციას განიცდის.

სანარმოს შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია სანარმოს დამფუძნებელთა/პარტნიორთა გადასაწყვეტია (ზოგიერთი გამო-ნაკლისის გათვალისწინებით). ნებისმიერ შემთხვევაში მათ დამამ-თავრებელ ეტაპს აღნიშნული ფაქტის სახელმწიფო და საგადასა-ხადო რეგისტრაცია წარმოადგენს.

საქართველოში სანარმოთა შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკ-ვიდაცია კანონმდებლობითა და სანარმოს წესდებით რეგულირ-დება.

### მენარმე სუბიექტის შექმნა

მენარმე სუბიექტის შექმნა იურიდიული ფაქტია, რაც დაკავ-შირებულია მის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას-თან.<sup>1</sup>

მენარმე სუბიექტი დაფუძნებულად ითვლება მისი რეგის-ტრაციის მომენტიდან, რასაც თითოეული ქვეყნის კანონმდებ-ლობა სხვადასხვა გარემოებას უკავშირებს. მაგალითად, ბელგი-ური სამართლის მიხედვით, სავაჭრო საზოგადოების სადამფუძ-ნებლო დოკუმენტების ამონაწერები ხელმოწერიდან 15 დღის გან-მავლობაში წარედგინება ე.წ. სავაჭრო რეესტრის კანცელარიას, რომელმაც ეს ფაქტი 15 დღეში ბელგიის უწყებებში უნდა გამოაქ-

<sup>1</sup> ზოგიერთი ავტორი მენარმე სუბიექტის "შექმნის" ნაცვლად იყენებს ტერმინს - "დაარსება". მათ შორის აზრობრივი განსხვავებაა. "შექმნა" გულისხმობს რო-გორც პირველად შექმნას, ისე შექმნას რეორგანიზაციის გზითაც, ხოლო "დაარსე-ბაში" მხოლოდ პირველი უნდა ვიგულისხმოთ.

ვეყნოს. ამ მომენტიდან საწარმო ითვლება დაფუძნებულად.<sup>1</sup> ჰოლანდიაში ასევე ყველა საწარმო აუცილებელ რეგისტრაციას ექვემდებარება. თუმცა სააქციო საზოგადოების დაფუძნებას იუსტიციის მინისტრის ნებართვა სჭირდება.<sup>2</sup> აშშ-ში კორპორაციათა შექმნა სანქცირებულია სასამართლო პრეცედენტით, რომელიც ზოგადად კორპორაციებს ყოფს de jure-ად და de facto-ად. პირველი გულისხმობს კორპორაციას, რომელმაც დაარსების პროცესში კანონის ყველა იმპერატიული მოთხოვნა შეასრულა, რეგისტრაციის ჩათვლით. წინააღმდეგ შემთხვევაში, კორპორაცია de facto-ის სახით წარმოდგება, რაც ნიშნავს, თუ პირები ეწვეიან სამეწარმეო საქმიანობას, ამასთან, მესამე პირებთან ამყარებენ საქმიან კავშირებს, პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში არ შეუძლიათ დაეყრდნონ იმ ფაქტს, რომ ისინი, როგორც კორპორაცია, არ არიან რეგისტრირებული.<sup>3</sup> ინგლისში კომპანიებს, წარმოშობის მიხედვით, ყოფენ მონარქის სპეციალურ აქტზე დაყრდნობით წარმოშობილ და პარლამენტის აქტზე დაფუძნებულ კომპანიებად.<sup>4</sup>

საწარმო შეიძლება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით შეიქმნას. თუ საზოგადოების წესდებაში არაა მითითებული მისი საქმიანობის ხანგრძლივობა, საზოგადოება ითვლება განუსაზღვრელი ვადით შექმნილად.<sup>5</sup>

<sup>1</sup> Gesellschaftsrecht in Belgien. 1993. S. 36-37.

<sup>2</sup> Gesellschaftsrecht in den Niederlanden. 1995. S. 20-22.

<sup>3</sup> Lask I Гражданское право США. 1981. с. 394.

<sup>4</sup> Ralmer. Company Law. 1968. p. 135.

<sup>5</sup> შპს-თვის განსხვავებულ წესს ადგენს საფრანგეთის კანონმდებლობა. აღნიშნული საზოგადოება ყოველთვის განსაზღვრული ვადით, კერძოდ, 99 წლით იქმნება.

## მენარმე სუბიექტის რეორგანიზაცია

მენარმე სუბიექტის სამართლებრივი ფორმის არჩევისას მომავალი მენარმეები სხვადასხვა გარემოებებითა და მოტივებით ხელმძღვანელობენ. განსაზღვრავენ, რომელი ფორმა უფრო ხელსაყრელი იქნება მათი ბიზნესისთვის, მაგრამ სანარმოს დაფუძნების შემდეგ გამოირიცხული არ არის, რომ მათი შეხედულება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში შეიცვალოს, სწორედ ამიტომ არცთუ იშვიათად გამოიყენება სანარმოთა რეორგანიზაცია.

საქართველოს "მენარმეთა შესახებ" კანონის მე-14 მუხლი რეორგანიზაციის შემდეგ ფორმებს ითვალისწინებს: 1. სამართლებრივი ფორმის შეცვლა (გარდაქმნა); 2. შერწყმა; 3. გაყოფა.

ლიკვიდაციისაგან განსხვავებით, რეორგანიზებული სანარმოს უფლება-მოვალეობანი მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა სანარმოზე გადადის ანუ ხდება უფლებამონაცვლეობა.

პარტნიორებს შეუძლიათ ერთი სამართლებრივი ფორმის სანარმო გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის სანარმოდ. ასეთ შემთხვევაში წესდებით უნდა მოხდეს პარტნიორთა უფლება-მოსილების ხელახალი გადანაწილება, ამ სამართლებრივი ფორმისათვის დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

თუ სანარმოს წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და პირიქით გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე (ხმის უფლების მქონე) პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%, ყველა დანარჩენ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად ზოგიერთი სანარმო ვერ უძლებს კონკურენციას და იძულებულია შეუერთდეს სხვა სანარმოს შერწყმის (შეერთების ან მიერთების) გზით.

შერწყმა სანარმოს გამსხვილების ფორმაა. იგი მეტად გავრცელებული იყო გეგმური ეკონომიკის პირობებში, როცა მთავარ ამოცანას სანარმოო-სამეურნეო კომპლექსების გამსხვილება, ე.წ. მსხვილი სანარმოებისა და გაერთიანებების შექმნა წარმოადგენდა, რომლებიც პროდუქციის წარმოებას, მომარაგებასა და გასა-

ლებას, სამეცნიერო-კვლევითსა და ტექნოლოგიურ სამუშაოებს მოიცავდნენ.

შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი სანარმო უერთდება მეორეს თუ ორი სანარმო ერთიანდება ერთ ახალ სანარმოდ. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობა, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპით. ეკონომიკურ ურთიერთობებში სტაბილურობის უზრუნველყოფისა და კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით შერწყმისას კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სანარმო, რომელმაც სანარმო მიიერთა ან ახალშექმნილი სანარმო არის აღრინდელი სანარმოს (სანარმოების) უფლებამონაცვლე.

იმ საზოგადოებათა აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც მონაწილეობენ რეორგანიზაციაში, ვალდებული არიან შეადგინონ შერწყმის შესახებ ხელშეკრულების პროექტი, სადაც შერწყმის წესი და პირობები უნდა განისაზღვროს. ასევე მათ კომპეტენციაში შედის ახლად წარმოქმნილი სანარმოს წესდების შედგენა და წარდგენა შერწყმაში მონაწილე სანარმოების პარტნიორთა საერთო კრებაზე განსახილველად.

ხელშეკრულება საზოგადოებათა შერწყმის შესახებ და საზოგადოების წესდება ახლად შექმნილი საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტებია, რაც უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

შერწყმა შეიძლება მოხდეს შეერთების ან მიერთების გზით. ერთი საზოგადოების მეორე საზოგადოებასთან მიერთებისას, გადაცემის აქტის საფუძველზე, ამ უკანასკნელზე გადადის ახალი საზოგადოების უფლებები და მოვალეობები. ამასთან, პირველი შენარჩუნდება და მოქმედებს გამსხვილებული სახით (ა+ბ=ა). რაც შეეხება შეერთებას, ამ დროს ერთმანეთს ერწყმება 2 ან მეტი მენარმე სუბიექტი და წარმოიქმნება ახალი, რომელიც, თავის მხრივ, შეერთებულ სუბიექტთა უფლებამონაცვლეა (ა+ბ=გ).

რეორგანიზაციის ერთ-ერთი სახეა გაყოფა. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე სანარმო ერთეულია, შეიძლება დაიყოს ცალკე სანარმოებად და თითო-

ეულმა გააგრძელოს საქმიანობა, როგორც დამოუკიდებელმა საწარმომ.

ძველი საზოგადოების მონაწილეობის საკითხი ახალ საზოგადოებაში ცალკე გადანყვეტილებით განისაზღვრება. გაყოფის შესახებ გადანყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ადრინდელი პარტნიორები გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმომში მონაწილეობდნენ განსხვავებულ წილობრივ საფუძველზე.

გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის.

რეორგანიზაციის ისეთი ფორმების გამოყენება, როგორცაა გაყოფა და გამოყოფა, ხშირად გამოიყენებოდა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, როცა გააქტიურდა მცირე საწარმოთა ორგანიზება, რომელნიც კონკურენტულ გარემოს ქმნიდნენ. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ამ პროცესს ხშირად კომერციალიზაციას უწოდებდნენ. შემდგომში კომერციალიზაციაში იგულისხმებოდა კომერციული (სამენარმო) სახის საწარმოთა შექმნა.

გაყოფა, როგორც რეორგანიზაციის ფორმა, ფართოდ გამოიყენებოდა სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის შემთხვევაში, როცა გაყოფის საკითხის გადანყვეტა ამ საწარმოთა შრომით კოლექტივებს ევალუბოდათ. აღნიშნული წესის გამოყენება, მართალია, აჩქარებს პრივატიზაციის პროცესს, მაგრამ, პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირად ერთიანი სამეურნეო კომპლექსის უსაფუძვლო ნგრევამდე მივყავართ.

პრაქტიკის გათვალისწინებით, საწარმოთა გაყოფა მაშინ ხდება, როცა იგი საქმიანობის რამდენიმე სახეს ერთდროულად მისდევს და მისი ერთიანი მართვა რთულია. ამ დროს იქმნება რამდენიმე საწარმო, საქმიანობის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ გაყოფა შეიძლება როგორც ახალი საწარმოების დაფუძნებით, ასევე არსებულ საწარმოებთან მიერთებით. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი ახალი საწარმო ექვემდებარება რეგისტრაციას.

საწარმოს რეორგანიზაციის დამამთავრებელი ეტაპი ახლად წარმოქმნილი საწარმოს რეგისტრაციაა (გამონაკლისს წარმოად-

შეერთება. ამ შემთხვევაში საკმარისია რეესტრში გაკეთდეს ჩანაწერი მიერთებული საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ).<sup>1</sup>

რეორგანიზაციის ფორმები	უფლებამონაცვლეობა	
	ვისთან გადადის	დოკუმენტი
გარდაქმნა	ახლად წარმოქმნილ იურიდიულ პირზე	გადაწყვეტილება საზოგადოების გარდაქმნის შესახებ
შეერთება	ახლად წარმოქმნილ იურიდიულ პირზე	შერწყმის ხელშეკრულება
მიერთება	არსებულ იურიდიულ პირზე	შერწყმის ხელშეკრულება
დაყოფა	ახლად წარმოქმნილ იურიდიულ პირებზე	გაყოფის გეგმა
გამოყოფა	თითოეულ მათგანზე	გაყოფის გეგმა

რეორგანიზაციის პროცესში მყოფი საწარმოს კრედიტორთა, კონტრაგენტთა და ზოგადად მესამე პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, “მენარმეთა შესახებ” კანონში 2008 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად დადგინდა, რომ პარტნიორთა გადაწყვეტილება რეორგანიზაციის დაწყების შესახებ 14 დღის განმავლობაში უნდა გამოქვეყნდეს, ასევე წერილობითი შეტყობინება გაეგზავნოს საგადასახადო ორგანოს და საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს.

<sup>1</sup> საწარმოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში მრავალი პრობლემა წარმოიშობა, რომელთა გადაწყვეტა, საკანონმდებლო ბაზის სიმცირის გამო, რთულდება. მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი საკითხი სერიოზული მეცნიერული კვლევის საგანია და დამოუკიდებელ მსჯელობას ექვემდებარება.

აღნიშნული გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს ეს გადაწყვეტილება განმეორებით უნდა გამოქვეყნდეს და წერილობით გაეგზავნოს საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს, რომელშიც აღნიშნული იქნება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადები.

შეტყობინების მიღებიდან რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება (ვალების აქსელერაცია).

თუ საწარმოს მიუერთდა მისი 100%-იანი შვილობილი საწარმო, გამოქვეყნებისა და შეტყობინების ზემოაღნიშნული წესი არ ვრცელდება და კრედიტორებს არ ექნებათ ვალების აქსელერაციის მოთხოვნის უფლება.

სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და პირიქით გარდაქმნა არ მიიჩნევა კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარის შემცირებად.

საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევაში სავალდებულოა სარეგისტრაციო მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

2009–2010 წლებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად, მე-14 მუხლს დამატა მე-18 პუნქტი, რომლის მიზანია სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის, ინტერესთა დაცვის უზრუნველყოფა. კერძოდ, საწარმოს რეორგანიზაციისას სავალდებულოა მარეგისტრირებელი ორგანოსთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული შედარების აქტის წარდგენა. თუ შედარების აქტიდან დგინდება საგადასახადო ორგანოს მიმართ საწარმოს დავალიანების არსებობა, ეს არის საწარმოს რეორგანიზაციაზე მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უარის თქმის საფუძველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი ან არსებობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა დავალიანების მქონე საწარმოს რეორგანიზაციის შესახებ.

## მენარმე სუბიექტის ლიკვიდაცია

სანარმოს ლიკვიდაცია სანარმოს საქმიანობის შეწყვეტას გულისხმობს. ამ შემთხვევაში არ არსებობს უფლებამონაცვლელობა. სანარმოს ლიკვიდაცია შეიძლება ნებაყოფლობით ან იძულებით ხასიათს ატარებდეს. ნებაყოფლობითი წესით სანარმოს ლიკვიდაცია ხდება პარტნიორთა ან იურიდიულ პირთა ამისთვის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით. ამგვარი ლიკვიდაციის ტიპობრივი საფუძვლებია: იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც არის შექმნილი სანარმო; იმ მიზნის მიღწევა ან მიღწევის შეუძლებლობა, რა მიზნითაც არის შექმნილი სანარმო და ა.შ.

იძულებითი ლიკვიდაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით წარმოებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სანარმო შეიძლება ლიკვიდაციას დაექვემდებაროს გაკოტრების შემთხვევაშიც. ამისათვის აუცილებელია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა.

კანონი ცალკე გამოყოფს ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლებს. ესენია: ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად ან ქმედუუნაროდ აღიარება. ასეთ შემთხვევაში რეგისტრაცია წარმოებს მხოლოდ გარდაცვალების ან გარდაცვლილად აღიარების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ნებისმიერი პირის/ორგანოს მოთხოვნით ან მარეგისტრირებელი ორგანოს ინიციატივით.

მენარმე იურიდიული პირის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება სანარმოს ლიკვიდაციის დანყების შესახებ. პარტნიორებს, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სა-

მეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს) შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები).

გადანყვეტილება სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან, რის შესახებაც მარეგისტრირებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს საგადასახადო ორგანოს.

სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად, მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, სადაც მიეთითება სანარმოს ყველა ცნობილი კრედიტორი და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადები. სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე სანარმოს პარტნიორებმა სანარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის დაწყების შესახებ, რომელშიც აღინიშნება მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადები. სანარმოს ქონების რეალიზაციის დაწყებამდე, სანარმო (ლიკვიდატორი) ვალდებულია ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს სანარმოს ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია.

სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 90-ე დღისა სანარმომ (ლიკვიდატორმა) უნდა დაიწყოს ამ სანარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით და ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები განათავსოს სასამართლოს ან ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე. პარტნიორებს უფლება აქვთ გადანყვიტონ ქონების ნატურით გაყოფის გზით განაწილება. ასეთ შემთხვევაში ისინი ვალდებული არიან, ლიკვიდაციის დაწყების შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან ნატურით გაყოფამდე პერიოდში საკუთარი ხარჯებით შეინარჩუნონ ქონება პირველადი სახით, ერთ-ერთი პარტნიორისათვის მიბარების გზით. დებოზიტზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილებამდე აღნიშნული თანხის ან ქონების განკარგვა შესაძლებელია

მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით. ლიკვიდაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება.

საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციას და საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ განცხადებისა და საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოების ან ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადანყვეტილების წარდგენის საფუძველზე.

თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ დაკმაყოფილდა საწარმოს ყველა კრედიტორი, დარჩენილ კრედიტორთა დაკმაყოფილება მოხდება ზემოხსენებული დეპონირებული თანხიდან ან ქონებიდან. აღნიშნული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ დეპონირებული თანხა ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის, წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად.

კანონით განსაზღვრულია საწარმოს ლიკვიდაციის პროცედურის ზუსტი ვადები, რაც მნიშვნელოვანია პროცედურის ხელოვნურად განელვის თავიდან აცილების პრევენციის თვალსაზრისით. საწარმოს ლიკვიდაცია უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა.

თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს ხარვეზის დადგენის შესახებ, სუბიექტს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას, რის შესახებ მიეთითება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ხარვეზის გამოსწორებამდე რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება ჩერდება და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი არ გაცივმა. თუ აღნიშნული ხარვეზი დადგენილ ვადაში არ გამოსწორდა ან შეუძლებელია მისი გამოსწორება, მარეგისტრირებელი ორგანო

მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც ახორციელებს კანონით დადგენილ პროცედურებს.

რაც შეეხება ინდივიდუალურ მენარმეს, მისი რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია მისივე განცხადება, ასევე ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება ან ქმედუნაროდ აღიარება. ასეთ შემთხვევაში რეგისტრაცია წარმოებს მხოლოდ გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ნებისმიერი პირის/ორგანოს მოთხოვნით ან მარეგისტრირებელი ორგანოს ინიციატივით.

სანარმოს ლიკვიდაცია ასევე შეიძლება მოხდეს სასამართლო განაჩენის საფუძველზე. კერძოდ, ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე სანარმოს ლიკვიდაციას ახდენს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი (ლიკვიდატორი). სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია სანარმოს მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.

ზოგადი წესის თანახმად (მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი), ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში დაუშვებელია სანარმოს ქონების ნებისმიერი წესით გასხვისება, დატვირთვა (კანონით განსაზღვრული ცალკეული გამონაკლისების გარდა) ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება.

კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ პარტნიორები საერთო კრებაზე ამტკიცებენ სანარმოს სალიკვიდაციო ბალანსს და ხელს აწერენ გადაწყვეტილებას სანარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს სანარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაო-

ბაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს კანონით დადგენილი წესით.

თუ სანარმოს აქციათა ან წილების 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ლიკვიდაციის წესს სავალდებულო წესით ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.

სანარმოს ლიკვიდაციის ერთ-ერთი საფუძველია მისი გაკოტრება, რომელიც რეგულირდება "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით. გადახდისუუნარობის საქმის აღძვრას ახლავს მატერიალური წინაპირობა, რაც გულისხმობს მოვალის გადახდისუუნარობას ან მოსალოდნელ გადახდისუუნარიანობას, ასევე ფორმალური წინაპირობა – გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანა.

გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შემთხვევაში "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული ლიკვიდაციის პროცესი წყდება.

## მენარმე სუბიექტთა გადახდისუუნარობა

მრავალი წლის განმავლობაში სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზოგიერთ ქვეყანაში არსებობდა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რამაც XVIII საუკუნეში ცივილური ფორმა მიიღო და ამგვარი საქმეები სამოქალაქო-სამართლებრივ განხილვას დაექვემდებარა. მოგვიანებით, ცალკეულ ქვეყნებში ყალიბდება გაკოტრების სამართალი (გერმანიაში – საიზოლვენცო სამართალი) და იქმნება სპეციალური კანონები გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ. ეს იყო სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი მოვალის ქონებრივი დაცვის მექანიზმის სრულყოფის თვალსაზრისით.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა ზოგად დებულებებს ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების ფინანსური „არშემძლეობის“ (იგულისხმებოდა „გადახდისუუნარობა“) შესახებ, თუმცა აღნიშნული დებულებები პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენებოდა. იმავე საუკუნის 60-იან წლებში ეს რეგულირება საერთოდ გაუქმდა.

ზოგადად, სამართალი და, მით უმეტეს, გაკოტრების სამართალი კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას ესადაგება და მისი საზოგადოების მოთხოვნებს პასუხობს, ამიტომ იმის გათვალისწინებით, რომ XX საუკუნის შუა პერიოდში საქართველოს რეგულირებადი ეკონომიკის პირობებში თითქმის ყველა სანარმოს სახელმწიფო მართავდა, პრაქტიკულად არ არსებობდა მოთხოვნა გაკოტრების სამართალზე.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წელს), სახელმწიფო საბჭომ მიიღო „სანარმოთა გაკოტრების დეკრეტი“, რომელიც ეფუძნებოდა რუსეთის „გაკოტრების დეკრეტს“, თუმცა აღნიშნული დეკრეტი პრაქტიკაში არ გამოიყენებიათ. მოგვიანებით, დეკრეტი ჩაანაცვლა 1996 წლის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომე-

ლიც გარკვეული ცვლილებებით 2007 წლის 15 აგვისტომდე მოქმედებდა.

საქართველოში დაახლოებით 50 წლის მანძილზე პრაქტიკულად არ არსებობდა გაკოტრების კანონი და კიდევ უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე ამგვარი კანონის მოქმედების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

გაკოტრების სამართალს და თავად გადახდისუნარობის პროცესს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ზოგიერთ ქვეყანაში იგი ცალსახად პროკრედიტორულია, ზოგან კი კანონმდებელი გადახდისუნარობის ცნების შინაარსში უფრო მეტად მოვალის გადარჩენის „სურვილს“ გამოხატავს (სწორედ ასეთი პროდებიტორული შინაარსისაა სხვადასხვა ქვეყნიდან კრედიტორული დავალიანების გამო „გაქცეული“ ხალხის მიერ „დაარსებული“ ამერიკის შეერთებული შტატების გაკოტრების სამართალი).

თანამედროვე მსოფლიო იურიდიულ ლექსიკაში თანაბრად გამოიყენება როგორც ტერმინი „გადახდისუნარობა“, ისე „გაკოტრება“ (მაგალითად, აშშ-ში გამოიყენება ტერმინი „გაკოტრება“ (US Bankruptcy Code) ინგლისსა და გერმანიაში „Insolvency Act“, „insolvenzordnung“. საფრანგეთში 1999 წლის სავაჭრო კოდექსი იყენებს ორივე ტერმინს: „გადახდისუნარობას“ და „გაკოტრებას“, ხოლო ე.წ. სავაჭრო სანარმოს მიმართ „difficultes des entreprises“ – სანარმო, რომელიც იმყოფება რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში) (სსკ. VI ნიგნი)).

აშშ-ში გაკოტრების კანონთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფედერალური სასამართლოს მიერ მიღებულ წესებს „სამოქალაქო პროცედურების შესახებ“ (Federal Rules of Civil Procedure).

აშშ-ის კანონი „გაკოტრების შესახებ“ (მ.362,ა) ითვალისწინებს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შეჩერებას, რეორგანიზაციის შესახებ განცხადების შეტანის მომენტიდან. ეს პროცედურა მოიცავს განსაზღვრულ პერიოდს, რომლის განმავლობაში კრედიტორები ვერ დაიკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც

ნარმოიშვა გაკოტრების საქმის აღძვრამდე, რაც მოვალეს აძლევს დამატებით დროს, მოაგვაროს ფინანსური პრობლემები.

**ინგლისში** პირველი კანონი “გადახდისუუნარობის შესახებ” მიღებულ იქნა 1986 წელს, რომელმაც 2000 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. კერძოდ, თუ 1986 წლის კანონით გათვალისწინებული იყო საწარმოს ეკონომიკური გაჯანსაღების მცირე შესაძლებლობა, 2000 წლის რედაქციით გაიზარდა ამ შესაძლებლობის ფარგლები და მისი განხორციელება დაშვებულ იქნა საწარმოს საქმიანობის უფრო ადრეულ ეტაპზეც. გარდა ამისა, ცვლილებების შესაბამისად დაშვებულია მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმება (CVA). ასეთი შეთანხმების მიღწევის მომენტიდან იგი სავალდებულოდ შესასრულებელი ხდება გადახდისუუნარობის პროცესის ყველა მონაწილისათვის, უცნობი კრედიტორების ჩათვლით. აღნიშნულ შეთანხმებას ამტკიცებს კრედიტორთა კრება.

ინგლისის კანონი “გადახდისუუნარობის შესახებ” ითვალისწინებს მთელ რიგ პროცედურებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული საწარმოს ლიკვიდაცია. კერძოდ:

- კრედიტორისა და მოვალის ნებაყოფლობითი შეთანხმება (CVA), რაც თავისი შინაარსით კომპრომისული შეთანხმებაა ვალეების დაფარვის შესახებ. მისი ინიციატორი, როგორც წესი, კომპანიის დირექციაა;

- ე.წ. საკონკურსო მასის მართვის შემოღება. ამ პროცედურის უმთავრესი პრინციპია, კრედიტორთა მიერ მორატორიუმის გამოცხადების შესაძლებლობა, რათა კომპანიას მიეცეს ვალეების რესტრუქტურულიზაციის საშუალება. ამგვარი მართვის შემოღება შესაძლოა განხორციელდეს როგორც თავად კომპანიის, ისე მისი კრედიტორის ინიციატივით. საბოლოო ბრძანებას აღნიშნულზე სასამართლო გამოსცემს.

ნებაყოფლობითი შეთანხმების შემთხვევაში ინიშნება ე.წ. მეთვალყურე, ხოლო რესტრუქტურულიზაციის შემთხვევაში მინდობილი მმართველი, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს გადახდისუუნარობის საქმეთა სპეციალისტი (Insolvency Act. 388).

გერმანული კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს სანარმოს გადახდისუუნარობის თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ:

- მსხვილი სანარმოების ვალდებულება, ყოველწლიურად გაიარონ აუდიტორული შემოწმება;

- შპს-ის და სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელთა ვალდებულება, სანარმოს საკუთარი კაპიტალის 50%-ის გახარჯვის შემთხვევაში, ამ ფაქტის პარტნიორებისათვის სავალდებულო შეტყობინება. აღნიშნულის შეუსრულებლობა იწვევს სანარმოს ხელმძღვანელთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;

- შპს-ის და სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელთა ვალდებულება, სანარმოს პარტნიორებს დაუყოვნებლივ აცნობონ სანარმოს ვალის გადაუხდელობის შესახებ.

ფრანგული კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს სანარმოს ფინანსური სირთულეებისაგან დაცვას. კერძოდ:

- სანარმოს საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ინფორმაციების სრულყოფა;

- პარტნიორთა მხრიდან სანარმოს ხელმძღვანელებზე კონტროლის გამკაცრება;

- პრევენციული ღონისძიებების შემმუშავებელი ჯგუფების შექმნა. ამ ჯგუფებს რეგიონში ამტკიცებს სახელმწიფოს წარმომადგენელი. როგორც წესი, მათში ერთიანდება საბუღალტრო ორგანიზაციები, სავაჭრო პალატები, პროფესიული ორგანიზაციები. ფიზიკურ პირს მონაწილეობის უფლება არ აქვს. ჯგუფის ვალდებულებაა კონფიდენციალურად შეამოწმოს სანარმოთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

საქართველოში 2007 წლის 15 აგვისტომდე მოქმედი კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ მოქმედებდა 1996 წლიდან, თუმცა მისი ფაქტობრივი გამოყენება პრაქტიკაში დაიწყო დაახლოებით 2000 წლიდან. იგი ეფუძნებოდა გერმანიის გააკოტრების სამართალს (the Konkursordnung, რომელიც მიღებულ იქნა 1877 წელს და მისი შემდგომი, 1935 წლის Vergleichsordnung) და

ალბანეთის გაკოტრების სამართალს (1991 წლის კანონი „გაკოტრების პროცესის შესახებ“).

XXI საუუნის დასაწყისში ჩვენ ქვეყანაში ფაქტობრივად ვაკუუმი შეიქმნა გადახდისუუნარობასთან, გადახდისუუნარო საწარმოების მართვასთან, ასევე გაკოტრების სამართლის, როგორც საბაზრო ეკონომიკის ფინანსური და კომერციული სტრუქტურის ნაწილის როლთან და მის ბუნებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან დღემდე გადახდისუუნარობის სამართალი განვითარდა, დაგროვდა პრაქტიკული გამოცდილება, რამაც ცხადყო მოქმედი კანონის არაადეკვატურობა საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან. თავად გერმანული კანონი, რადიკალურად შეიცვალა Insolvenzordnung-ით (ცვლილებები ძალაში შევიდა 1999 წლის 1 იანვარს). იგი მიიჩნეის მოძველებულად, რადგან ვეღარ აკმაყოფილებდა მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს და ვერ პასუხობდა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს (ალბანეთის 1991 წლის კანონიც შეიცვალა 2002 წლის კანონით „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, რომელიც, თავის მხრივ ეფუძნება ახალ გერმანულ კანონს).

1996 წლის კანონმა ვერ გაამართლა მისი ძირითადი „მომხმარებლების“ – მოვალისა და კრედიტორის მოლოდინი. პრაქტიკაში ხშირი იყო მოსამართლეთა ცდომილებანი კანონის სწორად განმარტების, გამოყენებისა და ადმინისტრირების კუთხით. ჭიანურდებოდა გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. ხშირად მიღებული გადაწყვეტილებები არ იყო კონკრეტული. ყოველივე ამის მიზეზი იყო კანონის არასრულყოფილება და თანამედროვე საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და საქართველოში არსებული რეალური ვითარებისადმი შეუსაბამობა.

ზოგადად, სამართალი ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი სეგმენტია. მიუხედავად იმისა, თუ საზოგადოების რა ტიპის ურთიერთობებს არეგულირებს ესა თუ ის კანონი, ნებისმიერ შემთხვევაში იგი მორგებული უნდა იყოს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, უნდა პასუხობდეს

კონკრეტული საზოგადოების მოთხოვნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში ცალსახად შეიქმნა 1996 წლის კანონის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ ახალი კანონით შეცვლის აუცილებლობა.

ჩვენ ქვეყანაში XXI ს-ის დასაწყისში მიმდინარე ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების პროცესში გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდნენ უკვე აღძრული გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმეთა დასრულებას, დაგროვდა უარგუმენტოდ, ვადებში განელილი პროცესები, რომელიც რეალურად არ ემსახურებოდა კონკრეტული ობიექტის არც ლიკვიდაციას და არც გაჯანსაღებას. გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესის არაეფექტური წარმოება ხელს უშლიდა ინვესტიციების მოზიდვას, საწარმოთა ეფექტურ მართვას და ბაზარზე მონაწილე სუბიექტების, როგორც ერთიანი საწარმოო კომპლექსის შენარჩუნებას. საქართველოს პრაქტიკის გათვალისწინებით, საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი საწარმოების უმრავლესობა გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმში იმყოფებოდა. ხშირად სწორედ გაკოტრებისა და რეაბილიტაციის რთული და მოუწესრიგებელი პროცედურები ხდებოდა პრივატიზაციის პროცესის დამაბრკოლებელი ბარიერი. გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობის მკაცრი კრიტერიუმების არარსებობა, გაკოტრების პროცესის გაჭიანურების დაშვება, გაკოტრების საქმის წარმოების აღძვრის წესები და ახალი კანონის მიღებამდე მოქმედი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული სხვა ხარვეზები, ხშირ შემთხვევაში, ბოროტად გამოიყენებოდა მოვალეთა ან/და კრედიტორთა მიერ, რაც მნიშვნელოვნად აზიანებდა როგორც სახელმწიფოს, ისე დაინტერესებულ პირთა ინტერესებს. ყოველივე ეს გახდა მიზეზი ახალი, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მიღებისა, რომელიც 2007 წლის აგვისტოდან ამოქმედდა.

აღნიშნული კანონი არა მხოლოდ რეალურად არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის მარტივ მექანიზმს მოიცავს, არამედ ოპერატიულად აწესრიგებს მრავალი წლის წინ დაწყებულ გაკოტრებისა და რეაბილიტაციის დაუსრულებელ და, ეკონომიკური თვალსაზრისით, სრულიად წამგებიან პროცესებს. კანონი აბსოლუტურად

პასუხობს საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებს და გამოირჩევა იურიდიული ტექნიკის სიმარტივით. ამ ეტაპზე გაცილებით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებათა გონივრული სისწრაფე და რეალობასთან მისი ადეკვატურობა.

შეიცვალა კანონის სახელწოდება („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონისაგან განსხვავებით, ახალ კანონს ეწოდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი). მიზეზი ლოგიკურია. აღნიშნული კანონი გაკოტრების პროცესთან ერთად არეგულირებს რეაბილიტაციის პროცესს, ხოლო ორივეს წინ უსწრებს ზოგადი პროცედურა, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს გაკოტრებით ან რეაბილიტაციით, ან დასრულდეს საქმის წარმოების შეწყვეტით. სხვა სიტყვებით, ტერმინი „გადახდისუუნარობა“ უფრო ზოგადია, ვიდრე „გაკოტრება“. იურიდიული ტექნიკის გათვალისწინებით, კანონის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ზოგადს და არა კონკრეტულს. გარდა ამისა, ტერმინი „გაკოტრება“, მიუხედავად იმისა, რომ არ არის დასჯითი ღონისძიება (სანქცია), მაინც ნეგატიური შინაარსის მატარებელია, რაც თავისთავად არ არის ამ კანონის მიზანი. პირიქით, ახალი კანონით მისი აღიარებული მიზანია მოვალის და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან, ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ზოგადად, არსებობს ვალის ამოღების აპრობირებული გზა – სააღსრულებო წარმოება, როდესაც პირი ვალის ამოღებას ახორციელებს სასარჩელო განცხადების საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსითა და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. გაკოტრება – შინაარსობრივად უფრო ხშირად მოვალის დაცვის საშუალებაა, ვიდრე „დასჯა“.

საქართველოში (და არა მხოლოდ) არსებობს მოდავე მხარეთა სასამართლოს გარეშე მოლაპარაკების პრაქტიკა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში წარმატებით გამოყენებადია. ეს ხელს უწყობს დავათა „მშვიდობიანი“ გზით ოპერატიულ გადაწყვეტას. გარდა ამისა, იმ

შემთხვევაში, თუ მოვალე ობიექტურად შეაფასებს მოსალოდნელ გადახდისუნარიან სიტუაციას და სასამართლოს გზით თავად მოითხოვს გაკოტრებას, კანონი ითვალისწინებს კიდევ უფრო მარტივ და დაჩქარებულ პროცესს, რაც აიოლებს პროცედურის დასრულებას და კრედიტორთა დაკმაყოფილებას.

საკანონმდებლო ნოვაციათა მიზანია:

- გადახდისუნარობის პროცესის მონაწილეთა ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ, დავის შინაარსიდან გამომდინარე, მოვალესა და კრედიტორს შორის იდეალური ბალანსის დაცვა, მათი ინტერესების გათვალისწინებით, შეუძლებელია. მათ შორის არსებობს ლოგიკური "კონფლიქტი", თუმცა კანონი ცალსახად არც „პროკრედიტორული“ და არც „პროდებიტორული“ ხასიათისაა. ამ მხრივ ბალანსი დაცულია;

- კრედიტორთა მკაფიოდ გამოხატული იერარქია, მათი რისკის ფაქტორისა და მოთხოვნათა უზრუნველყოფის მიხედვით;

- გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესის ოპერატიულობა;
- ზრუნვა სანარმოს, როგორც ერთიანი ეკონომიკური კომპლექსის, შენარჩუნებაზე;

- გადახდისუნარობის საქმესთან დაკავშირებულ დავათა გადანყვეტის მინდობა თავად პროცესის მხარეთა მიერ შერჩეული პირებისგან შემდგარი „მომრიგებელი საბჭოსადმი“, რაც თავისთავად ზრდის სანდოობის ხარისხს და უზრუნველყოფს პროცედურების ოპერატიულობას;

- ახალი კანონის მიღებამდე, დაწყებული გაკოტრებისა და რეაბილიტაციის დაუსრულებელი პროცესების დამთავრება.

კანონი არეგულირებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული მენარმე სუბიექტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუნარობის საკითხს.

კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

- ა) ფიზიკურ პირებზე (ინდივიდუალური მენარმეების გარდა). თუ ფიზიკური პირის მიმართ კრედიტორს წარმოექმნება ქონებრივი მოთხოვნის უფლება, მას ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლია

სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად. მისთვის სხვა განსაკუთრებული რეჟიმის დაწესება ჭარბ რეგულირებას გამოიწვევს და კიდევ უფრო გაართულებს ფიზიკურ პირთა შორის წარმოქმნილი დავების განხილვის პროცედურას;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. ზოგადი წესის თანახმად, სახელმწიფო, მისი ადმინისტრაციული ერთეული და საჯარო სამართლის იურიდიული პირი გადახდისუუნარობას არ ექვემდებარება;

გ) ბანკებზე, არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტებსა და სადაზღვევო კომპანიებზე, ვინაიდან მათი გადახდისუუნარობის საკითხი სპეციალური კანონმდებლობით წესრიგდება.

**გერმანული** კანონმდებლობით, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა დასაშვებია როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირის მიმართ (insolvenzordnung § 11). კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფედერაციის ან მისი სუბიექტის (მიწის), ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე.

**საფრანგეთში** გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ ე.წ. კომერსანტების, ხელოსნების, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა მიმართ. გაცილებით გამარტივებულ პროცედურას ითვალისწინებს კანონი ფიზიკურ პირთა და იმ იურიდიულ პირთა მიმართ, რომელთა თანამშრომელთა რიცხვი 50-ს არ აღემატება. გამონაკლისის სახით სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი, მოვალის ან პროკურატურის ინიციატივით, ასეთი სუბიექტების მიმართ განახორციელოს გადახდისუუნარობის სტანდარტული პროცედურა, თუ ეს გამოწვეულია გადახდისუუნარო სუბიექტის ინტერესებიდან გამომდინარე.

**ინგლისური** კანონმდებლობით, გადახდისუუნარობის საქმე აღიძვრება ფიზიკური პირებისა და კომპანიების მიმართ (გარდა იმ კომპანიებისა, რომლებიც ახორციელებენ სადაზღვევო და საბანკო საქმიანობას, რომელთა დარეგულირება სპეციალური კანონებით ხდება).

**აშშ-ში** გადახდისუუნარობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ: ფიზიკური პირები, ამხანაგობები, კორპორაციები.

მნიშვნელოვანია თავად პროცესის პროცედურული სიახლე, კერძოდ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების უნიკალურობიდან, ქონების დაცვისა და კრედიტორთა ფინანსური ზარალის თავიდან აცილების აუცილებლობიდან გამომდინარე, ნათლად განისაზღვრა მოვალის ინფორმირებისა და კრედიტორთა და სხვა დაინტერესებულ პირთა შეტყობინების აუცილებლობა. კერძოდ, გადახდისუუნარობის განცხადების სასამართლოში შეტანამდე პირი ვალდებულია მოვალეს წერილობით აცნობოს განცხადების შეტანის თარიღი, სასამართლოს დასახელება, დავის საგანი და მოცულობა.

სასამართლო, თავის მხრივ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მოვალეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის შესახებ.

თუ სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოვალეს და კრედიტორს (კრედიტორებს), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 თავით დადგენილი წესით და გაეგზავნოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება, თანდართული დოკუმენტების ასლებთან ერთად.

მნიშვნელოვანია, რომ გადახდისუუნარობის საქმეებისათვის დადგინდა სპეციალური განსჯადობა. საქმეებს განიხილავენ მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. სტატისტიკის გათვალისწინებით, ასეთი საქმეების რაოდენობრივი სიმცირიდან და თვით განხილვის სირთულიდან გამომდინარე, მათი განხილვის თავმოყრა თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებში ხელს შეუწყობს პროცედურულ სიმარტივესა და ოპერატიულობას (აშშ-ში ფუნქციონირებს სპეციალური ფედერალური სასამართლოები, რომლებიც მხოლოდ გაკოტრების საქმეებს განიხილავენ). ასევე, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნების შემდეგ, მოვალის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განსახილველად გადაეცემა ამ საქმის განმხილველ სასამართლოს (მოსამართლეს),

გარდა სააპელაციო და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავებისა. აღნიშნულის მიზანია, რომ გადახდისუუნარობის საქმის მწარმოებელ სასამართლოს სრული ინფორმაცია ჰქონდეს მოვალის ქონებრივ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, ხდება ყველა იმ პირის მოთხოვნების თავმოყრა, რომელთაც ქონებრივი ხასიათის პრეტენზია აქვთ კონკრეტული მოვალის მიმართ.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს შეუძლიათ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში განჩინების ფორმით მიღებულ ნებისმიერ გადანყვეტილებაზე კერძო საჩივრის შეტანა. შესაძლებელია აგრეთვე დავის საერთო სასარჩელო ნესით განხილვა. კანონმა დაადგინა სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებული გასაჩივრების ნესი. კერძოდ, შემცირდა და ზუსტად განისაზღვრა სასამართლოს მიერ კერძო საჩივრისა და სარჩელის განხილვის ვადები.

კანონით შემცირდა საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა პროცესუალური ვადა, რაც გათვალისწინებულ იყო „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით ამა თუ იმ პროცესუალური მოქმედებებისათვის.

ყველა საკითხი წყდება კანონით დადგენილ ვადაში და აღარ ხდება გადავადება. კერძოდ, ზუსტადაა დადგენილი კრედიტორთა მიერ მოთხოვნების წარმოდგენის, კრედიტორთა კრებების ჩატარების ვადები და ა.შ.

ხშირად, გადახდისუუნარობის დროს ხდება მოვალის ფინანსური მდგომარეობის სწრაფი გაუარესება, რის გამოც კრედიტორები ცდილობენ, რაც შეიძლება მოკლე ვადაში დაიკმაყოფილონ მოთხოვნები დარჩენილი აქტივებიდან. ამასთან, გადახდისუუნარობის დადგომისას ჩნდება ცდუნება, მოვალის აქტივები გახადონ მიუწვდომელი კრედიტორებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონი აწესებს პროცედურების დანყების შემჭიდროებულ ვადებს.

კანონით, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრისთანავე, ინიშნება მეურვე, რომლის ძირითადი ვალდებულებაა მოვალის ქონების დაცვა განადგურებისა და დაზიანებისაგან. მნიშვნელოვანია, რომ მეურვის კვალიფიკაცია და უფლებამოსილების ფარგლები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა კანონში ნათლადაა განწერილი. მეურვის ფუნქციაა მეთვალყურეობა საწარმოს საქმიანობაზე, მისი

საქმიანობის პერიოდი საკმაოდ მცირეა. გასამრჯელოს რაოდენობას სასამართლო ადგენს.

მეურვე არ არის დაინტერესებული საქმის შედეგით. იგი ნეიტრალური პირია და მისი სამართლებრივი მდგომარეობა არსებითად განსხვავდება გაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველების სამართლებრივი მდგომარეობისაგან.

გაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველები წარმართავენ გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესს. მათ ნიშნავენ კრედიტორები. მათ შორის იდება ხელშეკრულება, რითაც განისაზღვრება უფლებამოსილების ფარგლები, ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები.

ზოგადად, გადახდისუუნარობის პროცესის სწორად და ოპერატიულად წარმართვაში გაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველების საქმიანობის ეფექტურობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გაკოტრების და რეაბილიტაციის მმართველების მოვალეობაა, გადაარჩინონ საწარმო ან უზრუნველყონ მისი მაღალ ფასში გაყიდვა. ამიტომ გასამრჯელო მათი და კრედიტორების შეთანხმების საგანია.

მომრიგებელი საბჭო მხარეთა მიერ პარიტიტულ საწყისებზე არჩეული სამი წევრისაგან შედგება. ერთ წევრს ნიშნავს მოვალე, მეორეს – კრედიტორები, მესამის შერჩევა ხდება მოვალისა და კრედიტორთა მიერ განწესებულ მომრიგებელთა შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მესამე წევრს მოსამართლე ნიშნავს.

მომრიგებელი საბჭო მოვალეს და კრედიტორს საშუალებას აძლევს აწარმოონ სასამართლოს გარეშე მოლაპარაკებები და მორიგების შედეგად შეძლონ ამ პროცედურის სწრაფად დასრულება.

მომრიგებელი საბჭო კანონის ერთ-ერთი უნიკალური სიახლეა. იგი მოქმედებს არა როგორც საარბიტრაჟო სასამართლო, არამედ იღებს გადაწყვეტილებას გადახდისუუნარობის საქმის განხილვის შედეგებზე (გაკოტრება, რეაბილიტაცია, საქმის შეწყვეტა).

ახალმა კანონმა ნათლად ჩამოაყალიბა გადახდისუუნარობის (გაკოტრების, რეაბილიტაციის) პროცესის მხარეები, კერძოდ:

- მოვალე, რომელიც წარმოდგენილია, როგორც საწარმო და საწარმოს მესაკუთრე (მესაკუთრენი).

- კრედიტორი/კრედიტორები, რომელთა მიმართ დადგინდა ნოვატორული იერარქია, კერძოდ, ახალი კრედიტორი, უზრუნველყოფილი კრედიტორი და ჩვეულებრივი კრედიტორი.

ახალი კრედიტორის მოთხოვნები უზრუნველყოფილ კრედიტორთა მოთხოვნებზე ადრე კმაყოფილდება. ეს იმითაა განპირობებული, რომ მათ მიერ განეული რისკი ყველაზე სერიოზულია, მათ „დახმარების ხელი“ გაუწოდეს სანარმოს, რომლის მიმართ უკვე აღძრულია გადახდისუუნარობის საქმე. ფაქტობრივად ისინი ფინანსურად ხელს უწყობენ სანარმოს, რომ არ გაკოტრდეს და გამოიყენოს კანონით დადგენილი რეაბილიტაციის შანსი ან, მიუხედავად გაკოტრების გარდაუვალობისა, ბოლომდე შეინარჩუნოს ეკონომიკური და სანარმოო მთლიანობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ახალი კრედიტორის ვალი ყველაზე პრიორიტეტულია, თუ ასეთ კრედიტორს არ ექნება მოტივაცია, ასევე გარანტირებული დაკმაყოფილების შანსი, პრაქტიკულად გამორიცხულია მსგავსი სესხების გაცემის რისკი. ახალ კრედიტორებთან მიმართებაში კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ დაცვით ღონისძიებებს.

მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ კრედიტორთა სამართლებრივი რეჟიმი, გაიზარდა უზრუნველყოფილ მოთხოვნათა დაკმაყოფილების დაცულობა. უზრუნველყოფის დროს ფაქტობრივად ერთი ფინანსური ბიზნესი ფულს აწვდის სხვა ტიპის ბიზნესს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ შეძლებს ამ ფულის დაბრუნებას ნებისმიერ შემთხვევაში. გაკოტრება საფრთხეა ნებისმიერი უზრუნველყოფილი კრედიტორისათვის. ამიტომ კანონში ჩაიდო უზრუნველყოფილი კრედიტორების დაცვის შედარებით სრულყოფილი მექანიზმი. თუ სხვა, მათ შორის, საგადასახადო ვალდებულებას უზრუნველყოფილ კრედიტორზე მაღლა დავაყენებთ (როგორც ადრე მოქმედ კანონში), მაშინ რეალურ უზრუნველყოფას შინაარსი დაეკარგება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უაპელაციოდ აღიარებს უზრუნველყოფილ კრედიტორთა პრიორიტეტს, წარმოადგენს მათი დაცვის სპეციალურ მექანიზმს, აიოლებს აღსრულების პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სადავო არაა, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორი უნდა იდგეს ყველა სხვა კრედიტორზე მაღლა, გარდა ახალი კრედიტორისა.

ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ხდება უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ, მათი უშუალო თანხმობით.

ჩვეულებრივი კრედიტორების მიმართ ვალი, როგორც წესი, წარმოიქმნება საწარმოს მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე (ძირითადად, საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით).

**გადახდისუუნარობა** მოვალის უუნარობაა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა. მოთხოვნაში იგულისხმება ნებისმიერი ვალი ან ვალდებულების შესრულება, რომლის პასუხისმგებლობა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თარიღისათვის მოვალეს ეკისრება. მოთხოვნა მოიცავს დაუზუსტებელ და პირობით მოთხოვნებს, ვადამოუსვლელ მოთხოვნებს და ჯარიმებს.

დაუზუსტებელია მოთხოვნა, რომელიც ჯერ არ არის დაზუსტებული და მოიცავს მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან, ხელშეკრულების დარღვევასთან ან შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ან სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილ სხვა მოთხოვნებს.

პირობითია მოთხოვნა, რომლის წარმოშობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე. ამასთან, მოიცავს გარანტიასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებიც მოვალის მიერ მისი ძირითადი ვალდებულების შესრულებაზეა დამოკიდებულია.

ვადამოუსვლელია მოთხოვნა, რომლის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თარიღისათვის.

კრედიტორი არის პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა (მათ შორის, ვადამოუსვლელი მოთხოვნა).

ახალი კრედიტორი – სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ, განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, განჩინების გამოტანის შემდეგ წარმოშობილი კრედიტორი.

უზრუნველყოფილი კრედიტორი – კრედიტორი ან/და ახალი კრედიტორი, რომლის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით, გირავნობით ან საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებით.

კანონი დეტალურად განსაზღვრავს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანაზე უფლებამოსილ პირებს ("გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის მე-14 მუხ.). ამგვარი დეტალიზაციის მიზანია, რომ ნებისმიერი კრედიტორის ნებისმიერი მოცულობის ქონებრივი პრეტენზია არ გახდეს გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის საფუძველი, რაც გამოიწვევს ასეთი საქმეების მომრავლებას, ბაზარზე მოვალის საქმიანი რეპუტაციის შელახვას და ბაზრის მონაწილეთა შემადგენლობის პერმანენტულ ცვლილებებს.

უცხოეთის განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს ზოგად საფუძველებს გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმის აღძვრასთან დაკავშირებით. ესენია:

- კრედიტორთა შუამდგომლობა;
- მოვალის შუამდგომლობა;
- მესამე პირთა შუამდგომლობა;
- სასამართლოს გადაწყვეტილება;
- პროკურორის მოთხოვნა.

ტრადიციულად, საქმეს გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ აღძრავს კრედიტორი ან მოვალე. ანალოგიური უფლების სასამართლო ან სახელმწიფო ორგანოებზე დელეგირება დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემის თავისებურებებსა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხზე.

**გერმანიაში** გადახდისუუნარობის საქმე აღიძვრება მხოლოდ კრედიტორის ან მოვალის განცხადების საფუძველზე. ამასთან, კრედიტორი უფლებამოსილია, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრაზე, თუ იგი იურიდიულად დაინტერესებულია ამ საქმით, რის

შესახებაც სავალდებულოდ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები. თუ გადახდისუუნარო ხდება საბანკო დანესებულება, სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შესახებ განცხადების შეტანაზე უფლებამოსილია მხოლოდ ცენტრალური ბანკი (Gezetz über das Kreditwesen, §46 “ხ”).

გარდა აღნიშნულისა, ზემოხსენებული განცხადების შეტანა დასაშვებია მხოლოდ განსაზღვრული პირობების არსებობისას, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს სახეზე. ესენია:

- გადახდისუუნარობა (zahlungsunfähigkeit);
- გადახდისუუნარობის საშიშროება (rohende zahlungsunfähigkeit);
- ზედავალიანება (Ueberschuldung).

საფრანგეთის კანონმდებლობით, გადახდისუუნარობის საქმე აღიძვრება ასევე მხოლოდ კრედიტორის ან მოვალის განცხადების საფუძველზე. სანარმოს ხელმძღვანელი გადახდისუუნარობის მომენტის დადგომიდან არა უგვიანეს 15 დღისა ვალდებულია განცხადებით მიმართოს სასამართლოს, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის მოთხოვნით. ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის კანონით გათვალისწინებულია ხელმძღვანელი პირის მატერიალური პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, საფრანგეთის კანონმდებლობა გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შესაძლებლობას ითვალისწინებს ასევე სასამართლოს, შრომითი კოლექტივის, სანარმოს ადმინისტრაციისა და პროკურორის ინიციატივითაც.

ინგლისის კანონმდებლობით, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის მოთხოვნის უფლება აქვს მოვალე კომპანიას ან მის დირექტორს, ან ნებისმიერ კრედიტორს (კრედიტორებს), ან კომპანიის პარტნიორს (პარტნიორებს), ან სასამართლოს (საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში).

კომპანიის დირექტორი ვალდებულია გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შესახებ განცხადებით მიმართოს სასამართლოს კომპანიის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მის დისკვალიფიკაციას, ასევე შესაძლოა

გამოიწვიოს მატერიალური პასუხისმგებლობაც (ზიანის მიყენების შემთხვევაში).

გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შესახებ განცხადების შეტანის უფლება ასევე აქვთ:

- ცესიონრებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოთხოვნის უფლების დათმობა მოხდა კრედიტორის მოთხოვნის განხილვის პერიოდში;
- საინვესტიციო ობლიგაციის მფლობელს/მფლობელებს;
- ნებისმიერ კრედიტორს, რომლის მოთხოვნა არ არის გასაჩივრებული კომპანიის მიერ.

პირი, რომელიც უსაფუძვლოდ ან არასაკმარისი საფუძვლით შეიტანს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას მოვალის მიმართ, პასუხს აგებს მოვალისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის.

მოვალის მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების საფუძველზე (ან ნებისმიერ სხვა ეტაპზე), გაკოტრების მოთხოვნის შემთხვევაში, კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება.

თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ, საქმე გახსნილად ითვლება განცხადების შეტანის დღიდან.

თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება არსებული ხარვეზის შესახებ და განმცხადებელს აძლევს ხუთი სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ განმცხადებელი განსაზღვრულ ვადაში გამოასწორებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და დაუბრუნებს მას განმცხადებელს.

მნიშვნელოვანია, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების მიღების მომენტიდან 3 თვის განმავლობაში გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა იმავე განმცხადებლის მიერ, იმავე სუბიექტის მიმართ და იმავე საფუძვლით დაუშვებელია. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება საქმეზე ახალი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში.

გადახდისუუნარობის შესახებ, განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან:

- მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებულ გარიგებათა შეწყვეტა მეურვის თანხმობის, ხოლო მეურვის მიერ თანხმობის გაცემაზე უარის წერილობით გაცხადების შემთხვევაში - სასამართლოს თანხმობის გარეშე;

- ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნები, ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით;

- ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება;

- იკრძალება გადახდისუუნარობის შესახებ, განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების დარიცხვა/გადახდა;

- საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, საწარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, მეურვის მიერ თანხმობის გაცემაზე უარის წერილობითი გაცხადების შემთხვევაში, სასამართლოს თანხმობით, იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტობრივად ხდება საქმის აღძვრის მომენტში არსებული სიტუაციის „გაყინვა“ და იწყება პროცესის შესწავლა.

გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის მომენტიდან (საქმის წარმოების პროცესში) მოვალის ინტერესებს იცავს მოვალის მართვასა და წარმომადგელობაზე უფლებამოსილი პირი.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანამდე უფლებამოსილი პირი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მოვალეს სასამართლოში განცხადების შეტანის თარიღი, სასამართლოს დასახელება, დავის საგანი და მოცულობა. თავის მხრივ, სასამართლო ვალდებულია, შეატყობინოს მოვალეს განცხადების შეტანისა და განჩინებით საქმის წარმოებაში მიღების შესახებ. აღნიშნული განჩინება დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს. მოვალე ვალდებულია დაესწროს განცხადების განხილვას და მონაწილეობა მიიღოს პროცესის მიმდინარეობაში. სასამართლოში მოვალის ორჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემთხვევაში, მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია 30 დღის განმავლობაში მიუჩვენოს წარუდგინოს ინფორმაცია მისთვის ცნობილი ვალდებულებების, ქონების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ. ამ ინფორმაციის განზრახ დამალვა ან შეცდომით მიწოდება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

**აშშ-ის US Bankruptcy Code-ს XI თავის თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოებაზე განცხადების შეტანა ავტომატურად იწვევს:**

- მოვალისათვის ნებისმიერი არასასურველი ქმედების განხორციელების შეწყვეტას;
- იურიდიულ ფიქციას, რომელიც ცნობილია, როგორც “მოვალის ქონების საკონკურსო მასა”. მასში შედის მოვალის მთელი ქონება, რაც გააჩნია საქმის აღძვრის მომენტისათვის.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს კრედიტორთა და მოვალეთა უფლებამოვალეობებს. კრედიტორს უფლება აქვს:

- შეიტანოს სასამართლოში განცხადება გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შესახებ;
- მიმართოს სასამართლოს დავის, საერთო სასარჩელო წესით, განსახილველად;

- გადახდისუუნარობის შესახებ, განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან სასამართლოს წარუდგინოს თავისი მოთხოვნები, ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით;

- მოიპოვოს ინფორმაცია მოვალის ქონების, ვალდებულების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, ასევე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტიდან სასამართლოში მიმდინარე დავების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- დაესწროს კრედიტორთა კრებას;

- კრედიტორთა კრებაზე მეურვის მოხსენებასთან დაკავშირებით გამოთქვას შენიშვნები და დასვას კითხვები;

- მიმართოს სასამართლოს, მოტივირებული და არგუმენტირებული შუამდგომლობით, მეურვის აცილების შესახებ;

- მოითხოვოს კრედიტორთა რიგგარეშე კრების მონვევა (ეს უფლება აქვს კრედიტორს (კრედიტორებს), რომელიც ფლობს კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის 10%-ს);

- ხმათა უბრალო უმრავლესობით შექმნან კრედიტორთა კომიტეტი, განსაზღვროს მისი წევრების არჩევის და გათავისუფლების, ასევე მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი;

- მიიღოს გადაწყვეტილება მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით გასაყიდად გამოტანის შესახებ;

- მოითხოვოს ნებისმიერი კრედიტორის მიერ, კანონით დადგენილი მოთხოვნებზე, ნაწილობრივ უარის თქმის სანაცვლოდ, თავისი რიგის, კრედიტორებთან შედარებით, უპირატესი დაკმაყოფილება;

- განიხილოს გაკოტრების მმართველის მიერ შედგენილი ანგარიში;

- გააგრძელოს რეაბილიტაციის პროცესის განსაზღვრული ვადა;

- შეადგინოს რეაბილიტაციის გეგმა;

- რეაბილიტაციის გეგმის განხილვის პროცესში აწარმოოს კონსულტაციები მომრიგებელ საბჭოსთან.

თუ მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა, უზრუნველყოფილი და ახალი კრედიტორების შეთანხმებით, შესაძლებელია უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილება მათთვის უზრუნველყოფილი ნივთების საკუთრებაში გადაცემით.

უზრუნველყოფილი კრედიტორები ერთხმად იღებენ გადაწყვეტილებას კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების შემდეგ მოვალის მიერ ახალი ვალების წარმოშობის შესახებ.

უზრუნველყოფილ კრედიტორებს შეუძლიათ შეაჩერონ კრედიტორთა მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

- გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველთან დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ;
- რეაბილიტაციის ვადის განსაზღვრის შესახებ.

უზრუნველყოფილი კრედიტორების არარსებობის შემთხვევაში მათ უფლებამოსილებებს ახორციელებს კრედიტორთა კრება წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

კრედიტორის ვალდებულებებია:

- გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანამდე მოვალის ინფორმირება განცხადების სასამართლოში შეტანის თარიღის, სასამართლოს დასახელების, დავის საგნის და მოთხოვნის მოცულობის შესახებ;

- გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნების სასამართლოსადმი წარდგენა;

- მომრიგებელი საბჭოს ერთი წევრის არჩევა;
- გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნა და მასთან ხელშეკრულების დადება;

- რეაბილიტაციის გეგმის მომზადების ვადის განსაზღვრა;
- რეაბილიტაციის გეგმის შემდგენის განსაზღვრა;
- უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ მომრიგებელი საბჭოს მიერ განხილული და მოწონებული რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება.

თუ კრედიტორი უსაფუძვლოდ ან არასაკმარისი საფუძვლით შეიტანს სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას მოვალის წინააღმდეგ, დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოვალეს უფლება აქვს:

- შეიტანოს სასამართლოში განცხადება გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შესახებ;

- საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე (მომრიგებელი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე) მოითხოვოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება;

- მიმართოს სასამართლოს დავის საერთო სასარჩელო წესით განსახილველად;

- მიმართოს სასამართლოს მოტივირებული და არგუმენტირებული შუამდგომლობით, მეურვის აცილების შესახებ;

- მოითხოვოს კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევა;

- კრედიტორთა კრებაზე, მეურვის მოხსენებასთან დაკავშირებით, გამოთქვას შენიშვნები და დასვას კითხვები;

- რეაბილიტაციის გეგმის განხილვის პროცესში აწარმოოს კონსულტაციები მომრიგებელ საბჭოსთან.

მოვალის ვალდებულებებია:

- დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების განხილვის პროცესს;

- გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის განმავლობაში მეურვეს წარუდგინოს ინფორმაცია მოვალის ქონების, ვალდებულების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ; ასევე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის სასამართლოში მიმდინარე დავების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში (მოვალის ამ ვალდებულებას ახორციელებს უშუალოდ მის მართვასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი);

- დანიშნოს მომრიგებელი საბჭოს ერთი წევრი;

- კრედიტორთა დავალებით შეადგინოს რეაბილიტაციის გეგმა.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

სასამართლოში ორჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სპეციალური სუბიექტები არიან:

- მეურვე;
- კრედიტორთა კრება;
- კრედიტორთა კომიტეტი;
- მომრიგებელი საბჭო;
- გაკოტრების მმართველი;
- რეაბილიტაციის მმართველი;
- სასამართლო.

მეურვე უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი პირი, ნომინირებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი აუდიტორი ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი, საერთო ან სამოქალაქო სპეციალიზაციით. მას ნიშნავს სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ, განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინებით.

"გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მეურვის უფლებამოსილებათა ფარგლებია:

ა<sup>1</sup>) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების საფუძველზე დანიშნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში დაარეგისტრირონ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება;

ა) კონტროლის განხორციელება საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობაზე;

ბ) მოვალის კრედიტორული და დებიტორული დავალიანებების განხილვა და შეფასება;

გ) მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ მოხსენების მომზადება და სასამართლოსა და მომრიგებელ საბჭოსათვის წარდგენა;

დ) კრედიტორთა კრებისა და კრედიტორთა კომიტეტის სხდომების მომზადება და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ე) მოთხოვნის შესაბამისად სასამართლოსა და მომრიგებელი საბჭოსათვის გადახდისუუნარობის საკითხთან დაკავშირებით, მიმდინარე პროცედურების შესახებ, ინფორმაციის წარდგენა;

ვ) სამეურვეო ქონების შენახვა და დაცვა დაზიანებისა და განადგურებისაგან;

ზ) ყველა კრედიტორის დადგენა და შეტყობინების გაგზავნა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ;

თ) სხვა უფლებამოსილებების განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია სამეურვეო ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვასთან.

მეურვეს მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა გადახდისუუნარობის შესახებ, განცხადების წარმოებაში მიღებიდან, 30 დღის განმავლობაში უნდა წარუდგინოს ინფორმაცია მოვალის ქონების, ვალდებულების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტიდან სასამართლოში მიმდინარე დავებზე. მეურვეს ასევე უფლება აქვს თავადაც მოიპოვოს აღნიშნული ინფორმაცია.

კრედიტორების მიერ მოვალის მიმართ მოთხოვნების სასამართლოში წარდგენისას, მეურვე უფლებამოსილია მოსთხოვოს პირს, რომელსაც აქვს რაიმე სახის პრეტენზია ან მოთხოვნა მოვალის მიმართ (სავარაუდო კრედიტორს), დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები მის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

მეურვე ახორციელებს უფლებამოსილებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებიდან მომრიგებელი საბჭოს მიერ გაკოტრების, რეაბილიტაციის ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე და ამ გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ დამტკიცებამდე.

კრედიტორს ან/და მოვალეს უფლება აქვს მოტივირებული და არგუმენტირებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს მეურვის აცილების მიზნით.

მეურვის გასამრჯელო გადაიხდება სამეურვეო ქონებიდან. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში მეურვის გასამრჯელოს გადახდა ხდება გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის ინიციატორის მიერ სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილი თანხიდან. მეურვის პასუხისმგებლობა მოცულობითია. იგი პასუხს აგებს მთელი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

**აშშ-ში** გაკოტრების მასის მმართველს ნიშნავს იუსტიციის სამინისტრო. იგი ასრულებს ქონების "მცველის", შეერთებული შტატების მინდობილი მმართველის (trustees of the United States) და ასევე პროცესზე მეთვალყურეობის ფუნქციებს. მისი უმთავრესი ვალდებულება მოვალის ქონების დაცვაა, რაც გულისხმობს, მაქსიმალურად შეინარჩუნოს ქონების პირვანდელი მდგომარეობა და არ დაუშვას მისი დაზიანება ან განადგურება. იგი უფლება-მოსილია განკარგოს ქონების მხოლოდ ის ნაწილი, რაც მოვალეს სჭირდება "სიცოცხლის" უკანასკნელ ეტაპზე ან/და ოპერატიული საქმიანობის განსახორციელებლად.

**გერმანული** კანონმდებლობით, სასამართლო უფლებამოსილია გადახდისუუნარობის სუბიექტს დაუნიშნოს საკონკურსო მმართველი ან თავად საწარმოს შეუნარჩუნოს ქონების მართვის ფუნქცია და იმავდროულად დაუნიშნოს მეურვე (Sachwalter) (insolvenzordnung §270). საკონკურსო მმართველი მართავს საკონკურსო მასას, რომელშიც ერთიანდება მოვალის როგორც აქტივები, ისე პასივები. საკონკურსო მმართველი ფიზიკური პირია, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება (იგულისხმება საწარმოს მართვის გამოცდილება) და დამოუკიდებელი იყოს კრედიტორისა და მოვალისაგან.

კრედიტორთა პირველ კრებაზე (Berichtstermin) საკონკურსო მმართველი წარადგენს ანგარიშს მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასევე საკუთარ რეკომენდაციებს, შემდეგ კრება იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის ან რეორგანი-

ზაციის შესახებ, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელია საკონკურსო მმართველი.

**დიდ ბრიტანეთში** მოვალის ქონებას მართავს ადმინისტრაციული მმართველი (receiver) და ლიკვიდატორი.

საკონკურსო მასის ადმინისტრაციული მმართველი ფლობს მოვალის ქონებას, მასვე აქვს უფლება განკარგოს მოვალე კომპანიის ქონება აუქციონის ან კერძოდ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საკონკურსო მასის ლიკვიდატორის უმთავრესი ფუნქციაა უზრუნველყოს კომპანიიდან აქტივების მაქსიმალური მიღება, მათი რეალიზაცია და ამონაგები თანხების კრედიტორებს შორის განაწილება. ლიკვიდატორის საქმიანობას აკონტროლებს სასამართლო. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია დაამტკიცოს, შეცვალოს ან შეაჩეროს ლიკვიდატორის ის გადაწყვეტილებები, რომლებზეც კრედიტორები წერილობით პრეტენზიას გამოსთქვამენ.

ლიკვიდატორს, სალიკვიდაციო კომისიის წევრებს, ასევე მათ აფილირებულ პირებს ეკრძალებათ მოვალე კომპანიის აქტივების შექცევა.

კრედიტორთა კრებები იმართება გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოში. კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე, ხოლო გაკოტრების კრებას რეაბილიტაციის პერიოდში – გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორთა კრებას მოსამართლე უძღვება.

კრედიტორთა კრება უფლებამოსილია, თუ ესწრება ან წარმოდგენილია კრედიტორული მოთხოვნების ხმათა ნახევარზე მეტის მქონე კრედიტორი, მიუხედავად იმისა, ჩაბარდათ თუ არა კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინება დანარჩენ კრედიტორებს. ამასთან, შეტყობინება უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

კრედიტორთა ხმების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით: 1 ლარი – 1 ხმა (დამრგვალება ხდება უმცირესისაკენ).

თუ კრედიტორთა კრება არ შედგა ან გადაწყვეტილება უუნაროა, ან ვერ მიიღო გადაწყვეტილება, 7 დღის ვადაში იმავე დღის წესრიგით მოიწვევა მეორე კრება. მეორე კრება გადაწყვეტილება უნარიანია წარმოდგენილ ხმათა რაოდენობის მიუხედავად.

თუ მეორე კრებამაც ვერ მიიღო გადაწყვეტილება, მაშინ გადაწყვეტილებას კრების ჩატარების თარიღის შესახებ გონივრულ ვადებში, მაგრამ არა უმეტეს 5 დღისა, იღებს სასამართლო.

კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ხმათა 50%-ზე მეტის მფლობელი კრედიტორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

კრედიტორთა კრების მიმდინარეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება მაქსიმუმ 3 სამუშაო დღით (ამ შემთხვევაში გამონაკლის წარმოადგენს კრედიტორთა პირველი კრება, რომლის ხანგრძლივობა კანონით განისაზღვრება არა უმეტეს 7 სამუშაო დღით. არგუმენტირებული განცხადების საფუძველზე შესაძლებელია მოსამართლემ ეს ვადა გააგრძელოს). კრედიტორთა უბრალო უმრავლესობის არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოსამართლეს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება.

კრედიტორთა კრება განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

- მომრიგებელი საბჭოს წევრის დანიშვნის შესახებ;
- გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის შესახებ;
- კრედიტორთა კომიტეტის შექმნის, მისი შემადგენლობის, უფლებამოსილების ფარგლებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ;
- მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხთა შესახებ.

უზრუნველყოფილ კრედიტორთა არარსებობის შემთხვევაში მათ უფლებამოსილებებს ახორციელებს კრედიტორთა კრება.

კრედიტორთა პირველი კრება უნდა ჩატარდეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

ყველა უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, რომელიც კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოს წერილობითი ფორმით წარუდგენს თავის მოთხოვნას მოვალის მიმართ, უფლებამოსილია დაესწროს კრედიტორთა კრებას. სხდომაზე დასწრების უფლება აქვს აგრეთვე მოვალეს.

მოვალის მიერ გადახდისუუნარობის განცხადებით გაკოტრების მოთხოვნის შემთხვევაში, კრედიტორთა პირველ კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების პროცესი.

ამასთან დაკავშირებით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (მუხ. 9.9) განსაზღვრავს საწარმოს ხელმძღვანელთა ვალდებულებებს, რომ საწარმოს გადახდისუუნარობის ან გადახდისუუნარობის საშიშროების დადგომის შემთხვევაში, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, აღნიშნული მომენტის დადგომიდან არა უგვიანეს 3 კვირისა, განაცხადონ ამ ფაქტის თაობაზე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ბრალეულ გაჭიანურებად კანონი არ მიიჩნევს, თუ ხელმძღვანელი პირები მოქმედებენ კეთილსინდისიერების პრონციპის გათვალისწინებით და მიიჩნევენ, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საწარმოსათვის.

კრედიტორთა პირველივე კრებაზე მონაწილეობა კრედიტორთა მოთხოვნები და იქმნება მომრიგებელი საბჭო.

გადახდისუუნარობის შესახებ, განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, კრედიტორმა მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნები უნდა წარუდგინოს მეურვეს და სასამართლოს. მოთხოვნებს

უნდა დაერთოს მათი დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებები. მოსამართლე მოუსმენს მეურვეს, მხარეებს და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შესაბამისი ოქმის საფუძველზე, მიიღებს გადაწყვეტილებას, კრედიტორის მოთხოვნების აღიარების ან უარყოფის შესახებ. კრედიტორთა მოთხოვნების შემონგების საფუძველზე მოსამართლე ადგენს კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრს, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) კრედიტორის (კრედიტორების) გვარი, სახელი და მისამართი. თუ კრედიტორი იურიდიული პირია — მისი სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) კრედიტორის მოთხოვნის მოცულობა;

გ) კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა;

დ) ვალის მოცულობისა და კრედიტორთა რიგითობის ცვლილება.

სასამართლო ვალდებულია 5 დღის ვადაში გადასცეს კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის დამონებული ასლი მეურვეს, მომრიგებელი საბჭოს წევრებს, მოვალეს, გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველს.

კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნის აღიარების ან უარყოფის შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს.

სასამართლოში დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნის მფლობელი პირის მოთხოვნა, მისი აღიარების შემთხვევაში, დაკმაყოფილდება “გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რიგითობით და იმ პროპორციულობით, როგორითაც დაკმაყოფილდება შესატყვისი რიგის სხვა კრედიტორთა მოთხოვნები.

კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს მეურვეს, კრედიტორს (კრედიტორებს), რომელიც ფლობს კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10%-ს, ასევე მოვალეს. რიგგარეშე კრების მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ შეტყობინება სასამართლომ უნდა დააგზავნოს კრედიტორთა რიგ-

გარეშე კრების მოწვევის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე. რიგგარეშე კრება უნდა გაიმართოს სასამართლოში მოთხოვნის წარდგენიდან მე-5 დღეს.

გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში, გერმანული კანონმდებლობის თანახმად, კრედიტორთა ინტერესს წარმოადგენს კრედიტორთა კრება (Glaubigerversammlung) და კრედიტორთა კომიტეტი (Glaubigerausschuss). კრედიტორთა კრება სავალდებულო ორგანოა. რაც შეეხება კრედიტორთა კომიტეტს, იგი ფაქულტატიურია და შეიძლება შეიქმნას კრედიტორთა კრების ან სასამართლოს გადანყვეტილებით.

კრედიტორთა კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა პირველი რიგის კრედიტორს (absonderung), ჩვეულებრივ კრედიტორებს, საკონკურსო მმართველს, კრედიტორთა კომიტეტის წევრებს (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში). კრედიტორთა კრება უფლებამოსილია:

- აირჩიოს ან შეცვალოს საკონკურსო მმართველი ან იშუამდგომლოს მისი გათავისუფლებაზე;
- აირჩიოს ან გაათავისუფლოს კრედიტორთა კომიტეტის ნებისმიერი წევრი;
- მოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია საკონკურსო მმართველისგან;
- მიიღოს ანგარიში საკონკურსო მმართველისგან;
- მიიღოს გადანყვეტილება სამეურნეო საქმიანობის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ;
- განიხილოს საკონკურსო მმართველის საბოლოო ანგარიში;
- დაამტკიცოს გაკოტრების გეგმა და სხვა.

ფაქტობრივად იგივე საკანონმდებლო ტენდენციაა ინგლისისა და აშშ-ის კანონმდებლობაში.

რაც შეეხება მომრიგებელ საბჭოს, მოვალემ და კრედიტორებმა მომრიგებლად შეიძლება დანიშნონ ნებისმიერი ქმედუნარიანი, მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი და უმაღლესი განათლების მქონე ფიზიკური პირი. მომრიგებლად

დასახელებამდე აუცილებელია პირის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

მომრიგებელი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე მომრიგებელს უნდა ჰქონდეს ცალსახად გამოხატული პოზიცია, ამიტომ მომრიგებლებს არა აქვთ უფლება თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან.

მომრიგებელი საბჭო არის კოლეგიური ორგანო, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე იქმნება და არსებითად აფასებს და წყვეტს მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს. მოვალის რეაბილიტაციის შემთხვევაში მომრიგებელი საბჭო ასევე განიხილავს რეაბილიტაციის გეგმას.

მომრიგებელი საბჭო მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს სწავლობს საბჭოს შექმნიდან 30 დღის განმავლობაში.

მომრიგებელი საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს და ახსნა-განმარტება ჩამოართვას მოვალეს, კრედიტორებს და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა პირს.

მომრიგებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილება:

- ა) გაკოტრების შესახებ;
- ბ) რეაბილიტაციის შესახებ;
- გ) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სამივე მომრიგებელი და ექვემდებარება ოფიციალურ გამოქვეყნებას.

მომრიგებელი საბჭოს უფლებამოსილება წყდება გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, ხოლო რეაბილიტაციის შემთხვევაში – რეაბილიტაციის გეგმის განხილვისა და მოწონებისთანავე.

**გაკოტრების მმართველი** შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირია. გაკოტრების მმართ-

ველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ეწევა იმავე ან მსგავს საქმიანობას, რასაც მოვალე.

გაკოტრების მმართველი ინიშნება კრედიტორთა გადანყვეტილებით და მტკიცდება სასამართლოს განჩინებით.

გაკოტრების მმართველი ახორციელებს სანარმოს მართვასა და წარმომადგენლობას გაკოტრების პროცესში. გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლოა საბანკო გარანტიის და/ან პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება.

გაკოტრების მმართველი ვალდებულია დაინიშნვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში დაარეგისტრიროს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება.

გაკოტრების მმართველი ახდენს სამეურვეო ქონების რეალიზაციას აუქციონის გზით და რეალიზაციით მიღებული თანხის განაწილებას.

სამეურვეო ქონების რეალიზაციის შემდეგ გაკოტრების მმართველი ადგენს მოვალის გაკოტრების ანგარიშს და წარუდგენს კრედიტორებს და სასამართლოს.

**რეაბილიტაციის მმართველი** შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირია. რეაბილიტაციის მმართველად არ დაინიშნება პირი, რომელიც ეწევა იმავე ან მსგავს საქმიანობას, რასაც მოვალე.

რეაბილიტაციის მმართველი ინიშნება კრედიტორთა გადანყვეტილებით და მტკიცდება სასამართლოს განჩინებით.

რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია, სანოტარო წესით გაფორმებული რწმუნებულების საფუძველზე, თავისი უფლება-მოვალეობების შესრულება დროებით მიანიჭოს სხვა პირს. რეაბილიტაციის პროცესში სანარმოს კაპიტალში ახალი შენატანის განხორციელება, კაპიტალის გაზრდის მიზნით, დაიშვება რეაბილი-

ტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს პარტნიორთა გადანყვეტილებით, თუ არსებობს აღნიშნულზე რეაბილიტაციის მმართველისა და ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

რეაბილიტაციის მმართველი წარმართავს რეაბილიტაციის პროცესს. რეაბილიტაციის მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლოა საბანკო გარანტიის და/ან პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება.

რეაბილიტაციის მმართველი ვალდებულია დანიშნვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრში დაარეგისტრიროს რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყება.

რეაბილიტაციის მმართველი მხოლოდ რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად ახორციელებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით საწარმოს დირექტორისა და პარტნიორთა კრებისათვის მინიჭებულ ყველა უფლებამოსილებას, გარდა საწარმოს ლიკვიდაციისა.

რეაბილიტაციის მმართველს კრედიტორთა გადანყვეტილებით შეიძლება დაევალოს რეაბილიტაციის გეგმის მომზადება. რეაბილიტაციის მმართველი პასუხისმგებელია დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებაზე.

რეაბილიტაციის პროცესში ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული განცხადებით, რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ, გეგმის იმ პუნქტების მითითებით, რომლებიც დარღვეულია შესაბამისი განცხადების წარდგენის მომენტიდან.

## მენარმე სუბიექტის გაკოტრება

გაკოტრების პროცესი კრედიტორების ინტერესების დაცვასთან ერთად გულისხმობს მოვალის ინტერესების დაცვასაც. მისი მთავარი მიზანია საწარმოს ერთიანი კომპლექსის და მისი, როგორც ბაზრის მონაწილე სუბიექტის, შენარჩუნება. გაკოტრების რეჟიმში მყოფი სუბიექტის სამეურვეო ქონების რეალიზაცია ხდება მხოლოდ აუქციონის გზით. აუქციონზე სამეურვეო ქონების გაყიდვას, კეთილსინდისიერებისა და კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, გაკოტრების მმართველი ახდენს.

აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივ ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის საინფორმაციო საშუალებებში.

გაკოტრების მმართველმა აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია აუქციონის ჩატარებასა და თარიღზე და უზრუნველყოს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. აუქციონის ჩატარებაზე გადაწყვეტილება ისეთ პერიოდში უნდა იქნეს მიღებული, რომ აუქციონამდე ორი კვირით ადრე მოესწროს განმეორებითი განცხადების გამოქვეყნება. ამისათვის გაკოტრების მმართველს ჯამში 30 დღე ეძლევა.

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის მოვალეს და კრედიტორს. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი უფლებამოსილია დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ასევე სამეურვეო ქონების შესახებ ინფორმაციის დასაზუსტებლად მიმართოს გაკოტრების მმართველს, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ყველა არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. პირი, რომელიც გადაწყვეტს აუქციონში მონაწილეობის მიღებას, გაკოტრების მმართველს წარუდგენს განცხადებას აღნიშნულის თაობაზე.

პირველი აუქციონი ტარდება გაკოტრების მმართველის დანიშნვიდან 30-ე დღეს, სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის გაყიდვის მიზნით ანუ პირველი აუქციონი მიმართულია იქითკენ, რომ

- არ დაირღვეს გაკოტრების რეჟიმში მყოფი სუბიექტის საწარმოო მთლიანობა;

- მოზიდულ იქნეს მყიდველთა (ინვესტორთა) ის წრე, რომელიც დაინტერესებულია კონკრეტული საწარმოს ორგანიზაციული და ეკონომიკური მთლიანობის შენარჩუნებით. იმის გამო, რომ ნებისმიერი საწარმო ცოცხალი ორგანიზმია და, გაკოტრების რეჟიმის მიუხედავად, მინიმუმ ერთი კონკრეტული ქვეყნის ბაზრის მონაწილე, უკეთესია თუ მოხდება მისი ერთიანობის შენარჩუნება, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, ხელს შეუწყობს ბაზრის სუბიექტთა შემადგენლობის სტაბილურობას;

- სუბიექტის მიმართ გადახდისუნარობის საქმის აღძვრა ხშირად არასწორი და წარუმატებელი მენეჯმენტის ბრალია, ამიტომ საწარმოს, როგორც მთლიანი კონგლომერატის, გაყიდვა მყიდველს საშუალებას აძლევს სურვილის შემთხვევაში შეინარჩუნოს საქმიანობის პროფილი და გონივრული მენეჯმენტის განხორციელებით გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმო გადააქციოს რენტაბელურ და კონკურენტუნარიან საწარმოდ.

თუ პირველ აუქციონზე ვერ მოხერხდა მიზნის მიღწევა, ტარდება მეორე. მეორე აუქციონზე კრედიტორთა გადანყევით-ლებით სამეურვეო ქონება გასაყიდად გამოიტანება ისევ მთლიანად, ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით, ოღონდ საწყისი ფასი შედარებით დაბალია, კერძოდ, მისი რაოდენობა „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-40 მუხლით განსაზღვრული პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე რიგის

კრედიტორთა მოთხოვნების ჯამის ტოლი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში კანონმდებელი მოითხოვს ზუსტ ტოლობას, რათა შეუძლებელ იქნეს სანციის ფასის ხელოვნურად და შეუსაბამოდ გაზრდა, რაც პირველ და მეორე აუქციონებს შორის ზღვარს წაშლის და რეალური მყიდველების ინტერესს შეუქმნის საფრთხეს.

თუ სამეურვეო ქონება მეორე აუქციონზეც ვერ გაიყიდა, უზრუნველყოფილი და ახალი კრედიტორების შეთანხმებით შესაძლებელია მოხდეს უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილება მათთვის უზრუნველყოფის საგნების საკუთრებაში გადაცემით. ამ შემთხვევაში საპროცესო ხარჯების გადახდა დაეკისრება უზრუნველყოფილ კრედიტორებს. ეს მეთოდი ხელს უწყობს უზრუნველყოფილ კრედიტორთა მოთხოვნების დროულ დაკმაყოფილებას, ამასთან, ფაქტობრივად ხდება უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზნის (შინაარსის) რეალიზაცია. თუ ასეთი შეთანხმება არ მოხდა ან უზრუნველყოფის საგნების გადაცემის შედეგად დარჩა სხვა ქონება, მაშინ მეორე აუქციონიდან 30-ე დღეს ჩატარდება მესამე აუქციონი. მესამე აუქციონის ჩატარების და ქონების გაყიდვის წესს განსაზღვრავს გაკოტრების მმართველი. მესამე აუქციონი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სამეურვეო ქონება მთლიანად გაიყიდოს. მთლიანად გაყიდვის ორგანიზება გულისხმობს გასაყიდი ობიექტის სრულ რეალიზაციას და არ ზღუდავს, დანაწევრებულად გაყიდვის გზით, აღნიშნული შედეგის მიღწევას. ამ დანაწესის მთავარი იდეაა, რომ გაკოტრების მმართველმა იზრუნოს რეალიზაციის პროცესის სავალდებულო დასრულებაზე. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია ე.წ. „ჰოლანდიური“ აუქციონიც, სადაც აუქციონისტი ყოველი ახალი ფასის შეთავაზებისას ასახელებს გაცილებით ნაკლებ ფასს, ვიდრე სანციის ფასია. შესაძლებელია ასევე, აუქციონი ჩატარდეს დახურული კონვერტებით. ასეთ შემთხვევაში გამარჯვებულია ის, ვინც დალუქული კონვერტით ყველაზე მეტ ფასს შესთავაზებს. დაშვებულია ნულოვანი აუქციონის ჩატარებაც.

აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც აისახება აუქციონის მსვლელობა და შედეგი. ოქმს ხელს გაკოტრების მმართველი აწერს.

ცნობა აუქციონის შედეგის შესახებ დაუყოვნებლივ ქვეყნდება იმავე ბეჭდვით ორგანოში, რომელშიც გამოქვეყნდა ცნობა აუქციონის ჩატარების შესახებ.

მენარმე სუბიექტის სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით შემძენი (შემძენები) სურვილისამებრ შესაძლოა დარეგისტრირდეს ამ სუბიექტის ერთადერთ პარტნიორად. საკუთრების უფლების გადასვლით სანარმო ახალ შემძენზე დაუტვირთავი და ვალებისგან თავისუფალი გადადის. თუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ აუქციონზე გაყიდული სამეურვეო ქონების პირველად მესაკუთრე იურიდიული პირის საკუთრებაში აღმოჩნდა რაიმე ქონება, რომელიც არ იყო შესული სამეურვეო ქონების სიაში და, შესაბამისად, არც გასაყიდი ობიექტის შემადგენელი ნაწილია, ეს ქონებაც, საკუთრების უფლებით, ახალ შემძენს ეკუთვნის. ერთიანი ქონებრივი კომპლექსი გულისხმობს მატერიალურ ქონებას.

თუ აუქციონზე გამოტანილი სამეურვეო ქონება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მაშინ გაკოტრების მმართველი აუქციონის გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში ახდენს საჯარო რეესტრში მის რეგისტრაციას დაუზუსტებელი მახასიათებლებით. საკუთრების უფლების გადასვლის მომენტიდან საჯარო რეესტრის ჩანაწერის შემდგომი დაზუსტება ევალება ახალ მესაკუთრეს. ჩანაწერის დაზუსტებისას ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში რისკი ახალ მესაკუთრეს აწევს. ამ საკანონმდებლო ნოვაციის მიზეზია პრაქტიკული მაგალითები, რამაც ცხადყო, რომ, რიგ შემთხვევაში, გაკოტრების რეჟიმში მყოფ სანარმოებს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქონება არ ჰქონდათ დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რაც სამართლებრივ შეუსაბამობასა და გაურკვეველობას იწვევდა.

არ არის გამორიცხული, რომ გაკოტრების ობიექტის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, მისი საქმიანობის შეჩერებამ საფრთხე შეუქმნას ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს (მაგალითად, საავადმყოფო, ენერგო- და თბორესურსების მიწნო-

დებელი კომპანიები და სხვა). ასეთი შემთხვევისათვის კანონმდებელი ადგენს: „თუ სანარმოს საქმიანობის შეჩერება საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს და შეუძლებელია სანარმოს საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა ან აუქციონის კანონით დადგენილ ვადაში ჩატარება გამოიწვევს გასაყიდი ქონების ღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას, აუქციონის ჩატარების ვადის გონივრული შემცირება და სამეურვეო ქონების დაჩქარებული წესით გაყიდვა შესაძლებელია სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, პოტენციური მყიდველებისა და ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის პირობით“.

**უზრუნველყოფილ კრედიტორთა განსაკუთრებული უფლებამოსილება.** კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების შემდეგ მოვალის მიერ ახალი ვალების წარმოშობის შესახებ გადაწყვეტილებას უზრუნველყოფილი კრედიტორები იღებენ. იგულისხმება ახალი ვალის აღება. უზრუნველყოფილი კრედიტორები სარგებლობენ კრედიტორთა მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერების უფლებით:

- გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველთან დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ;
- რეაბილიტაციის ვადის განსაზღვრის შესახებ.

უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ ამ უფლების გამოყენებისას გადაწყვეტილება შეჩერდება და საკითხი მოლაპარაკების გზით გადაწყდება. შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს სასამართლო წყვეტს.

უზრუნველყოფილ კრედიტორთა არარსებობის შემთხვევაში მათ უფლებამოსილებებს ახორციელებს კრედიტორთა კრება, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

კრედიტორები დაკმაყოფილდებიან შემდეგი რიგითობით:

პირველი რიგი – საპროცესო ხარჯები;

მეორე რიგი – გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე სასამართლო განჩინების მიღების თარიღიდან მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება (იგულისხმება ახალი კრედიტორი);

მესამე რიგი – მეურვის დანიშვნასა და მის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ანაზღაურება;

მეოთხე რიგი – ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მათ შორის საქართველოს საგადასახადო კოდექსის დადგენილი წესით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;

მეხუთე რიგი – საგადასახადო დავალიანებები, გარდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

მეექვსე რიგი – ყველა დანარჩენი აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა;

მეშვიდე რიგი – დაგვიანებით წარდგენილი კრედიტორების მოთხოვნები.

მნიშვნელოვანია, რომ ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ კრედიტორთა შეთანხმებით (ერთხმად) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ გასანაწილებელი თანხა არ არის საკმარისი ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის პროპორციულად. გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია კრედიტორების მოთხოვნები დაფაროს ერთჯერადი გადახდით ან ნაწილ-ნაწილ.

ნებისმიერი რიგის კრედიტორს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილ მოთხოვნებზე ნაწილობრივ უარის თქმის სანაცვლოდ შეუძლია მოითხოვოს, თავისი (შესაბამისი) რიგის კრედიტორებთან შედარებით, უპირატესი დაკმაყოფილება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მისი რიგის ყველა კრედიტორის თანხმობა. მაგალითად, უზრუნველყოფილ კრედიტორს უფლება აქვს მისი მოთხოვნის 100% დაკმაყოფილების სანაცვლოდ მოითხოვოს 80%

და ამის სანაცვლოდ მის რიგში მალა აიწიოს. „გადახდისუ-  
უნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-40 მუხლის მე-5  
პუნქტში აღნიშნულ კრედიტორს, კანონის 29-ე მუხლის შესაბა-  
მისად, დადგენილ მოთხოვნებზე ნაწილობრივ უარის თქმის სანაც-  
ვლოდ უფლება აქვს მოითხოვოს მისი რიგის წინ მდგომ კრე-  
დიტორთა რიგში გადასვლა. ამისათვის საჭიროა წინა რიგის ყველა  
კრედიტორის თანხმობა.

**გერმანული** კანონმდებლობით, კრედიტორები კმაყოფილ-  
დებიან შემდეგი რიგითობით:

1. მოთხოვნები ქონებიდან გამოყოფის შესახებ (Aussonderung);
2. უზრუნველყოფილი კრედიტორები (Absonderung);
3. პირველი რიგის კრედიტორები (Masseverbindlichkeiten)  
(პროცედურული ხარჯები, საკონკურსო მმართველის ხარჯები);
4. ჩვეულებრივი კრედიტორები (Insolvenzverbindlichkeiten) (იგუ-  
ლისხმება ყველა ის კრედიტორი, რომელიც არ მოხვდა პირველ,  
მეორე და მესამე რიგში);
5. ე.წ. მეორეხარისხოვანი კრედიტორები (Nachrangige Insol-  
venzverbindlichkeiten). მოთხოვნათა განსაზღვრული ნაწილი ით-  
ვლება მეორეხარისხოვნად, ჩვეულებრივ კრედიტორთა მოთხოვ-  
ნებთან მიმართებაში. მათ მიეკუთვნება: ჩვეულებრივ კრედი-  
ტორთა მოთხოვნების საპროცენტო ანარიცხი, გაკოტრების პრო-  
ცედურასთან დაკავშირებული მოვალის ხარჯები, სახელმწიფო  
ორგანოების ან/და სასამართლოს მიერ დაწესებული საჯარიმო  
საქციები, აქციონერთა მიერ გაცემული კრედიტები და სხვა.

**ფრანგული** კანონმდებლობით, კრედიტორთა მოთხოვნები  
კმაყოფილდება შემდეგი რიგითობით:

პირველ რიგში შედის ორი კატეგორიის კრედიტორი:

- ქონების გამყიდველი, რომელიც სარგებლობს უპირატესო-  
ბით, შეინარჩუნოს სამართლებრივი ტიტული ქონებაზე;
- ბანკი, რომელსაც აქვს პირდაპირი და განსაკუთრებული  
უფლება მოთხოვნაზე და ეს უფლება იცავს ყველა დანარჩენი  
კრედიტორების მოთხოვნებისგან.

მეორე რიგი:

- სახელფასო მოთხოვნები;
- უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნები.

მესამე რიგი – ყველა დანარჩენი მოთხოვნები.

**დიდი ბრიტანეთის** კანონმდებლობით, კრედიტორთა მოთხოვნები კმაყოფილდება შემდეგი რიგითობით:

1. უზრუნველყოფილი კრედიტორები;
2. ლიკვიდაციის პროცესის ხარჯები;
3. უპირატესობის მქონე კრედიტორები;
4. იმ უზრუნველყოფილ კრედიტორთა მოთხოვნები, რომელთა სასარგებლოდ დატვირთული ქონების გამოცალკეება შეუძლებელია;
5. არაუზრუნველყოფილი კრედიტორები;
6. დაგვიანებით წარდგენილი კრედიტორები.

უზრუნველყოფილი კრედიტორები უფლებამოსილი არიან ქონების საერთო მასიდან გამოყონ უზრუნველყოფის საგანი და არ მიიღონ მონაწილეობა კომპანიის ლიკვიდაციაში ან გაყიდონ უზრუნველყოფის საგანი, დაიკმაყოფილონ მოთხოვნა და მოვალეს მოსთხოვონ მხოლოდ დარჩენილი (თუ ასეთი არსებობს) ვალის დაფარვა, ან უბრალოდ, პირველ რიგში, მოითხოვონ დაკმაყოფილება. როგორც წესი, უზრუნველყოფილი კრედიტორები ყუდიან უზრუნველყოფის საგანს და ლიკვიდაციის პროცესში მონაწილეობენ მხოლოდ დარჩენილი ვალის მოთხოვნის უფლებით.

უპირატესობის მქონე (პრიორიტეტულ) მოთხოვნებში შედის:

- შიგა შემოსავლების სამსახურის მოთხოვნები;
- საბაჟო და აქციზური სამმართველოს მოთხოვნები;
- სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში სავალდებულო გადასახადები;
- პროფესიულ და საპენსიო ფონდებში განსახორციელებელი შენატანები;
- სახელფასო და მისი ანალოგიური ხარჯები.

ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

თუ გასანაწილებელი თანხა არ არის საკმარისი ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის პროპორციულად (pari passu).

საქართველოს კანონმდებლობით, გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდება გაკოტრების მმართველის მიერ სამეურვეო ქონების რეალიზაციისა და რეალიზაციით მიღებული თანხის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის შესაბამისად განაწილებისთანავე.

გაკოტრების მმართველის და კრედიტორთა ინფორმაციის შესაბამისად, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების შესახებ.

სამეურვეო ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა შეინახოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე და განაწილდეს გაკოტრების პროცესის დასრულებიდან არა უადრეს 3 თვისა.

## მენარმე სუბიექტთა რეაბილიტაცია

რეაბილიტაციის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესით და პირობებით ეტაპობრივად სრული დაკმაყოფილება, მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი ფინანსური სიძნელეების დაძლევა და, საქმიანობის გაგრძელების გზით, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. კრედიტორები თავად არიან დაინტერესებული თუ არსებობს სანარმოს გადარჩენის შანსი, რომ მხარი დაუჭირონ მის რეაბილიტაციას. მართალია, რეაბილიტაციის პროცესში კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესი განგრძობადი ხასიათისაა, მაგრამ ამ შემთხვევაში კრედიტორს მეტი შანსი აქვს სრული მოცულობით დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნები, ვიდრე გაკოტრების დროს, სადაც წინა პლანზეა პროცესის ოპერატიულობა, თუმცა საფრთხე ექმნება დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა მოცულობას.

განჩინების სახით გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის შესახებ სასამართლო იღებს.

რეაბილიტაციის მმართველს კრედიტორთა კრება ნიშნავს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

კრედიტორები უფლებამოსილი არიან რეაბილიტაციის გეგმის შედგენა, რეალური პოტენციალის გათვალისწინებით, დაავალიონ მოვალეს, კრედიტორს (კრედიტორთა ჯგუფს), რეაბილიტაციის მმართველს ან შექმნან დასახელებულ სუბიექტთაგან შერეული სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ხელს არ უშლის რომელიმე სუბიექტის მიერ (რომელიც არ იქნა შერჩეული კრედიტორთა მიერ) რეაბილიტაციის ალტერნატიული გეგმის შემუშავებას. ეს უკანასკნელი ასევე უნდა დაექვემდებაროს განხილვას მომრიგებელი საბჭოს მიერ.

იმის გამო, რომ რეაბილიტაციის გეგმის ეფექტურობა და შემდგომში ამ გეგმის რეალიზება მნიშვნელოვნად აისახება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადებსა და მოცულობაზე, გეგმის ავტორი (ავტორთა ჯგუფი) ვალდებულია

გეგმის შედგენის პროცესში კონსულტაციები აწარმოოს ნებისმიერი ტიპის კრედიტორთან და მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან.

რეაბილიტაციის გეგმა უნდა შედგეს მარტივი წერილობითი ფორმით. მასში უნდა აისახოს:

- რეაბილიტაციის შესაძლებლობის საფუძველი;
- რეაბილიტაციის განხორციელების რეალური გზები;
- რეაბილიტაციის განხორციელების ვადები და პროცედურა;
- განისაზღვროს ვალებზე პროცენტის დარიცხვისა და გადახდის საკითხი.

რეაბილიტაციის გეგმა, ყველა კრედიტორის თანხმობით, ითვალისწინებს მოვალის ვალებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას ან შეცვლას. თუ რომელიმე კრედიტორი ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებას, დანარჩენი კრედიტორები უფლებამოსილი არიან შესთავაზონ ვალის გამოსყიდვა, კრედიტორთა მოთხოვნის რეესტრის მონაცემების შესაბამისი მოცულობით. აღნიშნული შეთავაზების მიღება წინააღმდეგობაში მყოფი კრედიტორის ვალდებულებაა.

რეაბილიტაციის გეგმისადმი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა ყველა მასში მოყვანილი მონაცემის მაქსიმალური სიზუსტე და ნამდვილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ პირის მიმართ, რომლის ბრალეული ქმედებთაც (განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით) მოხდება მოვალის ქონების ან/და მისი საქმიანობის შესახებ არასწორი, ან დამახინჯებული მონაცემების წარდგენა, ან არ გაცხადდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, სასამართლო ვალდებულია გამოიყენოს კანონით დადგენილი შესაბამისი სანქციები. კერძოდ:

- მოვალის ბრალეულობის შემთხვევაში – შეწყვიტოს რეაბილიტაციის განხორციელების შესაძლებლობის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება გაკოტრების შესახებ;

- კრედიტორის (მიუხედავად მისი კანონით განსაზღვრული სტატუსისა) ბრალეულობის შემთხვევაში – მისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის შესახებ;

- რეაბილიტაციის მმართველის ბრალეულობის შემთხვევაში – მისი გათავისუფლების შესახებ.

რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას განსაზღვრავენ კრედიტორები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს. გეგმის პროექტის მომზადების ვადის გაგრძელება შესაძლებელია კრედიტორული მოთხოვნების უმრავლესობის მქონე კრედიტორთა გადაწყვეტილებით.

რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებას ზედამხედველობს კრედიტორთა კრება. ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად ნებისმიერ კრედიტორს უფლება აქვს მიიღოს ან/და გაეცნოს მოვალის წლიურ ანგარიშს, აგრეთვე რეაბილიტაციის გეგმის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ასეთი კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადასა და პირობებს. რეაბილიტაციის მმართველი ვალდებულია, უზრუნველყოფილ კრედიტორებს, რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, წარუდგინოს ამომწურავი ინფორმაცია რეაბილიტაციის გეგმის მიმდინარეობაზე.

კრედიტორს (კრედიტორებს), რომელიც კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10% ფლობს, შეუძლია მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული განცხადებით რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ, რეაბილიტაციის გეგმის იმ პუნქტების მითითებით, რომლებიც დარღვეულია განცხადების წარდგენის მომენტში.

რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება უზრუნველყოფილი კრედიტორების პრეროგატივაა. გეგმის დასამტკიცებლად აუცილებელია ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კანონი გამორიცხავს ერთ-ერთი უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების დაბლოკვის შესაძლებლობას. ამიტომ, თუ რომელიმე უზრუნველყოფილი კრედიტორი შეეწინააღმდეგება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას, დანარჩენი უზრუნველყოფილი კრედი-

ტორები უფლებამოსილი არიან ურთიერთშეთანხმებით შესთავაზონ კანონით განსაზღვრული ორი შესაძლო წინადადებიდან ერთ-ერთი: 1) მონინალმდევე კრედიტორის სასარგებლოდ დატვირთული ნივთის (ნივთების) სამეურვეო ქონებიდან გამოყოფა, რეალიზაცია და ამონაგები თანხით მისი დაკმაყოფილება; 2) ვალის გამოსყიდვა კრედიტორთა მოთხოვნის რეესტრის მონაცემების შესაბამისი მოცულობით.

ასეთი შეთავაზების შემთხვევაში წინააღმდეგობაში მყოფი კრედიტორი ვალდებულია დათანხმდეს შეთავაზებას და გამოეთიშოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესს.

რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შემთხვევაში რეაბილიტაციის პროცესი დასრულებულად ითვლება.

რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს განცხადებით და დასაბუთებულად მოითხოვოს რეაბილიტაციის პროცესის შეწყვეტა. თუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის შეწყვეტის შესახებ, დაუყოვნებლივ იწყება გაკოტრების პროცესი. მიუხედავად ამისა, რეაბილიტაციის პერიოდში დადებული ნებისმიერი გარიგება და განხორციელებული ქმედება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

## თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირების ფარგლები

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისა და განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სამეურნეო სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნაა. კონკურენცია - არის ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედ სუბიექტთა მეტოქეობა, ბაზარზე უპირატესობის მოპოვების სურვილი. სამენარმეო თვალსაზრისით, ესაა ბრძოლა ყველაზე დიდი მოგების მიღებისთვის. ამასთან, მთავარია, რომ მენარმეთა ზემოაღნიშნული მისწრაფება საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებისა და საუკეთესო სამეურნეო შედეგების მიღწევის ფონზე წარიმართოს.

ჯანსაღი კონკურენცია, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კაპიტალის დინებას ფინანსურად ნაკლებად ეფექტურიდან მეტად ეფექტურ საწარმოებზე; იგი ემსახურება მენარმეობის ოპტიმიზაციას და წარმოების დაქვემდებარებას მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი.

კონკურენცია საბაზრო გარემოს წამყვანი მაჩვენებელია, რომელშიც საწარმოს კომერციული საქმიანობა აისახება. სახელმწიფო კეთილსინდისიერი კონკურენციის პოლიტიკას ახორციელებს და საზოგადოებრივი წარმოებისა და სოციალურ მიმართულებათა ეფექტურობის ზრდის მიზნით ზღუდავს მონოპოლიურ საქმიანობას.

კონკურენცია საწარმოს ეკონომიკური მართვის მექანიზმის შემადგენელი ნაწილია. იგი სანყისი კატეგორიაა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის არსის განმსაზღვრელია. პრაქტიკაში ამ ცნების რამდენიმე დეფინიცია არსებობს:

- კონკურენცია - არის ეკონომიკაში გაბატონებული სუბიექტების ურთიერთშეჯიბრი. მათი ურთიერთდამოკიდებული ეფექტური მოქმედება თითოეულის შესაძლებლობებს განსაზღვრავს;
- კონკურენცია - არის საწარმოთა ბრძოლა იმ შეზღუდული საერთო-სამომხმარებლო გადახდისუნარიანობისათვის, რომელიც წამყვანი საწარმოების მიერ ხელმისაწვდომი საბაზრო სეგმენტებით განისაზღვრება;
- კონკურენცია - არის საბაზრო მეურნეობის სიმძიმის ცენტრი. ფასი, რომელიც დადგენილია კონკურირებად მხარეებს შორის კონკურენციის პროცესში, მოთხოვნილებასა და წინადადებას

შორის ერთგვარი რეგულატორის როლს ასრულებს. კონკურენციის სხვადასხვა დეფინიცია გვთავაზობს როგორც სრულყოფილ, ისე არასრულყოფილ ბაზარს და საბაზრო ურთიერთობათა მონაწილეების კონკურენციის ხასიათის შესახებ მთელ რიგ მითითებებს შეიცავს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ კონკურენცია მართავს საბაზრო ეკონომიკას.

ზოგადად, კონკურენცია მრავალფაქტორიანი კატეგორიაა. მისი ინტენსივობა დამოკიდებულია შედეგებზე. კერძოდ:

- **ბაზრის მოდელზე**, სრულყოფილია თუ არასრულყოფილი. სრულყოფილი ბაზრის მოდელი იმ წინადადებებს ეფუძნება, რომლის მიხედვით სავაჭრო გარიგების ნებისმიერი მონაწილე მხოლოდ ეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედებს. გარდა ამისა, სრულყოფილი ბაზრის მახასიათებლებია:

მოცემული ტიპის ყველა საქონელი ობიექტურად ერთფეროვანია როგორც ხარისხით, ისე ვიზუალურად და შეფუთვით (ჰომოგენურია) და ფასიც ერთგვარად კონკურენტული საქონლის განსაზღვრებას შეესატყვისება; კონკურენტული ბრძოლის პირობები ბაზრის ყველა მონაწილისთვის ერთნაირია.

თითოეულ გამყიდველსა და მყიდველს აქვს ბაზრის სრული ანალიზისა და შეფასების საშუალება, ასევე, უფლება, მიიღოს საკმარისი ინფორმაცია ყოველი გარიგების პირობების შესახებ (ფასებზე, ფასდაკლებებზე, საქონლის ხარისხზე, მოწოდებაზე, გადახდის პირობებსა და ვადებზე). ასეთ ბაზარზე (იგულისხმება სრულყოფილი ბაზარი) ცალკეული გამყიდველებისა და მყიდველების მოქმედებას არ შეუძლია გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს საქონლის ბრუნვის საერთო პირობებზე.

თუ ზემოთ მითითებული რომელიმე პირობა დაირღვა, მაშინ ბაზარი არასრულყოფილია.

- **ბაზრის ფორმებზე**, კერძოდ, ბაზრის მონაწილეთა რაოდენობის განაწილებაზე (პოლიპოლია, ოლიგოპოლია, მონოპოლია და მათი მოდიფიცირებები);

- **ბაზარზე წარმოდგენილი საქონლის "სიცოცხლისუნარიანობაზე";**

- **კონკურენციის მოტივზე**, რომლითაც ბაზრის მონაწილენი ხელმძღვანელობენ;

- ბაზრის ცვლილებიდან გამომდინარე, მწარმოებლის რეაქციაზე;
- მიმდინარე ეკონომიკური პროცესში სახელმწიფოს ჩარევის მოცულობასა და ინტენსივობაზე.

### ბაზრის ფორმები

მოთხოვნილება	ბევრი	რამდენიმე	ერთი
ბევრი	პოლიპოლია (სრულყოფილი)	ოლიგოპსონია	მონოპოლია
რამდენიმე	ოლიგოპსონია (მომხარებითი)	ორმხრივი	შეზღუდული
ერთი	მონოპსონია (მომხარებითი)	შეზღუდული	ორმხრივი

ოლიგოპოლია - ბაზარზე რამდენიმე მსხვილი საწარმოს ბატონობაა. ოლიგოპოლიების წარმოშობა შემთხვევითი არ არის. უცხოეთში სახელმწიფო აქტიურად ერევა მონოპოლიათა სამეურნეო საქმიანობაში. ინფლაციის თავიდან აცილების მიზნით, აწესებს კონტროლს ფასებზე და ა.შ. ეს იმითაა განპირობებული, რომ ოლიგოპოლია მიისწრაფვის მაღალი ფასების შენარჩუნების ან კიდევ უფრო გაზრდისაკენ.

ოლიგოპსონია - არის ბაზარი, სადაც რამდენიმე მსხვილი მყიდველი ფიგურირებს. მაგალითად, მანქანების მწარმოებლები, მყიდველის სახით, ოლიგოპსონისტებად გამოდიან ავტომობილების საბურავების ბაზარზე.

კონკურენციის სხვადასხვა ფორმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემა მრავალმნიშვნელოვანია, რადგან რეალური ცხოვრება დინამიკურია და მასზე, ეკონომიკურ კრიტერიუმებთან ერთად, მნიშვნელოვან ზეგავლენას პოლიტიკური და სოციალური ფაქტორებიც ახდენს. საზოგადოებისთვის უპრიანია ჰყავდეს სრულყოფილი კონკურენტი, ვიდრე მონოპოლისტი, ამასთან წარმოების პირობები იწვევს ძალაუფლებისაკენ საწარმოთა სწრაფვას. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რომელი საბაზრო სიტუაციაა უკეთესი რესურსების ოპტიმალურად პროპორციული განაწილებისთვის? ამ

კითხვაზე ცალსახა და კატეგორიული პასუხი არ არსებობს. გასათვალისწინებელია ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედი მაკრო- და მიკროეკონომიკური ფაქტორები. ამასთან, თითოეული კონკრეტული შემთხვევა განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბაზრო სივრცე, ბაზრის თითოეული მონაწილის აქტიური ურთიერთქმედების არეალია. ბაზრის ძირითადი პარამეტრებია:

- განსაზღვრული სახის საქონლის გამყიდველთა რაოდენობა;
- საქონლის მფლობელთა ბაზარზე თავისუფალი მოძრაობა;
- ბაზრის სუბიექტთა დამოუკიდებლობა (ან ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება);
- საქონლის ცალკეულ მფლობელთა მიერ საბაზრო ფასის დადგენის შესაძლებლობა (ან შეუძლებლობა).

კონკურენცია ხელს უწყობს საბაზრო მეურნეობის მონოპოლიისკენ წარმართვას. მყიდველებისა და გამყიდველების შეჯიბრი არსებითად ცვლის საბაზრო სივრცის სტრუქტურას. ეს განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- კონკურენცია ბაზრიდან დევნის ჩამორჩენილ და ნაკლებად ეფექტურ სუბიექტებს;
- საბაზრო შეჯიბრი განამტკიცებს მსხვილი წარმოების პოზიციებს.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კონკურენციის დონის ამაღლების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევა.

ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან გამომდინარე, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის განვითარებული სათანადო კონკურენტული გარემო. უცხოეთის ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს საქართველოში კონკურენტული გარემოს ფორმირების ზოგიერთი საშუალება. კერძოდ, უნდა გაიზარდოს იმ საწარმოს რაოდენობა, რომელიც ახორციელებს ერთგვაროვან საქმიანობას (ანარმოებს ერთნაირ პროდუქციას ან ეწევიან ერთი სახის მომსახურებას). ეს არის ტიპობრივი საბაზრო მიდგომა. რაც უფრო მეტი საწარმო სთავაზობს მომხმარებელს ერთნაირ პროდუქციას ან მომსახურებას, მით უფრო მეტად ცდილობენ მიიზიდონ კლიენტურა, ეს კი ხორციელდება პროდუქციის (მომსახურების)

ხარისხის ამაღლების, წარმოების მოდერნიზაციისა და ზედმეტი დანახარჯების შემცირების ხარჯზე.

უცხოეთის პრაქტიკის გათვალისწინებით, კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას აუცილებლად მოსდევს კონკურენტული ბრძოლის გამძაფრება კაპიტალისტურ ბაზარზე. აღნიშნული ეკონომიკური პროცესი უარყოფით ზეგავლენას ახდენს კონკურენტულ გარემოსა და მის რეგულირებაზე. ასეთ სიტუაციაში წარმოებისა და კონკურენციის თავისუფლების პრინციპის შენარჩუნებას სახელმწიფო, რიგ შემთხვევაში, თავის თავზე იღებს. ამასთან, იყენებს მონოპოლიური საქმიანობის რეგულირების კონკრეტულ მეთოდებს.

ზემოაღნიშნული ურთიერთობები კანონმდებელთა ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ XIX ს-ის მიწურულს მოექცა, როცა 1896 წელს გერმანიაში მიიღეს კანონი "არაკეთილსინდისიერი კონკურენციის" შესახებ (1909 წელს მიიღეს იმავე სახელწოდების ახალი კანონი). ამ დრომდე მხოლოდ აშშ-ში არსებობდა 1890 წლის კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელსაც საფუძვლად დაედო 1883 წლის ალაბამას შტატის ანტიტრასტული<sup>1</sup> კანონი. 1889 წელს ეს პროცესი გაგრძელდა არკანზასის შტატში. 1890 წლიდან ანტიტრასტული კანონები მოქმედებდა ამერიკის 18 შტატში. ამ დროისთვის ამერიკის კონგრესმა (02.07. 1890 წ.) მიიღო ფედერალური კანონი ("შერმანის კანონი"), რომელიც მონოპოლიისგან იცავდა ვაჭრობასა და მრეწველობას. დღემდე ანტიმონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის რეგულირებას აშშ-ში, სასამართლო პრეცედენტთან ერთად, ზემოაღნიშნული კანონიც ახდენს. რაც შეეხება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სხვა ქვეყნებს, ინგლისში მოქმედებს დელიქტური სამართალი, 1952 წლის კანონი "ცილისწამების შესახებ" (ასევე სასამართლო პრაქტიკა); გერმანიაში - 1909წ. კანონი "არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ" (შესაბამისი ცვლილებებითა და დამატებებით); შვეიცარიაში - 1986წ. კანონი "არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ", 1985წ. კანონი "კარტელების შესახებ", ანტიმონოპოლიურ ურთიერთობებს ასევე არეგულირებს შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლები და შვეიცარიის

<sup>1</sup> ტრასტი - (trust) მენარმეთა გაერთიანების ფორმა, რომლის დროსაც გაერთიანების მონაწილენი კარგავენ საწარმოო, კომერციულ და, ხშირად, სამართლებრივ დამოუკიდებლობას. საწარმოს რეალური ხელისუფლება თავს იყრის ტრესტის სათავე კომპანიაში. ტრესტი პირველად 1879 წელს აშშ-ში შეიქმნა.

1917წ. ვალდებულებითი კანონის II თავი; საფრანგეთში - 1986 წ. ორდონანსი "ფასების თავისუფლად დადგენისა და თავისუფალი კონკურენციის შესახებ"; რუსეთში - 1998წ. ფედერალური კანონი "სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციისა და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის შესახებ", ასევე რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები. საქართველოში სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმების პერიოდში შეიქმნა ახალი კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, რომელშიც ცვლილებები და დამატებები 2010 წელს შევიდა.

ტრადიციულად განასხვავებენ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს. პირველი ყველა სახის მონოპოლიას აღიარებს მართლსაწინააღმდეგოდ. ანტიტრესტული კანონმდებლობა მოიცავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასაც. ეს მოდელი ამერიკის გარდა ვრცელდება კანადაზე, არგენტინასა და იაპონიაზე.

რაც შეეხება ევროპულ მოდელს, იგი ზოგადად ებრძვის მონოპოლიზმის ბოროტად გამოყენებას, აწესებს კონტროლს მონოპოლიაზე, ხოლო თვით მონოპოლიებს არ მიიჩნევს მართლსაწინააღმდეგოდ. ევროპულ მოდელში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები გამოყოფილია ცალკე სფეროდ. ეს მოდელი გამოიყენება ინგლისში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და ა.შ.

აღნიშნულ ორ მოდელს შორის ერთგვარი შუალედური ადგილი უჭირავს გერმანიის ე.წ. კარტელურ სამართალს, რომლის საფუძველზე მონოპოლია აღიარებულია მართლსაწინააღმდეგოდ, თუმცა დაშვებულია ზოგიერთი გამონაკლისი.

ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო შეთანხმებებში გამოიყოფა სამეურნეო პრაქტიკის ორი ძირითადი მიმართულება, რაც განიხილება მონოპოლიური საქმიანობის ქრილში: ორგანიზაციულ-სამართლებრივი და სახელშეკრულებო-სამართლებრივი. პირველს განეკუთვნება კაპიტალურ სფეროში სხვადასხვა მონოპოლიური სტრუქტურების შექმნა, მეორეს – საბაზრო ურთიერთობებში მონოპოლიური კომერციული პრაქტიკის განხორციელება.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობა ხორციელდება სხვადასხვა სახის მონოპოლიური გაერთიანების შექმნით, კერძოდ, ხელშეკრულებისა და სავაჭრო ამხანაგობათა (სანარმოთა) ინსტიტუტების გამოყენებით. ვლინდება იურიდიულად დამოუკიდებელ პირთა მიერ კარტელების, სინდიკატების ან სხვა სახის გა-

ერთიანებათა შექმნაში, რომელიც არ სარგებლობს იურიდიული პირის სტატუსით, ან საწარმოს (კომპანიის) დაარსებაში, რომელიც იურიდიულ პირს წარმოადგენს.

მონოპოლიური კომერციული პრაქტიკა საბაზრო ურთიერთობებში ორი ფორმით გამოიხატება: პირველი, მონოპოლიური ხასიათის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადებით (მაგ., ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე მანქანების გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულებაში განსაზღვრავს მყიდველის ვალდებულებას, რომ მან აუცილებლად მისგანვე შეიძინოს მოწყობილობა ან ნედლეული, რომელიც არ არის სავალდებულო ხელშეკრულების საგნის ექსპლუატაციისთვის); მეორე, გარიგების დადების გარეშე, ბაზრის მონოპოლიზაციის მიზნით, გარკვეული სამეურნეო ქმედებებისა და მეთოდების გამოყენებით (მაგ., მოლაპარაკების წარმოება ფასებთან დაკავშირებით, ფასდაკლება მუდმივ კლიენტებზე და ა.შ.).

ისტორიულად არსებობს პრაქტიკული მაგალითები, როცა ქვეყნის ბაზარზე საწარმოს მონოპოლიური მდგომარეობის აღსაკვეთად სახელმწიფო იყენებს საკუთარ ძალასა და ბიუჯეტს. ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც აშშ-ის ალუმინის წარმოების მონოპოლისტმა, კომპანია "დიუპონმა" დაიწყო გამოშვებულ პროდუქციაზე ფასების ზრდა, პრეზიდენტ ფრანკლინის ბრძანებით, სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე აშენდა ალუმინის მწარმოებელი სახელმწიფო კომპანია, რომელიც პრივატიზაციის გზით მიეყიდა "დიუპონის" დაუძინებელ მტერ კომპანიას. ამ უკანასკნელმა "ლირსეული" კონკურენცია გაუწია "დიუპონს", რომელიც იძულებული გახდა, მკვეთრად დაეგდო ფასები მის მიერ წარმოებულ ალუმინზე.

მეორე მაგალითი, XX საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა ბიუჯეტის ხარჯზე მდინარე ტენესზე ააშენა კასკადი (ჰესი), სადაც გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია ქვეყნის ბაზარზე გაცილებით დაბალ ფასში მოახდინა, ვიდრე ამას ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე კერძო კომპანია ახდენდა.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შეიმჩნევა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობის დაახლოების ტენდენცია შედარებით ახალი სფეროს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან. საგულისხმოა, რომ მომხმარებელი, დაუცველობის შემთხვევაში, პროდუქციის პროფესიონალი მწარმოებლისა და მოვაჭრის წინაშე

შეიძლება გადაიქცეს "კონკურენტული სამართლის" ერთ-ერთ ძირითად სუბიექტად. თუ XX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში მიღებული კანონი "არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ" გათვლილი იყო კონკურენტ სუბიექტთა შორის წარმოქმნილ ურთიერთობებზე, თანამედროვე კანონმდებლობა ვრცელდება მომხმარებელზეც, რომელიც კონკურენციაში პირდაპირ არ მონაწილეობს, მაგრამ შეიძლება გახდეს კონკრეტული ბრძოლის ობიექტი. ამასთან დაკავშირებით, 1996 წლიდან საქართველოში მოქმედებს სპეციალური კანონი "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", რომელიც განსაზღვრავს მომხმარებელთა დაცვის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს.

საქართველოს, გერმანიის, შვეიცარიის, უნგრეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, ჩეხეთისა და რუსეთის სპეციალური ნორმატიული აქტები პირდაპირ კრძალავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებებს, იმ ქმედებასა და პრაქტიკას, რომელიც აბნევს მომხმარებელს საქონლის (მომსახურების) ხარისხთან, მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, წარმოშობის მიზეზისა და ხასიათის მიხედვით, ასხვავებს სხვადასხვა სახის მონოპოლიას. ესენია:

ა) ბუნებრივი მონოპოლია, რაც წარმოების იშვიათი ელემენტების მქონე საწარმოებს უჭირავთ. აღნიშნულში იგულისხმება ინფრასტრუქტურის ზოგიერთი სფერო, რომელთაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული დატვირთვა აქვს (მაგალითად, რკინიგზის ტრანსპორტი, სამხედრო - სამრეწველო კომპლექსი და ა.შ.). ზოგიერთ შემთხვევაში ბუნებრივი მონოპოლია დიდმასშტაბიანი წარმოებიდან მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოგების მიღებითაა გამართლებული;

ბ) ლეგალური მონოპოლია კანონის საფუძველზე წარმოქმნილი სახეა. მათ მიეკუთვნება:

- საპატენტო სისტემა. პატენტი, სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტია, რაც გამოგონების ფაქტისა და მისი პრიორიტეტის დამადასტურებელია. პატენტი კონკრეტული საქმიანობის (მაგალითად, ვაჭრობის, ხელოსნობის) განხორციელების სპეციალური ნებართვაა;


- საავტორო უფლება. ავტორის მიერ თავისი ნაწარმოების გაყიდვისა და გამრავლების განსაკუთრებულ უფლებას გულისხმობს;

- **სავაჭრო ნიშნები.** იგულისხმება სპეციალური დასახელება, სიმბოლო, ნახატი და ა.შ. (კანონის საფუძველზე კონკურენტის მიერ რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნების გამოყენება აკრძალულია);

გ) **ხელოვნური მონოპოლია.** მოცემული პირობითი დასახელება, მონოპოლიური მოგების მიზნით, სანარმოთა გაერთიანებაა. ხელოვნური მონოპოლია გარკვეულწილად ცვლის ბაზრის სტრუქტურას, უფრო ზუსტად, ხელს უშლის ბაზარზე ახალი სანარმოების შესვლას; აუტსაიდერებისთვის<sup>1</sup> ძნელად მისაწვდომს ხდის ნედლეულსა და ენერგომატარებლებს; ქმნის მაღალ ტექნოლოგიურ დონეს, მონაწილეობს მსხვილ კაპიტალბრუნვაში.

ხელოვნური მონოპოლიის წარმოქმნის მიზეზად ხშირად სახელდება კარტელები, სინდიკატები, ტრესტები და კონცერნები.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მონოპოლიის დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:



<sup>1</sup> მოცემულ შემთხვევაში აუტსაიდერში იგულისხმება სანარმო, რომელიც მონოპოლიურ გაერთიანებაში არ შედის.

## სამენარმეო საქმიანობის კონტროლი და სამენარმეო პასუხისმგებლობის ზოგადი დახასიათება

სამენარმეო საქმიანობა, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავისუფალია, გარდა იმ შეზღუდვებისა, რაც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისუფლებასაც აქვს ფარგლები და ანარქიაში რომ არ გადაიზარდოს, საჭიროა გონივრული და ზომიერი კონტროლის დაწესება, რაც საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესთა დაცვას უზრუნველყოფს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიად ლოგიკურია სახელმწიფოს მხრიდან სამენარმეო საქმიანობაზე სპეციალური კონტროლის დაწესება, რაც კანონის შესაბამისად ხორციელდება სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ “სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის ნორმათა შესაბამისად.

სახელმწიფო კონტროლში იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა, რომლის მიზანია მენარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე მენარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი სანქციის დადება (მუხ. 2.1, “ბ” ქვეპუნქტი).

კანონის თანახმად, სამენარმეო საქმიანობა შეიძლება გააკონტროლოს მხოლოდ მაკონტროლებელმა ორგანომ და მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მენარმის სამენარმეო საქმიანობის შემოწმების წინადადებით სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს ან სასამართლოს.

მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია გააკონტროლოს სამენარმეო საქმიანობა (შევიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დალუქოს მენარმის კუთ-

ენილი ქონება, დაათვალეეროს სანარმო, შეამოწმოს მენარმის მიერ გამოშვებული ნანარმის ხარისხი) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. მოსამართლე ბრძანებას მენარმის საქმიანობის შემონების შესახებ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით, მენარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ (მუხ. 3).

პასუხისმგებლობა სამენარმეო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელ სამართლებრივ ფორმათა კლასიფიკაცია სწორედ მათი პასუხისმგებლობის მოცულობით განისაზღვრება.

შეიძლება ითქვას, რომ "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას იურიდიული პასუხისმგებლობის ყველა ძირითადი ნიშანი ახასიათებს: იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვის საშუალებას; მდგომარეობს სახელმწიფო იძულების ღონისძიებების გამოყენებაში; დგება სამართლებრივი ნორმის დარღვევისას; ნორმატიულად განსაზღვრულია; წარმოადგენს ბრალეული ქმედების შედეგს (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა); დაკავშირებულია სამართალდამრღვევის მიმართ მატერიალური და მორალური ხასიათის უარყოფითი შედეგების გატარებასთან; რეალიზდება შესაბამისი პროცესუალური ფორმებით.

სამენარმეო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

კანონიერების პრინციპი გულისხმობს სანქციების დიფერენცირებულ გამოყენებას სამართალდამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის და ხარისხის გათვალისწინებით;

შესაბამისობის პრინციპი გულისხმობს პასუხისმგებლობის მოცულობისა და ზიანის ადეკვატურობას;

ერთჯერადობის პრინციპში იგულისხმება პასუხისმგებლობის ღონისძიებათა გამოყენების ერთჯერადობის ზოგადსამართლებრივი პრინციპი;


არარეპრესიულობის პრინციპი. სამართალი არ არის იძულებითა და რეპრესიით პირის დასჯის საშუალება, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესების კოორდინაციის მექანიზმი და პრევენციაა.

სამენარმეო პასუხისმგებლობის შინაარსი მისი გამოყენების და აღსრულების უფლებებში, მოვალეობებსა და რეალურ მოქმედებებში გამოიხატება.

სამენარმეო პასუხისმგებლობა შეიძლება კანონის დარღვევის, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის, ან დელიქტის საფუძველზე წარმოიშვას.

აღსანიშნავია, რომ სამენარმეო ურთიერთობებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის განსაზღვრისას კერძო-სამართლებრივ ნორმებთან ერთად, ზოგჯერ საჯარო-სამართლებრივი ნორმებიც გამოიყენება (კერძოდ, სისხლის სამართლის, საგადასახადო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის და სხვ.).

სამენარმეო პასუხისმგებლობა პირობითად საგარეო და შიგა პასუხისმგებლობას გულისხმობს. პირველი ნიშნავს, რომ სანარმომო, როგორც სამენარმეო სამართლის სუბიექტი, პასუხს აგებს კრედიტორებისა და მესამე პირების წინაშე. რაც შეეხება სანარმოს შიგნით პასუხისმგებლობას, იგულისხმება პარტნიორთა პასუხისმგებლობა მათზე კანონით ან წესდებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის, ასევე სანარმოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. აღნიშნული ცხადყოფს, რომ სამენარმეო სამართალი იცნობს ინდივიდუალურ, სოლიდარულ და სუბსიდიურ პასუხისმგებლობას.



## საწარმოს პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობის საკითხი ყველაზე მარტივად ინდივიდუალური მენარმის მიმართ წყდება. იგი სამენარმეო ურთიერთობებში ფიზიკური პირის სტატუსით მონაწილეობს, ამიტომ ინდივიდუალური მენარმე, სამენარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის, პირადად აგებს პასუხს კრედიტორთა წინაშე, მთელი თავისი ქონებით. ამ შემთხვევაში ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობისთვისაც ინდივიდუალური მენარმე პასუხს აგებს, აუცილებლად მის მიერ განხორციელებული სამენარმეო ხასიათის საქმიანობიდან უნდა მომდინარეობდეს.

სამენარმეო სამართალში ამხანაგობისა და კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა საგარეო პასუხისმგებლობა განსხვავებულია.

ამხანაგობის ტიპის საწარმოთა პარტნიორები (გარდა კომანდიტისა) მენარმე სუბიექტის საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავიანთი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორის მთელ ქონებაში იგულისხმება პირის საკუთრებაში არსებული ქონება; წილი, მეუღლეთა თანასაკუთრებიდან; სხვა საწარმოში არსებული წილი და ა. შ. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლში ჩამოთვლილია იმ ქონების ნუსხა, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება. კერძოდ, ყადაღას არ ექვემდებარება:

ა) პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომელიც აუცილებელია მოვალისათვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის;

ბ) მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები ან თუ დროის ამ მონაკვეთისათვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შესაძენად საჭირო თანხა;

გ) წვრილფეხა საქონელი შეზღუდული რაოდენობით, ასევე ერთი მენველი ძროხა ან მოვალის არჩევანით ორი ღორი, ცხვარი ან თხა, თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსაკვებად; ასევე სამი თვის სამყოფი პირუტყვის საკვების და ნამჯის მარაგი ან თუ ამგვარი მა-

რაგი არ არსებობს და მათი შექმნა ამ დროისათვის სხვა გზით არ არის უზრუნველყოფილი, მათ შესაძენად საჭირო ფულადი თანხა;

დ) პირებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, პირუტყვი, სასუქი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამდენადაც ისინი საჭიროა მოვალის, მისი ოჯახის და დაქირავებული მუშების შესანახად ან მომავალი მოსავლის აღებამდე იგივე, ან/და მსგავსი პროდუქცია მეურნეობის შემდგომი წარმართვისათვის;

ე) პირებისათვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით, ასეთი საქმიანობისათვის საჭირო ნივთები.

ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადია, რომ ამხანაგობის ტიპის საზოგადოებათა შექმნა ყოველთვის პარტნიორთა ურთიერთნდობის საფუძველზეა აგებული. კრედიტორს უფლება აქვს ვალის გადახდა მოსთხოვოს არა ყველა პარტნიორს ერთად, არამედ, სოლიდარულ მოვალეთაგან ერთ-ერთს (ლოგიკურია, რომ ეს იქნება ნებისმიერი პარტნიორი, რომელიც კრედიტორს ყველაზე უფრო გადახდისუნარიანად მიაჩნია). კრედიტორის მიერ ერთ-ერთი პარტნიორისადმი წარდგენილი მოთხოვნა შეიძლება მოიცავდეს ვალდებულების შესრულებას როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. საგულისხმოა, რომ ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.

პრაქტიკული დავების გათვალისწინებით ისმის კითხვა: სპს-ის კრედიტორს აქვს თუ არა უფლება მოთხოვნა პირდაპირ წაუყენოს ამხანაგობის წევრ-პარტნიორს (საზოგადოებისადმი მოთხოვნის წაყენებამდე), თუ ეს მოთხოვნა ჯერ საზოგადოების მიმართ უნდა იქნეს წარდგენილი? კრედიტორის მოთხოვნას პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი სუბიექტი - იურიდიული პირი (სპს) უპირისპირდება, ამიტომ მისი ქონებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების უშედეგო მცდელობის შემდგომ შეიძლება მოთხოვნის პარტნიორის პირად ქონებაზე მიქცევა. სპს-ის წევრ-პარტნიორთა პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ ერთგვარად სუბსიდურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს კრედიტორს უარი უნდა ეთქვას კონკრეტული პარტნიორის მიმართ წარდგენილ სარჩელზე მანამ, სანამ სარჩელი მენარმე სუბიექტის, როგორც სამართალურთიერთობის, მიმართ არ იქნება წაყენებული.

იმისათვის, რომ სპს-ის პარტნიორს საზოგადოების კრედიტორთა წინაშე დაეკისროს პასუხისმგებლობა, აუცილებელია სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს საზოგადოების ვალდებულება ამ კრედიტორის წინაშე. მაშასადამე, პარტნიორის პასუხისმგებლობის მოვალეობა დამოკიდებულია "ძირითადი მოვალის" – მენარმე სუბიექტის ვალდებულების არსებობაზე. ამის მიხედვით განისაზღვრება პარტნიორის შესაბამისი ვალდებულების შინაარსი და ფარგლები.

ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს დანარჩენ მოვალეებს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტორთან მოვალის მიერ განხორციელებული გაქვითვის მიმართ (სსკ მუხ. 467).

სპს-ის პარტნიორს და კს-ის კომპლემენტარ პარტნიორს, რომელმაც მთლიანად შეასრულა ვალდებულება, უჩნდება რეგრესული მოთხოვნის უფლება დანარჩენ პარტნიორთა მიმართ. თუ მოვალეთა პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრა შეუძლებელია, ისინი ერთმანეთის მიმართ თანაბარი წილით აგებენ პასუხს (სსკ მუხ. 473). თუ ერთ-ერთი პარტნიორი რეგრესულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მისი წილი ვალდებულების შესრულება დანარჩენ ნევრ-პარტნიორებს თანაბრად ეკისრებათ, თუ პარტნიორთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

სპს-სა და კს-ის კომპლემენტარი პარტნიორი, რომელიც გასულია საზოგადოების შემადგენლობიდან, პასუხისმგებელია იმ ვალდებულებებზე, რომელიც საზოგადოებამ იკისრა მისი პარტნიორად ყოფნის პერიოდში.

სპს-ის პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი და მისი თანხმლები უფლება-მოვალეობანი გადადის მემკვიდრეებზე (თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით ან თუ ყველა პარტნიორი თანახმაა).<sup>1</sup>

<sup>1</sup> კონტინენტური სამართლისაგან განსხვავებით, საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა ამხანაგობის ტიპის კომპანიათა მიმართ ადგენს, რომ partnership-ის პარტნიორებს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევისას ეკისრებათ წილობრივი (და არა სოლიდარული) პასუხისმგებლობა; ხოლო თუ პასუხისმგებლობის საკითხი დადგება დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში გაითვალისწინება პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა (აშშ-ს კანონი "ამხანაგობათა შესახებ" §15; ინგლისის კანონი "ამხანაგობათა შესახებ" §10).

კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა პასუხისმგებლობა შეზღუდული ფორმისაა. თვით საზოგადოება კრედიტორთა და მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებელია მთელი თავის ქონებით, ხოლო პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევისა. ამ მხრივ კსის კომანდიტთა პასუხისმგებლობა მოცულობით გათანაბრებულია კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობასთან.

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 3.4 მუხლის დებულებით, კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვა ხშირად ბოროტად გამოიყენებოდა ამგვარი პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორების მხრიდან, სწორედ ამიტომ “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომელმაც დაადგინა: თუ კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს (მუხ. 3.6), ასევე, თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მათ დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადონ შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედი პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე (მუხ. 3.8).

საწარმოს ხელმძღვანელის ქმედებაზე კრედიტორებსა და მესამე პირებთან თავად საზოგადოებაა პასუხისმგებელი. საზოგადოების ეს პასუხისმგებლობა ეფუძნება როგორც კანონს, ისე ხელშეკრულებას.

გერმანიაში მმართველი ორგანოების წევრთა პასუხისმგებლობა შპს-ის ფენომენად მიიჩნევა. გერმანიაში შპს წარმოადგენს საზოგადოების ისეთ ფორმას, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება გაკოტრების მსხვერპლი. ყველა გაკოტრებული საწარმოს 2/3-ს სწორედ შპს-ები შეადგენს და ეს მაშინ, როცა არსებულ საწარმოების მხოლოდ 1/5-ს აქვს ამგვარი სამართლებრივი ფორმა. თუმცა არსებობს სააქციო საზოგადოებებთან დაკავშირებული ცალკეული შემთხვევები, როდესაც დგება მმართველი ორგანოს წევრთა პასუხისმგებლობის საკითხი საზოგადოების კრედიტორთა წინაშე. ყველა ეს შემთხვევა საზოგადოების გაკოტრებასთანაა დაკავშირებული.<sup>1</sup>

მესამე პირთა წინაშე მმართველი ორგანოების წევრთა პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი მეტად მრავალფეროვანი და ფართოა. საზოგადოების ხელმძღვანელობის წევრებმა საწარმოო საქმიანობით შეიძლება დაარღვიონ კანონით, წესდებით, ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

---

<sup>1</sup> ურსულა შტაინი. მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობა. მეორე გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში. თბ., 2003.

## პასუხისმგებლობა საზოგადოების შიგნით

პასუხისმგებლობა საზოგადოების შიგნით გულისხმობს უპირველესად, პარტნიორთა პასუხისმგებლობას, რაც გამომწვეულია პარტნიორის მიერ მასზე კანონით ან/და წესდებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით, ასევე დირექტორთა პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. მაგალითად, კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორები, რომლებსაც სრულად არ შეუტანიათ წინასწარ დათქმული შესატანი, პასუხს აგებენ შენატანის სრული რაოდენობით. მეორე შემთხვევა, როცა პარტნიორი პასუხს აგებს საზოგადოების ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენებაა. ამ უკანასკნელში იგულისხმება საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად არ გამომდინარეობს, რომელი ქონება ეკუთვნის საზოგადოებას, რა ვალდებულებები აკისრია და რა არა.

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა თავისთავად არ ნიშნავს მისთვის წილის კომპენსაციის უფლების ჩამორთმევას. მას აქვს უფლება მიიღოს წილის კომპენსაცია წილის სრული ღირებულებით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 9.6 მუხლის თანახმად, ხელმძღვანელი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

თუ ისინი ამ მოვალეობას არ შეასრულებენ, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის, პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების

კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად. ზემოაღნიშნულ პირებს პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისას. აღნიშნული ვალდებულება ძალაში რჩება ამ პირთა თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს 3 წლის ვადით. შესაძლებელია ამ ვალდებულებისათვის გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია, რომლის რაოდენობა და გადახდის წესი ხელშეკრულებით განისაზღვრება.

საწარმოთა დირექტორებზე, სპს-ის პარტნიორებსა და კს-ის კომპლემენტარ პარტნიორებზე ვრცელდება კონკურენციის აკრძალვა (ინტერესთა კონფლიქტი), რაც გულისხმობს, რომ მათ არა აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე აწარმოონ იგივე საქმიანობა, რასაც საზოგადოება აწარმოებს ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებებში, პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. სპს-სა და კს-ში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა საერთო კრებას, ხოლო შპს-ში, სს-ში და კოოპერატივში – იმ ორგანოს, რომელიც დირექტორებს ნიშნავს.

საწარმოს დირექტორთა ზემოაღნიშნულ ვალდებულებებს და მათი დარღვევის შედეგებს იზიარებს ინგლისის სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც ხელმძღვანელობს 1925 წ. "City Equitable Fire Insurance Co. Ltd"-ის საქმეზე დადგენილი პრინციპით.

საზოგადოების დირექტორთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სამეწარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. კონკრეტულ შემთხვევებში მასზე შეიძლება გავრცელდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, საგადასახადო-სამართლებრივი, დისციპლინარული, მატერიალური და სისხლისსამართლებრივი სანქციები.

"მეწარმეთა შესახებ" კანონში (1999 წლის 9 ივნისის ცვლილების შედეგად) დირექტორების პასუხისმგებლობის გვერდით

ადგილი დაიმკვიდრა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პასუხისმგებლობამ. კანონში არ აღინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ყოფნისთვის საჭირო ცოდნისა და შესაბამისი გამოცდილების არსებობის აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით, გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი რეკომენდაციას იძლევა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კანდიდატურების წამოყენებისას ყურადღება მიექცეს მათ კვალიფიკაციასა და უნარ-ჩვევებს. კერძოდ, უნდა შეეძლოთ პრობლემათა ჯეროვანი და ოპერატიული გადაწყვეტა, უნდა ჰქონდეთ მენეჯმენტული გამოცდილება და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ეკისრება მკაცრი პირადი პასუხისმგებლობა. ბრალეულობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთიც მათვე აწევთ. კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პირადად, მთელი თავისი ქონებით, წევრთა სიმრავლისას სოლიდარულად აგებენ პასუხს საზოგადოების წინაშე. ამასთან, საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

## სხვა სახის პასუხისმგებლობა სამენარმეო სამართალურთიერთობის დარღვევისათვის

სამენარმეო სამართალდარღვევათა მონესრიგება კერძო-სამართლებრივ ნორმებთან ერთად, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, საჯარო-სამართლებრივი ნორმებითაც ხდება. მათ შორის ხშირია ადმინისტრაციული ხასიათის პასუხისმგებლობა, რაც, თავის მხრივ, კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო იძულების ღონისძიებაა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში დგება და კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ სამართალდარღვევი პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაში მდგომარეობს.

ნებისმიერი ადმინისტრაციული გადაცდომისას იქმნება სამართალდარღვევათა გარკვეული რაოდენობა ანუ კანონმდებლობით დადგენილი ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც მოცემულ ქმედებას ახასიათებს, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. კონკრეტულ ქმედებაში ამ ნიშნების დადგენა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის XII თავი ეთმობა მენარმე სუბიექტის მიერ ვაჭრობის წესების დარღვევას; სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებას; მომხმარებლის უფლების შელახვას; ეკომარკით უკანონოდ სარგებლობას; არასათანადო რეკლამის განთავსებას; სამენარმეო საქმიანობის წესის დარღვევას და ა.შ.

სანარმოს შიგნით არცთუ იშვიათად შრომითი ან სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისას დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოიყენება.

კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სამენარმეო სამართალდარღვევათა მიმართ შეიძლება საგადასახადო სამართლის ნორმათა გამოყენება.

მენარმის მიერ საგადასახადო სამართალდარღვევა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ფინანსურ ინტერესებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის დადგენილი გადასახადები სრული მოცულობით არ ირიცხება ბიუჯეტში.

კანონით დადგენილი გადასახადების გადახდის კონსტრუქციული ვალდებულების შესრულება ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებებით, ასევე ფინანსური სანქციებითაა უზრუნველყოფილი. საგადასახადო პასუხისმგებლობა კომპლექსური ინსტიტუტია და სამართლის იმ დარგების ნორმებს აერთიანებს, რომლებიც საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობების დასაცავადაა მიმართული.

საგადასახადო კანონმდებლობა არეგულირებს საწარმოს მიერ გადასახადების სწორ, სრულ და დროულ გადახდას. პრაქტიკაში საგადასახადო სამართალდარღვევათა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია მენარმე სუბიექტის მიერ გადასახადებისაგან თავის არიდება (თვალთმაქცური გარიგებების დადების ან სხვა გზით). გადასახადის გადამხდელი ან სხვა ვალდებული პირი პასუხს აგებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზე მთელი ქონებით.

მნიშვნელოვანია ქართულ სამართალში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება. კომპლექსური სტრუქტურის მქონე საწარმოებში გაძნელებულია, ხშირად შეუძლებელიც, დანაშაულის სათავეში მდგომი ინდივიდის გამორჩევა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი საწარმო, საქმიანობიდან გამომდინარე, იმდენად მნიშვნელოვან ზიანს იწვევს, რომ საზოგადოების რეაქციის ერთადერთ საშუალებად მისი დასჯა რჩება. ამ საკითხთან დაკავშირებით, დიდი ხანია არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.<sup>1</sup>

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაზე განსაკუთრებული ჰიპოთეზები არსებობს იაპონიაში, ნორვეგიაში, დანიაში, იუგოსლავიაში, ნიდერლანდებში, იტალიაში, საფრანგეთსა და საერთო სამართლის ქვეყნებში. მათი კანონმდებლობის შესაბამისად იურიდიული პირი, განსაკუთრებულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის სუბიექტია.

მაგალითად, ინგლისში "Tesco Supermarkets LTD v. Nattras"-ის საქმეზე დადგინდა, რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სის-

<sup>1</sup> ჟ. პრადელი. შედარებითი სისხლის სამართალი. 1999, გვ. 228.

ხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რომლებიც განხორციელდა:

- დირექტორთა საბჭოს, დირექტორ-მენეჯერის ან სხვა ხელმძღვანელის მიერ;

- იმ პირის მიერ, ვინც რეალურად წარმართავს კომპანიის საქმიანობას, სრულად ან ნაწილობრივ;

- იმ ფიზიკურ პირთა მიერ, რომელთა საქმიანობა პირდაპირ კავშირშია კომპანიის საქმიანობასთან.

ინგლისელი კრიმინალისტი ჯონ სმიტი წარმოგვიდგენს კორპორაციათა პასუხისმგებლობის შეზღუდვის რამდენიმე სახეს:

- კორპორაციას ბრალი უნდა წაეყენოს მხოლოდ იმ დანაშაულში, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებს მხოლოდ ჯარიმას;

- არის დანაშაულები, რომელთა ჩადენა კორპორაციის მიერ სრულიად შეუძლებელი და ალოგიკურია, რამეთუ ისინი საჭიროებენ განსაკუთრებულ ადამიანურ თვისებებს (მაგ., ცრუმორწმუნეობა, გაუპატიურება და ა.შ.).<sup>1</sup>

აშშ-ის 1962 წლის სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსის 2.07 მუხლის თანახმად, კორპორაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება, თუ:

- კორპორაცია არღვევს იმ კანონს, რომელიც პირდაპირ მიუთითებს კორპორაციათა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე;

- ქმედება განხორციელდა კორპორაციის აგენტის მიერ, რომელიც მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

- კორპორაცია არ ასრულებს კანონით დაკისრებულ სპეციალურ ვალდებულებებს.

საფრანგეთის 1992 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 121-2 მუხლი ასევე მიუთითებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობაზე. ამასთან, იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გა-

---

<sup>1</sup> J. Smith, Criminal Law. Eighth Edition, London, Edinburgh, Dublin, 1996.

მორიცხავს ფიზიკური პირის პასუხისმგებლობას ანუ დასაშვებია ე.წ. სუბსიდიური პასუხისმგებლობა.

ამავე კოდექსის 131-39 მუხლი იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ადგენს შემდეგ სანქციებს:

- ლიკვიდაცია – თუ იურიდიული პირი “გადაუხვევს” საქმიანობის გაცხადებულ მიზანს;

- სამენარმეო საქმიანობის აკრძალვა;

- იურიდიული პირის სასამართლოს მეთვალყურეობის ქვეშ მოქცევა;

- ხელშეკრულებათა დადების უფლების ჩამორთმევა;

- მოსახლეობის ფულადი დანაზოგის მიღების აკრძალვა;

- ჩეკის გაცემის უფლების აკრძალვა;

- დანაშაულის ჩადენის საშუალების ან დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების კონფისკაცია.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არა ერთმა ქვეყანამ გაიზიარა (რუსეთისა და გერმანიის გარდა). პრაქტიკაში ხშირია ისეთი დანაშაულები, რომელიც ჩადენილია ამა თუ იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ ან იურიდიული პირის გამოყენებით. იურიდიული პირები არცთუ იშვიათად არიან ჩართული ისეთი მძიმე, ორგანიზებული დანაშაულის ჩადენაში, როგორცაა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, ტერორისტული ორგანიზაციების დანაშაულებრივ საქმიანობაში ხელშეწყობა, ტრეფიკინგი და ა.შ. ამასთან, კორპორაციული წესით, ორგანიზაციული წარმონაქმნების მართვისა და კონტროლის რთული სტრუქტურის გათვალისწინებით, ფაქტობრივად შეუძლებელია კონკრეტული დამნაშავეს იდენტიფიკაცია.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და ქვეყნის შიგა კანონმდებლობაში დანერგვის აუცილებლობა აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილე საქართველოა. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული "ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მიღების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ" 1990 წ. 8 ნოემბრის კონვენცია; გაეროს 1999 წ. საერთაშორისო კონვენცია "ტერორიზმის დაფინანსების აღკვე-

თის შესახებ" და 1997 წ. "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" სტრასბურგის ევროპული კონვენცია.

ზემოაღნიშნული კონვენციების ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნაა იურიდიული პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღება შიგა კანონმდებლობით. სწორედ ამ მოთხოვნაზე დაყრდნობით განხორციელდა რამდენიმე ნოვაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რამაც საქართველოში დაამკვიდრა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საწარმოს, როგორც იურიდიული პირის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქართული სამართლისთვის შედარებით ახალი ინსტიტუტია. საწარმოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით), ან/და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ (ამ უკანასკნელში იგულისხმება საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრი).

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამოირიცხავს იმავე დანაშაულისათვის ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს დანაშაულის შედეგად მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, ასევე მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის სხვა ზომების გამოყენებისაგან. ფიზიკური პირის ქმედების მიმართ ბრალის ან მართლსაწინააღმდეგოს გამოირიცხავი გარემოებების დადგენის შემთხვევაში იურიდიული პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან (იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შემთხვევები იხ. საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 107<sup>2</sup> მუხლში). იურიდიულ პირთან მიმართებაში სისხლის სამართლის კოდექსის 107<sup>3</sup> მუხლის თანახმად, გამოიყენება სასჯელის შემდეგი სახეები:

- ა) ლიკვიდაცია;
- ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- გ) ჯარიმა;
- დ) ქონების ჩამორთმევა.

მიუხედავად აღნიშნულისა, იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, ყოველთვის კონკრეტული ფიზიკური პირის ქმედებაში გამოიხატება.

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კოდექსის VIII კარი მთლიანად ეკონომიკურ დანაშაულს ეთმობა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს საკუთრების, სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის, სამენარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ასევე ფულადსაკრედიტო სისტემასა და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულს.

მოცემულ დანაშაულთა უშუალო ობიექტია კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ყალიბდება და რომელიც ასეთი საქმიანობის კონკრეტულ სახეებს არეგულირებს, ასევე ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტთა კანონით დაცული უფლებები და ინტერესები (მაგალითად, გაკოტრებისას) ან/და მომხმარებლის ინტერესები (მაგალითად, ფალსიფიკაცია და ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დანესება კანონიერი სამენარმეო საქმიანობის ხელის შეშლისათვის (მუხ. 190), უკანონო სამენარმეო საქმიანობისათვის (მუხ. 192), ცრუ მენარმეობისათვის (მუხ. 193), უკანონო შემოსავლის ორგანიზებისათვის (მუხ. 194), თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის (მუხ. 195) და ა.შ. მიზნად ისახავს მენარმეობის თავისუფლებისათვის დამატებითი გარანტიების შექმნას, სამენარმეო საქმიანობის სრულყოფასა და ჰარმონიზაციას.

ჩვენი ქვეყნის სოციალური მართვის სფეროში მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ საზოგადოების მომსახურების მოვალეობა და განსაზღვრული უფლებამოსილება საზოგადოების ინტერესებისათვის ხშირად მინდობილი აქვთ იმ პირებს, რომლებიც საჯარო სამსახურში არ იმყოფებიან, ე.ი. სახელმწიფო მოხელეები არ არიან. სწორედ ამიტომ, დამატებითი გარანტიების შექმნის მიზნით, სისხლის სამართლის კოდექსში დამკვიდრდა ნორმა, რომლის ძალითაც სანარმოთა ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილების მქო-

ნე პირებს ეკრძალებათ ამ უკანასკნელის ბოროტად გამოყენება (მუხ. 220).

საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ" ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ სუბიექტებს სრულად ჩამოთვლის, რადგან სანარმოს რენტაბელობა მათ ნიჭსა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ისინი პასუხისმგებელი არიან სანარმოს წინაშე და, ამდენად, დანაშაულებრივი ქმედების არსებობის შემთხვევაში, მათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. "მენარმეთა შესახებ" კანონის 9.1 მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილი არიან უხელმძღვანელონ საზოგადოებას და, შესაბამისად, იყენენ დანაშაულის სუბიექტები.

ზემოაღნიშნული სუბიექტური შემადგენლობით ხასიათდება კომერციული მოსყიდვა (მუხ. 221), რომელიც, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, აგებულია ქრთამის აღებ-მიცემის ანალოგიურად. მოცემული ნორმის მიზანია სამენარმეო და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საქმიანობის წესის სისხლისსამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა. მაშასადამე, კომერციული მოსყიდვა დანაშაულია, რომელიც ხელყოფს საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამენარმეო სუბიექტების საქმიანობის ნორმალურ წარმართვას. მოსყიდვის მეშვეობით შეიძლება უკანონოშელავათიანი კრედიტის მიღება, კომერციული საიდუმლოს გამხელა და ა.შ.<sup>1</sup>

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამენარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პასუხისმგებლობა, სამენარმეო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მრავლის მომცველი ინსტიტუტია.

<sup>1</sup> ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი. პასუხისმგებლობა სამენარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. 2000, გვ. 107.

## კორპორაციული გაერთიანებები

სამეწარმეო საქმიანობის განმსახორციელებელი სუბიექტები სამეწარმეო საქმიანობის კოორდინაციის, საერთო ქონებრივი და სხვა სტრატეგიული ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე ზოგჯერ ერთიანდებიან სხვადასხვა კორპორაციულ გაერთიანებაში. ეს სუბიექტები ძირითადად ინარჩუნებენ ავტონომიურობასა და სამართლებრივი ფორმის არჩევის თავისუფლებას.

გაერთიანების წევრთა ურთიერთობის მთავარი პრინციპი თავისუფალი ნების გამოვლენაა, მისი გამოხატულების სამართლებრივი ფორმა კი სადამფუძნებლო ხელშეკრულება.

მსოფლიო პრაქტიკაში საწარმოთა გაერთიანებების ფართო სპექტრია წარმოდგენილი, რაც, თავის მხრივ, ტექნიკური პროგრესითა და კაპიტალის კონცენტრაციითაა განპირობებული.

- **კავშირი.**<sup>1</sup> საწარმოთა დარგობრივი, ტერიტორიული ან სხვა ნიშნის მიხედვით შექმნილი გაერთიანებაა, რომლის ძირითადი მიზანია მასში თავმოყრილ სუბიექტთა სახელმწიფო, საერთაშორისო და სხვა სახის ორგანიზაციებში საერთო ინტერესთა გატარება. კავშირის წევრები არ ეწევიან ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობას. გაერთიანების ძირითადი ფუნქციებია: ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის პროგნოზების შემუშავება; საჭიროების შემთხვევაში, თემატური კონფერენციების მოწყობა; გამოცდილების გაზიარება-განზოგადება; კავშირის წევრთა ინტერესების გათვალისწინებით, საგამომცემლო საქმიანობის განხორციელება და სხვა.

კავშირი უფლებამოსილია რეგიონებში შექმნას თავისი წარმომადგენლობები და სპეციალური ფონდები.

<sup>1</sup> ინგ. - unions.

- სამეურნეო ასოციაცია<sup>1</sup>, კავშირის მსგავსად, იცავს მასში გაერთიანებულ წევრთა ინტერესებს სახელმწიფო, საერთაშორისო ან სხვა სახის ორგანიზაციებში. ასოციაციაში უმთავრესია არა წარმომადგენლობითი, არამედ სანარმოო ხასიათის ფუნქცია, რასაც ასოციაციის მონაწილეთა შორის სანარმოო საქმიანობის კოორდინაციის, მათ შორის სპეციალიზაციის გაღრმავების, კოოპერაციის, განსაზღვრულ ფუნქციათა შესრულების ცენტრალიზაციის და სხვა სახის ფუნქციები ეკუთვნის. ასოციაციის მთავარი მიზანი ახალი სანარმოების შექმნაა.<sup>2</sup>

- კონცერნი<sup>3</sup> სანარმოო ფუნქციების, სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის, ინვესტიციების, საფინანსო და ტექნიკური პოლიტიკის, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ცენტრალიზაციის საფუძველზე იქმნება. კონცერნს ახასიათებს: კომბინირებული წარმოებისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების პრინციპი, ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის დანერგვა, სამეცნიერო პოტენციალის კონცენტრაცია. კონცერნი ერთგვარად მონოპოლისტური გაერთიანებაა, რომელსაც, კონგლომერატისაგან განსხვავებით, ახასიათებს: საკუთრებისა და კონტროლის ერთიანობა, მონაწილე სანარმოთა შორის ტექნოლოგიური და სანარმოო კავშირები, ნაკლები დივერსიფიკაცია.<sup>4</sup>

კონცერნი მოგებას დარგობრივი პროგრამების ჩარჩოებში მასშტაბური კომბინაციებიდან იღებს. ეს ეხმარება პატენტებისა და ნოუ-ჰაუს ბლოკების კონცენტრირებაში, ამასთან, ახორციელებს "მეცნიერება-წარმოება-გასაღებას" ციკლის მოქნილ და ოპერატიულ კონტროლს.

<sup>1</sup> ლათ. - associatio - შეერთება; ინგლ. association - საერთო სამეურნეო, სამეცნიერო ან სხვა მიზნით იურიდიულ პირთა გაერთიანება.

<sup>2</sup> Т. В. Кашанина. Корпоративное право. М. 1999. с. 208.

<sup>3</sup> ინგლ. concern - ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით იურიდიულ პირთა სახელმეკრულებო გაერთიანება.

<sup>4</sup> დივერსიფიკაცია (ინგ. diversification) - საქონლის (მომსახურების) წარმოებისა და ნომერკლატურის გაზრდა, რომელსაც სანარმოები ახორციელებს მათთვის ახალ სფეროებში. მაგ., დივერსიფიცირებული წარმოება გულისხმობს წარმოებული პროდუქციის ნომერკლატურის გაფართოებას, მის მრავალდარგობრივ კომპლექსად გადაქცევას, რომლის ქვედანაყოფები, ხშირად, ტექნოლოგიური ურთიერთობების თვალსაზრისით, არანაირ კავშირში არ იმყოფება.

კონცერნს მართავს წევრების მიერ არჩეული ორგანო (გამგეობა, მმართველი). ერთიანი ხელმძღვანელობა კონცერნის განმასხვავებელი ნიშანია.

კონცერნის წევრთა ურთიერთობა სახელშეკრულებოა. კონცერნის თანხმობის გარეშე, მისი წევრი არ შეიძლება სხვა კონცერნის ან ასოციაციის წევრი გახდეს.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კონცერნები ხშირად საკუთარ კორპორაციებს ქმნიან, სადაც თავადვე გამოდიან მესაკუთრე-დამფუძნებლად (მაგ., საგარეო ვაჭრობის, სარეკლამო, გამსალებელი, საკონსულტაციო და სხვა სახის კორპორაციები).

- კონსორციუმი<sup>1</sup> საპაიო საფუძველზე შექმნილი დროებითი კავშირია, რომლის მიზანი ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობის კოორდინაციაა (მაგალითად, მასშტაბური ერთობლივი ფინანსური და კომერციული ოპერაციების გატარება).

კონსორციუმი, როგორც წესი, მაშინ იქმნება, როცა დაგეგმილი გლობალური პროექტი ერთი ბანკის ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებს სცილდება. ასეთი გაერთიანების მიზანია კონკრეტული პრობლემების, პროექტების, შეკვეთების რეალიზაცია. კონსორციუმი, როგორც წესი, ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევის ვადით იქმნება.

კონსორციუმის მონაწილეთა ინტერესებს სახელმწიფო ორგანოთა წინაშე თავად კონსორციუმი წარადგენს. ეს ფუნქცია გაერთიანების აღმასრულებელ ორგანოს ეკუთვნის. მონაწილეთა საქმიანობის კოორდინაციას კონსორციუმის "ლიდერი" ახორციელებს, რომელიც, როგორც წესი, ყველაზე მსხვილი სამეწარმეო სტრუქტურაა. მისი ფუნქციები და უფლებამოსილება კონსორციუმის მონაწილეთა მიერ მიღებული კონსორციური შეთანხმებით განისაზღვრება.

კონსორციუმის წევრთა პასუხისმგებლობა შემკვეთის წინაშე სოლიდარულია. როგორც წესი, გაერთიანების თითოეული წევრი ქონებრივად პასუხისმგებელია მიღებული შეკვეთიდან მისი წილის 8-10% მოცულობით. თანხები, რომელიც ამ ფარგლებს სცილდება, კონსორციუმის დანარჩენ წევრებზე მათი წილების პროპორციულად ნაწილდება.

<sup>1</sup> ლათ. consortium თანამონაწილეთა, ამხანაგობა; ინგ. consortium.

კონსორციუმის შექმნის მთავარი მიზანია მასში გაერთიანებულ სანარმოთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე.

• **კარტელი**<sup>1</sup> სანარმოთა სახელშეკრულებო გაერთიანებაა, რომლის მიზანია პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებულ საკითხთა ეფექტურად გადაჭრა. კარტელის მიზნებია: გასაღების ბაზრების "დაპყრობა", გავლენის სფეროების გამიჯვნა, პროდუქციის ფასების რეგულირება და ა.შ. კარტელის მონაწილენი ინარჩუნებენ ფინანსურ და სანარმოო დამოუკიდებლობას, განსაზღვრავენ ფასნარმოქმნის პოლიტიკას, აწარმოებენ პატენტებისა და ტექნოლოგიების ურთიერთგაცვლას. კარტელის შექმნის უმთავრესი მიზანი, მასში გაერთიანებულ სანარმოთა შორის არსებული კონკურენციის აღმოფხვრა ან მისი რეგლამენტირებაა. კარტელში, როგორც წესი, ერთი და იგივე სფეროში დასაქმებული სანარმოები ერთიანდება.

• **კორნერი**<sup>2</sup> კორპორაციული გაერთიანების მარტივი ფორმაა, რომლის მიზანია კაპიტალის აკუმულირება, რაც კონკრეტული საქონლის მიერ გასაღების ბაზრის "დაპყრობისკენაა" მიმართული. გაერთიანებული კაპიტალი გამოიყენება კორნერისათვის საინტერესო კორპორაციათა აქციების შესასყიდად, მათი შემდგომი გაყიდვის ან აქციათა საკონტროლო პაკეტის ხელში ჩაგდების მიზნით.

კორნერი იქმნება საფონდო ბირჟებზე აქციათა შესყიდვის, მისი შემდგომში გაყიდვის ან საკონტროლო პაკეტის შექმნის მიზნით.

• **კონგლომერატი**<sup>3</sup> სანარმოთა გაერთიანებაა, რომელშიც ერთიანი ფინანსური კონტროლით თავმოყრილია სანარმოები, რომლებიც ტექნოლოგიურად არ უკავშირდებიან წარმოებისა და გასაღების, დაზღვევის, სამეცნიერო-კვლევით, საყოფაცხოვრებო მომსახურების და ა.შ. სფეროებს.

პრაქტიკიდან გამომდინარე, კონგლომერატის შექმნის პროცესი ცალკეულ სანარმოთა რეორგანიზაციას, კერძოდ, შერწყმას უკავშირდება, რის შედეგადაც შეიძლება წარმოიშვას ახალი წარ-

<sup>1</sup> ინგ. ფრანგ. cartel; გერმ. Kartell; იტალ. cartello.

<sup>2</sup> ინგ. corner - "კუთხეში მოქცევა".

<sup>3</sup> ლათ. conglomeratus - დაგროვილი; ინგ. conglomeration, conglomerate.

მონაქმნი ახალი საფირმო სახელწოდებით ან იმ საწარმოს სახელით, რომელმაც მიიერთა დანარჩენი<sup>1</sup>. ზოგიერთ შემთხვევაში კონგლომერატის ცნებაში იგულისხმება დივერსიფიცირებული, აგრეთვე ჰოლდინგური კომპანიები.<sup>2</sup>

• ტრესტი<sup>3</sup> საწარმოთა გაერთიანებაა, რომლის მონაწილე სუბიექტები გარკვეულწილად კარგავენ საწარმოო, კომერციულ და ხშირად სამართლებრივ დამოუკიდებლობას, რადგან გაერთიანება მათი საქმიანობის ყველა პარამეტრით ხდება. ისინი ექვემდებარებიან ერთიან ხელმძღვანელებს.

ტრესტი ეკონომიკური და ორგანიზაციული კავშირების მოქნილობით ხასიათდება.

ტრესტში რეალური ძალაუფლება გამგეობის ან სათავო კომპანიის ხელშია თავმოყრილი. ტრესტები პირველად 1879 წელს აშშ-ში შეიქმნა. ტრესტის მართვის მექანიზმის შესაბამისად, სხვადასხვა საწარმოთა აქციონერები თავიანთ აქციებს გადაანდობენ ნდობით აღჭურვილ პირებს, სანაცვლოდ აქციის სერტიფიკატს იღებენ. ამასთან, ხმის უფლებაზე უარის ნაცვლად აქციონერები დივიდენდის მიღებას განაგრძობენ.

რამდენადაც ტრესტში საერთო მოგება ნაწილდება წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით, ადრე დამოუკიდებლად მოქმედ საწარმოებს შორის, იგი შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი გაერთიანებების წინამორბედად, როგორიცაა ჰოლდინგური კომპანია და კონცერნი. ტრესტებმა განსაკუთრებული განვითარება ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოების სფეროებში პოვა.

• სინდიკატი<sup>4</sup> საწარმოთა კარტელური ტიპის გაერთიანებაა, რომლის მონაწილენი ინარჩუნებენ სამართლებრივ და საწარმოო დამოუკიდებლობას, თუმცა, კარტელისაგან განსხვავებით, კარგავენ კომერციულ დამოუკიდებლობას.

სინდიკატის შექმნის მთავარი მიზანი პროდუქციის გასაღების საკითხის ეფექტურად გადაჭრაა. ამ ამოცანის შესასრულებლად მის სტრუქტურაში სავაჭრო ამხანაგობათა მთელი ქსელია შექ-

<sup>1</sup> Юридическая энциклопедия. М. 1997. с. 206.

<sup>2</sup> Большой юридический словарь. М. 1997. с. 295.

<sup>3</sup> ინგ. trust

<sup>4</sup> ბერძ. sundikos - შეტყობინებით მოქმედი; ინგ. sundikate. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., საფრანგეთში ნიშნავს პროფესიულ კავშირს.

მნილი, თუმცა მათი საქმიანობა მხოლოდ სინდიკატის მონაწილე საწარმოთა პროდუქციის გასაღებით არ შემოიფარგლება, მათ ნებისმიერი სახის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება შეუძლიათ.

- **ფრანჩაიზი<sup>1</sup>** (ფრანჩაიზული სისტემა) მსხვილ და მცირე მეწარმეთა თანამშრომლობის ჰიბრიდული ფორმაა. სადამფუძნებლო ხელშეკრულების საფუძველზე, მსხვილი საწარმო იღებს ვალდებულებას მცირე საწარმოს საკუთარი საქონლითა და ტექნოლოგიებით მომარაგებაზე, სარეკლამო მომსახურებაზე, მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში მომსახურებაზე, ასევე ახორციელებს კაპიტალის ინვესტირებასაც. ყოველივე ეს ხელს უწყობს საწარმოთათვის ვაჭრობისა და მომსახურების განვითარების სფეროში მარკეტინგული შესაძლებლობების უნიფიცირებასა და სტანდარტიზაციას.

- **ჰოლდინგი** საწარმოთა არა იმდენად ნებაყოფლობითი, რამდენადაც იძულებითი გაერთიანებაა თვითგადარჩენისა და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების მიზნით. როგორც წესი, ჰოლდინგში გაერთიანებულ სუბიექტებს ოპერატიული საქმიანობის განხორციელებისას საკმარისი დამოუკიდებლობა აქვთ. თუმცა, ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, როგორცაა მასალებზე, საქონელზე ან მომსახურებაზე ფასწარმოქმნის პოლიტიკის განსაზღვრა, მონაწილენი ურთიერთდაქვემდებარებულ მდგომარეობაში არიან.

ჰოლდინგის მიზანი მასში გაერთიანებულ საწარმოთა განვითარების საერთო სტრატეგიის შემუშავებაა.

---

<sup>1</sup> ინგ. franchise. წარმოიშვა ფრანგული სიტყვა Franch-დან, პირველად ვილჰელმის კანონებში მოიხსენიება და შელავატს, პრივილეგიას ნიშნავს. რუსეთის კანონმდებლობა მას კომერციული კონცესის ხელშეკრულებად მოიხსენიებს.

## მენარმე სუბიექტები

### სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

გერმანელი მეცნიერები ჰუეკი და კუბლერი სპს-ის არსებით ნიშნებს გერმანიის სავაჭრო კოდექსში განმტკიცებული განსაზღვრების საფუძველზე აყალიბებენ, რომლის თანახმად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზანია, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, სავაჭრო საქმიანობის განხორციელება, რომლის პარტნიორებიც კრედიტორების წინაშე საზოგადოების ვალდებულებებზე უშუალოდ და შეუზღუდავად აგებენ პასუხს (§105). აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული ავტორები სპს-ის ძირითად ნიშნებს მიაკუთვნებენ:

- სავაჭრო საქმიანობის განხორციელებას;
- ერთიან საფირმო სახელწოდებას;
- საზოგადოების კრედიტორების წინაშე საზოგადოების პარ-

ტნიორთა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის არსებობას.<sup>1</sup>

სპს ერთგვარად რომაული societs-ის<sup>2</sup> ანალოგია. შუა საუკუნეებში სპს-ის არსებობა საოჯახო-მემკვიდრეობით ურთიერთობებს უკავშირდება, მისი შექმნის მიზანი, არსებული საერთო ქონების დანაწევრების თავიდან აცილება იყო. შესაძლოა სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა საზოგადოების ქონების დამოუკიდებლობის იდეისა და კრედიტორთა წინაშე სრული პასუხისმგებლობის წარმოშობა.

სპს-ის პირველი საკანონმდებლო რეგლამენტაცია საფრანგეთში, 1673 წლის კოლბერის ორდონანსში განხორციელდა, რომელიც 1807 წელს საფრანგეთის სავაჭრო კოდექსში აისახა.

ქართულ კანონმდებლობაში სპს-ის ანალოგი “სრული ამხანაგობის” სახელწოდებით ჯერ კიდევ 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსში გამოჩნდა (აღნიშნული კოდექსი, თავის მხრივ,

<sup>1</sup> Hueck Gotz, Gesellschaftsrecht, 1991, s. 85-87; Kubler Fridrich, Gesellschaftsrecht, 1990, s. 65-66.

<sup>2</sup> societs - ძმობა, სამშო.

ევროპულ კანონმდებლობაზე იყო ორიენტირებული). გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ეს სამართლებრივი ფორმა აღარ არსებობდა.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (გერმანიაში - offene Handelsgesellschaft, ინგლისში - partnership, საფრანგეთში - societe en nom collectif, რუსეთში - полное товарищество) სხვა სამართლებრივი ფორმის სამენარმეო ხასიათის იურიდიულ პირებთან შედარებით მარტივი ორგანიზაციაა. აქ პირადი ელემენტი პრიორიტეტულია და პარტნიორთა ურთიერთნდობის ფაქტორს ეფუძნება. საქართველოსგან განსხვავებით, გერმანიის, შვეიცარიის და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობით, სპს იურიდიული პირი არ არის. აშშ-ის "ამხანაგობათა შესახებ" ერთიანი კანონისა და ინგლისის "ამხანაგობის შესახებ" კანონის დებულებათა თანახმად, partnership-ის სახელმწიფო რეგისტრაცია სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, თუ იგი არ ამხელს ამხანაგობის წევრთა ვინაობას. პირთა ქონების გაერთიანება თავისთავად არ იწვევს partnership-ის წარმოქმნას, პირიქით, მოგების განაწილებაში გაერთიანების წევრთა მონაწილეობა, საწარმოს, როგორც სამართალურთიერთობის სუბიექტის, prima facie მტკიცებულებაა. partnership არ არის იურიდიული პირი.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა სამენარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალე, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ ("მენარმეთა შესახებ" კანონის მე-20 მუხლი).

წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის იურისტები დაობდნენ იმაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ სპს-ის წევრი

(პარტნიორი) ფიზიკურ პირთან ერთად იყოს ასევე იურიდიული პირიც. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ იურიდიული პირის პარტნიორობა ამ ფორმის საზოგადოებაში არღვევს პარტნიორთა პასუხისმგებლობის უმთავრეს პრინციპს, მეორე ნაწილის აზრით, რამდენადაც იურიდიული პირები სამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტები არიან, ამიტომ მათი მონაწილეობა სპს-ში შეუზღუდავ პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ მათ ქონებაზე და არა პარტნიორთა პირად ქონებაზე, რაც არ ცვლის სპს-ის პასუხისმგებლობის უმთავრეს პრინციპს. გერმანიაში ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკით 1922 წელს გადაწყდა, რამაც შემდგომში საკანონმდებლო ასახვაც პოვა. 2008 წლის საკანონმდებლო ცვლილებათა შედეგად საქართველოში სპს-ის პარტნიორი (როგორც რუსეთში, შვედეთში,<sup>1</sup> გერმანიაში<sup>2</sup> და საფრანგეთში) შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

სპს-ის პარტნიორთა პასუხისმგებლობის სოლიდარული ხასიათიდან გამომდინარე, საზოგადოების ხელმძღვანელობაც სოლიდარულია, საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები და მათი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონითა და საწარმოს წესდებით. ზოგადად, სპს-ის ნებისმიერ პარტნიორს შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით შეამონმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები. მას უფლება აქვს, მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და, ამ შესრულების გამო, საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.

პარტნიორთა შეთანხმებით, შეიძლება აირჩეს “ლიდერი” - ერთი ან მეტი პარტნიორი, რომელსაც საზოგადოების მართვა და წარმომადგენლობა დაევალება. თუ საზოგადოების კრედიტორებისათვის წესდებით ან, საქმიანი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ფუნქციითა ამგვარი განაწილება უცნობია, ზოგადი

<sup>1</sup> Swedish Law, a survey, Stockholm, 1994. P. 291-292.

<sup>2</sup> Kubler Friedrich, Gesellschaftsrecht, Heidelberg, 1990. S. 65-66. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ 1922 წელს მიიღო.

წესის თანახმად, სპს-ის ნებისმიერი პარტნიორის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია.

საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობის დებულებათა გათვალისწინებით, ამხანაგობის თითოეული პარტნიორი უფლებამოსილია მართოს საზოგადოება და განახორციელოს წარმომადგენლობა, თუ აქვს დადებითად გამოხატული ან ნაგულისხმები უფლებამოსილება. პარტნიორის ნაგულისხმებ უფლებამოსილებაში შედის ყველა იმ გარიგების დადების შესაძლებლობა, რომელიც ჩვეულებრივია კონკრეტული სახის ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე. ასეთი გარიგებები partnership-ს ავალდებულებს მაშინაც, როცა კონკრეტულ პარტნიორზე სხვა პარტნიორის მიერ არ არის დელეგირებული გარიგების დადების უფლებამოსილება. აქედან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მესამე პირმა წინასწარ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამგვარი შეზღუდვის შესახებ. თუ კონკრეტული სპს-ის მიერ განხორციელებული ქმედება მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს სცილდება, საჭიროა ყველა პარტნიორის თანხმობა. საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, სპს-ის მართვა არაპარტნიორი ფიზიკური პირის მიერაც დაიშვება.

სპს, სხვა სანარმოებთან შედარებით, პასუხისმგებლობის ყველაზე მაღალი ხარისხით ხასიათდება, ამიტომ ხელმძღვანელობითი საქმიანობის სწორად წარმართვაზე დამოკიდებული საზოგადოების და თავად პარტნიორთა ქონების ბედიც. აქედან გამომდინარეობს სპს-ის ხელმძღვანელის ვალდებულებების განსაკუთრებული ხასიათი. ის, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიმართ განიხილება ნამდვილი კომერსანტის კეთილსინდისიერებად, შესაძლოა (ანალოგიურ შემთხვევაში) სპს-ის ხელმძღვანელთან მიმართებაში არ იქნეს ასეთად მიჩნეული.<sup>1</sup>

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად წყვეტს სპს-ში მოგება-ზარალის განაწილების საკითხს. ზოგადად განასხვავებენ ამ საკითხის მოწესრიგების სამ ძირითად გზას: თანასწორ განაწილებას (რომის სამართლებრივი მიდგო-

<sup>1</sup> ლ. ლაზარაშვილი. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. თბ., 2003. გვ. 101-102.

მა), განაწილებას პარტნიორთა შენატანების პროპორციულად (ფრანგული კანონმდებლობის მიდგომა), შერეულ განაწილებას ანუ პარტნიორთა შორის მოგების განაწილება ხდება როგორც მათ მიერ განხორციელებული შენატანის პროპორციულად, ისე თანაბრად, გამომდინარე საზოგადოებაში პარტნიორთა ერთობლივი მონაწილეობიდან, რაშიც გამოიხატება საზოგადოების პერსონალური ბუნება<sup>1</sup> (გერმანული კანონმდებლობის მიდგომა).

"შენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი, თუმცა აღნიშნული პრინციპის შეცვლა დასაშვებია პარტნიორთა შეთანხმებით, რაც საწარმოს წესდებაში აისახება. ერთ-ერთი პარტნიორის წილის მოგება მიემატება მისსავე შენატანს, თუ ის არ იყო სრულად შეტანილი; პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში შენატანიდან გახარჯული ფული მოგებიდან ჩამოიწერება, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სპს-ის, როგორც ამხანაგობის ტიპის გაერთიანების, უმნიშვნელოვანესი ნიშანია - პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა, რაც ორი მაჩვენებლით ხასიათდება:

1) პასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით - შეუზღუდავი. მართალია საზოგადოებას ცალკე ქონება აქვს, რომლითაც იგი საკუთარ ვალდებულებებზეა პასუხისმგებელი, თუმცა, მისი უკმარისობის შემთხვევაში, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება შეიძლება პარტნიორთა ქონებიდანაც. ასეთი "საშიშროება" სპს-ის ნებისმიერ პარტნიორს ემუქრება, ამიტომ პარტნიორთა შერჩევასას პრიორიტეტულია რისკების მაქსიმალური შემცირება;

2) პასუხისმგებლობის ხასიათის მიხედვით - სოლიდარული, რაც გულისხმობს პრინციპს: "ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის". იძულებითი გადახდევინების მოთხოვნა შეიძლება ნების-

<sup>1</sup> ლ. ლაზარაშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 115-116.

მიერ პარტნიორს წარედგინოს. პასუხისმგებლობის სოლიდარობა უცვლელია ვალდებულების წარმოშობის საფუძვლის მიუხედავად (სახელშეკრულებო/დელიქტური ზიანის მიყენება, უსაფუძვლო გამდიდრება და სხვა), მაგრამ თითოეული საზოგადოების ინტერესებიდან წარმოიშობა.

სპს-ის კრედიტორი საწარმოს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია ქონებრივი პასუხისმგებლობა მის ერთ ან რამდენიმე წევრ პარტნიორს დააკისროს. ამ შემთხვევაში გადამხდელ პარტნიორს (პარტნიორებს) დანარჩენი პარტნიორების მიმართ, უკუმოთხოვნის (რეგრესული მოთხოვნის) უფლება აქვს. თუ ერთ-ერთი პარტნიორი რეგრესულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მისი წილი ვალდებულების შესრულება დანარჩენ წევრ პარტნიორებს თანაბრად ეკისრებათ, თუ საწარმოს წესდებით სხვაგვარად არ არის მოწესრიგებული.

პარტნიორს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, სანამ

- საზოგადოება უფლებამოსილია იდავოს გარიგებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოების ვალდებულებას;
- კრედიტორის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს საზოგადოების ვადამოსული საპირისპირო მოთხოვნის შესრულებით (შემხვედრი მოთხოვნების ჩათვლით).

პარტნიორის ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევის მიზნით კრედიტორი ვალდებულია, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ სააღსრულებო ფურცელთან ერთად მოიპოვოს ასევე სააღსრულებო ფურცელი პარტნიორების მიმართ.

სპს-ის დაფუძნების შემდეგ მასში განწევრიანებული პარტნიორი, საზოგადოების შემადგენლობაში შესვლამდე მესამე პირთა მიმართ წარმოშობილ ვალდებულებებზე ისევეა პასუხისმგებელი, როგორც დამფუძნებელი პარტნიორი.

სპს-ის პარტნიორს უფლება აქვს გავიდეს საზოგადოებიდან. გასვლის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით და საქართველოს კანონით "მენარმეთა შესახებ". აღნიშნული პროცედურა მეტად მნიშვნელოვანია კრედიტორთა და მესამე პირთა ქონებრივი

ინტერესის გათვალისწინებით. სპს-ის ხასიათიდან გამომდინარე, მისი პასუხისმგებლობის მოცულობა პირდაპირკავშირშია თითოეული პარტნიორის ქონების მოცულობასთან. ხელშეკრულების მხარისთვის პრიორიტეტულია პარტნიორთა სუბიექტური შემადგენლობა. სწორედ ამიტომ, 2008 წელს “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით სრულად მოწესრიგდა სპს-ის პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის პროცედურა, რამაც ფაქტობრივად გაზარდა ამ ტიპის საწარმოს სანდოობა. კერძოდ, პარტნიორის გადაწყვეტილება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ 14 დღის განმავლობაში უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში და ამის შესახებ წერილობითი შეტყობინება გაეგზავნოს საგადასახადო ორგანოს და საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს. გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს ეს გადაწყვეტილება განმეორებით უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში და საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. ასეთ შემთხვევაში კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება (ვალების აქსელერაცია). იგივე წესი ვრცელდება სპს-ის შემადგენლობაში ახალი პარტნიორის შესვლისას.

პარტნიორის საზოგადოების შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში დაემატება სხვა დანარჩენ პარტნიორებს. ისინი ვალდებული არიან საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა (მუხ. 32).

პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი საზოგადოებაში შედის გარდაცვლილის სამკვიდრო მასაში, ამიტომ ყოველ მემკვიდრეს შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი, თუ ამას არ ზღუდავს საზოგადოების წესდება ან თუ ყველა პარტნიორი თანახმაა. ასევე, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია გახდეს პარ-

ტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში პარტნიორად შემსვლელი პირი ვალდებულია, სხვა მემკვიდრეებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. საზოგადოების წესდება შეიძლება არ ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას. აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესი გამომდინარეობს სპს-ის პარტნიორთა პასუხისმგებლობის ხასიათიდან. საწარმოს ვალდებულებებზე საკუთარი ქონებით სოლიდარული პასუხისმგებლობა, ფაქტობრივად აიძულებს პარტნიორებს, იზრუნონ პარტნიორთა სუბიექტურ შემადგენლობაზე, მათ პიროვნულ ფაქტორზე, მათივე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია, რომ უმემკვიდროდ დარჩენილი პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი, როგორც უმკვიდრო ქონება, სპს-ის სხვა დანარჩენ პარტნიორებზე ნაწილდება.

რაც შეეხება სპს-ის ლიკვიდაციასა და რეორგანიზაციას, იგი ხორციელდება კანონით დადგენილი ზოგადი წესების, საზოგადოების წესდებისა და ამ სამართლებრივი ფორმის საწარმოსთვის დამახასიათებელი თავისებურების გათვალისწინებით.

## კომანდიტური საზოგადოება

კომანდიტური საზოგადოება (კს), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მსგავსად, ამხანაგობის ტიპის გავრთიანე-ბაა. ტერმინი "კომანდიტი" ფრანგული commandant-ისაგანაა ნაწარ-მოები და ხელმძღვანელობას, ბატონობას, განკარგულების გაცემას ნიშნავს.

შუა საუკუნეებში "კომენდამ" საკმაოდ დიდი გავრცელება პოვა. მისი პირველადი ფორმა წმინდა სავაჭრო ხასიათს ატარებდა. ვაჭარი, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა ზღვაოსნობაში, თავის საქონელს გასაღების მიზნით, ზღვაოსნობის მომწყობ ვაჭარს ანდობდა. ამ საქმიანობით მიღებული მოგება მათ შორის 3/4 პროპორციით ნაწილდებოდა. მოგვიანებით, სასაქონლო "კომენდა" ფულადში ტრანსფორმირდა. ეს უკანასკნელი მოგების მიღების საშუალებას აძლევდა არა მხოლოდ საქონლის, არამედ კაპიტალის მფლობელებსაც, რომელთაც სავაჭრო საქმიანობაში უშუალო მონაწილეობის მიღება არ სურდათ (მაგალითად, არისტოკრატები და ეკლესიის მსახურები).

"კომენდას" ინსტიტუტის დაფუძნებისა და განვითარების საფუძველი საკუთარი კაპიტალის ერთგვარად ინვესტირების სურვილი იყო; თუმცა ტექნიკური თავისებურებებისა და ფსიქოლო-გიური ღირებულებების გათვალისწინებით, კაპიტალის მესაკუთრეს შედარებით მშვიდი და საქმის უშუალოდ წარმოებიდან ჩამოშორე-ბული სამეწარმეო საქმიანობა ერჩივნა. თანდათან "კომენდაში" პარ-ტნიორთა ორი კატეგორია ჩნდება. ერთი, რომელიც უშუალოდ მართავს საწარმოს და პასუხისმგებლობის სფეროში შეუზღუდავია და მეორე, რომელიც აბანდებს კაპიტალს, მისი მოგება და ზარალი, როგორც წესი, საწარმოს ქონებაში შეტანილი საგარანტიო თანხის (შენატანის) პროპორციულად გამოიანგარიშება.

კომანდიტური საზოგადოება სპს-ის მოდიფიცირებული ნაირ-სახეობაა. მიუხედავად მათ შორის არსებული მსგავსებისა, არსე-ბობს განსხვავებები, რასაც, თავის მხრივ, კს-ის ქონებაში კაპიტა-ლის მეტი რაოდენობით კონცენტრირებაც უწყობს ხელს. გაცი-ლებით იოლია იმ პირთა მოძიება, რომელნიც მზად არიან მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული თანხით გარისკონ, ვიდრე იმ პირებისა, რომლებიც მთელ ქონებას სასწორზე დებენ. გარდა ამისა, ენერგიულ მეწარმეებს, კს-ის მეშვეობით, შეუძლიათ მაქსიმალური რაოდენობის კაპიტალის მოზიდვა, ამასთან, ინარჩუნებენ საწარ-

მოს მართვის სადავეებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კს გაცილებით რთული ორგანიზაციაა, ვიდრე სპს, თუმცა ბევრად მარტივი, ვიდრე კაპიტალური ფორმის საწარმოები.

დღეს, კომანდიტურმა საზოგადოებამ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე თითქმის ყველა ქვეყნის სამართლის სისტემაში დაიმკვიდრა ადგილი.

"მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 34.1 მუხლის თანახმად, კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

ამ ორი კატეგორიის პარტნიორებს შორის უმთავრესი განსხვავება მათი პასუხისმგებლობის ხასიათსა და მოცულობაშია. სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ხოლო კომანდიტების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით.

"მენარმეთა შესახებ" კანონის 34.3 მუხლის თანახმად, კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.<sup>1</sup>

<sup>1</sup> კონტინენტური ევროპის კს-ს საერთო სამართლის ქვეყნებში limited partnership შეესაბამება. ინგლისში ამ ფორმის საწარმოს 1907 წლის "Limited partnership Act" არეგულირებს. ამერიკაში კი, ლუიზიანას შტატის გარდა, მოქმედებს ერთიანი კანონი "Limited partnership"-ის შესახებ.

კომანდიტური საზოგადოება პერსონალურ და კაპიტალურ საზოგადოებათა ელემენტებს აერთიანებს და გარდამავალ ფორმად გვევლინება.

კს-ის დამფუძნებელი შეიძლება იყოს მინიმუმ ორი პირი. აქედან ერთი აუცილებლად კომპლემენტარია, რომელიც პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით (კომპლემენტარის სამართლებრივი მდგომარეობა ფაქტობრივად იგივეა, რაც სპს-ის პარტნიორისა); მეორე - კომანდიტი, რომელიც საზოგადოების ვალდებულებებზე მხოლოდ მის მიერ წინასწარ შეტანილი საგარანტიო თანხითაა პასუხისმგებელი (კომანდიტის პასუხისმგებლობა შპს-ის პარტნიორის პასუხისმგებლობის იდენტურია).<sup>1</sup>

კს-ის მართვაში პარტნიორთა მდგომარეობა არათანაბარია. ზოგადი წესის მიხედვით, კომანდიტები საზოგადოების ხელმძღვანელობაში არ მონაწილეობენ. წესდებით მათ შეიძლება მიენიჭოთ ამგვარი უფლებამოსილება, ოღონდ წარმომადგენლობის უფლების გარეშე. თუ კომანდიტს მიენიჭა წარმომადგენლობის უფლებამოსილება, მაშინ მასზე შპს-ის დირექტორის სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი ნორმები ვრცელდება; ამასთან, კომპლემენტარი ინარჩუნებს სანარმოს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას.

საფრანგეთის კანონმდებლობით, კომანდიტს ხელშეკრულებით შეიძლება გადაეცეს იმ გარიგებათა დადების უფლებამოსილება, რომელიც ამხანაგობის შიგა მართვის ფარგლებს არ სცილდება. კომანდიტი მინდობილობის არსებობის შემთხვევაშიც კი წარმომადგენლობის უფლებამოსილებას მოკლებულია. ამ წესის დაუცველობა კომანდიტის სოლიდარულ პასუხისმგებლობას იწვევს. გერმანიის სავაჭრო კოდექსის §170-ის თანახმად, კომანდიტს არ აქვს წარმომადგენლობის უფლება, მას სამართლებრივ ურთიერთობებში მხოლოდ პროკურისტის ან სავაჭრო წარმომადგენლის სახით შეუძლია გამოვიდეს.

---

<sup>1</sup> საქართველოს, საფრანგეთის, რუსეთის კანონმდებლობით, კომანდიტური საზოგადოება იურიდიული პირის სტატუსის მქონე გაერთიანებაა, შვეიცარიის სამართლებრივ ურთიერთობებში იგი ფიზიკური პირის სტატუსით მონაწილეობს.

ზოგადი წესის თანახმად, კომანდიტზე, კომპლემენტარისაგან განსხვავებით, არ ვრცელდება კონკურენციის აკრძალვა (ინტერესთა კონფლიქტი); გამონაკლისია, როცა კომანდიტს იმავდროულად საწარმოს შიგა მართვის ფუნქცია აქვს მინიჭებული.

კს-ის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებენ კომპლემენტარები. რაც შეეხება კომანდიტებს, მათი პასუხისმგებლობის ხასიათისა და მოცულობის გათვალისწინებით, ისინი საზოგადოების ხელმძღვანელობაში არ მონაწილეობენ, ასევე ჩვეულებრივი საწარმოს საქმიანობის ფარგლებში არ შეუძლიათ გამოვიდნენ კომპლემენტარების მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ. კომანდიტები ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

ზოგადი წესიდან გამონაკლისია კომანდიტის მიერ საზოგადოების სახელით იმ იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებათა განხორციელება, რომლებიც ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს სცილდება. ასეთი უფლებამოსილების მინიჭების ფაქტი აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს საწარმოს წესდებაში.

კს-ში პარტნიორთა შორის მოგებისა და ზარალის გაანგარიშების, პერიოდულობისა და განაწილების წესი საზოგადოების წესდებით განისაზღვრება. კომანდიტი ზარალის ანაზღაურებაში მხოლოდ თავისი შენატანით მონაწილეობს (საგარანტიო თანხით), მაგრამ, თუ დადგება პასუხისმგებლობა შესატანის სრულად შეტანამდე - ჯერ კიდევ შეუტანელი შესატანითაც.

კომანდიტს აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მიღების მოთხოვნის უფლება, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამასთან, მას არ შეუძლია მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი შენატანი დათქმულ თანხაზე ნაკლებია.

კომანდიტი ვალდებული არ არის, დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო.

კომპლემენტარის მიერ წილის გასხვისებასა და მემკვიდრეობით გადაცემაზე ვრცელდება სპს-ის მარეგულირებელი ნორმები, კომანდიტის წილი შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა პარტნიორთა თანხმობის გარეშე, თუმცა შესაძლოა წესდებით არსებობდეს განსხვავებული წესი. ნებისმიერ შემთხვე-

ვაში, წილის დათმობისას საჭიროა ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი ხელშეკრულება.

აშშ-ის კანონმდებლობით, სრული პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორების (კომპლემენტარების) მიერ ზოგიერთი მოქმედების შესრულებას კომანდიტების თანხმობა ესაჭიროება. კომანდიტებს ასევე შეუძლიათ ამხანაგობის წიგნების შემოწმება, საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება, სასამართლოსადმი მიმართვა ამხანაგობის ლიკვიდაციის მოთხოვნით (აშშ-ის ერთიანი კანონი "ამხანაგობის შესახებ", მუხ.9).

აღსანიშნავია, რომ გერმანული კანონმდებლობა ასევე იცნობს საწარმოს ჩვენგან განსხვავებულ სამართლებრივ ფორმას, რომელიც აქციებზე დაფუძნებულ კომანდიტური საზოგადოების (Kommanditgesellschaft auf Aktien) სახელითაა ცნობილი. ამ საზოგადოებაში ერთიანდებიან პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები და კომანდიტური აქციონერები. წესდება მტკიცდება მინიმუმ ხუთი პარტნიორის ხელმოწერითა და ნოტარიუსის დამოწმებით. დოკუმენტში მიეთითება აქციათა რაოდენობა, აქციათა კლასი, ღირებულება. წესდების შედგენაში მონაწილეობენ ორივე ტიპის პარტნიორები, რასაც ადასტურებენ წესდებაზე ხელმოწერით. წესდების ხელმოწერი პარტნიორები ადკს-ის დამფუძნებლებად ითვლებიან (Aktiengesetz. § 280).

ადკს-ში კონკურენციის აკრძალვა (ინტერესთა კონფლიქტი) ვრცელდება მხოლოდ პერსონალური პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორებზე. კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევის შემთხვევაში მათ ეკისრებათ ამგვარი ქმედებით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამ მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 თვეა იმ მომენტიდან, როცა დანარჩენმა პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორებმა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა გაიგეს კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევის ფაქტის შესახებ (§ 284).

სამართლებრივ დავებში, რომელთაც აწარმოებენ კომანდიტური აქციონერები პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების წინააღმდეგ, ან პირიქით, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო კომანდიტურ აქციონერებს წარმოადგენს, თუ საერთო კრებამ არ აირჩია სპეციალური წარმომადგენელი. კომანდიტურ აქციონერებზე დაკისრებულ სასამართლო დავების ხარჯებს

ამხანაგობა ანაზღაურებს, კომანდიტური აქციონერების მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გარეშე (§287.2).

პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი არ შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყოს.

გერმანული კანონმდებლობა ითვალისწინებს ზოგიერთ შეზღუდვას პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორზე მოგების განაწილებისას. კერძოდ, §288-ის თანახმად, თუ პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის დანახარჯი აღემატება მის წილს საზოგადოების კაპიტალში, მას არა აქვს უფლება თავისი წილი კაპიტალიდან მიიღოს მოგება. ასეთ შემთხვევაში მასზე ასევე არ გაიცემა კრედიტი. ასეთი პარტნიორი საზოგადოებასთან შრომითი ურთიერთობის შემთხვევაში ინარჩუნებს მხოლოდ შრომის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

კომანდიტური საზოგადოების მიმართ, „მენარმეთა შესახებ“ კანონის ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად, გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მარეგულირებელი შესაბამისი ნორმები.

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (გერმანიაში - Gesellschaft mit beschränkter Haftung, საფრანგეთში - socite a responsabilite limitee, ინგლისში - private company Limited by shares, რუსეთში - Общество с ограниченной ответственностью) სტატისტიკურად ყველაზე პოპულარული სამართლებრივი ფორმაა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კანონმდებლობით პირველად 1892 წლის 20 აპრილს გერმანიაში იქნა აღიარებული (ინიციატივა ეკუთვნის გერმანიის რაილსტაგს, 1884წ.), შემდეგ კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. დღეს გერმანიაში მოქმედებს კანონი "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ", იგივე სახელწოდების კანონები არსებობს: იტალიაში, იაპონიაში, ავსტრიაში. ინგლისელმა კანონმდებლებმა კერძო კომპანიათა და, მათ შორის, შპს-ის სამართლებრივი რეგულირება მოახდინეს 1908 წლის გაერთიანების აქტით (Consolidation Act). რუსულ სამართალში 1912 წლიდან გაჩნდა მოსაზრება ამ ფორმის საწარმოს შემოღების შესახებ.

ისტორიულად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნა განპირობებული იყო გარკვეული აუცილებლობით. კერძოდ, საჭირო გახდა საწარმოს ისეთი სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბება, რომელიც, უკვე არსებულ სააქციო საზოგადოებასთან შედარებით, მოქნილი იქნებოდა კაპიტალის გაერთიანებისათვის. იგი ერთგვარად პირადი და მატერიალური ელემენტების ჰარმონიული სინთეზია.

"მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი მიმოქცევის უფლებაა (მუხ. 44), რაც ნიშნავს, რომ წილი შეიძლება შეუზღუდავად იყოს ნებისმიერი ტიპის სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საგანი.

ზოგადად, შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირაონ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული (მუხ. 46). როგორც წესი, შპს-ის წესდება განსაზღვრავს თითოეული პარტნიორის მინიმალურ შესატანს. საწარმოს პარტნიორთა შეთანხმება პასუხისმგებლობის შემცირებაზე ბათილია მესამე პირებისათვის.

მნიშვნელოვანია საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, მოხდა შპს-ის მარეგულირებელი ნორმების ლიბერალიზაცია და პარტნიორთა ნების ავტონომიურობის ფარგლების გაფართოება.

- კანონმა უარი თქვა შპს-ის სანესდებო კაპიტალის მინიმალური ლიმიტის განსაზღვრაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი მოცულობით.

- აღარ არსებობს მოგებისა და წილის პირდაპირპროპორციულობის უპირობო პრინციპი (1 წილი=1 ხმას). პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა

ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება ყოველთვის ცალსახად არ არის წილების პროპორციული.

შპს-ის პარტნიორთა კრება ტარდება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ. კრება შეიძლება იყოს რიგგარეშეც. ყველა პარტნიორს უფლება აქვს დაესწროს პარტნიორთა საერთო კრებას, მონაწილეობა მიიღოს დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთა განხილვაში და ხმა მისცეს გადაწყვეტილების მიღებას.

პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებაა, ამიტომ მასზე ვრცელდება სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები გარიგების შესახებ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანის, ნების გამოვლენა, საერთო კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე თითოეული პარტნიორის მიერ ნების გამოვლენის შედეგად მიიღწევა. პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ოქმის სახით ფორმდება, მოითხოვს მარტივ წერილობით ფორმას და ხელს თავმჯდომარე აწერს.

შპს-ის დირექტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი (პარტნიორი ან არაპარტნიორი), რომლის უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით, კონკრეტული საზოგადოების წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში.

## სააქციო საზოგადოება

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის, ასევე ფულად და ფისკალურ პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, სააქციო საზოგადოებას, როგორც სამენარმეო საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და მნიშვნელოვან სუბიექტს, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების სტრუქტურათა შეცვლა განსაზღვრავს ახალი მიზნების მისაღწევად ახალი საშუალებების შეთვისებას სააქციო კანონმდებლობასთან. ასე, მაგალითად, თანამედროვე პირობებში იგი აქტიურად გამოიყენება სოციალური მანევრირების ერთ-ერთ საშუალებად. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნებში მიღებული სააქციო კანონმდებლობა ასახავს თანამეგობრობის ჩარჩოებში მიმდინარე მუშაობას, სააქციო საზოგადოებათა სამართლებრივი რეგულირების უნიფიკაციის მიზნით. მიღებულ დირექტივებს შორის განსაკუთრებული ყურადღება მესამე პირთა ინტერესების დაცვას ეთმობა.

"მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოება (გერმანიაში - Aktiengesellschaft, საფრანგეთში - societe anonume, აშშ-ში - private, business or profit-making, რუსეთში - Акционерное общество), რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> 2008 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, სააქციო საზოგადოების მიმართ კანონით აღარ განისაზღვრება საწესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობა (გერმანული კანონმდებლობით, სააქციო საზოგადოების მინიმალური საწესდებო კაპიტალი 50000 ევროს (Grundkapital) უდრის; რუსეთში - მინიმალური ხელფასის ათასმაგ რაოდენობას, ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის მეორე დირექტივით დადგენილია მინიმუმ 25000 ეკიუ). სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი რაოდენობით.

აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება). საზოგადოება კრედიტორთა წინაშე მხოლოდ თავისი ქონებით აგებს პასუხს. აქციის მფლობელ პარტნიორებს საზოგადოების ვალდებულებებისათვის არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ.<sup>1</sup>

აქციის არამატერიალიზებული ხასიათი ვლინდება იმაში, რომ ის არ მატერიალიზდება “ქალაქში”, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს ეძლევა ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი და არა “ფასიანი ქალაქი”, მატერიალური გაგებით.

მოქმედი კანონმდებლობა იცნობს აქციათა კლასებად დაყოფას. “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული, ამასთან, საზოგადოება უფლებამოსილია წესდებით განსაზღვროს სხვა კლასის აქციების გამოშვების შესაძლებლობაც. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აქციათა გავრცელებული

<sup>1</sup> “აქცია” ლათინური სიტყვაა (actio) და განკარგულებას, პრეტენზიას ნიშნავს. აქციის ნომინალური ღირებულების ცნება შენარჩუნებულია ზოგიერთ ქვეყანაში. თუმცა აშშ-ში, ბრიტანეთში, ლიხტენშტეინში, ლუქსემბურგში, პონგ კონგში დაშვებულია აქციათა გამოშვება ნომინალური ღირებულების გარეშე (without par value). კალიფორნიისა და ნიუ-იორკის შტატების კანონმდებლობით, კორპორაციის კაპიტალი უდრის გამოშვებული აქციების საერთო ნომინალურ ღირებულებას პლუს აქციებზე დადგენილი შესაგებელი დაკმაყოფილება, რომელიც გამოშვებულია ნომინალური ღირებულების გარეშე.

სახეობა: აქცია ნომინალური ღირებულებით; აქცია ნომინალური ღირებულების გარეშე (მის გასაყიდ ფასს განსაზღვრავენ დირექტორები, ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით); პრივილეგირებული აქცია (შეიძლება იყოს ხმის უფლების გარეშე, შეზღუდული ხმის უფლებით ან სრული ხმის უფლებით); პრივილეგირებული კუმულაციური აქცია (იძლევა დივიდენდის დაგროვების საშუალებას, თუ საანგარიშო წელს კორპორაცია არ აპირებს დივიდენდის გაცემას, ასეთი აქციის მფლობელი მას მაინც მიიღებს); აქცია გამოსყიდვის უფლებით (რომელიც შეუძლია გამოისყიდოს კორპორაციამ დადგენილ პირობებში, განსაზღვრულ დროსა და ფასით); აქცია კონვერტაციის უფლებით (შესაძლოა მისი გაცვლა ნებისმიერი ტიპისა თუ კლასის აქციაზე დადგენილ პირობებში და განსაზღვრულ დროს); განსაზღვრული დროით მოქმედი აქცია (დროით შესაძლოა განისაზღვროს ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი აქცია. მისი სხვა პირზე გადაცემა შეზღუდულია მემორანდუმით).

ჩვეულებრივი აქცია ხმის უფლების მქონეა. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის რაოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. აქციონერთა მიერ წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებებს სხვაგვარად განსაზღვრავს. მნიშვნელოვანია, რომ ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მფლობელებს.

ნებისმიერი კლასის აქციების რაოდენობა, მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და მათი შეცვლის პირობები საზოგადოების წესდებაში (ხოლო საჯარო შეთავაზების შემთხვევაში — ემისიის პროსპექტშიც) უნდა აისახოს ამ კლასის აქციების განთავსებამდე. შემდგომში მათი შეცვლა, ასევე წესდებით გათვალისწინებული ამ კლასის აქციების ცვლილებების წესის შეცვლა დაუშვებელია.

"მენარმეთა შესახებ" კანონის 51.3 მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ვალდებულია აქციათა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი

რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა 50 ან 50-ზე ნაკლებია, საზოგადოებას შეუძლია აწარმოოს რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით (დამოუკიდებელი რეგისტრატორის ინსტიტუტი სრულყოფს არა მარტო აქციათა ოფციონს, არამედ განსაზღვრულ წინაპირობებს ქმნის ფასიანი ქალაქების ცივილიზებული ბაზრის ანუ საფონდო ბირჟების განვითარებისათვის, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი და უცხოელი ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში<sup>1</sup>).

აქცია მიმოქცევადი ფასიანი ქალაქია ანუ ის შეიძლება იყოს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი გარიგების საგანი. ნებისმიერი კლასის აქციის (გარდა „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო ფასიანი ქალაქისა) გადაცემა საზოგადოების თანხმობით ხდება. აქციათა გადაცემაზე საზოგადოების თანხმობის გაცემის წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით, აქციების განთავსებამდე. აქცია განთავსებულად ჩაითვლება, თუ ის გაცემულია საზოგადოების მიერ სხვა პირისთვის, გარკვეული თანხის ან სხვა საზღაურის სანაცვლოდ (მიუხედავად იმისა, ეს საზღაური მიღებული აქვს საზოგადოებას თუ არა). გარდა განთავსებულისა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლით განისაზღვრა გამოშვებული და ნებადართული აქციების დეფინიციაც. კერძოდ, იმ აქციების მიმართ, რომლებიც განთავსებულია ან/და რომლებზეც საერთო კრების მიერ უფლებამოსილმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება განთავსების შესახებ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერმინი „გამოშვებული აქციები“. აქცია ნებადართულია, თუ საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მისი მომავალში შესაძლო განთავსების შესახებ. ნებადართული აქციების მაქსიმალური რაოდენობა და კლასი საზოგადოების წესდებაში უნდა აისახოს.

იმ სწარმოს აქციების გადაცემა, რომლის აქციათა რეესტრსაც დამოუკიდებელი რეგისტრატორი აწარმოებს, ხდება „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით

---

<sup>1</sup> გ. ლოლაძე. სს-ების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გაზრდის ალტერნატიული გზები. II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში. 2003. გვ. 430-443.

გათვალისწინებული წესების მიხედვით. სხვა შემთხვევებში აქციების გადაცემა ხდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანით, რომელიც უნდა დაამოწმოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა.<sup>1</sup>

აქციების ყიდვა-გაყიდვა ხდება ლიცენზირებული საბროკერო კომპანიების მეშვეობით. აპრობირებული პროცედურა შემდეგნაირია: ბროკერი აქციათა დამოუკიდებელ რეგისტრატორთან ერთად გადაამოწმებს აქვს თუ არა მის კლიენტს ის აქციები, რომლის გაყიდვასაც აპირებს. იმ შემთხვევაში, თუ ბროკერს ამ მომენტში მყიდველი არა ჰყავს, იგი ავალებს გამყიდველს, რომ გასაყიდად გამიზნული აქციები საბროკერო კომპანიის ნომინალურ მფლობელობაში გადასცეს. ამ შემთხვევაში საბროკერო კომპანია გარანტირებულია, რომ დავალების შესრულების პერიოდში, ამ აქციების გასხვისება კლიენტის მიერ არ განხორციელდება. თუ საბროკერო კომპანიას ჰყავს როგორც მყიდველი, ისე გამყიდველი, იგი აფორმებს და ამოწმებს მათ შორის ნასყიდობის ხელშეკრულებას.

თუ საჯარო აქცია საფონდო ბირჟაზე დაშვებულია სავაჭროდ, მაშინ მისი გასხვისების მსურველმა კვლავ საბროკერო კომპანიას უნდა მიმართოს. საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობენ საბროკერო კომპანიები. საფონდო ბირჟა არის გარანტი იმისა, რომ გასაყიდად გამოტანილი ფასიანი ქაღალდები ნამდვილად აქვს გამყიდველ საბროკერო კომპანიებს და რომ მყიდველ საბროკერო კომპანიებს ნამდვილად შეუძლია შეიძინოს აღნიშნული აქციები.

საბირჟო სესიის განმავლობაში ყველა განაცხადი ავტომატურად ლაგდება: ფასი – მოცულობა – დრო, პრიორიტეტების

---

<sup>1</sup> საერთო სამართლის ქვეყნებში ასხვავებენ: ნომინალურ, გამოშვებულ და გადახდილ კაპიტალს. ნომინალური კაპიტალი იმ კაპიტალის საერთო რაოდენობაა, რომელზეც კომპანია უფლებამოსილია გამოსცეს აქციები; გამოშვებული კაპიტალი ნომინალური კაპიტალის ის ნაწილია, რომლის ფარგლებში გამოშვებულია აქციები, აქციონერთა შორის განაწილების მიზნით; გადახდილი კაპიტალი გამოშვებული კაპიტალის ის ნაწილია, რომელთა ღირებულება გადახდილია აქციონერთა მიერ.

ასევე არსებობს ე.წ. სარეზერვო კაპიტალი, რომელშიც მოიაზრება ნომინალური კაპიტალის გამოშვებული ნაწილი, რომლის გამოსყიება შეიძლება მხოლოდ კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში (ინგლისის კანონი "კომპანიათა შესახებ", მუხ. 120).

შესაბამისად. თუ სათანადო პარამეტრები ემთხვევა ერთმანეთს – გარიგება ავტომატურად იდება. მართალია ამ ცვლილებებით აქციათა ვაჭრობის პროცესი გართულებულია, მაგრამ მეტია საიმედოობა და პასუხისმგებლობა.

სააქციო საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს ფიზიკური და/ან იურიდიული პირი. მისი შექმნის უფლება ერთ პირსაც აქვს. აქციონერთა უფლებები ორი სახისაა: პირადი (საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება, ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების და სხვა უფლებები) და ქონებრივი (დივიდენდის მიღების უფლება, საზოგადოების ლიკვიდაციისას ქონების განაწილებაში მონაწილეობის მიღების და სხვა უფლებები).

კანონმდებლობით განმტკიცებულია მცირე აქციონერთა უფლებები. კერძოდ, აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მიიჩნევენ, რომ დარღვევებს აქვს ადგილი. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, საწარმოს წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) მოსთხოვოს საწარმოს აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება; ხოლო შესაბამისი მმართველობის ორგანოს – საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.

აქციონერს ასევე უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა წესდებაში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს ან ეხება საწარმოს რეორგანიზაციას.

აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, რომელიც ჩამოყალიბდა შეტყობინების წინა დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მიზეზით, კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. აქციების გამოსყიდვა არ დაიშვება, თუ:

ა) აქციების გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა საკუთარი კაპიტალის 25%-ს აღემატება;

ბ) გამოსყიდვის მომენტში სანარმო აკმაყოფილებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს ან ასეთი პირობები შეიძლება შეიქმნას აქციათა გამოსყიდვის შედეგად (მუხ. 53<sup>1</sup>).

საქართველოში სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა, ძირითადად, პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ პრივატიზების დროს არ მომხდარა რეალური ინვესტიციების დაბანდება, რაც საერთოდ დამახასიათებელია სააქციო საზოგადოებათა შექმნის წინაპირობისათვის და, შესაბამისად, სახელმწიფოს გაყიდული სანარმოების შედეგად არანაირი ფინანსური სარგებელი არ მიუღია. სანარმოთა უმეტესობის პრივატიზება დახურული პრივატიზაციის საფუძველზე განხორციელდა. სახელმწიფომ "სახალხო" ქონების გადანაწილებისას უპირატესობა მიანიჭა სანარმოებში მომუშავე პერსონალს და დაურიგა აქციები სიმბოლურ ფასად, უმეტესად უფასოდ. ამის გამო, სააქციო საზოგადოება ჩამოყალიბდა არა აქციონერთა თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, არამედ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის – პრივატიზების შედეგად. ასეთი გზით დაფუძნებულმა სს-ების ხელმძღვანელმა პირებმა, უმრავლეს შემთხვევაში, მოქნილ და პროფესიონალ მენეჯერულ სისტემას ვერ გაუწიეს კონკურენცია. პრივატიზების გზით ჩამოყალიბებულ სანარმოებში ახალი კაპიტალდაბანდებები ფაქტობრივად არ მომხდარა. აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ ბევრმა ვერ გაუძლო კონკურენციას და გაკოტრების რეჟიმში მოექცა. სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა "კვაზი" სააქციო საზოგადოებებად გადაიქცნენ. ისინი მხოლოდ ფორმალურად აგრძელებენ არსებობას და საფონდო ბაზარზე მონაწილეობას ვერ იღებენ. მათ არ აქვთ საბაზრო კაპიტალიზაცია, არ ახდენენ ვაჭრობას აქციებით (ფასიანი ქალაქებით).

2005 წელს "მენარმეთა შესახებ" კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რამაც გარკვეულწილად სრულყო სააქციო საზოგადოების მარეგულირებელი ნორმები; ეს ეხება სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისა და აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის ინსტიტუტების დამკვიდრებას ქართულ საკანონმდებლო სივრცეში.

ევროკავშირის მიერ მიღებულ დირექტივებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებულ აქციათა სავალდებულო მიყიდვის (squeeze out) ინსტიტუტს. ეს სპეციფიკური პროცედურაა, რაც 90–95% აქციათა მფლობელ მაჟორიტარ აქციონერს უფლებას აძლევს გამოისყიდოს მინორიტარი აქციონერისგან აქციები.

აქცია პირდაპირი მნიშვნელობით არამატერიალიზებული მოთხოვნის უფლებაა დივიდენდის მიღებაზე. თავისთავად ეს უფლება კონკრეტული აქციონერის საკუთრებაა, თუმცა მისი პერმანენტული რეალიზაცია გარანტირებული არ არის, რამეთუ არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობით სააქციო საზოგადოებას არ აქვს დივიდენდის ყოველწლიურად სავალდებულოდ გაცემის ვალდებულება.

როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების, ისე პოსტ. სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობამ, განსაკუთრებით ევროსაბჭოს წევრმა ქვეყნებმა, საკანონმდებლო დონეზე დააფიქსირა აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის წესი. სააქციო კაპიტალის ზღურბლი, ევროკავშირის დირექტივების თანახმად, 90%-ია (მაგალითად, აშშ, დიდი ბრიტანეთი, დანია, პორტუგალია, ავსტრია, უნგრეთი, ჩეხეთი, ესტონეთი) ან 95% (მაგალითად, გერმანია, ლუქსემბურგი, ბელგია, საფრანგეთი, რუმინეთი, ლიტვა, ლატვია).

ევროკავშირის დირექტივა მოითხოვდა აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის დანერგვას ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონმდებლო სივრცეში 2006 წლის 1 მაისამდე, ერთ-ერთი პირობის დაფიქსირებით: თუ აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის ოფერენტი ფლობს კონკრეტული სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 90%-ს, ხოლო აქციათა სავალდებულო მიყიდვის ოფერენტი – 95%-ს. ამასთან, დირექტივის მე-15 თავში აღნიშნულია: “სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ “გამყიდველების” მიერ თავიანთ აქციებში სამართლიანი ფასის მიღება. სასურველია, რომ მყიდველმა შესთავაზოს გამყიდველს ნაღდი ფული, როგორც აუცილებელი ოფცია ასეთი გარიგების დადებისას”.

ქართული საკორპორაციო სამართლისათვის ეს ახალი ინსტიტუტია, რაც პრაქტიკულად ნიშნავს აქციათა 95%-ის მფლობელ აქციონერთა უფლებას, სამართლიან ფასად შეისყიდოს დანარჩენი აქციონერების აქციები, რომელთა რაოდენობა 5%-ს არ აღემატება.

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 53<sup>4</sup> მუხლის თანახმად, თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს გამოსყიდოს სხვა აქციონერთა აქციები სამართლიან ფასად. კანონი დაწერილებით განსაზღვრავს ამ უფლების გამოყენების წინაპირობას, სამართლიანი ფასის განსაზღვრის მექანიზმის ჩათვლით.

წარმოდგენილი დებულება სრულად ასახავს ევროკავშირის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004 წლის აპრილში მიღებულ დირექტივას “აქციონერთა შესახებ”.

საგულისხმოა, რომ “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში 2005 წელს დაფიქსირებული აქციათა გამოსყიდვის მარეგულირებელი ნორმა დავის საგანი გახდა, რის გამო საკონსტიტუციო სასამართლომ იგი მიიჩნია არაკონსტიტუციურად და გააუქმა. კერძოდ, 2006 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთმა სს-ის მინორიტარ აქციონერთა ჯგუფმა სარჩელით მიმართა და მოითხოვა “მენარმეთა შესახებ” კანონის წარმოდგენილი ნორმის არაკონსტიტუციურად აღიარება. მოსარჩელეთა აზრით, ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს.

იმისათვის, რომ კონსტიტუციის მიზნებიდან გამომდინარე, ვისაუბროთ მის მიერ დაცულ ინტერესებზე, უნდა განისაზღვროს აღნიშნული ინტერესების კონსტიტუციური დაცვის ფარგლები. სახელმწიფოს მხრიდან უფლების ყოველი შესაძლო შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად არის ეს უფლება კონსტიტუციით დაცული და სად იწყება მისი კონსტიტუციური დაცვის ფარგლები.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად “საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია”. ამასთან, საქართვე-

ლოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, “მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმწიფოებრივი შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით...”. სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება აღიარებს ანუ ცნობს და უზრუნველყოფს პირის უფლებას, რომ იგი კანონისმიერი შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ქონებას. აქვე, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მე-2 აბზაცი, რომლის თანახმად საკუთრების უფლება არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც საჭიროდ მიაჩნია, საერთო ინტერესების შესაბამისად, საკუთრების გამოყენების კონტროლისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, საკუთრების და მასთან დაკავშირებული უფლებების, როგორც კონსტიტუციური დაცვის ობიექტის შეზღუდვა და ჩამორთმევა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს უფლება შექმნას და გამოიყენოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობას.

ამრიგად, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში საუბარია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვაზე და არა მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ანუ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს. კონკრეტულად რას აღიარებს 21-ე მუხლის პირველი პუნქტი და რას ნიშნავს საკუთრება? ამასთან, რამდენად აბსოლუტურია 21-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საკუთრების უფლება?

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს საკუთრების არა აბსოლუტურ უფლებას, არამედ მის ისეთ ფორმას, რომელიც უკვე შეზღუდულია კანონით ანუ დადგენილი ფარგლებითა და შინაარსით. 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები

საკუთრების კონსტიტუციური დაცვის ფარგლებს კი არ ადგენს, არამედ გამონაკლისის სახით, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში, დასაშვებად მიიჩნევს – უკვე ფარგლებდადგენილი და შინაარსგანსაზღვრული და, შესაბამისად, 21-ე მუხლის დაცვის სფეროში მოხვედრილი – საკუთრების უფლების შეზღუდვას და მის ჩამორთმევას.

სად მოიაზრება მინორიტარ აქციონერთა აქციების სავალდებულო წესით გამოსყიდვის შემთხვევა? შედის თუ არა იგი სახელმწიფო რეგულირების სფეროში (კონტროლში)? თავისთავად, კონტროლი ნიშნავს ზედამხედველობას და მეთვალყურეობას. გარდა ამისა, კონტროლის კონტექსტში შეგვიძლია მოვიაზროთ სახელმწიფოებრივი რეგულირება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს სააქციო საზოგადოების აქციონერთა ურთიერთობის რეგულირებასთან.

აქციის ფლობა ნიშნავს საკუთრებით სარგებლობას შემდგომში გარკვეული შემოსავლის, ქონების გაზრდის მიზნით. სახელმწიფო კანონების მეშვეობით არეგულირებს საკუთრებით სარგებლობას -- ჩვენ შემთხვევაში აქციებით სარგებლობას – იმისათვის, რომ ამ საკუთრებით სარგებლობა შეესაბამებოდეს "საერთო ინტერესებს". საერთო ინტერესებში სახელმწიფო მოიაზრებს სანარმოს განვითარებასაც.

განსახილველ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ან გადაუდებელი აუცილებლობით გამონვეულ საკუთრების შეზღუდვასთან, ან ჩამორთმევასთან, თუნდაც სათანადო კომპენსაციის გაცემით, არამედ სააქციო საზოგადოებაში მინორიტარ აქციონერთა აქციების სავალდებულო გამოსყიდვასთან. ანუ, როდესაც სახელმწიფო არეგულირებს (კონტროლს უქვემდებარებს) სააქციო საზოგადოებაში მინორიტარ და მაჟორიტარ აქციონერთა ურთიერთობას და ამ ურთიერთობის ერთ მხარეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს. აღსანიშნავია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (1 BvL 16/60 "Feldmuehle-Urteil" 1.08.1962), რომლის თანახმად, ქონების (საკუთრების) ჩამორთმევა ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს სახელმწიფოს ან მისი იძულებითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის უფლებამოსილებიდან. კანონმდებელი

მაჟორიტარ აქციონერს გადაწყვეტილების მიღების ზოგად უფლებამოსილებას აძლევს. აქვე მხედველობაშია მისაღები სტრასბურგის მიერ განხილული "საქმე ბრემლიდი და მალმსტრომი შვედეთის წინააღმდეგ"<sup>1</sup> ანალოგიური დავის განხილვისას კომისიამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი კერძო კომპანიების მიმართ ზოგადი საკანონმდებლო პოლიტიკის პრაქტიკული გამოხატულებაა და ეხება აქციათა მფლობელებს შორის ურთიერთობებს. ასეთი სახის აქტის ზოგადი მიზანი, კომისიის აზრით, არის იმ ინტერესების დაცვა, რომელსაც სახელმწიფო მნიშვნელოვნად მიიჩნევს და არანაირი კავშირი არა აქვს „საზოგადოებრივ საჭიროებასთან“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს სახელმწიფოს უფლებასთან გარკვეული შეზღუდვის ფორმით (კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებით) არეგულიროს სააქციო საზოგადოებაში მინორიტარ და მაჟორიტარ აქციონერთა ურთიერთობა, რომლის მიზანია სააქციო საზოგადოებების ეფექტური განვითარებისათვის ხელშეწყობა და საინვესტიციო გარემოს შექმნა.

სავალდებულო გამოსყიდვის შემოღების მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარების კონტექსტში განპირობებულია საკორპორაციო წესრიგის დამყარებისა და საკორპორაციო ურთიერთობების განვითარებით, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სრულყოფილი სააქციო საზოგადოებები და, შესაბამისად, საფონდო ბირჟები.

მსხვილი აქციონერები, რომლებიც 95%-ზე მეტ აქციებს შეიძენენ, მოქმედებენ არა მხოლოდ, როგორც კერძო აქციონერები, არამედ მთლიანად სააქციო საზოგადოების სახელითა და ინტერესებისათვის. მსოფლიო საკორპორაციო სამართლის განვითარების პრაქტიკამ დაადასტურა მინორიტართა აქციების გამოსყიდვის წესის დანერგვის აუცილებლობის მრავალი მიზეზი, კერძოდ:

- მცირე აქციონერების არსებობა მსხვილი აქციონერებისათვის გარკვეულ ხარჯებსა და რისკებს უკავშირდება;

<sup>1</sup> Lars Bramelid and Anne-Marie Malmstrom v. Sweden (admissibility decision) 1982.

- მსხვილ აქციონერებს მცირე აქციონერები ხელს უშლიან ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელებაში და ამცირებენ ერთპიროვნული მმართველობიდან პოტენციური სარგებლის მიღებას;

- მცირე აქციონერების უფლებების განხორციელება დაკავშირებულია საკმაო ხარჯებთან (შეხვედრებზე მონაწილეობა, ინფორმაციის მიწოდება და სხვა);

- არსებობს მცირე აქციონერების მიერ უფლებების ბოროტად გამოყენების რისკი (ხშირად უსაფუძვლო ჩივილი სასამართლოში, საგადასახადო და სამართალდამცავ ორგანოებში).

აღნიშნული პრობლემების მოხსნა აუცილებელია სააქციო საზოგადოების მართვის და მენეჯმენტის ეფექტურობისათვის. იმ პირობებში, როდესაც 95%-ის მფლობელი 1 აქციონერი უთანხმებს დანარჩენი 5%-ის მფლობელებს უამრავ საკითხს, გართულებულია როგორც ადმინისტრირება და მენეჯმენტი, ასევე გაზრდილია ადმინისტრაციული ხარჯები. მაგალითად, “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის №3-ე მუხლის თანახმად, ყოველ აქციონერს უფლება აქვს მოსთხოვოს საზოგადოებას წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა პუბლიკაცია. გარდა ამისა, უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს, მოითხოვოს ახსნა-განმარტებები საზოგადოების სხვადასხვა ორგანოებიდან და ა.შ.

აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე, დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო, მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. თუ წერილობითი მოთხოვნა შეტანილია საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, მაშინ იგი კრებამდე უნდა შესრულდეს ან განიხილონ დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად.

აქცია შეფასებაუნარიანი მოთხოვნის უფლებაა, რაც მის სამართლიან ფასში გამოიხატება, თავის მხრივ, ეს უკანასკნელი აქციის ადეკვატური და ეკვივალენტურია. აქედან გამომდინარე, მინორიტარი აქციონერისაგან აქციის გამოსყიდვა მისი ფინანსური აქტივის თვისებრივი გარდაქმნაა და ამიტომ კომპანიიდან მისი გაყვანა (განდევნა) გამართლებულია თუ დაკმაყოფილებულია მისი შესაბამისი ფინანსური ინტერესი. ამ შემთხვევაში მინორი-

ტარი აქციონერი წარმოდგენილია, როგორც ინვესტირებაზე ორიენტირებული პირი და არა, როგორც კომპანიის პარტნიორი.

როგორც აღვნიშნე, მინორიტარული აქციის მფლობელთა მიერ კომპანიის შემდგომი რენტაბელობის გათვლა ან დივიდენდის აუცილებლად მიღების იმედი საფუძველს მოკლებულია. გარდა ამისა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მინორიტარ აქციონერს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა კომპენსაციის სახით მიღებული თანხა დააბანდოს იგივე ან სხვა პროფილის საწარმოში უკეთესი პირობებით, ან დაიწყოს საკუთარი ბიზნესი.

ყოველივე ზემოთქმული თავისთავად აღიარებს განსაზღვრულ შემთხვევებს, როცა მინორიტარული აქციის მფლობელთა ინტერესების დამცველი დებულება, კორპორაციული მართვის ეფექტურობის მიზნით, “მსხვერპლად ეწირება” უფრო წონად მაჟორიტართა ინტერესს. პრაქტიკაში აქციათა სავალდებულო გამოსყიდვა ხშირად გამართლებულია, როცა ეს ეხება კომპანიის სასიცოცხლო ინტერესებს, კერძოდ, მისი ოპერატიული მართვის, რეორგანიზაციის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. საქართველოს საკორპორაციო-სამართლებრივ სივრცეში აქციათა სავალდებულო მიყიდვის დამკვიდრებამდე არცთუ იშვიათად ადგილი ჰქონდა მინორიტარული აქციის მფლობელთა საზოგადოებიდან “ხელოვნურ” განდევნას, თუმცა ამ პროცედურას ხშირად მატყუარა ხასიათი ჰქონდა. ფაქტობრივად, ხდებოდა სიტუაციათა პროვოცირება, რომლის გამოც უმცირესობაში მყოფი აქციონერები იძულებულნი ხდებოდნენ საზოგადოებისაგან მოეთხოვათ მათი აქციების გამოსყიდვა, კერძოდ, “მენარმეთა შესახებ” კანონის 53.1 მუხლი ეძღვნება საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის საკითხს, სადაც აღნიშნულია, რომ აქციონერს, ზოგიერთ შემთხვევაში, უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს აქციების შეფასება და გამოსყიდვა (მაგალითად, სააქციო კაპიტალის გაზრდის მიზნით აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების, საწარმოს რეორგანიზაციის, აქციონერთა უფლების დარღვევის და სხვა შემთხვევაში). წარმოდგენილმა საკანონმდებლო ნოვაციამ კი სამართლებრივი საფუძველი შექმნა მინორიტარ აქციონერთათვის აქციათა სანაცვლოდ სამართლიანი და გარანტირებული კომპენსაციის მიღებაზე, ხოლო მაჟორიტარ აქციონერებს – კომპანიის

ოპერატიული და კომპეტენტური მართვის რეალურ და სამართლიან განხორციელებაზე. განსაკუთრებით ეს გამართლებულია ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, სადაც სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა სახელმწიფო სანარმოთა პრივატიზაციის გზითაა შექმნილი და მათში გაერთიანებულ მცირე აქციონერთა ინტერესი ფაქტობრივად პროფანირებულია.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად დავისა, მრავალი სახელმწიფოს შესაბამისმა სასამართლოებმა საკანონმდებლო ნორმა, აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის შესახებ, არ სცნო ქვეყნის კონსტიტუციასა და კონვენციასთან შეუსაბამოდ. კომპანიების ეფექტიანი მართვისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოქნილი მუშაობის უზრუნველყოფა საჯარო ინტერესს წარმოადგენს და სწორედ ამის მიღწევას ემსახურება მცირე აქციონერების წილის სავალდებულო გამოსყიდვის წესი.

2007 წელს მართალია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაუქმა “მენარმეთა შესახებ” კანონში აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის მარეგულირებელი ნორმის არსებული რედაქცია, თუმცა ამის მიზეზად აქციის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის დადგენის გაუმართლებელი მექანიზმი მიიჩნია. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებულ იქნა ახალი საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელმაც ფაქტობრივად გამოასწორა არსებული ხარვეზი. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული დამატების შესაბამისად, მაჟორიტარი აქციონერის (მყიდველის) განცხადება, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ, წარედგინება სასამართლოს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს:

- ა) სასამართლოს დასახელება;
- ბ) მყიდველი და მისი წარმომადგენელი;
- გ) განმცხადებლის მოთხოვნა;
- დ) მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება აქციათა გამოსყიდვის შესახებ განცხადების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება განცხადების შეტანამდე ერთი თვით ადრე მაინც;
- ე) რეესტრის მწარმოებელი პირის მისამართი;

ვ) თარიღი, რომლის (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი) მიხედვით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი).

მყიდველის განცხადებას აქციათა გამოსყიდვაზე განიხილავს მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები, მყიდველის იურიდიული მისამართის შესაბამისად.

აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენის მიზნით სასამართლო ნიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას. დამოუკიდებელმა ექსპერტმა ან საბროკერო კომპანიამ უნდა შეადგინოს გამოსყიდვის ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოება, გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრული აქციათა ფასი (დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი).

თუ სასამართლო დაადგენს აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან, იღებს გადაწყვეტილებას აქციათა სავალდებულო მიყიდვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

აქციათა სავალდებულო მიყიდვაზე სასამართლოს გადაწყვეტილებით დგინდება აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასი და თარიღი, რომლის (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი) მიხედვით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი).

სასამართლომ სამართლიანი ფასის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს:

- აქციების ღირებულება ფასიანი ქალაქების ბაზარზე;
- საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლები;

- საზოგადოების აქტივები (მათ შორის სანარმოს რეზერვები, სანარმოს საქმიანი რეპუტაცია, გამოცდილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები) და პასივები.

რაც შეეხება უცხოეთის ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილებას, ლიტვის კანონმდებლობით აქციათა გამოსყიდვისას სამართლიანი ფასი დგინდება შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- თუ მაჟორიტარმა აქციონერმა აქციების 90% მაინც შეისყიდა სატენდერო შეთავაზებით, სამართლიანი ფასი იქნება ამ აქციებში გადახდილი თანხა;

- სხვა შემთხვევაში მყიდველი თავად სთავაზობს სამართლიან ფასს (ამ შემთხვევაში მყიდველის მიერ შეთავაზებული ფასი უნდა დამტკიცდეს ფასიანი ქალაქების კომისიის მიერ. ფასის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ არგუმენტირებულად).

ლუქსემბურგის კანონმდებლობით, სამართლიან ფასს განსაზღვრავს მყიდველი კანონით დადგენილი პრინციპების დაცვით.

აშშ-ის კანონმდებლობით, მაჟორიტარების მიერ აქციათა გამოსყიდვის საკითხის განხილვისას დირექტორატი ვალდებულია არსებითად შეაფასოს ე.წ. "კერძო კომპანიად გარდაქმნის" (going private) აუცილებლობა და ასევე მისი ალტერნატივები. დადებითი გადანყვეტილების შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს სრულ ინფორმაციას გამოსასყიდ აქციათა ფასისა და გამოსყიდვის პირობების, აგრეთვე მონაცემებს აქციონერის მიერ აქციათა ღირებულების სავარაუდო გაზრდის შესახებ. ამასთან, კომპანია ვალდებულია აშშ-ის ფასიანი ქალაქების ბრუნვის კომიტეტს და ბირჟების კომისიას [SEC<sup>1</sup>] წარუდგინოს ინფორმაცია აქციათა გამოსყიდვის პირობების შესახებ.

განხილულ საკანონმდებლო ნოვაციას ერთგვარად აბალანსებს კიდევ ერთი საკანონმდებლო სიახლე, რომელიც უშუალოდ მინორიტარ აქციონერთა უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. აღნიშნული გულისხმობს აქციათა სავალდებულო სატენდერო

---

<sup>1</sup> SEC Security Exchange Commission - ფასიანი ქალაქების კომისია, რომელიც შექმნილია აშშ-ის კონგრესის მიერ 1934წ., იმ საბირჟო მარცხების განმეორების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც მოხდა 1929 წელს ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისას და "დიდი დეპრესია" გამოიწვია.

შეთავაზებას. კერძოდ, თუ აქციონერი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედი აქციონერთა ჯგუფი შეიძენს აქციათა პაკეტს, რის შედეგადაც აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 1/2-ზე მეტს, ამ ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს 45 დღისა ვალდებულია განახორციელოს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვაზე ან იმავე ვადაში ჩამოიყვანოს მისი კონტროლქვეშ არსებულ აქციათა რაოდენობა 1/2-ზე დაბლა. ამგვარ ოფერტზე თანხმობა მინორიტარი აქციონერის უფლებაა და არა ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში გამოსასყიდ ფასს დამოუკიდებელი ექსპერტი ან საბროკერო კომპანია ადგენს.

შეთავაზებული ფასი უნდა იყოს იმ ყველაზე მაღალი ფასის ტოლი, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა ამ საზოგადოების აქციაში.

დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი, ასევე ვალდებულია მიაწოდოს მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია აქციების ყიდვაზე დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას. დამოუკიდებელი ექსპერტი ან საბროკერო კომპანია მთელი ქონებით აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მიაყენა აქციონერს გაყიდვის მომენტში, დაუდევრობით ან განზრახ, არასწორი შეფასების შედეგად. თუ აქციონერის ხელთ არსებული აქციები ბოლო 6 თვის განმავლობაში უსასყიდლო გარიგების საფუძველზე მიაღწევს კანონით დადგენილ ზღვარს, გამოსასყიდ ფასს ადგენს სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული ნების შესაბამისად.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა სააქციო საზოგადოებათა მიერ სადივიდენდო პოლიტიკის შემუშავება-გატარებას. სადივიდენდო პოლიტიკა ითვალისწინებს გადანყვეტილებათა მიღებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა მაგალითად, წლიური შემოსავლის რა ნაწილი გაიცეს აქციონერებზე დივიდენდის სახით და რა ნაწილი დაკავდეს საზოგადოებაში წარმოების განვითარებისა და რეინვეს-

ტირების მიზნით. ამიტომ, კანონი ადგენს, რომ დივიდენდის ყოველწლიურად გაცემის შეპირება ბათილია.

სადივიდენდო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ურთიერთსა-წინააღმდეგო ფაქტორები. კერძოდ, ერთი მხრივ, დივიდენდის მოცულობის ზრდა აქციის კურსის ზრდის ტენდენციას განაპირობებს, მეორე მხრივ, ინვესტირების ხარჯზე შემოსავლის წილის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს აქციათა ფასის შემცირება.

სამენარმეო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავს კონკრეტულ დებულებას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულების კომპრომისის მისაღწევად. გამონაკლისია ნორმა, რომლის თანახმად სააქციო საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღონ გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ (მუხ.54.6"დ").

ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, გამარტივდა სს-ის მართვის სტრუქტურა. სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო აქციონერთა საერთო კრებაა. იგი მოიწვევა წელიწადში ერთხელ (დანარჩენ შემთხვევაში კრება რიგგარეშეა) საზოგადოების წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში და განიხილება ინფორმაცია გასული წლის საქმიანობის შესახებ; განისაზღვრება საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ აქციათა 75%-ზე მეტს ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, წესდებით განსაზღვრული ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები) მიერ, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელო-

ბის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნიდან 20 დღის შემდეგ. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად.

ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1% მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს, 1%-ზე ნაკლები რომელი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით.

აქციონერი კრების მუშაობაში მონაწილეობს პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა მხოლოდ წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

აქციონერთა საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს აქციონერთა შემადგენლობიდან, ხმათა უბრალო უმრავლესობით, ირჩევს საერთო კრება.

თუ სს-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ ესწრება ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით მოინვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ დაესწრება ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით მოინვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის (პარტნიორების) რაოდენობის მიუხედავად.

სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს დირექცია (ერთპიროვნული ან კოლექტიური ორგანო). დირექტორთა უფლებამოსილება განისაზღვრება

კანონისა და წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება კანონით დადგენილი ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი.

თუ დირექტორი არ შეასრულებს მასზე კანონით, წესდებითა და ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მისი ქმედებით მიყენებული ზიანი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. მტკიცების ტვირთი დელეგირებულია თავად დირექტორებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზიანის ფაქტის დადგენისას, დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი საქმეს უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნის კომპენსაცია.

2008 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, სს-ას აღარ ევალება ყველა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს სავალდებულოდ შექმნა. ფაქტობრივად, ევროპული ორდონიანი მართვის სისტემა შეიცვალა საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული ერთდონიანი მართვის სისტემით. "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 55-ე მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოება მხოლოდ მაშინაა ვალდებული მართვის სტრუქტურაში იქონიოს სამეთვალყურეო საბჭო, თუ იგი ანგარიშვალდებული სანარმოა, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდაა დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ან ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ან მასში აქციონერთა რაოდენობა 100-ს აღემატება. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ანგარიშვალდებულ სანარმოდ მიიჩნევა "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომლის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები (გარდა სრულად დაფარული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა) განთავსდა საჯარო შეთავაზების გზით ან/და დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე (საქ.კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", მუხ.9.1) (საჯარო ფასიანი ქაღალდები - ისეთი კლასის ფასიანი ქაღალდებია, რომლებიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე ან/და, რომლებსაც ჩანაწერი ფლობს ფასიანი ქაღალდების 100-ზე მეტი მფლობელი).

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კრება ირჩევს 1 წლის ვადით, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით ან წესდებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები). ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოში დირექტორები არ შეიძლება წარმოადგენდნენ უმრავლესობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო დაკარგავს კანონით მისთვის განსაზღვრულ ფუნქციურ დატვირთვას.

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ. მოწვევა ხდება წერილობით, სულ ცოტა 8 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მოადგილეს) შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილება უნარიანი იქნება, თუ დაესწრება წევრთა არანაკლებ 25%. თუ სამეთვალ-

ყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებათუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე) ინვევს აქციონერთა საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს უმთავრესი ფუნქციაა დირექტორთა დანიშვნა, გამოწვევა, მათი საქმიანობის კონტროლი. იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას საერთო კრება იღებს. ასევე, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გააკონტროლოს და შეამონწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; ასევე შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ, ქართული კანონმდებლობის მსგავსად, სს-ის მართვის ერთდონიანი სისტემა არსებობს ასევე საფრანგეთში, სადაც სამეთვალყურეო საბჭო ფაქულტატური ორგანოა. რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, სამეთვალყურეო საბჭოს ცნება მათთვის საერთოდ უცნობია.

სააქციო საზოგადოება უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები. აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვება კაპიტალის გაზრდით შეიძლება. სს-ის საერთო კრებამ ან წესდებით განსაზღვრულმა სხვა უფლებამოსილმა ორგანომ შეიძლება დაადგინოს კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვების სხვა გზა.

აქციაში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდი შეიძლება იყოს ობლიგაცია (obligatio-ვალდებულება), თამასუქი (wechsel – გაცვლა), ვარატი და სხვა. ობლიგაცია ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას ობლიგაციაში გამოხატული ღირებულების მიღების შესახებ. მასში დაფიქსირებული ვალდებულება სასესხო კაპიტა-

ლის დაბრუნებაზე შეიძლება იყოს როგორც პროცენტიანი, ისე უპროცენტო; ასევე როგორც სახელობითი (პირადი ფ.ქ), ისე საწარმომდგენლო. ნებისმიერ შემთხვევაში ობლიგაციის წარდგენა მსესხებლისათვის წარმოშობს ვალდებულებას – დაფაროს (გაისტუმროს) მასზე აღნიშნული თანხა.

პრინციპული განსხვავება აქციასა და ობლიგაციას შორის ისაა, რომ აქციის ყიდვისას ინვესტორი ხდება სააქციო საზოგადოების აქციონერი (პარტნიორი), ობლიგაციის შეძენისას – კრედიტორი.

თამასუქი აბსტრაქტული ფულადი ვალდებულების შემცველი ფასიანი ქალაქი, სავალი დოკუმენტის ნაირსახეობაა. თამასუქი შეიძლება იყოს მარტივი და რთული ანუ გადაცემითი. მარტივია თამასუქი, როცა მასზე სახელობით არის მითითებული, ვინ გასცა თამასუქი და ვინ უნდა მიიღოს ფულადი თანხა, ე.ი. გადამხდელი არის ის, ვინც გასცა თამასუქი, ხოლო მიმღები (კრედიტორი) ის, ვის სახელზეც გაიცა. გადაცემითი თამასუქი საორდერო ფასიანი ქალაქია, რომლის მფლობელს ყოველთვის შეუძლია თამასუქით გათვალისწინებული მისი უფლებები გადასცეს სხვა პირს სათანადო წარწერით (ინდოსამენტი). პირი, ვინც ასეთი წარწერით გადასცა უფლება სხვა პირს, პასუხისმგებელია თამასუქით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე, თუ ამ წარწერაში პირდაპირ არ არის მითითებული სხვა პირობა. თამასუქი გადახდისა და დაკრედიტების მოხერხებული ფორმაა, რომლის გამოყენება დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის.<sup>1</sup>

ვარატი – წარმოებული ფასიანი ქალაქი, სერტიფიკატის ნაირსახეობაა, რომელიც დადგენილ ვადაში ჩვეულებრივ აქციათა განსაზღვრული რაოდენობის შესყიდვის უფლებას ადგენს.

<sup>31</sup> ა. კობახიძე. სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი. თბ., 2001. გვ. 255.

## კოოპერატივი

კოოპერატივის, როგორც მენარმე სუბიექტის საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, მისი წევრების ინტერესების დაკმაყოფილებისკენაა მიმართული და არა მისი, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულის მიერ მოგების მიღებისაკენ. ეს ნიშანი კოოპერატივის წევრებისათვის არსებითი ეკონომიკური და იურიდიული გარანტიაა. ამასთან, არ გამოორიცხავს კოოპერატივის მიერ მოგების მიღების შესაძლებლობას.

პირველი კოოპერატივი ინგლისის საფეიქრო წარმოების ცენტრში, პატარა ქალაქ როჩდელში 1843 წელს შეიქმნა. მისი საქმიანობა სამი პრინციპის მკაცრად დაცვას ეფუძნებოდა, რომლებმაც მოგვიანებით როჩდელსური პრინციპების სახელწოდება მიიღო. ესენია:

- საქონლის გაყიდვა წარმოებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით;
- საქონელი იყიდება საბაზრო ფასით;
- კოოპერატივის მართვა ეკუთვნის ყველა წევრს, მკაცრად დემოკრატიულ საწყისებზე ("ერთი წევრი - ერთი ხმა").

შექმნიდან 10 წლის შემდეგ როჩდელის კოოპერატივს 24 ფილიალი, 13000 წევრი, 3200000 ფუნტი სტერლინგი კაპიტალი და 320000 ფ.ს. წლიური მოგება ჰქონდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მთელი რუსეთი კოოპერატივის ქსელით დაიფარა; პირობითად, ყოველი 100 კოოპერატივიდან 90 "გლეხური" იყო. კოოპერატიული საზოგადოებები, ამხანაგობები, არტელები, უმეტეს შემთხვევაში, თვით გლეხების მიერ კი არ იქმნებოდა, არამედ "ზემოდან" ახდენდნენ ამგვარი საწარმოების შექმნას.

"მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-60 მუხლის თანახმად, კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და არაა მიმართული უპირატესად მოგების მიღებაზე.

კოოპერატივებს მიეკუთვნება:

- ნედლეულის მომპოვებელი, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებს საკუთარი წევრებისათვის;
- სასოფლო-სამეურნეო ან სარენაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების მიზნით;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნის დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის (სასოფლო-სამეურნეო და სანარმოო კოოპერატივები) მიზნით;
- მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების მიზნით;
- სასოფლო-საკრედიტო;
- არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები;
- სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი), რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება "სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" საქართველოს კანონით.

კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

კანონი კოოპერატივის წევრობის წარმოშობის ორ გზას იცნობს: კოოპერატივის წევრობას დამფუძნებლის სახით და კოოპერატივის წევრად მიღებას მისი დაფუძნების შემდეგ.

კოოპერატივის საქმიანობა ძირითადად თვითდახმარების, თვითმმართველობისა და საკუთარი პასუხისმგებლობის პრინციპებს ემყარება.

**თვითდახმარება.** კოოპერატივი თავის წევრებს ხელს უწყობს იმ ამოცანათა შესრულებაში, რაც ცალკე ინდივიდის შესაძლებლობებს აღემატება.

თვითმმართველობა გულისხმობს, რომ კოოპერატივი ავტონომიური წარმონაქმნია.

საკუთარ პასუხისმგებლობაში იგულისხმება, რომ კოოპერატივის ვალდებულებებისათვის, როგორც წესი, პასუხს არ აგებენ კოოპერატივის წევრები, პასუხისმგებელია თავად კოოპერატივი, როგორც სამეურნეო ერთეული.<sup>1</sup>

საქართველოს კანონმდებლობით, კოოპერატივის შემადგენლობაში შედის მინიმუმ ორი პირი (გერმანიის კანონმდებლობით - მინიმუმ შვიდი, რუსეთის კანონმდებლობით - ხუთი), ხოლო წევრთა მაქსიმალური რაოდენობა კანონით არ განისაზღვრება.

კოოპერატივის წევრობის აუცილებელი პირობაა მასში გაერთიანებულ პირთა პირადი შრომითი ან სხვაგვარი მონაწილეობა კოოპერატივში, სწორედ ამიტომ მას ხშირად არტელს უწოდებენ. არტელი (ინგ. Cooperative, artel, work association) - პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, კოლექტიური მეურნეობის წარმართვის მიზნით.<sup>2</sup>

კოოპერატივის მართვის ორგანოებია: პარტნიორთა ან წარმომადგენელთა კრება, გამგეობა (დირექცია) და სამეთვალყურეო საბჭო.

საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული ხმების უფრო მეტი რაოდენობა ან სხვა დამატებითი მოთხოვნები. როგორც წესი, ყოველ წევრს აქვს თითო ხმა, თუმცა წესდებით შესაძლებელია დადგინდეს ხმათა განსხვავებული გადანაწილება (ქმედუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი ფიზიკური პირების ხმის უფლებას ახორციელებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები, ხოლო იურიდიულ პირთა ხმის უფლებას, კანონით ან/და წესდებით წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები. ფიზიკურ პირთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს ნოტარიულად).

<sup>1</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 454-55.

<sup>2</sup> რუსეთის კანონი "საწარმოო კოოპერატივის შესახებ" ადგენს: კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელიც უშუალოდ არ არის დასაქმებული კოოპერატივში, მაგრამ მათი რიცხვი შეზღუდულია, წევრთა მთელი რაოდენობის 25%-მდე (მუხ.7). ეს ნორმა უპირატესად იმ პირებს ეხება, რომლებმაც განახორციელეს რა შაის შეტანა, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მონაწილეობენ კოოპერატივის შრომით საქმიანობაში (მაგ., შრომისუუნარო პირები, კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის მემკვიდრეები და ა.შ.).

კოოპერატივის საერთო კრების უფლებამოსილებაში შედის:

- წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- პაის გაზრდა;
- რამდენიმე სავალდებულო პაით მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება;
- დამატებითი შესატანის შეტანის მოვალეობის შემოღება ან გაფართოება;
- რეზერვში გამსვლელ წევრთა მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება;
- რამდენიმე ხმის უფლების დაწესება ან გაფართოება;
- პაის დაყოფა.

თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება. თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, შეიძლება წესდებით განისაზღვროს, რომ საერთო კრების ნაცვლად ჩატარდეს წარმომადგენელთა კრება.

წარმომადგენლად შეიძლება არჩეულ იქნეს კონკრეტული კოოპერატივის ნებისმიერი წევრი – ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ შედის არც გამგეობის და არც სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

წარმომადგენელთა კრება შედგება სულ ცოტა 50 წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ირჩევენ კოოპერატივის წევრები. წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება, თავიანთი უფლებამოსილება სხვა პირებს გადასცენ. წარმომადგენლობის ვადა და საკითხი, თუ რამდენ წევრზე მოდის ერთი წარმომადგენელი, განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით.

კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ ორი დირექტორისგან. აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება კოოპერატივის დირექტორის არჩევასთან დაკავშირებით. სს-ის დირექტორებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო, კოოპერატივში დირექტორებს ირჩევს საერთო ან წარმომადგენელთა კრება, ოთხი სამეურნეო წლის ვადით. დირექტორები შეიძლება არ იყვნენ კოოპერატივის წევრები. კოოპერატივის წესდება შეიძლება სხვა პირობებსაც ითვალისწინებდეს.

კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭო შედგება საერთო კრების მიერ დამსწრე ხმების უბრალო უმრავლესობით არჩეული არანაკლებ 3 და არ უმეტეს 15 წევრისაგან. წევრთა რაოდენობა განისაზღვრება წესდებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა შეიძლება იყოს ანაზღაურებადი ან არაანაზღაურებადი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არა აქვს უფლება იმავდროულად იყოს გამგეობის წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებაა:

- აკონტროლოს გამგეობის საქმიანობა მართვის ყველა დარგში;
- მოითხოვოს გამგეობისაგან ანგარიში და უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული პირების მეშვეობით შეამონმოს საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა;
- შეამონმოს წლიური ბალანსი. შემონმების შედეგები მოახსენოს საერთო კრებას წლიური ბალანსის დამტკიცებამდე;
- მოიწვიოს საერთო კრება;
- წარმოადგინოს კოოპერატივი გამგეობასთან ერთად მესამე პირთან ხელშეკრულების დადებისას და წარმართოს პროცესი კოოპერატივის წევრების წინააღმდეგ, თუ ამას დაადგენს საერთო კრება;
- სხვა საქმიანობა, რომელსაც განუსაზღვრავს კოოპერატივის წესდება.

კოოპერატივის წევრებს შეაქვთ საპაიო შენატანები, რაც ერთობლიობაში სანარმოს ქონებას შეადგენს.

კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის რაოდენობა დამფუძნებლების მიერ განისაზღვრება. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი.

“მენარმეთა შესახებ” კანონის 68-ე მუხლის თანახმად, წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი კოოპერატივის წევრებს უნაწილდება. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის – მოგების მიმატებით და

ზარალის ჩამონერის გზით, წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის რაოდენობა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. სანამ არ მიიღწევა ზარალის შემცირებული პაის რაოდენობა, მოგება არ განაწილდება. წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ ჩაირიცხოს რეზერვში.

ნებისმიერ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება. გასვლის წესი და პროცედურა განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით.

კოოპერატივიდან გამსვლელ პარტნიორთა საბოლოო ანგარიშსწორება ხდება გასვლის დღისათვის არსებული ბალანსის საფუძველზე. თუ კოოპერატივიდან გასვლა ხდება სამეურნეო წლის განმავლობაში, მაშინ საფუძვლად აიღება ბოლო ბალანსი. კოოპერატივის წევრის აქტივები უნდა ანაზღაურდეს გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში; მას არა აქვს კოოპერატივის რეზერვებისა და სხვა ქონების მოთხოვნის უფლება.

კოოპერატივის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრებს, რომლებმაც პაი სრულად გადაიხადეს, გასვლის შემთხვევაში მიეცეთ პაის უკუმოთხოვნის უფლება, ამ მიზნით წლიური ნაშთის საფუძველზე შექმნილი რეზერვიდან. ეს მოთხოვნა წესდებით შეიძლება შეიზღუდოს ან დამოკიდებული იყოს რაიმე პირობაზე, მაგალითად, კოოპერატივის წევრად ყოფნის სტატუსზე.

კოოპერატივის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს სამეურნეო წლის განმავლობაშიც თავისი პაი წერილობითი შეთანხმებით გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, თუ პრეტენდენტი მის მაგივრად ხდება ან უკვე არის კოოპერატივის წევრი. წესდება შეიძლება კრძალავდეს ან დამატებით პირობებს უყენებდეს ამგვარ გადაცემას. გამგეობამ ეს შეთანხმება დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

კოოპერატივის წევრის გარდაცვალებისას წევრობა გადადის მის მემკვიდრეებზე, თუმცა წესდებით შესაძლებელია გათვალის-

წინებულ იქნეს განსაზღვრული წინაპირობაც (მაგალითად, მემკვიდრის წევრობა შეიძლება დამოკიდებული იყოს მის პიროვნულ ფაქტორზე). თუ მამკვიდრებელს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მათ შეუძლიათ საერთო კრებაზე ხმის უფლება განახორციელონ ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით.

**საქართველოში რეგისტრირებული  
მეწარმე სუბიექტთა  
სტატისტიკური მონაცემები  
(2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით)**

დასახელება	რაოდენობა
ინდივიდუალური საწარმო (მეწარმე)	134.219
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2.609
კომანდიტური საზოგადოება	125
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	51.032
სააქციო საზოგადოება	1.890
კოოპერატივი	2.672

## ტესტ-გლოსარიუმი

1. რას გულისხმობს სამენარმეო საქმიანობა?

ა) კანონიერ და ერთჯერად საქმიანობას მოგების მიღების ან ქველმოქმედების მიზნით.

ბ) ნებისმიერი სახის მომგებიან საქმიანობას, რომელიც წარმოებს ეკონომიკურად დამოუკიდებლად.

გ) მართლზომიერ, არაერთჯერად საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულიად.

2. რა სახის პასუხისმგებლობას იცნობს სამენარმეო სამართალი?

ა) მხოლოდ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.

ბ) კოლექტიურ პასუხისმგებლობას.

გ) ინდივიდუალურ, სოლიდარულ და სუბსიდიურ პასუხისმგებლობას.

3. სამენარმეო საქმიანობის მიზანია:

ა) ქველმოქმედება.

ბ) საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მოგების მიღება.

გ) მომავალი თაობის აღზრდა.

4. სამენარმეო-სამართლებრივი ურთიერთობები:

ა) კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა.

ბ) საჯარო-სამართლებრივი ხასიათისაა.

გ) "ა" და "ბ" ერთად.

5. სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება გულისხმობს:

ა) მენარმე სუბიექტის მიერ სამენარმეო საქმიანობის წარმართვის თავისუფლებას ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში.

ბ) მენარმე სუბიექტის მიერ სამენარმეო საქმიანობის წარმართვას მხოლოდ ზნეობრივი ნორმების შესაბამისად.

გ) მენარმე სუბიექტის მიერ სამენარმეო საქმიანობის წარმართვას თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში.

6. მეწარმეობის განხორციელება შეუძლია:

- ა) მხოლოდ ფიზიკურ პირს.
- ბ) მხოლოდ იურიდიულ პირს.
- გ) როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს.

7. რა ასაკიდან შეუძლია ფიზიკურ პირს გახდეს საწარმოს პარტნიორი?

- ა) ნებისმიერი ასაკიდან.
- ბ) 16 წლის ასაკიდან.
- გ) 18 წლის ასაკიდან.

8. სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სამართლებრივი ფორმებია:

ა) ინდივიდუალური საწარმო, სამეწარმეო ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება.

ბ) ერთი პირის საწარმო, სამეწარმეო ამხანაგობა, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი.

გ) ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი.

9. აქვს თუ არა არასამეწარმეო იურიდიულ პირს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება?

ა) აქვს, რადგან აქვს იურიდიული პირის სტატუსი.

ბ) არ აქვს, რადგან არაკომერციული (არასამეწარმეო) ხასიათისაა.

გ) აქვს, თუ ემსახურება მისივე მიზანს და თუ მიღებული მოგება არ განაწილდება არასამეწარმეო იურიდიული პირის წევრებს, დამფუძნებლებს ან/და შემომწირველებს შორის.

10. საწარმო ეს არის სამართალურთიერთობის

- ა) მხოლოდ სუბიექტი.
- ბ) მხოლოდ ობიექტი.
- გ) როგორც სუბიექტი, ისე ობიექტი.

11. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებია:

ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება.

ბ) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

გ) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კოოპერატივი.

12. კაპიტალური ტიპის საზოგადოებებია:

ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება და კოოპერატივი.

ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

გ) სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

13. ერთი პირის მიერ შეიძლება დაფუძნდეს:

ა) კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება.

გ) კოოპერატივი და სააქციო საზოგადოება.

14. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები შეიძლება იყვნენ:

ა) მხოლოდ ფიზიკური პირები.

ბ) ფიზიკური ან/და იურიდიული პირები.

გ) ფიზიკური ან/და იურიდიული პირები, სახელმწიფოს გარდა.

15. სამეწარმეო სფეროში დადებული ხელშეკრულება იურიდიული ბუნებით:

ა) წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ნაირსახეობას.

ბ) პრინციპულად განსხვავდება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან.

გ) ზოგიერთ შემთხვევაში, სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ანალოგიურია.

16. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციულ იურიდიულ პირთა რეგისტრაცია ხდება:

- ა) სასამართლოში.
- ბ) საგადასახადო ორგანოში.
- გ) საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

17. საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს:

- ა) ერთ-ერთ პარტნიორს.
- ბ) ყველა პარტნიორს ერთად.
- გ) მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელს.

18. რა ვადაში შედის ძალაში მარეგისტრირებელი ორგანოს გადანყვეტილება რეგისტრაციის შესახებ?

- ა) დოკუმენტების წარდგენისთანავე.
- ბ) დოკუმენტების წარდგენიდან 3 დღეში.
- გ) მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე.

19. შეიძლება თუ არა გასაჩივრდეს მარეგისტრირებელი ორგანოს გადანყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ?

- ა) შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში.
- ბ) არ შეიძლება გასაჩივრდეს.
- გ) შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

20. აუდიტის შემონმების შედეგია:

- ა) აუდიტის დასკვნა.
- ბ) აუდიტის აქტი.
- გ) აუდიტის ანგარიში.

21. კომერციული იურიდიული პირის ქვედანაყოფი ავტონომიურად დამოუკიდებელია, თუ შექმნილია როგორც:

- ა) ფილიალი.
- ბ) განყოფილება.
- გ) დეპარტამენტი.

22. ფილიალი არის:

ა) განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ, მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს მის ფუნქციებს.

ბ) განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელსაც აქვს განცალკევებული ქონება და დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა. გამოდის საკუთარი სახელით.

გ) შვილობილი საწარმოს იდენტური წარმონაქმნი.

23. სავალდებულოა თუ არა ფილიალის რეგისტრაცია?

ა) ყველა შემთხვევაში სავალდებულოა.

ბ) არც ერთ შემთხვევაში არ არის სავალდებულო.

გ) სავალდებულოა, თუ ფილიალს ქმნის უცხო ქვეყნის იურიდიული პირი.

24. შეიძლება თუ არა საფირმო სახელწოდების გასხვისება?

ა) შეიძლება ნებისმიერი წესით.

ბ) შეიძლება მხოლოდ საწარმოსთან ერთად.

გ) არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება.

25. რას ნიშნავს ფირმაზე განსაკუთრებული უფლება?

ა) ყველა სხვა მენარმეს ეკრძალება იგივე სახელწოდების ან სასაქონლო ნიშნის საქმიან ურთიერთობებში გამოყენება.

ბ) სხვა მენარმეს შეუძლია გამოიყენოს საფირმო სახელწოდება, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებს პარტნიორთა უმრავლესობა.

გ) ერთი და იგივე საფირმო სახელწოდებით მოსარგებლე საწარმოთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

26. საწარმოს ქონება ეკუთნის:

ა) მხოლოდ სანივთო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

ბ) მხოლოდ ვალდებულებითი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

გ) როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

27. საწარმოს ქონებაში არაფულადი შესატანი შეიძლება განხორციელდეს:

ა) მხოლოდ ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით.

ბ) მხოლოდ ქონებრივი ობიექტების სახით.

გ) ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების, ასევე სამუშაოს შესრულების ან/და მომსახურების გაწევის სახით.

28. ვინ ახორციელებს საწარმოს ხელმძღვანელობას ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებში?

ა) სპს-ში - ნებისმიერი პარტნიორი, კს-ში კომპლემენტარები, პარტნიორთა თანხმობით შესაძლებელია ხელმძღვანელობა კომანდიტსაც დაევალოს.

ბ) დირექტორები.

გ) პარტნიორი, რომლის წილი საწარმოს ქონებაში ყველაზე მეტია.

29. ზოგადი წესის თანახმად, ვინ ხელმძღვანელობს კომანდიტურ საზოგადოებას, თუ მისი ერთადერთი კომპლემენტარი იურიდიული პირია?

ა) კომპლემენტარი იურიდიული პირის დირექტორი;

ბ) კომპლემენტარი იურიდიული პირის მიერ დანიშნული ფიზიკური პირი;

გ) კომანდიტი.

30. იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, როგორ შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო?

ა) მხოლოდ პარტნიორთა გადანყვეტილებით;

ბ) საქართველოს მთავრობის გადანყვეტილებით;

გ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის გადანყვეტილებით.

31. ზოგადი წესის თანახმად, ვინ ახორციელებს საწარმოს ხელმძღვანელობას კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში?

ა) დირექტორი (დირექცია), თუ პარტნიორთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი;

- ბ) ყველა პარტნიორი ერთად.  
გ) პარტნიორი ან პარტნიორთა ჯგუფი, რომელთა წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში მინიმუმ 20%-ია.

32. რა ფუნქცია აკისრია დირექტორს (დირექციას)?

- ა) მხოლოდ საზოგადოების მართვის ფუნქცია.  
ბ) მხოლოდ საზოგადოების მესამე პირებთან წარმოდგენის ფუნქცია.  
გ) ორივე ზემოთ დასახელებული ფუნქცია ერთად.

33. როგორია დირექტორის პასუხისმგებლობა?

- ა) დირექტორი პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.  
ბ) მხოლოდ თავისი წილით საწარმოს კაპიტალში.  
გ) აანაზღაურებს ზიანის 50%-ს, დანარჩენი ნაწილდება საზოგადოების პარტნიორებზე.

34. ვინ შეიძლება იყოს საწარმოს დირექტორი?

- ა) ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი.  
ბ) ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი ან მისივე პარტნიორი იურიდიული პირის წარმომადგენელი.  
გ) მხოლოდ საწარმოს პარტნიორი.

35. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა:

- ა) პარტნიორთა საერთო კრება.  
ბ) დირექცია.  
გ) სამეთვალყურეო საბჭო.

36. რა შემთხვევაში მოიწვევა კოოპერატივის წარმომადგენლების კრება?

- ა) თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 700-ზე მეტია.  
ბ) ნებისმიერ შემთხვევაში, კოოპერატივის წევრთა გადაწყვეტილებით.  
გ) თუ წევრთა რაოდენობა 500-ზე მეტია ან თუ წესდებით განისაზღვრა, რომ 200-ზე მეტი წევრის არსებობის შემთხვევაში ჩატარდეს წარმომადგენლების კრება.

37. რა სახის წარმომადგენლობა გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებებისას?

- ა) მხოლოდ პირდაპირი წარმომადგენლობა.
- ბ) მხოლოდ არაპირდაპირი წარმომადგენლობა.
- გ) როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი წარმომადგენლობა.

38. რა ეწოდება სპეციალური (გენერალური) სავაჭრო მინდობილობის მფლობელს?

- ა) პროკურისტი.
- ბ) პროკრუსტი.
- გ) პროკონსული.

39. პროკურა შეიძლება გაუქმდეს:

- ა) პროკურისტის გარდაცვალების შემთხვევაში.
- ბ) ნებისმიერ დროს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების უფლების ხელყოფის გარეშე.
- გ) ნებისმიერ ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში.

40. სავაჭრო წარმომადგენლის მიერ განეული მომსახურების საზღაურს ეწოდება:

- ა) პროვიზია.
- ბ) პროვანსალი.
- გ) პროვიანტი.

41. პირს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის სახით სხვა პირთათვის კისრულობს საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირავნობის ხელშეკრულებათა დადების ან სავაჭრო საქმიანობის სხვა საგნების შუამავლობას ისე, რომ მათგან არა აქვს ეს ხელშეკრულებით მუდმივად დავალებული, ეწოდება:

- ა) სავაჭრო მაკლერი.
- ბ) სავაჭრო დილერი.
- გ) კომისიონები.

42. პირს, რომელიც ასრულებს ხელშეკრულების დასადებად აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოს, ამზადებს გარიგების პროექტს და უგზავნის მხარეებს, ეწოდება:

- ა) დელკლედერე აგენტი.

- ბ) ბროკერი.
- გ) კომისიონერი.

43. სავაჭრო კომისიის ხელშეკრულების მხარეს, რომელსაც შეუძლია საგარეო ვაჭრობის სფეროში კომისიონერს დაავალოს ხელშეკრულებათა დადება საქონლის იმპორტზე, ფრაჩტზე, სესხის აღებაზე, საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე და ა.შ. ეწოდება:

- ა) დილერი.
- ბ) პროკურისტი.
- გ) კომიტენტი.

44. მესამე პირებთან ურთიერთობაში კომისიონერები გამოდიან, როგორც:

- ა) მყიდველები.
- ბ) გამყიდველები.
- გ) შუამავლები.

45. სანარმოს შექმნის დამამთავრებელი ეტაპია:

ა) სანარმოს დამფუძნებელთა მიერ წესდებაზე ხელმოწერის მომენტი.

ბ) სანარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიუსის მიერ დამონმება-დადასტურების მომენტი.

გ) სანარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მომენტი.

46. რა ვადით შეიძლება შეიქმნას სანარმო?

- ა) მხოლოდ განსაზღვრული ვადით.
- ბ) სანარმოს შექმნისას ვადა არ განისაზღვრება.
- გ) როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით.

47. სანარმოს რეორგანიზაციის ფორმებია:

- ა) გარდაქმნა, შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა.
- ბ) შთანთქმა და დაშლა.
- გ) გამსხვილება და დანაწევრება.

48. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდეგ, ზოგადი წესის თანახმად:

ა) ნაწილდება პარტნიორებს შორის მათ მიერ გაღებული თანხებისა და წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.

ბ) ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

გ) გადაეცემა სანარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს (პირებს).

49. თუ სანარმოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული სანარმოს ყველა კრედიტორი, მაშინ:

ა) მათი დაკმაყოფილება მოხდება სასამართლოს ან ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე დეპონირებული თანხიდან ან ქონებიდან.

ბ) ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებას აღარ ექვემდებარება.

გ) მათი დაკმაყოფილება მოხდება პარტნორთა მიერ, წილების პროპორციულად.

50. როგორია გაყოფის შედეგად წარმოქმნილი სანარმოების პასუხისმგებლობა, თავდაპირველი სანარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის.

ა) სოლიდარული;

ბ) გაყოფის შედეგად გადანაწილებული წილების პროპორციული;

გ) პასუხისმგებლობის საკითხი საერთოდ არ დგება, რადგან გაყოფამდე არსებული თავდაპირველი სანარმო, როგორც სუბიექტი აღარ არსებობს (ლიკვიდირებულია).

51. რას ნიშნავს გადახდისუუნარო სანარმოს რეაბილიტაცია?

ა) ვალების აქსელერაცია.

ბ) მოვალის ფინანსურ გაჯანსაღებას.

გ) დაჩქარებული წესით ლიკვიდაციას.

52. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს კრედიტორთა დაკმაყოფილება შეიძლება მოვალე სანარმოს:

ა) მხოლოდ ლიკვიდაციით.

ბ) მხოლოდ რეაბილიტაციით.

გ) ლიკვიდაციით ან რეაბილიტაციით.

53. ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედ სუბიექტთა მეტოქეობას, ბაზარზე უპირატესობის მოპოვების სურვილს ეწოდება:

- ა) მონოპოლია.
- ბ) კონკურენცია.
- გ) კომერცია.

54. ბაზარზე რამდენიმე მსხვილი საწარმოს ბატონობას ეწოდება:

- ა) ოლიგოპსონია.
- ბ) ოლიგოპოლია.
- გ) მონოპსონია.

55. ბაზარზე რამდენიმე მსხვილი მყიდველის ბატონობას ეწოდება:

- ა) ოლიგოპსონია.
- ბ) ოლიგოპოლია.
- გ) მონოპსონია.

56. სამეწარმეო სამართალდარღვევათა პასუხისმგებლობის განსაზღვრისას გამოიყენება:

- ა) მხოლოდ კერძო-სამართლებრივი ნორმები.
- ბ) მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი ნორმები.
- გ) როგორც კერძო-სამართლებრივი, ისე საჯარო-სამართლებრივი ნორმები.

57. აქვს თუ არა კრედიტორს უფლება ვალის გადახდა მოსთხოვოს სპს-ის ერთ-ერთ პარტნიორს?

- ა) კრედიტორს აქვს უფლება ვალის გადახდა მოსთხოვოს სპს-ის ერთ-ერთ პარტნიორს.
- ბ) კრედიტორს არა აქვს უფლება ვალის გადახდა მოსთხოვოს სპს-ის ერთ-ერთ პარტნიორს. ვალი უნდა გადაიხადოს საზოგადოების ყველა პარტნიორმა ერთდროულად, პირველივე მოთხოვნისთანავე.

გ) ვალის გადახდაზე ვალდებულია სპს-ის მხოლოდ მმართველი პარტნიორი (პარტნიორები).

58. პასუხისმგებელია თუ არა სპს-ის შემადგენლობიდან გასული პარტნიორი იმ ვალდებულებაზე, რომელიც საზოგადოებამ იკისრა მისი პარტნიორად ყოფნის დროს?

ა) პასუხისმგებელია ყველა შემთხვევაში.

ბ) არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი.

გ) არ არის პასუხისმგებელი, თუ მან საზოგადოებიდან გასვლის მომენტში წერილობით განაცხადა ვალდებულებათა მოხსნის შესახებ.

59. როგორ აგებენ პასუხს კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორები, რომელთაც საზოგადოების ქონებაში სრულად არ შეუტანიათ წინასწარ დათქმული შესატანი?

ა) პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები.

ბ) წინდათქმული შესატანის რაოდენობით.

გ) მხოლოდ განხორციელებული შენატანის რაოდენობით.

60. რა შემთხვევაში შეუძლია სპს-ის პარტნიორს წილის გასხვისება?

ა) თუ ყველა დანარჩენი პარტნიორი წინასწარ განაცხადებს თანხმობას ან თუ საზოგადოების წესდებით დაშვებულია გასხვისება.

ბ) სპს-ის პარტნიორი წილის გასხვისებაზე საერთოდ არ არის უფლებამოსილი.

გ) თუ წერილობით თანხმობას გამოსთქვამს პარტნიორთა ნახევარი მაინც.

61. სპს-ის პარტნიორის გასვლის ან მისი გარიცხვის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში:

ა) უქმდება.

ბ) ნაწილდება დარჩენილ პარტნიორებზე.

გ) გადაეცემა კრედიტორებს.

62. სპს-ის უმემკვიდრეოდ დარჩენილი პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი:

ა) ნაწილდება დარჩენილ პარტნიორებზე.

ბ) გადაეცემა საზოგადოების კრედიტორებს.

გ) გამოიყენება მხოლოდ საქველმოქმედო მიზნებისათვის.

63. კომანდიტის წილი შეიძლება გასხვისდეს ან/და გადაეცეს მემკვიდრეობით:

ა) სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

ბ) თუ წერილობით თანხმობას გამოსთქვამს ყველა დანარჩენი პარტნიორი.

გ) თუ თანახმაა ყველა კომპლემენტარი პარტნიორი.

64. შპს-ის ქონებაში თითოეული პარტნიორის შესატანის ოდენობა განისაზღვრება:

ა) კანონით.

ბ) საწარმოს წესდებით.

გ) საერთოდ არ განისაზღვრება.

65. ვის შეუძლია მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება შპს-ში?

ა) ყოველ პარტნიორს ან/და დირექტორს.

ბ) პარტნიორებს, რომელთა წილი ერთად საწარმოს კაპიტალის მეოცედს შეადგენს.

გ) პარტნიორებს, რომელთა წილი ერთად საწარმოს კაპიტალის ნახევარს შეადგენს და დირექტორს.

66. შპს-ში წლიური წმინდა მოგების განაწილება ხდება:

ა) კანონით დადგენილი პროპორციით.

ბ) მხოლოდ წილის პროპორციულად.

გ) პარტნიორთა შეთანხმებით.

67. რა შემთხვევაშია ვალდებული სააქციო საზოგადოება, აქციონერთა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით?

ა) ასეთი ვალდებულება სააქციო საზოგადოების მიმართ მოქმედი კანონმდებლობით საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

ბ) თუ აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია.

გ) თუ აქციონერთა რაოდენობა 100-ზე მეტია.

68. რა სახის აქციებს გაცემს სააქციო საზოგადოება?

- ა) ჩვეულებრივს და არაჩვეულებრივს.
- ბ) ჩვეულებრივს და პრივილეგირებულს.
- გ) ჩვეულებრივს და სპეციალურს.

69. ფასიან ქალაქს, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების აქციონერობას, ეწოდება:

- ა) ჩეკი.
- ბ) აქცია.
- გ) ობლიგაცია.

70. უფლებამოსილია თუ არა კომერციული ბანკი საწესდებო კაპიტალის დამატებითი აქციების გამოშვებაზე?

- ა) ნებისმიერ შემთხვევაში უფლებამოსილია.
- ბ) უფლებამოსილია ეროვნული ბანკის მიერ წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.
- გ) არ არის უფლებამოსილი.

71. ობლიგაციაში გამოხატული ვალდებულება სასესხო თანხის დაბრუნებაზე შეიძლება იყოს:

- ა) მხოლოდ პროცენტისანი.
- ბ) მხოლოდ უპროცენტო.
- გ) როგორც პროცენტისანი, ისე უპროცენტო.

72. სააქციო საზოგადოება ობლიგაციას უშვებს:

- ა) დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე.
- ბ) საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- გ) აქციათა 50%-ის მფლობელ აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

73. შეიძლება თუ არა აქციონერს იმავე სს-თან ჰქონდეს შრომითი ურთიერთობა?

- ა) არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია.
- ბ) შეუძლია, ოღონდ საზღაურის გარეშე. ასეთ შემთხვევაში საზღაური დივიდენდის სახით გაიცემა.
- გ) შეუძლია განსაზღვრული შრომის ანაზღაურებით, რომელიც დივიდენდს არ წარმოადგენს.

74. შეიძლება თუ არა საწარმოს დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?

ა) არ შეიძლება, რადგან საწარმო არ არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტი.

ბ) შეიძლება.

გ) შეიძლება, მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე.

75. აქციათა სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისას აქციის ფასს ადგენს:

ა) თავად სააქციო საზოგადოება.

ბ) სასამართლო.

გ) დამოუკიდებელი ექსპერტი ან საბროკერო კომპანია.

76. რამდენი პროცენტის მფლობელ აქციონერებს აქვს აქციათა სავალდებულო მიყიდვის მოთხოვნის უფლება?

ა) 51%.

ბ) 90%.

გ) 95%

77. რა შემთხვევაში არ არის საჭირო აქციონერთა კრების მონვევა?

ა) თუ საწესდებო კაპიტალის 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ) თუ საწესდებო კაპიტალის 95%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

გ) აქციონერთა კრება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს.

78. ვინ ხელმძღვანელობს აქციონერთა კრებას?

ა) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კრება გადაიდება.

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას მოადგილე, მოადგილის არყოფნისას ერთ-ერთი დირექტორი, მისი

არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.

გ) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას მოადგილე, მოადგილის არყოფნისას მოსამართლე..

79. აქციათა სავალდებულო მიყიდვისას აქციის ფასს ადგენს:

ა) თავად სააქციო საზოგადოება.

ბ) სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტი ან საბროკერო კომპანია.

გ) საზოგადოების დირექტორის მიერ დანიშნული ექსპერტი ან საბროკერო კომპანია.

80. გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ვინ იღებს საქმეზე არსებით გადაწყვეტილებას?

ა) სასამართლო.

ბ) მომრიგებელი საბჭო.

გ) მეურვე, კრედიტორებთან შეთანხმებით.

81. საწარმოს გაკოტრებისას მაქსიმუმ რამდენი აუქციონის ჩატარებაა კანონით დაშვებული?

ა) მაქსიმალური რაოდენობა კანონით არაა განსაზღვრული.

ბ) სამი.

დ) ორი.

# ამოცანები

## ამოცანა 1

ინდივიდუალურმა მენარმე ჯიქიამ ჩეგობარ ბაქრაძესთან ერთად დააფუძნა კომანდიტური საზოგადოება "კს ბაქრაძე და კომპანია", სადაც ჯიქია შევიდა კომანდიტის, ხოლო ბაქრაძე კომპლიმენტარის სტატუსით. საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტებში განისაზღვრა, რომ სანარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ჯიქია განახორციელებდა.

სანარმოს რეგისტრაციის შემდეგ ბაქრაძემ სცადა ჯიქიას ჩამოშორება სანარმოს ხელმძღვანელობიდან იმ მიზეზით, რომ იგი კომანდიტი იყო და საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება მხოლოდ მინდობილობის საფუძველზე ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით, ჯიქიამ განაცხადა, რომ მას, როგორც იურიდიული პირის ხელმძღვანელს, მინდობილობა არ ესაჭიროებოდა.

- გადაწყვიტეთ წამოჭრილი დავა.

## ამოცანა 2

სააქციო საზოგადოება "მოგზაურის" დირექციის სხდომაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღეს გადაწყვეტილება 200.000 ლარის ღირებულების არასაცხოვრებელი ფართობის ყიდვის შესახებ, რაც საზოგადოების აქტივების ღირებულების 35% შეადგენდა.

გარიგების დადებიდან ერთი თვის შემდეგ აღნიშნული გარიგება ბათილად იქნა ცნობილი.

- რა წესს განამტკიცებს მოქმედი კანონმდებლობა სააქციო საზოგადოებათა მიერ აღნიშნული ტიპის გარიგებათა დადებისას?

## ამოცანა 3

ხელმძღვანელთა დაუდევრობით სააქციო საზოგადოება "ფარონს" მიადგა 100.000 ლარის ზარალი.

საზოგადოებამ სარჩელით მიმართა სასამართლოს, რითაც დირექტორებისგან მოითხოვა ზარალის სრულად ანაზღაურება.

- რა შემთხვევაში წარმოიშობა სააქციო საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობა?

- ექვემდებარება თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოების მიერ წარდგენილი სარჩელი დაკმაყოფილებას?

#### ამოცანა 4

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ერთ-ერთმა პარტნიორმა საწარმოს შემადგენლობიდან გასვლისას მოითხოვა საზოგადოების კაპიტალში მის მიერ შეტანილი 2.000 ლარი და არაფულადი სახით შეტანილი 10 კომპიუტერი "პენტიუმ-5".

- რა წესით ხდება შპს-ის პარტნიორის საზოგადოების შემადგენლობიდან გასვლა?

- კანონიერია თუ არა კონკრეტული პარტნიორის მოთხოვნა?

#### ამოცანა 5

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან საწყობის მშენებლობასთან დაკავშირებით დადო ნარდობის ხელშეკრულება. მშენებლობის დასრულების შემდეგ სპს-მ შესრულებული სამუშაო მხოლოდ ნაწილობრივ აანაზღაურა იმ მიზეზით, რომ მის ანგარიშზე მეტი თანხა არ ირიცხებოდა.

შპს-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სპს-ის პარტნიორებისგან დავალიანების სრულად დაფარვა.

- კანონიერია თუ არა კრედიტორის მოთხოვნა?

- როგორია სპს-ის პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე?

#### ამოცანა 6

საქველმოქმედო ფონდი "ქველი" ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას, საიდანაც მიღებულ მოგებას ახმარდა ფონდის მიზნებს. საგადასახადო ორგანომ არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება და ამ საქმიანობით მოგების მიღების ფაქტი ჩათვალა არაკანონიერად და ფონდს დააკისრა ამონაგები თანხის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

- კანონიერია თუ არა საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა?

## ამოცანა 7

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მონადირემ" სასამართლოს მიმართა სარჩელით და მოითხოვა სააქციო საზოგადოება "მოგზაურის" ლიკვიდაცია იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი რეალიზაციას უკეთებდა არაკონდიციურებულ და წუნდებულ საქონელს. ამასთან, ეწეოდა არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, რაც გამოიხატებოდა მის მიერ წარმოებული საქონლის არაკორექტულ შედარებაში შპს "მონადირის" მიერ წარმოებულ საქონელთან.

- როგორ უნდა გადაწყდეს დავა?

## ამოცანა 8

სააქციო საზოგადოება "დურუჯის" აქციონერთა საერთო კრებაზე ხმების 51% მფლობელმა პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის, კერძოდ, სს-ის შპს-ად გარდაქმნის თაობაზე.

მარეგისტრირებელმა ორგანომ უარი განაცხადა ახლად წარმოქმნილი შპს-ის რეგისტრაციაზე.

- მართებულია თუ არა მარეგისტრირებელი ორგანოს უარი?

- რა წესით ხორციელდება სს-ის გარდაქმნა შპს-ად?

## ამოცანა 9

საგადასახადო ორგანომ სარჩელით მიმართა ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვა შპს "მნათობის" ლიკვიდაცია იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი უხეშად არღვევდა საგადასახადო კანონმდებლობას. კერძოდ, არ ჰქონდა წარმოდგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები და მაჩვენებლები.

- კანონიერია თუ არა საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა?

## ამოცანა 10

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ორნამენტი-სა" და შპს "ტყის ნობათის" პარტნიორთა გადაწყვეტილებით, კანონის ნორმათა დაცვით, განხორციელდა რეორგანიზაცია. კერ-

ძოდ, შპს "ტყის ნობათი" შეუერთდა შპს "ორნამენტს". რეორგანიზაციის ფაქტის რეგისტრაციიდან ორი თვის შემდეგ შპს "ორნამენტს" ერთ-ერთმა კლიენტმა მოთხოვნა წარუდგინა "ტყის ნობათის" მიერ შეკეთებული შენობის სახურავის უხარისხო ჰიდროიზოლაციით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ. შპს "ორნამენტმა" იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი არ ყოფილა ხელშეკრულების მხარე, უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე და პასუხისმგებლობა დააკისრა "ტყის ნობათის" ყოფილ ხელმძღვანელებს.

- ვინ უნდა აანაზღაუროს ზიანი?

## ამოცანა 11

მაჭავარიანმა 2000 წ. შედგენილი ანდერძით, მის საკუთრებაში არსებული ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი დაუტოვა დისშვილს, ნოზაძეს. 2004 წელს მაჭავარიანი შევიდა რა პარტნიორად შპს-ს შემადგენლობაში, საწარმოს ქონებაში, არაფულადი შესატანის სახით, შეიტანა ზემოხსენებული ერთსართულიანი სახლი. 2009 წელს, მაჭავარიანის გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ, შპს-გან ნოზაძემ მოითხოვა ანდერძში მოხსენიებული სახლის ან საწარმოში არსებული მაჭავარიანის წილის მის საკუთრებაში გადაცემა. შპს-მ მის მოთხოვნაზე უარი განაცხადა.

- განიხილეთ საკითხი და მიიღეთ გადაწყვეტილება.

## ამოცანა 12

ობოლაძე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შპს "თოლიაში" მუშაობდა, იმავდროულად იყო აღნიშნული შპს-ის პარტნიორი.

საკუთარი განცხადებით სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ იგი ამორიცხულ იქნა შპს-ს პარტნიორთა შემადგენლობიდან.

ობოლაძემ სასამართლოს მიმართა განცხადებით შპს-ის პარტნიორად აღდგენის მოთხოვნით. სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ობოლაძე სამსახურიდან საკუთარი განცხადებით განთავისუფლდა.

- მართებულია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

## ამოცანა 13

შპს-მ საქმიანობა დაიწყო შიგასაქალაქო გადაზიდვებით. მოგვიანებით გააფართოვა საქმიანობის სფერო, კერძოდ, ახორციელებდა საექსპედიტორო საქმიანობას და მონაწილეობდა სასაწყობო ოპერაციებში.

საზოგადოების იურისტმა ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ საქმიანობის შეცვლის შემთხვევაში საჭიროა წესდებაში ცვლილებების შეტანა.

- მართებულია თუ არა იურისტის კონსულტაცია?

## ამოცანა 14

სააქციო საზოგადოებაში, რომელიც დაარსდა უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, აქციები შემდეგნაირად იყო განაწილებული: 40% ეკუთვნოდა გერმანულ სანარმოს, 20% - შვედურ სანარმოს, 20% - ქართველ მოქალაქეს და 20% - უკრაინელ მოქალაქეს.

აქციონერთა კრების მოწვევისას დირექცია სირთულეს აწყდებოდა კრების ჩატარების დროისა და ადგილის დადგენასთან დაკავშირებით.

- რა რეკომენდაციას გაუწევთ სს-ის დირექციას კრების ჩატარების წესთან დაკავშირებით?

## ამოცანა 15

შეიძლება თუ არა საჯარო მოხელე ერთდროულად იყოს სააქციო საზოგადოების: პარტნიორი, დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი?

## ამოცანა 16

სასურსათო მაღაზიის კოლექტივმა კონკურსის წესით შეიძინა აღნიშნული ობიექტი და რეგისტრაციაში გატარდა, როგორც შპს. რამდენიმე თვის შემდეგ კოლექტივი დარწმუნდა საქმიანობის არარენტაბელობაში და მიიღო გადაწყვეტილება, სასურსათო

მაღაზია დაეხურათ და სათამაშო ავტომატების ცენტრი გაეხსნათ.

- უფლებამოსილია თუ არა შპს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის შეცვლის თაობაზე?

### ამოცანა 17

შპს "პეგასის" დამფუძნებელთა საერთო კრებამ, წინასწარ შეთანხმებულ ვადაში, საზოგადოების კაპიტალში შესატანის სრულად შეუტანლობის საფუძველზე, დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ, პარტნიორთა შემადგენლობიდან გარიცხა ერთი პარტნიორი და მის ნაცვლად იმავე კრების გადაწყვეტილებით მეორე მიიღო.

გარიცხულმა პარტნიორმა სარჩელი აღძრა შპს "პეგასის" წინააღმდეგ. მიუთითა, რომ საზოგადოებამ დაარღვია პარტნიორის გარიცხვის კანონიერი წესი და მოითხოვა ამავე საზოგადოებაში პარტნიორად აღდგენა.

- მიიღეთ გადაწყვეტილება.

### ამოცანა 18

შპს "გამაბანკის" ფილიალში "მინაგობანკის" მოქალაქეებმა 1998 წლის 22 ოქტომბერს თანხა შეიტანეს ანაბრის სახით. 1999 წლის 13 იანვარს შპს "გამაბანკმა" "მინაგობანკის" ფილიალი "სავაჭრო საინვესტიციო ბანკს" გადასცა, რომელმაც "მინაგობანკის" კრედიტორებთან ანგარიშსწორების ვალდებულება თავის თავზე აიღო.

"მინაგობანკის" მეანაბრეები თანხის ანაზღაურებას შპს "გამაბანკისაგან" მოითხოვდნენ და არ ცნობდნენ "სავაჭრო საინვესტიციო ბანკზე" ვალის გადაკისრების ფაქტს. თავის მხრივ, შპს "გამაბანკი" თვლის, რომ მეანაბრეების ვალის გასტუმრება "სავაჭრო საინვესტიციო ბანკის" ვალდებულებაა, რადგან შპს "გამაბანკის" უწინდელი ფილიალი "მინაგობანკი", ახლა სწორედ "სავაჭრო საინვესტიციო ბანკის" შემადგენელი ნაწილია.

- გადაწყვიტეთ წამოჭრილი პრობლემა.

### ამოცანა 19

დელიბაშვილი 1998 წლიდან მუშაობდა თბილისის საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 2003 წელს ინსტიტუტი

გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. აქციის მესაკუთრენი გახდნენ ფიზიკური პირები.

2007 წ. დელიბაშვილი სს-ის გენერალური დირექტორის ბრძანებით, განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ინსტიტუტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილების გამო.

დელიბაშვილმა სასამართლოს მიმართა სარჩელით და მოითხოვა სამსახურში აღდგენა იმ მოტივით, რომ სს-ის გენერალურ დირექტორს უფლება არ ჰქონდა მოეხდინა ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილება, რადგან ეს აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა დელიბაშვილის სარჩელი.

- სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

## ამოცანა 20

2000წ. შპს "კაბადონის" დამფუძნებლები იყვნენ გობეჯიშვილი და კაკაურიძე. გობეჯიშვილი იმავდროულად იყო "კაბადონის" დირექტორი. 2006 წელს გობეჯიშვილი გარდაიცვალა. კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონაშთით გარდაცვლილის მემკვიდრედ ცნობილ იქნა მისი მეუღლე.

კაკაურიძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა შპს "კაბადონის" ერთადერთ პარტნიორად ცნობა. სარჩელს იმით ასაბუთებდა, რომ გარდაცვლილმა გობეჯიშვილმა შპს "კაბადონში" მისი კუთვნილი წილი დააგირავა ხარაულის სასარგებლოდ, ხოლო მოგირავნისაგან აღნიშნული წილი კაკაურიძემ გამოისყიდა.

სასამართლომ კაკაურიძის სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა და იგი ცნო შპს "კაბადონის" ერთადერთ დამფუძნებლად.

- სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

## ამოცანა 21

შპს "იუსტიცმა" მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ კომერციულ ოპერაციაში და მარკეტინგული მომსახურებისათვის მოგების სახით 10.000 ლარი მიიღო.

საგადასახადო ორგანომ აღნიშნულ ფაქტზე სასამართლოში წარადგინა სარჩელი და მოითხოვა გარიგების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ აღნიშნული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა არ იყო დაფიქსირებული საზოგადოების წესდებაში.

ამასთან, მოითხოვა ამონაგები თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა.

- ექვემდებარება თუ არა საგადასახადო ორგანოს სარჩელი დაკმაყოფილებას?

### ამოცანა 22

შეუძლია თუ არა სააქციო საზოგადოების საერთო კრებას ნებისმიერ დროს გადაირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი?

### ამოცანა 23

მექვაბიშვილი ორი სხვადასხვა შპს-ის პარტნიორია. მისმა მეუღლემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი განქორწინებასა და ქონების გაყოფის თაობაზე, მოითხოვა ერთ-ერთ შპს-ში (რომელშიც მისი მეუღლე იყო პარტნიორი) მეუღლის ნაცვლად პარტნიორად აღიარება.

- დაკმაყოფილდება თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის ბოლო ნაწილში?

- შეიცვლება თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ მოსარჩელე და მოპასუხე არარეგისტრირებულ ქორწინებაში არიან?

- სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის აქვს თუ არა მნიშვნელობა რომელი სამართლებრივი ფორმის საწარმოს პარტნიორია მექვაბიშვილი?

### ამოცანა 24

შპს-ის ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ მის კანონიერ მემკვიდრეებს, კერძოდ, მეუღლესა და პირველი ქორწინებიდან არსებულ შვილს შორის წარმოიშვა დავა შპს-ში წილის მემკვიდრეობით მიღების შესახებ.

- რა გარემოებები უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ აღნიშნული დავის გადაწყვეტისას?

- შეიცვლება თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ შპს-ის დამფუძნებელი იქნებოდა არა ერთი, არამედ რამდენიმე პირი?

## ამოცანა 25

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა არ შედგა კანონით განსაზღვრული კვორუმის არ არსებობის გამო. საბჭოს თავმჯდომარემ 10 დღეში მოიწვია ახალი სხდომა, რომელზეც კვლავ არ იქნა წარმოდგენილი წევრთა კანონით განსაზღვრული საკმარისი რაოდენობა. თავმჯდომარემ იმავე დღის წესრიგით 7 დღეში განმეორებით მოიწვია სხდომა და მიიღო გადაწყვეტილება.

– იპოვეთ შეცდომა წარმოდგენილ ფორმულირებაში.

## ამოცანა 26

ტვირთის მიმღებმა საწარმომ სასამართლოში წარადგინა სარჩელი პორტის წინააღმდეგ და მოითხოვა იმ ზიანის ანაზღაურება, რაც მიაღდა გემით ტვირთის გადაზიდვისას.

პორტმა არ გაიზიარა სარჩელი და წარმოადგინა დოკუმენტაცია, რითაც დადასტურდა, რომ ტვირთი დაზიანდა ღია ზღვაში შტორმით გამოწვეული ავარიით.

– განთავისუფლდება თუ არა პორტი პასუხისმგებლობისაგან?

– როგორ უნდა აისახოს ხელშეკრულებაში დაუძლეველი ძალა?

## ამოცანა 27

წყლის გაყვანილობის ავარიის გამო დაიტბორა მაღაზია "მარკონის" საწყობი და დაზიანდა საქონელი. ავარიის მიზეზად დასახელდა ტექნიკური მოწყობილობების გაუმართაობა, რაც სარემონტო-საექსპლუატაციო საწარმოს საკუთრებაში იმყოფებოდა.

მაღაზია "მარკონის" ზიანი აუნაზღაურა სადაზღვევო კომპანიამ, რის შემდეგ, რეგრესული სარჩელით, სარემონტო-საექსპლუატაციო საწარმოსაგან მოითხოვა მის მიერ გადახდილი თანხის გადახდევინება. ამ უკანასკნელმა სასარჩელო მოთხოვნის სრული მოცულობით დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მაღაზია "მარკონმა" დასაწყობებული დასველებული საქონელი (ტანსაცმელი) გააშრო, მოაწესრიგა და ფასდაკლებით გაყიდა.

ამის გამო, სარემონტო-საექსპლუატაციო საწარმოს აზრით, "მარკონისთვის" მიყენებული ზიანი გაცილებით ნაკლები მოცულობისაა, ვიდრე სარჩელში მითითებული თანხა.

- გადანყვიტეთ ნამოჭრილი დაეა.

## ამოცანა 28

სარეკლამო განაცხადში ხშირია ამა თუ იმ საწარმოს განცხადება საწყობიდან ნებისმიერი ან განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით. არცთუ იშვიათად გაცხადებულია საქონლის ფასი და გადახდის წესი.

- ჩათვლება თუ არა ასეთი განცხადება ოფერტად?

- საწარმოს მიერ გავრცელებული "პრაის-ლისტი", რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მის მიერ გამოშვებულ საქონელზე, არის თუ არა ოფერტი?

## ამოცანა 29

ალექსანდრე კოტრიკაძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ბამბუკის" მიმართ და მოითხოვა ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით: ალექსანდრე მუშაობდა შპს-ში ზეინკლად, ყოველდღიურად დადიოდა მცხეთიდან თბილისში საწარმოს მიერ გამოყოფილი უფასო სამგზავრო ბილეთით. ერთ-ერთი მგზავრობის დროს გარედან ნასროლი ქვის თავში მოხვედრის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება და დაკარგა შრომის უნარი, რის გამოც გაათავისუფლეს სამსახურიდან.

სასამართლომ არ ჩათვალა, რომ უფასო სამგზავრო ბილეთის არსებობა ნიშნავდა საწარმოს მიერ ტრანსპორტის გამოყოფას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღწერილი შემთხვევა არ ჩათვალა საწარმოო ტრავმად.

- სწორია თუ არა სასამართლოს გადანყვიტილება?

## ამოცანა 30

საინოვაციო ჰოლდინგური კომპანია ახორციელებს კულინარული პროდუქციის წარმოება-გასაღებას. ამას გარდა, კომპანია ამზადებს და ყიდის მოძრავ საცხობ აპარატებს.

სარეკლამო განცხადებაში კომპანია მსურველებს სთავაზობს ზემოხსენებული აპარატების გადაცემას ფრენშაიზის პირობების საფუძველზე.

- ახსენით რა არის ფრენშაიზი?

### ამოცანა 31

ხორცის პროდუქტების დამამზადებელმა საწარმომ, მოწყობილობა-დანადგარების ცვეთის გამო, პრაღაში მოწყობილ სპეციალიზებულ გამოფენაზე, ექსპონატების დათვალეირებისა და სარეკლამო პროსპექტების გაცნობის შემდეგ, არჩევანი შეაჩერა გერმანიის მანქანათმშენებლობის ქარხნის პროდუქციაზე. ეს უკანასკნელი საწარმოს აწყობდა როგორც ტექნიკური პარამეტრებით, ისე ფასით.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხორცის პროდუქტების დამამზადებელმა საწარმომ დროულად გადარიცხა სახელშეკრულებო თანხა, ასევე დროულად მიიღო გერმანიიდან შეკვეთილი პროდუქცია. დანადგარების მონტაჟის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულების საგანი არ შეესაბამებოდა რეკლამაში მითითებულ მაჩვენებლებს, ხოლო მისი წარმადობა შემოთავაზებულზე გაცილებით დაბალი იყო.

- რა პრეტენზიის წაყენება შეუძლია საწარმოს დამამზადებლის მიმართ?

### ამოცანა 32

"ჯორჯიან ვოთერ ენდ ფოუერის" განცხადებით, ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ დავალიანება, შეუწყდებათ წყლის მიწოდება მანამ, სანამ სრულად არ დაფარავენ დავალიანებას.

- მიეცით სამართლებრივი შეფასება "ჯორჯიან ვოთერ ენდ ფოუერის" მოქმედებას.

### ამოცანა 33

სავაჭრო მაკლერის შუამავლობით, შპს-მ ხორცის პროდუქციების გადამამუშავებელი საწარმოსაგან შეისყიდა სოსისის დიდი პარტია.

მომწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულების პირობები. შპს-მ სავაჭრო მაკლერს, მისი შუამავლობით დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, მოსთხოვა საზღაურის უკან დაბრუნება.

- საფუძვლიანია თუ არა შპს-ის მოთხოვნა?

#### ამოცანა 34

შპს მაცივრების შესყიდვის მიზნით აწარმოებს მოლაპარაკებას მაცივრების დამამზადებელ საწარმოსთან. ხელშეკრულების ძირითადი პირობების შეთანხმებისთანავე, ხელშეკრულების ხელმოწერამდე, შპს-მ მაცივრების მწარმოებელ საწარმოს ავანსის სახით გადაურიცხა 50.000 ლარი. ამ უკანასკნელმა შპს-ს წერილობით აცნობა მიწოდების შეუძლებლობის შესახებ, უარი თქვა ხელშეკრულების დადებაზე და დაუყოვნებლივ დაუბრუნა გადარიცხული თანხა.

- ეკისრება თუ არა მაცივრების დამამზადებელ საწარმოს რაიმე სახის პასუხისმგებლობა?

#### ამოცანა 35

უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი საწარმო "სხივის" ლიმონათს უშვებდა მინის ბოთლებით და აწოდებდა პლასტმასის ყუთებით. როგორც მინის, ისე პლასტმასის ჭურჭელი აღრიცხული იყო საწარმოს ბალანსზე და განკუთვნილი იყო მრავალჯერადი მოხმარებისათვის.

"სხივის" ერთ-ერთი კონტრაგენტი, მუდმივად არღვევდა ხელშეკრულების ზემოხსენებულ პირობას. კერძოდ, სრულად არ აბრუნებდა მინის და პლასტმასის ჭურჭლებს. აღნიშნულის შედეგად წარმოშობილი დავალიანება მან გადაიხადა შპს "სხივის" სასარგებლოდ.

მოგვიანებით "სხივის" ხელმძღვანელობისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი კონტრაგენტი გამოთავისუფლებულ ბოთლებსა და ყუთებს ხელსაყრელ ფასში ყიდდა, საიდანაც ფარავდა დავალიანებას და რჩებოდა მოგება.

შპს "სხივის" ხელმძღვანელობამ დაავალა საწარმოს იურისტს, გამოეყენებინა ყველა არსებული სამართლებრივი საშუალება, რათა დაეცვა საწარმოს ინტერესები.

- რა რჩევას მისცემთ შპს "სხივის" ხელმძღვანელობას?

## ამოცანა 36

სააქციო საზოგადოება "კენგურუს" აქციონერმა სასამართლოს მიმართა სარჩელით, სადაც აღნიშნა, რომ სს "კენგურუს" 18 თვის განმავლობაში მისთვის არ გადაუხდია დივიდენდი. მოსარჩელემ მოითხოვა საზოგადოებისათვის დივიდენდის იძულებით წესით გადახდევინების დაკისრება. მოპასუხემ განმარტა, რომ ყოველწლიური დივიდენდის გადახდა არ ევალება არც კანონით და არც საზოგადოების წესდებით.

– დაკმაყოფილდება თუ არა აქციონერის მიერ წარდგენილი სარჩელი?

## ამოცანა 37

ქალაქის ერთ-ერთი სასტუმროს რეკონსტრუქცია განხორციელდა ავსტრიის ბანკის მიერ გაცემული კრედიტით. პირველ და მეორე წელს სასტუმროს ექსპლუატაციით მიღებული თანხით ქალაქმა დაფარა საბანკო კრედიტის ნაწილი, დარჩენილი 10 მლნ ევროს დაფარვა, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში, ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა. ამის გამო, ქალაქმა კრედიტორ ბანკს სასტუმროს აქციათა საკონტროლო პაკეტი (51%) შესთავაზა.

– რა წესით გაფორმდება აღნიშნული ხელშეკრულება?

## ამოცანა 38

შპს "ერუდიტის" მიერ შემუშავდა და აპრობირდა პოლიეთილენის დამზადებისა და მისი სამედიცინო სფეროში გამოყენების ახალი ტექნოლოგია. საწარმოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შემუშავებული ტექნოლოგიის მიყიდვა ერთ-ერთი უცხოური საწარმოსათვის.

– აქვს თუ არა საწარმოს ამგვარი ხელშეკრულების დადების უფლება?

## ამოცანა 39

მოქალაქე ქაბაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს "არგოს" კვების ბლოკის თანამშრომლების წინააღმდეგ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წელს შპს "არგოსთან" დადო იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს "არგოს" მისთვის უნდა გადაეცა საცხოვრებელი ფართობი. იმის გამო, რომ კვების ბლოკის ყოფილი თანამშრომლები არ ათავისუფლებდნენ ხელშეკრულებაში აღნიშნულ ფართობს, მოსარჩელემ მოითხოვა მისი გამოთავისუფლება.

შპს "არგოს" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მოსარჩელის წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში, სადაც მიუთითა, რომ მხარეებს შორის 2007 წელს დადებული ხელშეკრულება ბათილია, ვინაიდან ის დადებულია ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი ფორმის დაუცველად. კერძოდ, შპს "არგოს" ერთადერთი პარტნიორი და მითითებული სადგომის მესაკუთრე სახელმწიფოა, რომლის ნებართვის გარეშე დაიდო ხელშეკრულება.

- გადაწყვიტეთ მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა.

#### ამოცანა 40

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში, საზოგადოებამ საკუთრების უფლებით შეიძინა უძრავი ნივთი, რომლის ღირებულებამ საზოგადოების აქტივების 61% შეადგინა.

საზოგადოების პარტნიორმა სასამართლოს მიმართა სარჩელით და მოითხოვა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების და მის შესაბამისად დადებული გარიგების გაბათილება იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება უძრავი ნივთის შექენაზე, რომლის ღირებულება სცილდება საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, მიიღება მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების მიერ.

- გადაწყვიტეთ წარმოქმნილი დავა.

#### ამოცანა 41

აქციონერმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისას ერთ-ერთ კანდიდატს უარყოფითი ხმა მისცა.

- აქვს თუ არა აქციონერს უფლება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კანდიდატს მისცეს უარყოფითი ხმა?

## ამოცანა 42

შპს-ის დამფუძნებელმა პარტნიორებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს, სადაც განმარტეს, რომ ამ საზოგადოების პარტნიორი და დირექტორი მაჩაიძე კეთილსინდისიერად არ ხელმძღვანელობდა სანარმოს საქმიანობას და მოითხოვეს მისი დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლება და საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვა.

- უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა წარდგენილი სარჩელი?

## ამოცანა 43

შპს-ის პარტნიორებმა საერთო კრებაზე გადაწყვიტეს, რომ თავიანთი წილები დაეთმოთ მესამე პირებისათვის. მხარეებს შორის დაიდო წილის დათმობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, პარტნიორებმა საზოგადოების წილთა 100% დაუთმეს მესამე პირებს. ხელშეკრულებები დამონმდა სანოტარო წესით და შესაბამის რეესტრში განხორციელდა სათანადო ცვლილებები.

შპს-ის თავდაპირველი (წილის დამთმობი) პარტნიორების მეუღლეებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ მათ მეუღლეებს საზოგადოების წილები შეძენილი ჰქონდათ ქორწინების პერიოდში და გაასხვისეს მათი თანხმობის გარეშე.

- უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა წარდგენილი სარჩელი?

## ამოცანა 44

2000 წელს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციაში გატარდა შპს "მოდელი". 2002 წელს იგი გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. 2005 წელს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევისას რეგისტრაციის დოკუმენტებში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები.

2006 წელს სს-ის ერთ-ერთმა პარტნიორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სს "მოდელის" მიმართ და მოითხოვა 2005 წლის რეგისტრაციის გაუქმება. მიუთითა, რომ საზოგადოებას მარეგისტრირებელი ორგანოსთვის არ წარუდგენია დო-

კუმენტი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და დირექტორის დანიშნვის შესახებ და სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ საზოგადოების საერთო კრების დადგენილებას, სადაც აღნიშნულია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და დირექტორის გვარები. მოსარჩელის მოსაზრებით, საერთო კრება არ იყო უფლებამოსილი აერჩია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და დაენიშნა დირექტორი.

- უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი?

#### ამოცანა 45

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებიდან მეოთხე დღეს, გადახდისუუნარობის რეჟიმში მყოფმა სანარმოს დირექტორმა შრომითი ხელშეკრულება დადო ერთ-ერთ ფიზიკურ პირთან. დირექტორის აღნიშნული მოქმედება სასამართლოში გაასაჩივრა გადახდისუუნარობის რეჟიმში მყოფი სანარმოს, სასამართლოს მიერ დანიშნულმა მეურვემ.

- გადაწყვიტეთ დავა.

#### ამოცანა 46

შპს "ფორტუნამ" კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან მიიღო ლიცენზია ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მონყობაზე. ლიცენზიის აღებიდან ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებამ საქართველოს ტერიტორიაზე გახსნა 15 ობიექტი, რომელთა საქმიანობის ხასიათი არ განსხვავდებოდა ძირითადი სანარმოს საქმიანობისაგან.

ფინანსთა სამინისტრომ ყველა ობიექტისთვის მოითხოვა ცალ-ცალკე ნებართვა, რაზეც შპს "ფორტუნამ" უარი განაცხადა.

- სწორია თუ არა ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნა.

#### ამოცანა 47

გაკოტრების რეჟიმში მყოფი სანარმოს პირველი, მეორე და მესამე რიგის კრედიტორთა მოთხოვნის ჯამი 266.000 ლარია. პირველი აუქციონის უშედეგოდ ჩატარების შემდეგ კანონის

შესაბამისად დაინიშნა მეორე აუქციონი, სადაც ქონების სანყისი ფასი განისაზღვრა 270.000 ლარით. აუქციონზე ქონება გაიყიდა 350.000 ლარად. მოვალემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობა, კანონთან მისი შეუსაბამობის მოტივით.

- გადანყვიტეთ დავა.

#### ამოცანა 48

შესაძლებელია თუ არა, გაკოტრების შემთხვევაში, გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოს ქონება მესამე აუქციონზე ნაწილ-ნაწილ გაიყიდოს? მესამე აუქციონზე ქონების ვერ გაყიდვის შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა მეოთხე აუქციონის გამოცხადება?

#### ამოცანა 49

საწარმოს გაკოტრების შედეგად აუქციონზე გაიყიდა ქონება, რომლის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სურს მყიდველს, მაგრამ ამ ქონებას ადევს ყადაღა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე განხილულ საქმესთან დაკავშირებით.

- შეიძლება თუ არა ყადაღის მოხსნა. დაასაბუთეთ პასუხი.

#### ამოცანა 50

სარეგისტრაციო ორგანომ რეგისტრაციაში არ გაატარა კომანდიტური საზოგადოება იმ მოტივით, რომ მასში კომპლემენტარად წარმოდგენილი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

- სწორად მოიქცა თუ არა საგადასახადო ორგანო?

#### ამოცანა 51

შპს-ის დირექტორმა ლობჯანიძემ გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) მისცა დავლიანიძეს. პროკურა რეგის-

ტრირებულ იქნა შესაბამის რეესტრში. დავლიანიძემ საზოგადოების სახელით და მის ინტერესებში ერთ-ერთი გარიგების დადების დროს, ვალდებულების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დატვირთა საზოგადოების კუთვნილი მიწის ნაკვეთი. ნოტარიუსმა იპოთეკის ხელშეკრულების დამონმებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ გენერალურ სავაჭრო მინდობილობაში იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილებაზე არაფერი იყო ნათქვამი.

– კანონიერია თუ არა ნოტარიუსის უარი?

## ამოცანა 52

შპს-ის დირექტორმა დგებუაძემ მინდობილობა მისცა იურისტ ჟორდანას, რათა დაეცვა საწარმოს ინტერესები სასამართლო პროცესზე, რომელშიც შპს მესამე პირად იყო ჩაბმული. მინდობილობა წერილობითი ფორმით იყო შედგენილი და მას ხელს დირექტორი აწერდა. ხელმოწერა არ იყო საზოგადოების ბეჭდით დამონმებული. სასამართლომ არ ცნო ჟორდანას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იმ მოტივით, რომ მინდობილობა არ იყო გაფორმებული სათანადო ფორმის დაცვით.

– სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

## ამოცანა 52

შპს-ის ერთადერთმა დამფუძნებელმა კარლო დგებუაძემ, საწარმოს მართვის უფლება მიანდო თავის 16 წლის შვილს, დავით დგებუაძეს.

– უფლებამოსილი იყო თუ არა დავით დგებუაძე დამოუკიდებლად გაძლოლოდა საწარმოს მართვას?

## შინაარსი

წინათქმა .....	3
სამენარმეო სამართლის განვითარების ისტორია .....	6
სამენარმეო სამართლის ცნება. რეგულირების საგანი .....	16
სამენარმეო სამართლის მეთოდები და პრინციპები .....	25
სამენარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა .....	36
სამენარმეო სამართლის სუბიექტთა მოკლე დახასიათება .....	41
საწარმოს ცნება. მენარმე სუბიექტთა სამართლებრივი ფორმები .....	45
მენარმე სუბიექტთა რეგისტრაცია .....	59
საწარმოს ფილიალის დაარსება .....	70
საწარმოს საფირმო სახელწოდება .....	73
საწარმო, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი .....	86
საწარმოს მართვის ორგანოები .....	91
საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები .....	94
საწარმოს პარტნიორთა საერთო კრება .....	103
საწარმოს წარმომადგენლობა .....	110
შუამავალთა როლი საწარმოს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში .....	119
საწარმოს პარტნიორთა უფლება-მოვალეობა .....	128
მენარმე სუბიექტის შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის რეგულირება .....	140
მენარმე სუბიექტის შექმნა .....	140
მენარმე სუბიექტის რეორგანიზაცია .....	142
მენარმე სუბიექტის ლიკვიდაცია .....	147
მენარმე სუბიექტთა გადახდისუნარობა .....	152
მენარმე სუბიექტის გაკოტრება .....	185
მენარმე სუბიექტთა რეაბილიტაცია .....	194

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირების ფარგლები .....	198
სამენარმეო საქმიანობის კონტროლი და სამენარმეო პასუხისმგებლობის ზოგადი დახასიათება .....	207
სანარმოს პასუხისმგებლობა .....	210
პასუხისმგებლობა საზოგადოების შიგნით.....	215
სხვა სახის პასუხისმგებლობა სამენარმეო სამართალურთიერთობის დარღვევისათვის.....	218
კორპორაციული გაერთიანებები.....	225
მენარმე სუბიექტები. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება .....	231
კომანდიტური საზოგადოება.....	239
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება .....	245
სააქციო საზოგადოება .....	248
კოოპერატივი .....	272
ტესტ-გლოსარიუმი.....	279
ამოცანები.....	295